


დიდი სამაჟღლო ომის თემა
ქართულ პრესიაში

ეთანხმება დასაბუღდამ ნებდართლო მტკიცებს.
Соответствует подписанию и печати экземпляру
„19“ - „XII“ 1967წ. 

8Г2
899.962.1.09-1
ბ25

ევგენი ბართაიას წიგნში — „დიდი სამანულო ომის თემა ქართულ პოეზიაში“ — განხილულია, როგორც ფრონტზე, ისე ზურგში მყოფ ქართველ პოეტთა ნაწარმოებები.

ნაშრომი წარმოადგენს უშუალოდ ომის პერიოდში შექმნილი პოეზიის მიმოხილვის პირველ ცდას. მასში მოკლედ მოთხრობილია ფრონტელი პოეტების საბრძოლო ბიოგრაფიები.

ეფიქრობთ, წინამდებარე წიგნი დახმარებას გაუწიებს საშუალო სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს სამამულო ომისდროინდელი პოეზიის შესწავლაში.

ომის ძირითადი ევაპების ასახვა ქართულ პოეზიაში

1941 წლის 22 ივნისს საბჭოთა კავშირს მუხანათურად დაესხა თავს ფაშისტური გერმანიის არმია. ამ ავაზაკურმა თავდასხმამ დროებით შეწყვიტა საბჭოთა ხალხების მშვიდობიანი ცხოვრება. დაიწყო ახალი, გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის პერიოდი.

ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ შეიმუშავეს გერმანიის ფაშისტური არმიის უკუგდებისა და განადგურების პროგრამა. კომუნისტურმა პარტიამ სწრაფად გარდაქმნა მუშაობა სამხედრო ყაიდაზე, კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმა თავისი დროშის ქვეშ მთელი საბჭოთა ხალხი.

ქართველმა ხალხმა. საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად, მთელი თავისი ფიქრი და გონება, შრომიანი საქმიანობა და საბრძოლო განწყობილება მტერზე გამარჯვებისაკენ წარმართა, ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის ბრძოლის ინტერესებს დაუმორჩილა. ქართველმა ვაჟკაცებმა ფრონტს მიაშურეს.

ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებმა თავიანთი კალამი და ფუნჯი ომის სამსახურში ჩააყენეს. ომმა შეუცვალა მწერლის კალამს სიმღერის კილო.

თვით ცხოვრება მოუწოდებდა პოეტს:

დასთმე სიმღერა სხვა ყოველგვარი,
ყოველი კილო, სიტყვა და აზრი,
გარდა ერთისა: მხოლოდ მედგარი
დაგრაჩეს ყვილი, ხმალივით ბასრი.

(ვლექსანდრე აბაშელი, „ჩემს კალამს“, 1941 წ., 3 ივლისი).

პოეტთა სიმღერნი ჩიქოვანი ამაცობს ქართველი ხალხის წარსულით.

ხალხს პირიდან ლუკმას ართმევდნენ, დამხობით ემუქრებოდნენ, მაგრამ მან ყველა განსაცდელს გაუძლო, რათა ახლაც

ვერვინ წაგვართვას დიდება ჩვენი,
მოპოვებული სისხლით და ხორციით!

(„მამულისათვის“, 1941 წ., 10 ივლისი).

საქართველოს სახალხო პოეტი გლაკტიონ ტაბიძე ლექსში „სამშობლო“ ფაშისტ მტაცებლებს აფრთხილებს, რომ საბჭოთა ქვეყანა ძმობით არის აშენებული და „იგი ეყრდნობა ამ ქვეყნად პირველს—ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ურთიერთრწმენის ურყევე საძირკველს“. ხოლო „თქვენი ქვეყანა,—ეუბნება პოეტი თავდამსხმელებს,—ურთიერთ ღრმა სიძულვილის ვულკანზე მდგარი ქანაობს, რბევის მძვინვარე ღმერთი არის იმისი ბაირახტარი“.

— „ჰეი, არწივნო!“ — ასე მიმართა პოეტმა გიორგი ლეონიძემ ქართველ ვაჟკაცებს. ხალხთა ძმობისა და მეგობრობის საძირკველს ეყრდნობა სამშობლო. და თუ აქამდე ლექსი ჩუმად იწერებოდა, დატორტმანობდა გულში ფარულად, ახლა დრო დადგა, დაეძახათ ბრძოლის ყაჟინა:

— ჰეი, ვეფხვებო!

— ჰეი, არწივნო!

თუ ჩვენ სიყვარულს ვიყოფდით გუშინ,
დღეს ვაჟკაცობა გავინაწილოთ...

(„ჰეი, არწივნო“, 1941 წ., 12 სექტ.).

ხალხმა სიმღერად აიტაცა იოსებ გრიშაშვილის ხალასი გრძნობით გამთბარი ლექსი „ორი სიტყვა“, რომელიც ცეცხლივით ანთებდა საბჭოთა ადამიანების გულებს.

ორი სიტყვა — ორი შვება —

„სამშობლო“ და „გაშარჯება“.

პირველი სიტყვა გიორგი ქუჩიშვილმა მოლაშქრე პოეტს მისცა და ეს მოლაშქრე პოეტი თვითონ იყო. დამაჯერებელი, სულში ჩამწვდომი იყო ქუჩიშვილის ლექსის ძახილი.

მტერს ზურგს ვინ აქცევს ლაჩარის მეტი,

ვინ გაექცევა სახალხო ბრძოლას?

არავინ! და მეც, როგორც პოეტი,

დღეს მეც ხელთ ვიღებ პირმახვილ ფოლადს!

და ვფიცავ უკვდავ ჩვენს ურიცხვ გამირებს,

ჩვენს უსაყვარლეს სამშობლოს ვფიცავ,

რომ ბრძოლის ველზე თუ გავიგმირე,

პირზე ღიმილით დავკოცნი შიწას!

(„მოლაშქრე პოეტის სიტყვა“, 1941 წ., 25 ივნისი)

ირაკლი აბაშიძემ მხურვალე სიტყვებით მიმართა ქართველ პოეტებს:

გასკერ, დასძალე ურდო პირმურალთა,
ნახონ ნამდვილი შეხლა, რკინება,
ერთხმად, ერთპირად, როგორც გვიყვარდა,
ქვეყნის ზეიმზე შეხმატყბილება.

(„საქართველოს პოეტებს“, 1941 წ.)

ჩვენი ხალხის მტკიცე ნებისყოფის, მისი ფიქრისა და ოცნების, გამარჯვების რწმენის ძალაა მიუძღვნა სანდრო ეულმა თავისი „არასდროს“. ეს ლექსი ასახავდა საბჭოთა ადამიანების პირველ შერკინებას მტერთან.

მუხანათ მტერს მკერდით ვხვდებით,
კრემლიდან მზემ გვანათოს!
რკინისა ვართ. არ გავტყუდებით,
არ შევდრკებით არასდროს!

(„არასდროს“, 1941 წ., 24 ივლისი)

სიმართლეს, სიყვარულს, სახლ-ქარა, აკვანს დაცვა სჭირდება. ვინ დაიცავს მას, თუ არა გმირი ვაჟკაცი? სწორედ ამ ვაჟკაცს მიმართავს პოეტი გრიგოლ აბაშიძე:

როცა მტერი ემუქრება
ცას და მიწას, დიდს ჯა მცირეს, —
შენი ქვეყნის გამარჯვებას,
შენს სამშობლოს შეეწირე.

(„სიმღერა“, 1941 წ., 18 ივლისი).

შალვა აფხაიძემ ომის დაწყების პირველსავე დღეებში გამოაქვეყნა ორი ლექსი: „ვიცავ ჩემს მიწას“ და „ლაშქრული“. პირველში მოისმოდა საბჭოთა პოეტისა და მოქალაქის გულწრფელი სიტყვა, სამშობლოს სიყვარულით გამთბარი ხმა. პოეტი ფიცავს—დაიცვას სამშობლოს ზღუდე, მისი სოფელი, მღელვარე ყანა, „ბედნიერების გამთბარი ბუდე“, ყოველი ქუჩა, სახლი, ქარხანა. მეორე ლექსში „ლაშქრული“ ხალხს ბრძოლისაკენ მოუწოდებს პოეტი.

გაზეთ „კომუნისტის“ სააგიტაციო ფურცლის“ 1941 წლის 10 ივლისის პირველ ნომერში გამოქვეყნდა ილო მოსაშვილის საბრძოლო მოწოდებით აგზნებული ლექსი — „შვილო, სამშობლო გეძახის“.

წალი, ქვეყანა გეძახის
და დედის გული გაცილებს:
ასი რომ გქონდეს სიცოცხლე, —
სამშობლოს გაუხაწილე!

ფეხზე დადგო მთელი ქართული მწერლობა. ყველა მწერალი მხოლოდ ომის თემაზე წერდა.

მრისხანედ გაისმოდა ვიქტორ გაბესკირიას, გრიგოლ ცეცხლადის. ვარლამ ჟურელის, გიორგი კაჭახიძის, დავით გაჩეჩილაძის, სანდრო შანშიაშვილის, რაჟდენ გვეტაძის, სეზმან ერთაწმინდელის პოეტური ხმა.

ჩვენს საზოგადოებას გამარჯვების რწმენას უნერგავდა გრიგოლ აბაშიძეს, რევაზ მარგინის, ალექო შენგელიას, ლადო ასათიანის, ალექსანდრე საჯიას, იოსებ ნონეშვილის, მარიაკა მიქელაძის. მაყვალა მრეელიშვილის, გიორგი კალანდაძის ლექსები.

პატრიოტული ლექსებით ამლერდნენ უმცროსი თაობის პოეტები თეიმურაზ ჩანგულაშვილი, მურმან ლებანიძე, ოთარ ქელიძე და სხვები.

*
* *

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი, როგორც ცნობილია, ოთხ ეტაპს მოიცავს:

პირველი ეტაპი — 1941 წლის ივნისიდან 1942 წლის შემოდგომამდე, სტალინგრადის მისადგომებთან საბჭოთა არმიის კონტრშეტევაზე გადასვლამდე.

მეორე ეტაპი — 1942 წლის ნოემბერ-დეკემბრისა და 1943 წლის დასაწყისიდან — 1943 წლის ბოლომდე.

მესამე ეტაპი — 1944 წელი — საბჭოთა არმიის მიერ ფაშისტი დამპყრობლებისაგან საბჭოთა ტერიტორიის გაწმენდის პერიოდი.

მეოთხე ეტაპი — 1944 წლის ბოლოდან 1945 წლის 9 მაისამდე — საბჭოთა კავშირის ფაშისტურ გერმანიაზე საბოლოო გამარჯვებამდე.

ომის ცალკეული ეტაპები თავისებურად აისახა მხატვრულ ლიტერატურაში.

ომის პირველი დღეების პოეზიაში უმთავრესად მოწოდების ხმა გაისმოდა, ეს ხმა შურისძიების გრძნობით აღაგზნებდა ადამიანებს.

მათ ტყვია უნდათ, ამხანაგებო!
პირისპირ ვდგევართ ჩვენ და ისინი,
დავარტყეთ მაგრა და საგანგებოდ,
რომ ჩაველთ მათი გველის სისინი! —
(რ. მარგინი)

ქართველი პოეტები გზას ულოცავდნენ ფრონტზე მიმავალ ვაჟ-
კაცებს:

—მიდიხარ... იყავ კვლავ გმირი ჩემი,
მზე, ყოველ დღით სხივთა მფინარე!

(ს. თაყაი, „შენ გაიმარჯვებ“- 1941 წ., 27 ივნისი).

შემდგომში ქართულმა პოეზიამ უფრო ღრმა შინაგანი შესაძ-
ლებლობანი გამოავლინა. ლექსის შინაარსი გამდიდრდა. ლირიკული
ლექსის გვერდით გაჩნდა ფრონტისა და ზურგის ყოფის ამსახველი
სიუჟეტიანი ლექსები.

იქმნება დიდი ტილოები. ჯერ კიდევ 1941 წელს და-
იბეჭდა რაყდენ გვეტაძის პოემა „ლელა“. ეს იყო სამამუ-
ლო ომის თემაზე დაწერილი პირველი პოემა. გამოჩნდა სიუჟეტიანი
ლექსები: სანდრო შანშიაშვილის „კოლმეურნის წერილი წითელარ-
მიელი შვილისადმი“, „დედა“ და გალაკტიონ ტაბიძის „ლენინგრა-
დი“. სანდრო შანშიაშვილი და გალაკტიონ ტაბიძე იყვნენ სიუჟეტი-
ანი ლექსების პირველი მერცხლები სამამულო ომის ამ ეტაპზე. მ-
ნამდე ლექსში მოქმედი გმირი არ გამოჩენილა.

ფაშისტური გერმანია არასდროს ისე არ ყოფილა დაუძლურე-
ბული და დაშორებული თავის გიჟურ ოცნებათა განხორციელებას,
როგორც 1942 წლის დამდეგს.

საბჭოთა ხალხმა და მისმა არმიამ, რომლებიც ახალ წელს
ბრწყინვალე გამარჯვებებით ეგებებოდნენ, კარგად იცოდნენ, რომ
ეს პირველი ისტორიული გამარჯვებანი მოპოვებული იყო უდიდესი
სულიერი სიმტკიცით, თავგანწირული ბრძოლით ომის ველზე და
თავდაუზოგავი შრომით სახალხო მეურნეობის ყველა დარკში.

ეს გამარჯვება ქართველი მწერლებისაგან ახალ სიტყვას მოი-
თხოვდა.

1942 წლის იანვარში წითელმა არმიამ ფართო ფრონტზე გა-
აჩაღა საერთო შეტევა და ადგილ-ადგილ 400 კილომეტრით წაიწია
დასავლეთისაკენ. გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან მთლიანად გან-
თავისუფლებული იქნა მოსკოვისა და ტულის ოლქები.

ომის პირველი ეტაპის ნახევარი წელი გავიდა. ქართველმა
მწერლებმა შექმნეს გერმანიის გამხეცებული ფაშიზმის წინააღმდეგ
მებრძოლ გმირთა პორტრეტები, გვიჩვენეს მათი საგმირო საქმეები.
სამამულო ომის ღრეთა მრისხანე, დაუვიწყარი ეპიზოდები, ჩვენი
ხალხის—ჩვენი ფრონტისა და ზურგის მტკაცე ერთიანობა, აღაფრ-
თოვანებდნენ მკითხველს ისტორიულ გმირთა გაცოცხლებული სა-
ხეებით, მხატვრულად გადმოსცეს საბჭოთა ხალხების რისხვა გათავ-
ხედებული მტრისადმი, უმღერეს ჩვენი დიადი პარტიის გენიას. ომის
ამ ეტაპზე შექმნილმა ქართულმა მხატვრულმა ნაწარმოებებმა თვალ-

საჩინო ადგილი დაიკირეს ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში.

დააწერა ისეთი პოპულარული ლექსები, როგორცაა: სიმონ ჩიქოვანის „მამულს ვუთხრათ გამარჯვება“, „მიშაკოვი და შალამბერიძე“, ალიო მირცხულავას „ძმები“, „ზღვის არწივი“, „სიმღერა გამარჯვებისა“, ალექსანდრე აბაშელის „ცამ დაიქუხა გუშინ“, „დედა და შვილი“, „დედის წერილი“, გიორგი ლეონიძის „მხედარი პირტახია“, „ჭეი არწივნო“, გალაკტიონ ტაბიძის „სამშობლო“, „თავდადებული მილიონები“, იოსებ გრიშაშვილის „მეისტორიეც, წიგნი დახურე“, „ორი სიტყვა“, „პარტიზანები“, კარლო კალაძის „ანე ღღერის გურიათა“, ილო მოსაშვილის „ლენინი ჯავშანოზე“, „შვილო, სამშობლო გეძახია“, იოსებ ნონეშვილის „ჩვიდმეტნი“, ხუტაბერულავას „ამხანაგო მიშაკოვ, ძმაო შალამბერიძევ“, რაჟდენ გეჯტაძის „გპირულად დაღუპულ შალამბერიძეს“, სოლომონ თავაძის „ძმები გულვარდამეილები“.

გამოდის სიმონ ჩიქოვანის ლექსების წიგნი—„მამულს ვუთხრათ გამარჯვება“. პოეტმა უბრწყინვალეს პოეტურ სახეებად წარმოგვიდგინა ომში გპირულად დაღუპული შევარდენი, კაპიტანი გასტელო, უშიშარი ტანკისტი პირტახია, სახელოვანი მხედარი ინაურა, უსახელო მადლობის გმირები მიშაკოვი და შალამბერიძე. გვიჩვენა საბჭოთა უკრაინის მიწა-წყალზე რუსი და ქართველი გპირების თავგანწირული ბრძოლის ეპიზოდები, მებრძოლთა რაინდული სახეები, დაგვიხატა ის დიდი გამათავისუფლებელი მისია, რომელიც ისტორიამ ჩვენს გმირ ხალხს დააქისრა.

ბრძოლის სურათები ჩვეული ხერხით დაგვიხატა პოეტმა ვიქტორ გაბესკირიამ.

მაგრამ არ კვდება მებრძოლის გული,
ცდილობს ეს მწარე ფიქრებიც სძლიოს;
დაღის ბრძოლებში გაკაეებული,
რომ მტრებს შეხვდეს და შური იძიოს.
(„მეგობრები“, 1942 წ., 8 თებერვალი).

უცებ ქვემეხმა დაიგრიალა,
ღრუბლებში ცეცხლის აღნი ჩნდებოან.
წამოდგნენ, გაჟენენ ტანკებს, ეთ დეეებს,
მტრისკენ გარბიან ცეცხლის ზვაეებით.
გულისტქმით, ფიქრით მათ თან მისდევენ
და ამხნეეებენ ნათესაეები.

(„შეტევა“, 1942 წ., 8 თებერვალი).

პოეტმა ალო ადამიამ შთაგონებულად უმღერა ჩვენს მეოპრებ!
ჩვენს ჯარისკაცებს:

გმირებს სიცოცხლე
სამშობლოსთვის გაუწირიათ,
მაგრამ სამშობლოს
არასოდეს არა სწირავდნენ...

(„სიმღერა მაისის ცვარში“, 1942 წ.)

მთელს საბჭოთა ქვეყანას მოედო კომკავშირელი წითელარ-
მიელის სოსნოვსკის და თექვსმეტი წლის ჭაბუკის ჩეკალინის სა-
არაკო გმირობის ამბავი. სოსნოვსკი, რომელიც თავის სხეულით გადა-
ეფარა ამბრაზურას, საიდანაც ტყვიამფრქვევი ისროდა. მარად და-
ჩება საბჭოთა ხალხის ისტორიაში მამულისათვის თავგანწირვის უკ-
ვლავ სახედ.

ალექსანდრე ჩეკალინმა, როცა ის სახრჩობელასთან მიიყვა-
ნეს, მტკიცედ და ვაჟკაცურად შესძახა: „ყველას ვერ ჩამოასრჩობთ,
პარაზიტებო! ჩვენ ჯერ კიდევ ბევრნი ვართ! გამარჯვება ჩვენ დაგვ-
რჩება!“

პოეტმა დავით გაჩეჩილაძემ შესანიშნავი ლექსი მიუძღვნა ჩე-
კალინის გმირობას („ალექსანდრე ჩეკალინი“, 1942 წ.).

1942 წლის იანვარ-თებერვალი ჩვენი ჯარების წარმატებით ხა-
სიათდებოდა. განთავისუფლებულ ქალაქებსა და სოფლებში კვლავ
სიცოცხლის შუქი ჩადგა. იოსებ გრაშაშვილმა მათში. ამ მომენტის
აღსანიშნავად, დაწერა პატარა ლექსი „კვლავ მოშუშდა იარა“.

გამარჯვების მტკიცე რწმენა არა მარტო ჩვენს მწერლებს. უც-
ხოელ მწერლებსაც ჰქონდათ. ეს რწმენა მათ მისცა წითელი არ-
მიის ახალმა გამარჯვებამ. გერმანელი ანტიფაშისტის მწერალი ბოდო
უზე წერდა: „იმით, რომ წითელმა არმიამ ომის პირველსავე დღე-
ებიდან მძიმე დანაკლისი და სერიოზული მარცხი აწვინა ჰიტლერს,
მან უკვე გაათავისუფლა კაცობრიობა ჰიტლერიან არმიის უძლევე-
ლობის მითისაგან“.

გერმანელ ფაშისტთა ჯარების სარდლობამ 1942 წლის გაზაფ-
ხულისათვის დასავლეთ ევროპიდან საბჭოთა კავშირ-გერმანიის
ფრონტზე გადმოიყვანა ათობით ახალი დივიზია. ამას დაემატა მათი
მოკავშირეების ახალი შენაერთები აღმოსავლეთის ფრონტზე. ამის
შედეგად, 1942 წლის ივნისში, საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტ-

ზე მტრის 237 დივიზია მოქმედებდა, ხოლო 1942 წლის შემოდგომისათვის — უკვე 266, მათგან 193 დივიზია გერმანელებისა იყო.

აპრილში გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა ყირიმის მიდამოებში. ქერჩი იარებს იშუშებდა. ალადგინეს საწარმოები, გამოსვლა დაიწყო ყოველდღიურმა გაზეთმა, ქალაქი გამოცოცხლდა.

მწერალი ალექსანდრე სულავა, რომელიც ამ დროს ქერჩში იმყოფებოდა, როგორც ჯარისკაცი და სამხედრო კორესპონდენტი, წერდა: „მითრიდატეს ტრიუმფალური შესვლის დროს ქალაქი (ქერჩი) სისხლით მოირწყო. მითრიდატემ თავისი ხელით მოჰკლა საკუთარი დედა. ეს მოელოდა მასაც საკუთარი შვილისაგან, მაგრამ მითრიდატემ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა. ასეთია ტირანის ბედი. ასე დამთავრდება ბედი ტიროლელი ჯაშუშისაც. ფაშისტი მტარვალისა, რომლის სისხლიანმა ხელმა შებილწა ეს შორეული ქალაქიც კი“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, № 15, 1942 წ.). განა იგივე ბედი არ ეწია ჰიტლერს, რაც მითრიდატეს!

ბრძოლა გრძელდებოდა ქერჩიდან დაშორებით. გპირულად იბრძოდნენ წითელი არმიის ძალები. მათ შორის მრავალი იყო ქართველი.

ქერჩის განთავისუფლებისათვის ძლევამოსილი წითელი არმიის ამ ახალ შეტევითს ოპერაციებს პოეტი ალექსანდრე აბაშელი აღფრთოვანებით შეეგება. „ბავშვთა და ქალთა სისხლსა და ცრემლებს სულ გაზღვევინებთ წვეთით-წვეთამდევ“, — მიმართავს პოეტი მტრებს („მრისხანე ანგარიში“, 10 იანვარი, 1942 წ.).

ქართველი ხალხი არასდროს არ დაივიწყებს თავის გპირ შვილებს. რომელთაც გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ გაჩაღებულ სამამულო ომში ასახელეს ქართველი ეაქაცის მკლავი, მრავალაუკუნოებრივ ბრძოლაში გამოტარებული ქართული იარაღი.

ძლევამოსილმა წითელმა არმიამ, ხუთთვიანი შეტევითი ბრძოლების შედეგად, დასავლეთისაკენ გარეკა ფაშისტური დივიზიები. ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს ინიციატივა. სამამულო ომის ამ ეტაპზე უფრო შეტად გაძლიერდა როლი საბჭოთა მწერლისა, როგორც აგიტატორისა და პროპაგანდისტისა.

ქართველ მებრძოლთა სახელოვანმა საქმეებმა ახალი შთაგონება მოსცა მწერლობას. მწერალს მხოლოდ ერთადერთი საზრუნავი ჰქონდა—აღებუქდა გპირთა სახეები და საქმეები ისეთი ძალით, როგორც ეს შეეფერებოდა მებრძოლთა ვაქაცობას და მათს საბრძოლო დამახაურებას საწმობლოსა და ჩვენი დიადი პარტიის წინაშე.

პოეტებმა გიორგი კაქახიძემ და ალექო შენგელიამ დიდი სიყვა-

რულით გამთბარი ლექსები მიუძღვნეს ყირიძის მიწაზე გვირულად დაცემულ თანამემამულეს გრიგოლ სხულუხიას. მათ თავიანთ ლექსებში აღწერეს ის საშინელი წამება, რაც ფაშისტებმა მიაყენეს საბჭოთა მებრძოლს, რომელმაც სიკვდილი არჩია სამშობლოს ღალატს. „კვდებოდა, მაგრამ როლი აცალეს მშვიდად ფიქრი და მშვიდად სიკვდილიო“, — წერდა გიორგი კაქახიძე ლექსში „წამება მამულიშვილისა“.

იოსებ ნონეშვილმა უმღერა საბჭოთა კავშირის გმირს ზოია კოსმოდემიანსკაიას („სიმღერა ზოია კოსმოდემიანსკაიაზე“, მარტი, 1942 წ.). ეს ლექსი მაშინვე გავიდა ხალხში, როგორც უკვდავების საგალობელი.

ქართული მკითხველი დიდი ინტერესით შეხვდა 1942 წლის თებერვალში გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ იოსებ ნონეშვილის ლექსსა — „ოთხი ძმა ლეკელიძე“. ი. ნონეშვილმა პოეტური ფერებით დახატა ომში წაპული ვაჟაკების ღელა.

როცა საღამოს მსუბუქი ნისლით
დგანან პალაქები თაღაბრილები.
ბუხარში კეცხლის გუგუნო ისმის
და ციმკომუბენ წინდის ჩხორბი.
ცა ისე თეთრად ქ:თქ:თებს გვერდით.
ფრთით დაუფ:რავთ თითქოს თოლოებს.
სარკმელს მოსწყდება ვასრკველავ ერთი
და დედის ფეჭრებს გაიყოლებს... .

კონსტანტინე ლესელიძეს მიუძღვნა ლექსი აგრეთვე პოეტმა ალექო შენგელიამ. თითქმის ერთდროულად დაიბეჭდა ნონეშვილისა და შენგელიას ლექსები სახელოვან ქართველ ვაჟაკებზე — ლესელიძეებზე.

სიმღერებს სიმღერები მოჰყვა. გამოქვეყნდა ალიო მირცხულავას „გვირო მხედარო“, ახალგაზრდა პოეტის ალექსანდრე საჭაიას „გვირი“. ამ დროს დაიბეჭდა აგრეთვე მარიკა ბარათაშვილის ლექსი „ქალის ფიცი“. ანდრო თევზაძის „პატლერის მოთქმა“.

ამ დროს გამოქვეყნდა გრიგოლ აბაშიძის პოემა „გიორგი მეექვსე“. პოემაში გაცოცხლებულია ქართველი ხალხის ბრძოლა თემურ-ლენგის ურდოებთან. იგი დიდი მხატვრული ძალით ეხმარებოდა სამამულო ომის დღეებს, უფრო მეტად აღვივებდა პატრიოტიზმის უმაღლეს გრძნობებს. პოემის გმირები — XIV—XV საუკუნეების ქართველები ცოცხალი ადამიანებივით ეხმიანებოდნენ კავკასიის გმირ დამცველებს, რომლებსაც მტკიცედ სწამდათ:

არ აობრდება ჩვენი მთა-ბარი.
მზე და ნათელიც არ ჩავეჭრება...

1942 წლის თებერვალში გაზეთ „ინდუსტრიულ ქუთაისსა“ და „მნათობში“ ერთდროულად გამოქვეყნდა უნიჭიერესი პოეტის ლადო ასათიანის პოემა „ასპინძა“. ლადო ასათიანმა ამ დღეებში ლექსი მიუძღვნა ჯახიევის ჯავშნოსანს და მის გმირებს („ჯახიევის ჯავშნოსანი“). ჯავშნიანი მატარებლის პირადმა შემადგენლობამ ჯარისკაცული საღმრთო მიმართა ორდენოსან საქართველოს მშრომელებს. 1942 წლის ივნისში, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის წლისთავის დღეებში, მათ ფიცი დასდეს ჯავშნიანი მატარებლის ეკიპაჟის მიტინგზე.



ქართველმა საბჭოთა პოეტებმა თავიანთ ლექსებში გამოხატეს საბჭოთა სამშობლოსადმი და მისი ძლევა მოსილი წითელი არმიისადმი დიდი სიყვარული, ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვების ურყევი რწმენა. მათ თავიანთ კლუბში გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს სევასტოპოლის სახელოვანი დამცველების ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენელს — საბჭოთა კავშირის გმირს მიხეილ განოკიძეს. ამ შეხვედრაზე პოეტებმა გიორგი ლეონიძემ, სანდრო ეულმა, იოსებ გრიშაშვილმა, იოსებ ნონეშვილმა წაიკითხეს სამამულო ომის გმირებისადმი, კერძოდ მიხეილ განოკიძისადმი მიძღვნილი თავიანთი ლექსები.

სოლომონ თავაძემ ამ დროს შექმნა ლექსების ციკლი „ფრონტელთა პორტრეტები“, რომელიც ათი ლექსისგან შედგება: „გზაში“, „გიორგი ყუფარაძე“, „მიხეილ გეთია“, „კლიმენტი გველია“, „შალვა წიკლაური“, „სოსო ტატიშვილი“, „ქეთო გოგუაძე“. „სანდრო სალდაძე“, „მინაწერი“. ციკლი დაიწერა მოკმედ არმიაში, უშუალო შთაბეჭდილებების შედეგად.

აღნიშნულ პერიოდს გალაკტიონ ტაბიძემ ლექსების მთელი ციკლი მიუძღვნა: „ჰე, მამულო!, „გზა გამარჯვებისა“, „მოგონება სევასტოპოლზე“. ამავე ხანებში დაწერა „ელგუჯას დაბრუნება“, „მთის გულსაცემა“, „კავკასიის ჯარს“, „გმირული ნანგრევები“...

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1942 წლის 17 ივლისის ნომერში დაიბეჭდა სიმონ ჩიქოვანის ცნობილი ლექსი „ქართველი დედა“.

სწორედ იმავე ხანებში გამოაქვეყნა სიმონ ჩიქოვანმა ციკლი „სიმღერა დავით გურამიშვილზე“, რომელიც მალე ცალკე წიგნად გამოიცა. მხატვრული სიტყვის შესანიშნავმა ოსტატმა ციკლში გააცოცხლა ქართველ და უკრაინელ ხალხთა ისტორიის ერთი დიდი ფურცელი და ომის მრისხანე დღეებში ამ ორ—უკრაინელ და ქარ-

თველ ხალხებს კიდევ უფრო გაუღვივა მეგობრობისა და ვაჟა-ფშაველას გრძნობა,

ციხე-ქალაქ სევასტოპოლს მიუძღვნა ლექსი გრიგოლ აბაშიძემ. გმირი ქალაქი პოეტმა „ზღვისპირად გამომწყვდეულ“ ლომს შეადარა. სევასტოპოლი დაეცა. მაგრამ ეს არ იყო უბრალო დაცემა, ამბობს პოეტი, რადგან ეს დაცემა ისევე წამოდგომის, მარადი სიცოცხლის მომასწავებელი იყო.

პოეტმა ალექსანდრე აბაშელმა 1942 წლის სექტემბრის ქარიშხლიან დღეებში დაწერა ცნობილი ლექსი „არ მოუშვა, დაჰკარი!“

შენი მიწის ორთქლი და კერის კვამლი აქა დგას,
შენი შერის აკვანი, შენი ფუძე აქ არი.
მტერი მოდის, კისერზე რომ უღელი დაგადგას,
ვაჟა-ფშაველად დაუხვდი, არ მოუშვა, დაჰკარი!

ლექსი უცებ აიტაცა ხალხმა და სიმღერად აქცია. ამას მალე მოჰყვა ლექსები „კავკასიონის მწვერვალებიდან“ და „მთები დალესტანისა“.

1942 წლის ბოლო რაიონებში, კავკასიის მისადგომებთან 392-ე ქართველი მსროლელი დივიზიის ლეგენდარული გმირობისა და გამარჯვების ეპოსი, ბრძოლაში მამაცთა სიკვდილით დაეცა ბატალიონის კომისარი კაპიტანი მიხეილ ბუხაიძე, ამ დროს იქ იმყოფებოდა ქართველ მწერალთა დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში იყო პოეტი ირაკლი აბაშიძე.

ირაკლი აბაშიძემ დაწერა ლექსი „კაპიტანი ბუხაიძე“. ეს ლექსი დაიბეჭდა ჯერ ქართული დივიზიის გაზეთში „წინ გამარჯვებისაკენ“, ხოლო შემდეგ — გაზეთ „კომუნისტის“ 1942 წლის 20 სექტემბრის ნომერში. გაზეთ „კომუნისტიდან“ მალე რაიონულმა გაზეთებმა გადაბეჭდეს, მაგრამ სანამ გაზეთები გადაბეჭდვას მოასწრებდნენ, ლექსი უკვე სიმღერად გავიდა მეომრებში და ხალხში.

1942 წლის 5 სექტემბრის ნომერში გაზეთმა „კომუნისტმა“ დაბეჭდა გიორგი ლეონიძის ლექსი „ქართველ მხედრებს“.

1942 წლის სექტემბრის შუა რაიონებიდან, როცა მტერი შეტევაზე გადავიდა, დაიწყო სტალინგრადის გმირული დაცვის ისტორიული დღეები. სტალინგრადს იცავდა გმირი არმია, მთელი მოსახლეობა.

1942 წლის 23 ოქტომბრის ნომერში გაზეთმა „კომუნისტმა“ დაბეჭდა ალიო მირცხულავას ცნობილი ლექსი „დგას ორი ქალაქი, ორი ძმადნაფიცი“. ეს იყო ჰიმნი ორ გმირ ქალაქზე — ლენინგრადსა და სტალინგრადზე.

ქართული სამხედრო და სამოქალაქო გაზეთების ფურცლებზე ერთმანეთს ცვლიდნენ ქართველი პოეტების ლექსები: ილო მოსაშვილის „არკადი გეგეშიძე“, სიმონ ჩიქოვანის „გმირთა საფლავი“, „ვლადიმერ კანკავას“, კარლო კალაძის „მიხეილ გეთიას“, „თამარ-ქალის სიმღერა“, გიორგი ქუჩიშვილის „კავკასიის მთებში“, ირაკლი აბაშიძის „ლურსმანაშვილის გმირობა“, „ქართველი მეომრები“.

ამ ლექსების გმირებს — 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის სახელოვან კაპიტნებს — ალექსი პირმისაშვილს, ვლადიმერ ლურსმანაშვილს და პოლიტბელ ვლადიმერ კანკავას მიენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. პოეტებმა ეს გმირები ფრონტზე გაიცნეს უშუალოდ.

ამავე პერიოდში დაიბეჭდა იოსებ ნონეშვილის ლექსების რკალი — „ქართველი დედები“ („მაია“, „მოხუცი მეციხოვნე“, „ქეთევანი“), ლადო ასათიანის პოემა „ბასიანის ბრძოლა“. ეს საოცარი მღელვარებით დაწერილი სიმღერა-პოემა ქართველ მხედრებს მოუწოდებდა მტერთან შესარკინებლად, მოაგონებდა მათ ქართველების მიერ რუმის სულთნის, თავხედ ნუქარდინის სამარცხვინო დანარცხების ისტორიას, თამარის, მხარგრძელისა და სოსლანის საარაკო გმირობას და სახელოვან საბრძოლო საქმეებს.

ფრონტელი პოეტი რევაზ მარგიაანი თეთრ თოლიას („გაფრინდი, ჩემო თეთრო თოლია“) დედასთან ატანს მებრძოლის სიტყვას.

1942 წლის დეკემბერს დაიწყო ჩვენი ჯარების კონტრშეტევა, სტალინგრადთან მტრის უკუქცევის სახელოვანი დღეები. ჩვენი პარტიის სიბრძნემ, მისმა უძლეველმა ორგანიზატორულმა უნარმა მტერი საბოლოოდ გატეხა წელში. ამ დროს დაწერა იოსებ ნონეშვილმა ლექსი „დიდი პარტიის სიბრძნის ნათელი“.

* * *

ჩვენი სამშობლო ფრონტზე და ზურგში მოპოვებული ახალი დიდი წარმატებით შეხვდა 1943 წელს. სტალინგრადის მისადგომებთან ჩვენი ჯარების შეტევის შედეგებზე საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს მიერ გამოქვეყნებული ცნობა აძლიერებდა ჩვენს ხალხში საბჭოთა ქვეყნის უძლეველობის, მტერზე საბოლოო გამარჯვების რწმენას და აღაფრთოვანებდა მას ახალი საგმირო საქმეებისათვის ბრძოლისა და შრომის ფრონტზე.

ხალხის ეს რწმენა შესანიშნავად გამოხატა პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა ლექსში „1943 წელს“:

ვიცი, დაგვატკობო ციურ შევნებით...
და ქვეყნის ორგულს როცა ჰკვეთავდე,
უნდა იბრძოლო შეუსვენებლივ
შენს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

საბჭოთა ჯარები შეტევაზე გადავიდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში.

1943 წლის ორი თებერვალი უბრწყინვალეს თარიღად შევიდა დიდი სამამულო ომის მატინანეში. ამ დღეს დამთავრდა ბრძოლა სტალინგრადისათვის. დამთავრდა იგი საბჭოთა იარაღის გამარჯვებით.

სტალინგრადს იცავდა ყველა მოძმე ხალხი და მათ შორის საქართველოს შვილებიც.

სტალინგრადის ბრძოლების მძაფრ დღეებში გერმანელი ფაშისტების საბოლოო განადგურება გამოხატულებას პოულობს გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის, ი. გრიშაშვილის, ალ. აბაშელის, ს. ეულის, ხ. ვარდოშვილის, ი. ვაკელის, ალ. ქუთათელის, ვ. გორგაძის, ა. საჭაიას, ვ. გორგანელის ლექსებში.

სტალინგრადის ფრონტზე დაჭრილი პოეტი ვახტანგ გორგანელი წერს:

ო, მე იმ დღიდან პოეზიის მეღება ცეცხლი,
როს სტალინგრადის გრიგალებში მკერდი დასერეს..
მე დაცემული მეომარს თანა მაქვს ფერფლი
თანა მღევს მუდამ, აღმოდებულ ტრამალებს მიშლის,
ხმალმართული მტერს მოკივის ქართული ლექსით.
თანა მღევს მუდამ. მეგობრებო, ცხადად თუ ძილში,
მისი ყუმბარის და სიმღერის ქეხილი მესმის.

როცა კვდებოდა, შემოდგომის ნიავი ქროდა,
უკანასკნელად შეხაროდა ქალაქის ქუჩებს.
როცა კვდებოდა, არნახული ღიმილი ჰქონდა
მის ფერდაკარგულ ვარდივით ტუჩებს.
როცა კვდებოდა, დადებული ქართული ფიცი
მხოლოდ ღიმილით დამიდანსტურა.
ო, მე მას შემდეგ სტალინგრადს ცეცხლივით ვიწვი
და მისი შუქთა გვირგვინი მხურავს...

(„ფერფლი“. სტალინგრადი, მოქმედი არმია. 1943 წ.).

სტალინგრადის განთავისუფლების გამო დაწერილ ლექსში „სტალინგრადი“ ალექსანდრე აბაშელმა გააშიშვლა კაცის მკვლელები, რომელთაც „უსულო რკინის გაბედულებით“, „რკინის ხელბით, რკინის თვალებით და ქვის გულებით“ დახოცეს მოხუცებო, ბავშვები და ქალები. ამ მხეცებს თავი მოჰქონდათ ნაძრახი საქმით, რომელთა სისხლიან თვალებს არ შერჩენია ადამიანური გრძნობის ნასახი, მაგრამ

ურჩხულის თავი აქ გაისრისა,
მტრის ხერხეშალიც გადატყდა აქვე,
ცას გადაენტო შუქი ცისკრისა,
ძლეული ღამე დაეშვა თავქვე.

ეოღის ნაპირიკ თითქო ამაღლდა,
ძღვევაშოსილი ქალაქი ბრწყინახეს,
და ვადასცქერის მხნედ და ამაყად
გაულეტოლ მტერს და დამსხვერუელ რკინას.

სტალინგრადის განთავისუფლების დღეს — 2 თებერვალს იოსებ გრიშაშვილმა დაწერა ლექსი „სტალინგრადის გმირებს“. პოეტი დონსა და ვოლგას, ტრამალს თუ ქვიშნარს ქებათა-ქებას უძღვნის. პოეტი ღრმად არის დარწმუნებული, რომ გაივლის უამი და მემამტიანე „წელთა ქარავანს ახდის საბურველს“, დალოცავს ომში დაღუპულ გმირებს.

მოაგონდებათ ეს მთა, ეს ბარი,
ერთ დროს ნაბური ყორნის წარბებდა,
მოგვიგონებენ შესანდობარით
და... ჩვენი ბელი შეეხარბებათ.

1943 წლის 2 თებერვალი პოეტური შთაგონების წყარო გახდა. სიმონ ჩიქოვანის სიტყვებით რომ ვთქვათ, არ მოიძებნება შესაფერი სიტყვა გმირი ქალაქის საქებად. მხოლოდ თვით გული იძახის, გრძნობა გადმოქუხს.

ამ ეტაპზე დაიწერა გრიგოლ აბაშიძის პოემა „ძღვევის ქედი“, სადაც პოეტმა მკვირვ სიუჟეტში გადმოსცა კავკასიის ბრძოლების ამბები, მკითხველმა ეს პოემა მაშინათვე შეიყვარა, როგორც გმირი ხალხის შესანიშნავი ეპოპეა, დაწერილი მაღალი გემოვნებითა და სიყვარულით. გრ. აბაშიძის „ძღვევის ქედი“ სამამულო ომის თემაზე ფართო ეპიკური ნაწარმოების შექმნის გაბედული ცდა იყო. „ძღვევის ქედისადმი“ დიდი ინტერესის მაჩვენებელი იყო ის ფაქტი, რომ საქართველოს ალკე ცენტრალურმა კომიტეტმა 1944 წლის 7 აპრილს, სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში მოაწყო პოემისადმი მიძღვნილი ახალგაზრდობის საღამო.



მეორე ფრონტი არც 1943 წელს გახსნილა. გერმანელ ფაშისტთა ჭარების კონტრშეტევა, რომელიც 1943 წლის 5 ივლისს დაიწყო, გამანადგურებელ წინააღმდეგობას წააწყდა.

1943 წლის ზაფხულში, სამი თვის შეტევის განმავლობაში, წი-

თელმა არმიამ მტერი უკუაქცია ადგილ-ადგილ 400—450 კილომეტრზე.

ჩვენმა ჯარებმა აგვისტოს თვეში აიღეს ორიოლი და ბელგო-როდი. ამ ქალაქების განთავისუფლებას ალექსანდრე აბაშელმა მიუძღვნა ლექსი „ზაფხულშიც, როგორც ზამთარში“. აღფრთოვანებული პოეტი წინა წლების ზამთარსა და ზაფხულს უდარებს 1943 წლის შესაბამის დროს:

წელს — კი ზაფხულიც სხვა შექით
და სხვა იერით მოვიდა, —
ჩვენ გაძარჩევა გვაჩუქა,
მტერი დაძბურა გლოვითა.

აგვისტოს ბოლოს, როდესაც ჩვენმა ჯარებმა ხარკოვი გაათავისუფლეს, საქართველოს მწერალთა კავშირში გაიმართა მიტინგი. სიტყვებით და ლექსებით გამოვიდნენ ლეო ქიაჩელი, გალაკტიონ ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, იონა ვაკელი და სხვები.

იოსებ გრიშაშვილი ხარკოვისადმი მიძღვნილ ლექსში ზიზღით ახსენებს მტერს, რომელმაც გაბედა ჩვენი დედა-სამშობლოს ხელის წაპოტინება. პოეტი აღფრთოვანებულია, რომ „გრძელი ღამე შესცვალა განთიადმა ალებით“...

ხარკოვის გაათავისუფლებით გახარებული პოეტი ალექსანდრე აბაშელი მოუწოდებს მოძმე უკრაინას — „საქართველოს დობილს“, რომ ნატანჯი მიწა ისევ აღხინოს და ჩაშავებულ, ჩამწვარ მინდვრებს ოქრო გადააფინოს.

გიორგი ლეონიძე შეჰხარის ხარკოვის განთავისუფლებას და წერს ლექსს „ხარკოვი ავიღეთ“.

ფრონტიდან ყოველდღიურად სასიხარულო ამბები მოდიოდა. აგვისტოს დღეებში ვორონეჟის ფრონტის ჯარებმა ბრძოლით დაიკავეს უკრაინის მნიშვნელოვანი საოლქო ცენტრი — ქალაქი სუმი.

„მტერი გარბის, ველარ შერჩა დონის ველს და ვოლგის ნაპირს“. — სიამაყით ამბობს პოეტი სოლომონ თავაძე.

იაკინთე ლისაშვილმა დასწერა ლექსი „უკრაინა“. პოეტი აღტაცებულია იმ რწმენით, რომ მტერი უკრაინაში ველარასოდეს შემოვა.

ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარებმა 16 სექტემბერს იერიშით დაიკავეს შავი ზღვის მნიშვნელოვანი ნავსადგური და ქალაქი ნოვოროსიისკი.

იოსებ გრიშაშვილის ლექსი „ნოვოროსიისკი“, რომელიც ამ ქალაქის განთავისუფლების დღით თარიღდება მარტო ნოვოროსი-

ისკის როლი უმღერის, იგი გამარჯვების იმედის დიდი რწმენით არის გაშუქებული გმირი ქალაქის სევასტოპოლის მიმართ.

ქალაქ პოლტავას აღებას უძღვრა პოეტმა კოლაუ ნადირაძემ:

ძღუვაბოსილი წინ მიდიან ჩვენი ჯარები
და წითელ დროშას უბრუნებენ ტანჯულ ქალაქებს.

ხოლო გალაკტიონ ტაბიძე ასე შეეგება ჩვენი ჯარის ყოველ-
დღიურ წინსვლას:

მტერი იხრწნება, ირღვევა და სასიკვდილოდ ხრიალებს,
კიდევ ვაშა და დიდება, გამარჯვებათა სიალეს.

1943 წლის 6 ნოემბერს თავისუფლდება უკრაინის დედაქა-
ლაჟი კიევი.

იოსებ გრიშაშვილი საოცარი უბრალოებით, მაგრამ მეტად
ფერადოვანი პოეტური საღებავებით ხატავს კიევის განთავისუფ-
ლების სურათს: „დღეს აღტაცებით მსურს ლაპარაკი, გულის პა-
სუხის ლექსად მხილება — თქვენი შევჩენკო, ჩვენი აკაკი უკვე
ერთმანეთს ეძმობილება“.

ხოლო გალაკტიონ ტაბიძე ქართველ მეომრებს მოაგონებს,
რომ ახსოვდეთ „მარად, ყოველგზის, ყოველგვარ სადღეგრძელო-
ში — მზის, მშობლიურ მზის, ნათელ მზის ამოსვლა-საქართველოში“.
რომ მეომართან ერთად, მხარდამხარ მიდოდნენ „აჩრდილნი
მამა-პაპათა“. პოეტი ამ დროს წერს შესანიშნავ ლექსს „მე კავკა-
სიის ქედები მთხოვენ“. კავკასიის დიდების, გამარჯვების დღეებზე
პოეტს თხოვენ, რომ უსმინოს თერგის ხმაურს, ხოლო მშობლიური
არავგი ურჩევს, წინასწარ იგრძნოს და იცოდეს მარად:

ქართველის გული თუ რისთვის ირჩევს —
ომში სიცოცხლე
ჩასთვალოს არად.



ნოვოროსიისკის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში თავი ისა-
ხელეს ქართველმა მეომრებმა. 1943 წლის 2 ოქტომბერს განთავი-
სუფლებულ იქნა გირლიანაიას მთა, სადაც ბევრმა ქართველმა მებრ-
ძოლმა სამუდამოდ ჩასწერა თავისი თავი ომის დიად მატრიანეში.

ტამანის ნახევარკუნძულის განთავისუფლების საქმეში დიდი
საბრძოლო დამსახურებისათვის და განსაკუთრებით ქ. ანაპის აღე-
ბისას ბრწყინვალე სამხედრო ოსტატობის გამოჩენისათვის 414-ე
ქართულ მსროლელ დივიზიას მიენიჭა ანაპის სახელწოდება, სოლო

სარდლობის დავალებათა სამაგალითო შესრულებისათვის გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა მთავრობის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა სამი ათასზე მეტი კაცი.

ტამანის ნახევარკუნძულის გერმანელი ოკუპანტებისაგან გაწმენდის საქმეში სახელოვანი ბრძოლები ჩაატარა 242-ე სამთო მსროლელმა დივიზიამ. ეს დივიზია, ქერჩის ალების შემდეგ, ანაპის სახელობის 414-ე ქართულ მსროლელ დივიზიასთან ერთად, ანადგურებდა მტერს სევასტოპოლის მისადგომებამდე. ანაპის დივიზია ქერჩის ნახევარკუნძულზე გადმოსხდა 1943 წლის დეკემბრის დასასრულს. ქართველი ვაჟკაცების მასობრივი გმირობის კვალი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ატყვია საპუნ-გორის მიწას, ხოლო მის თხემზე აღმართული სვეტი ჩაუმქრალი შუქით აბრწყინებს ამ დიდებას.

ანაპის ქართული დივიზიიდან საქართველოში გამოგზავნილი იქნა ქართველი მეომრების ორი დელეგაცია. ანაპელი მეომრების წარმომადგენლებს აღმაფრთოვანებელი შეხვედრა მოუწყვეს მშობლიურ თბილისში. სამაგიეროდ ანაპაში ჩავიდნენ საქართველოს რესპუბლიკის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

დიდი სამამულო ომის ამ ეტაპზე ქართველმა პოეტებმა მაღალმატერული ნაწარმოებები შექმნეს. აღსანიშნავია რევაზ მარგიანის „ფრონტელის დიურიდან“, „ტყვე“, „ტალღების ბრძოლა“, სანდრო ეულის „დასცხეთ, დაჰკარით!“, ალექსანდრე აბაშელის „სამშობლოს ვარსკვლავი“, „გაზეთი ძელმიწურში“, „განახლების გრიგალი“, „ერთი ხე იდგა მაღლობზე“, მარიკა მიქელაძის „ქაბუკი ჩემი ქალაქიდან“, ალიო მირცხულავას „ომი და მშვიდობა“, გრიგოლ აბაშიძის „დროშები“, სიმონ ჩიქოვანის „ჩემი მამული“, გიორგი ლეონიძის „არ დაიდარდო, დედაო“.

*
* *

დადგა 1944 წელი.

დიდი სამამული ომი ახალ ფაზაში შევიდა — ეს არის დიდი სამამული ომის მესამე ეტაპი. დღის წესრიგში დადგა საბჭოთა ქვეყნის ფარგლებიდან გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა სრული განდევნა.

წითელი არმიის გმირულმა წინსვლამ, სამამული ომის ფრონტებზე ჩვენი ჯარების ამგვარმა წარმატებამ თავისებური ასახვა პოვა ქართულ ლიტერატურაში და კერძოდ პოეზიაში. 1944 წელს ქართული პოეზია შეეგება ალექსანდრე აბაშელის მგზნებარე ლექსით — „ცხრაას ორმოცდამესამეს“:

ქვემდებარება გრავინით შემოხვევს,
გრალით შემოგესალმებთ.
შენ გაგვიპართლე იმედი,
ცხრაას ორმოცდაქმესამე!
თერგთან რომ სვავებს ეკვეთე,
ღონზე ბუმბული სციოდა,
ვოლგასთან ხმალი იშიშვლე —
იელვა კაკასიონთან.

წითელი არმიის შეტევა დაიწყო 1944 წლის იანვარში ლენინ-გრადთან და ნოვგოროდთან. წითელმა არმიამ უკუაგდო გერმანელ ფაშისტთა ჯარები ბალტიისპირეთში.

უკრაინის მეოთხე ფრონტის ჯარებს შეუერთდნენ ანაპის ქართული დივიზიის ნაწილები. ანაპის დივიზიის ნაწილებმა გადალახეს ქერჩის სრუტე.

ამ ბრძოლებში თავი ისახელა მრავალმა ქართველმა მეომარმა. ანაპის სახელოვან დივიზიას სათავეში ედგა გენერალ-მაიორი ვალერიან ძაბახიძე.

414-ე ქართულმა მსროლელმა დივიზიამ გაარღვია მტრის თავდაცვის ზღუდე და, მე-11 გვარდიის კორპუსის სხვა შენაერთებთან ერთად, 1944 წლის 11 აპრილს, აიღო ქალაქი ქერჩი. მტერი ყირიმის ჭიღრმეში იქნა განდევნილი. ჩვენმა მეომრებმა გაათავისუფლეს ქალაქები სიმფეროპოლი და ევპატორია, სოფელი ბალჩისარაი, რკინიგზის სადგური სიურენი, ბელბეკი და სხვ. საბჭოთა ჯარები სევასტოპოლის მიდამოებს მიადგნენ. აღებულ იქნა ფეოდოსია, იალტა, სევასტოპოლი საბოლოოდ ჩვენი ჯარების რკალში მოემწყვდა.

მტერი საპუნ-გორაზე იდგა. სევასტოპოლის ეს გარეუბანი რთულ ბუნებრივ ზღუდეს წარმოადგენდა. საპუნ-გორის ციციბოვები და მისი ხრამ-ფერდობები მტერს ყოველგვარ უპირატესობას უქმნიდა. აქვეა ბალაკლავას მთა, რომელიც სევასტოპოლთან ხეობით არის დაკავშირებული.

ბალაკლავას მთა და ხეობა ჯერ კიდევ 1854—1855 წლების ომში ათასობით მტრის გვამით მოიფინა. მტერთან სამკედრო-სასიციოცხლო ბრძოლაში დაცემული 23 ათასი რუსი მეომრის საფლავი ახლაც უკვდავების ძეგლადაა საპუნ-გორას მაღალ მთაზე. გმირობისა და მამაცობის ძეგლია ინკერმანის მთა, ვარძიას რომ მოგვაგონებს ზღაპრულად ამოჭრილი კლდოვანი. სამალავებით — ქვის სამტეხლოებით.

ვიდრე მტერი ქერჩთან და სევასტოპოლის მისადგომებთან, საპუნ-გორასა და სიმალღე გორნაიაზე იდგა, 414-ე ანაპის ქართულმა მსროლელმა და 242-ე ტამანის სამთო-მსროლელმა მოძმე

ღივიზიებმა მოიკრიბეს ძალები. ამავე დროს უკრაინის მეოთხე ფრონტის ჯარებმა გადააჯგუფეს საბრძოლო ტექნიკა და ყოველგვარი მოსამზადებელი მუშაობა ჩაატარეს საპუნ-გორასა და სიმაღლე გორნაიაზე უკანასკნელი შტურმისათვის.

1944 წლის 7—12 მაისს, გააფთრებული ბრძოლების შედეგად, საპუნ-გორის მთიდან მტერი განდევნილი იქნა. აქ ბრძოლაში დაეცა ასობით ქართველი. ანაპის ღივიზია ერთხელ კიდევ შეიმოსა დიდების შარავანდედით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავთან დაკავშირებით მადლიერმა ქართველმა ხალხმა სევასტოპოლისათვის გმირულად დაცემული ქართველი ვაჟკაცების საძმოსათვის საფლავებზე არქიტექტორ ალექსი გოქაძის პროექტით აღმართა მონუმენტი, რომელსაც ამშვენებს უკვე ბრძოლაგამოვლილი, საძმოსათვის საფლავის წინაშე თავდახრილი, ავტომატჩამოშვებული ქართველი ვაჟკაცის ძეგლი.

1944 წელი გერმანელ ფაშისტთა ჯარებსა და მათს მოკავშირეებზე წითელი არმიის გადამწყვეტ გამარჯვებათა წელი იყო. საბჭოთა საზღვარი აღდგენილი იყო მთელს მის სიგრძეზე ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე.

მაშინ იყო, რომ იმღერა პოეტმა ირაკლი აბაშიძემ:

მისულვართ, ძმებო, საზღვარი ჩვენი
გმირთაგან დღემდე უცდიდა შველას;
მე უნდა მყავდეს შათირის ცხენი,
რომ გამარჯვება გახაროთ ყველას.

(„მისკლა საზღვართან“. 1944 წ.). .

მაგრამ პოეტის დარდი მხოლოდ ერთი რამ იყო, იგი სწუხდა იმ გმირებზე, რომლებმაც სამი წლის წინათ ამ საზღვართან ნახეს წვიმა და დღეს ვერ იხილეს დროშების დარი. პოეტი დიდებას უთვლიდა იმათ, „ვინც დიდის რწმენით მტრისაგან სწმენდდა ველთა, მდელთა, ვინც გულით ზიდა სინდისი ჩვენი და სამი წელი ამ დღეს ელოდა“. და შემდეგ კი იმათ, „ვინც ისევ შესდგა საზღვარზე ფეხი და გაუსწორა მტრის ბუნაგს ტყვია“.

ახლოვდებოდა გამარჯვების დღეები. ასეთ დროს, ასეთ პირობებში ლიტერატურის უპირველესი მოვალეობა იყო, გამოეხატა საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი ენერჯია და ფოლადისებური ნებისყოფა. მწერლობას უნდა შეექმნა ღრმა აზრითა და გრძნობით, ნათელი და ამაღლებული მიზნებით აღსავსე ნაწარმოებები.

თუ ადრე ქართველი პოეტების ლექსები პლაკატურ იერს ატა-

რებდა, ახლა ამ ეტაპზე აზრის, განცდის გამომსახველობითი ხასიათი შეიცვალა. მეტი პოეტურობა, განცდის სიმძაფრე დაეტყო ლექსს. კრიტიკაც ამ მიმართულებით ანვითარებდა აზრს, ცხადია, პოეზია განცდის, განწყობის, სახეებით აზროვნების გარეშე არ იქმნება და თუ ადრე ხდებოდა ისე, რომ მშრალ მსჯელობაში იფარებოდა ლექსის შინაარსი, უკვე მეტი და მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ლექსის ლირიკულ უღერადობას. ეს შედეგი იყო ერთის მხრივ ომის თემაზე პოეტური წრთობისა, ხოლო მეორეს მხრივ იმ მაღალი მოთხოვნისა, რომელსაც თვით ცხოვრება უყენებდა ლექსს.

ამ მხრივ ჩვენს ლიტერატურაში, მიუხედავად მისი თვალსაჩინო წარმატებისა, მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებიც მოიძებნება. ჯერ კიდევ ცოტა არ იყო ისეთი შემთხვევა, როცა იწერებოდა მოთხრობა და ნარკვევი, სადაც ავტორი მოვლენების მშრალ რეგისტრატორად გამოდიოდა, ან კიდევ ცოცხალი ცხოვრების მოვლენების ნაცვლად იგონებდა წარმოუდგენლად ყალბ სიუჟეტებს. სუროგატული, მთლიან მხატვრულ კონცეფციას მოკლებული ლექსი კი ვერ მიდიოდა მკითხველის გულამდე.

იყო შემთხვევები, როცა ესა თუ ის მწერალი არღვევდა ჩვენი მწერლობის საუკეთესო ტრადიციებს. სცოლავდა აგრეთვე როგორც სტილის, ისე ენის საკითხშიც.

ამიტომ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა მთელი სიმწვავეით დასვა საკითხი ამ ნაკლოვანებათა დასაძლევად დიდი სამამულო ომის ამ ახალ ეტაპზე, რათა მწერლობის მთელი ძალები დარაზმულიყო სამამულო ომის ინტერესების ირგვლივ. ხოლო ლიტერატურულ კრიტიკას საქართველოს საბჭოთა მწერლობის პლენუმმა მიუთითა, მისაბამ მაგალითად გაეხადა ისეთი ბრწყინვალე ნიმუშები წარსულის ლიტერატურული ცხოვრებისა, როგორიც იყო ბელინსკის, დობროლიუბოვის, ჩერნიშევსკის, ილია ჭავჭავაძის და სხვათა კრიტიკული ნაწერები.

გაიმართა ცხარე კამათი ბესარიონ ულენტსა და კონსტანტინე ჭიჭინაძეს შორის (ბ. ულენტი — „რას ამბობენ ციტატები“, კ. ჭიჭინაძე — „ციტატები“). გ. ჯიბლაძემ გამოაქვეყნა დიდი სტატია „პოეზიის მხატვრული სახეები“.

მაგრამ ლიტერატურული კრიტიკა ჯერ კიდევ სუსტი იყო. ლიტერატურული კრიტიკოსები თითზე იყვნენ ჩამოსათვლელი. ამიტომ კრიტიკა არასაკმაროდ აქტიური და არასაკმაროდ მებრძოლი იყო. 1941 წლიდან 1944 წლამდე გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ და ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა ბესარიონ ულენტის, სერგი ჭილაიას, შალვა რადიანის, დიმიტრი ბენაშვილის, გიორგი ჯიბლაძის მრავალი კრიტიკული სტატია, შ. აფხაიძის, ტ. შაროვას,

გ. ნატროშვილის, დ. შამათავას, კ. ქიქინაძის, გ. გაჩეჩილაძის, ლ. კალანდაძის, აკ. გაწერელიას, ე. ქარელიშვილის კრიტიკული წერილები და ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები. მაგრამ თითო-ორი წერილსა და მიმოხილვას საქმე ისე ვერ მიყავდა, როგორც ამას იმ დროისათვის ლიტერატურულ კრიტიკას სთხოვდნენ. უმეტეს შემთხვევაში ეს წერილები და სტატიები მოიცავდნენ უსაზღვრო ხოტბას. ამის შესახებ აი, რას ამბობდა გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნებას“ 1944 წლის 18 აპრილის მოწინავე: „ჩვენში ისე მიეჩვენენ ამ უსაზღვრო ხოტბას, რომ ზოგიერთ კრიტიკოსს ხშირად ეპითეტებიც აღარა ჰყოფნის ამა თუ იმ მწერლის დასახასიათებლად“. ასეთ შემთხვევაში კრიტიკა, რასაკვირველია, კარგავდა ქმედითს ძალას. ის ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა თავის დროის ლიტერატურისა და მკითხველის მოთხოვნილებას.

ქართველი ხალხის კულტურის ისტორიაში ლიტერატურული კრიტიკა მუდამ ერთ-ერთი იარაღი იყო, რომელიც ცოცხლად, მკიდროდ უკავშირდებოდა ლიტერატურის განვითარებას, ეხმარებოდა მას, ასწავლიდა, შეცდომებზე მიუთითებდა, ზრდიდა. საჭირო იყო ამ ტრადიციის უფრო განმტკიცება, მისი ახალ სიმაღლეზე აყვანა. ფართო საზოგადოებისათვის მიუწვდომელი იყო, შემოქმედებითი დისკუსიები, რომლებიც ავსებდნენ პროფესიული კრიტიკის მიერ დატოვებულ ხარვეზებს, არჩევდნენ და შეფასებდნენ აძლევდნენ წლების განმავლობაში პრესის ფურცლებზე განუხილველად და შეუფასებლად დარჩენილ ნაწარმოებებს, ხოლო ლიტერატურული გაზეთის მოწინავე სტატიებში, რომლებიც მიმართულებას აძლევდნენ მწერლობას, არ იყო კონკრეტული კრიტიკა. ეს იყო მხოლოდ ზოგადი მითითებები.

როგორც ვხედავთ, ისე როგორც დიდი სამამულო ომი, ლიტერატურაც ახალ ეტაპზე დადგა. ეს ეტაპი სიახლეს, ამაღლებას მოითხოვდა. თუ ადრე პლაკატური, დეკლამატიური ხასიათის პოეტური ქმნილებებისაგან ლიტერატურა ჯერ კიდევ არ იყო თავისუფალი, ახლა საგრძნობლად უნდა შეცვლილიყო მისი გამომსახველობითი ძალა. უკვე ვერ აკმაყოფილებდა პოეზიის მოთხოვნას მშრალი სტრიქონები. გამოსახვის სხვა ხერხები და საშუალებები იყო საჭირო.

თითქმის ყველა მწერლის კეთილშობილურმა მისწრაფებამ, ძალიან მკირე ნაწილის გამოკლებით, დაეკმაყოფილებინა მკითხველთა მოთხოვნა, გაეცა პასუხი მკითხველის წინაშე ომის მიერ წამოკრილ ამაღლვებელ საკითხებზე, ჯერ კიდევ ვერ შეისხა ფრთა და მხოლოდ რამდენიმე ათეულმა ლექსმა და მოთხრობამ თავისთავად, კრიტიკის დაუხმარებლად გაიკაფა გზა ფართო მკითხველი მა-

სებისაკენ. უდავოა, გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა დიდ უმრავლესობას ჰქონდა გარკვეული, ჩვენი მკითხველებისათვის საკირო და აუცილებელი იდეური მიზანდასახულება, მაგრამ ეს როდი აღმოჩნდა საკმაო, რომ ყველა ნაწარმოები პოპულარული გამხდარიყო. გარკვევამ ერთის მხრივ იმისა, თუ რამ მოუპოვა ზოგიერთ ნაწარმოებს ხალხურობა, ხოლო მეორეს მხრივ იმისა, თუ რამ გამოიწვია მარცხი ზოგიერთი ნაწარმოებისა, ლიტერატურული საზოგადოება მიიყვანა მწერლის მხატვრული მეთოდის და გამოსახვითი ხერხების ანალიზამდე, ე. ი. ნამდვილი კონკრეტული კრიტიკის გზაზე დააყენა.

ამიტომ იყო, რომ მწერალთა კავშირის გამგეობის მეოთხე პლენუმზე (1944 წ. აპრილი) პირდაპირ, მოურიდებლად, გულახდილად იყო ლაპარაკი ქართული ლიტერატურის სუსტ და მტკივნეულ მხარეებზე, მაგრამ მართო გულახდილობა ვერ შევლოდა საქმეს. ამიტომ ამ გულწრფელობას საფუძვლად დაედო ღრმად პრინციპული, ობიექტური, მეცნიერული შესწავლა განსახილველი ნაწარმოებისა. მწერლები და კრიტიკოსები პლენუმზე გამოვიდნენ დამუშავებული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული არგუმენტებით. აი, რას ამბობდა ამ პლენუმზე გამოჩენილი საბჭოთა მწერალი სანდრო შანშიაშვილი: „ამ პლენუმზე კვლავ გაისმის ხმა: კრიტიკა სდუმს. კრიტიკა გაუბედავია, კრიტიკა გზას ვერ უკაფავს მწერლებსო. ამოდ ფიქრობს ზოგიერთი მწერალი, რომ თავის უსუსურობა კრიტიკას დააბრალოს, უნიათობასა და უგემურობას კრიტიკა ვერაფერს შევლის, ამითი მისი თქმა არ მინდა, რომ ჩვენში მხატვრული კრიტიკისათვის საშუაო სარბიელი არ იყოს. ძალიან მომრავლდა ისეთი ნაწარმოებები, რომელიც მკითხველის გემოვნებას ვერ აკმაყოფილებს და ვერ ასრულებს დანიშნულებას ქვეშაირიტი მხატვრული ნაწარმოებებისას, რომელიც ინტელექტუალურად უნდა ამაღლებდეს და გრძნობას უფაქიზებდეს მკითხველს“.

მწერალი ვანიონ დარასელი ამბობდა: „ჩვენი მებრძოლი... მოითხოვს ნამდვილ მხატვრულ ნაწარმოებებს, რომელიც ცხოვრების ღრმა შეგრძნობით არის დაწერილი და არა განყენებული მსჯელობითა და ცივი გონებით აღბეჭდილი. იგი მოითხოვს მწერლისაგან, მისცეს ის, რაც მას აკლია, მოუთხროს ის, როგორ მუშაობენ და იბრძვიან მისი ახლობელი ადამიანები, მისი დედ-მამა, მეგობრები“.

„ჩვენ საბჭოთა მწერლობას, — ამბობდა კრიტიკოსი ბესო ელენტი, — ისტორიამ დააკისრა იყოს არა მართო მხატვარი და ამსახველი თანადროულობისა, არამედ მონაწილე და მებრძოლი იმ დიდი ამოცანის გადაწყვეტისა, რომელსაც ჩვენი თანამედროვეობა გვისახავს... თუ ამ საზომით მივუდგებით ჩვენი მწერლების მუშა-

ობას, საფუძველი არა გვაქვს ვსთქვათ, თითქოს იგი ამ დიდი მოვალეობის გარეშე მდგარიყოს“. კრიტიკოსი ასახელებს გიორგი ლეონიძეს, სიმონ ჩიქოვანს, ალიო მირცხულავას, გალაკტიონ ტაბიძეს, იოსებ გრიშაშვილს, ალექსანდრე აბაშელს, კარლო კალაძეს, გრიგოლ აბაშიძეს, ირაკლი აბაშიძეს, შალვა აფხაიძეს, ვიქტორ გაბესკირიას, კონსტანტინე ჭიჭინაძეს, ხარიტონ ვარდოშვილს, კონსტანტინე გამსახურდიას, კონსტანტინე ლორთქიფანიძეს, აკაკი ბელიაშვილს, დემნა შენგელაიას, რომლებიც თავიანთი ნაწარმოებებით აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას ხალხის მღვლევარე ცხოვრებაში და ეხმარებოდნენ მას სამშობლოს თავისუფლებისათვის გაჩაღებულ დიად ბრძოლაში.

პლენუმზე ითქვა მწერალთა კავშირის სისუსტეზე ახალგაზრდა მწერლებისადმი დახმარების საკითხში. აგრეთვე ითქვა ისიც, რომ ახალგაზრდა კადრები უნდა ეძებნათ არა მარტო მწერლების ვიწრო წრეში, არამედ მის გარედ, ფრონტისა და ზურგის მეზობლებში. ამ მხრივ დადებითად იქნა შეფასებული გალაკტიონ ტაბიძის ღვაწლი, რომელიც აგროვებდა და სწავლობდა ფრონტელი მეზობლების ლექსებს და გზას უკაფავდა მწერლობისაკენ ყველა იმას, ვისაც ცხოვრების ცოდნა და ნიჭი მწერლად გახდომის შესაძლებლობას აძლევდა.

პლენუმზე ამოტივტივდა ბევრი სხვა საჭირობო საკითხი და მათ შორის პირველ რიგში ითქვა პოეზიის ხალხურობის მნიშვნელობაზე, რომ ხალხურობა არასოდეს ისე არ ყოფილა საჭირო ჩვენში, როგორც სამამულო ომის დროს. აღინიშნა ისტორიზმის აღორძინების აუცილებლობაზე ომისდროინდელ ლიტერატურაში. შეხედო წარსულს თანამედროვეობის თვალთ, კრიტიკულად აითვისო ჩვენი წარსული, — ითქვა პლენუმზე, — შესანიშნავი ამბავია, მაგრამ ამისათვის საჭიროა ცოდნა წარსულისა, და არა თუ ცოდნა, არამედ წარსულის განცდაც. და მხოლოდ ამ განცდით შეიძლება იყოს წარსული ცოცხალ კავშირში თანამედროვეობასთან. ასეთი პოეზია საჭიროც იყო და აუცილებელიც. ასეთი პოეზია საჭირო იყო საბჭოთა პატრიოტიზმისათვის.

ამ დროისათვის ქართულ ლიტერატურას უკვე ამშვენებდა ისტორიული თემატიკიდან უსათუოდ საყურადღებო და აღსანიშნავი ნაწარმოებები — ს. ჩიქოვანის დიდი შთაგონებით დაწერილი ლექსების ციკლი „სიმღერა დავით გურამიშვილზე“ და „სერაფიტას“ ციკლი, შალვა აფხაიძის „ბედი ქართლისა“, გ. აბაშიძის პოემა „გიორგი მეექვსე“, ს. შანშიაშვილის პიესა „კრწანისის გამორები“, ლ. გოთუას „ერეკლე მეფე“, კ. გამსახურდიას რომანები „დავით აღმაშენებელი“, „დიდოსტატ კონსტანტინეს მარჯენა“.

პლენუმზე ორატორებმა მოითხოვეს ლექსის კონკრეტიზაცია, პოეტური სიტყვის გადახალისება, ლექსიკური განახლება, რათა უფრო მეტი სიცოცხლე მინიჭებოდა ნაწარმოებებს.

უნდა გადახალისებულიყო მწერალთა კავშირის შემოქმედებითი სექციები და გაცხოველებულიყო მათი მუშაობა. უნდა გაძლიერებულიყო მწერალთა კავშირის მასობრივი მუშაობა. უნდა გაძლიერებულიყო ლიტერატურულ-მხატვრული საღამოები, როგორც თბილისში, ისე რაიონებში, სხვადასხვა საწარმოებსა და დაწესებულებაში, სამხედრო ნაწილებსა და ჰოსპიტლებში. უფრო სისტემატური და გეგმიანი ხასიათი უნდა მისცემოდა მწერალთა შემოქმედებით მივლინებებს, როგორც ფრონტზე, ისე ზურგში, სადაც იქედებოდა ჩვენი ხალხის გამარჯვება ფაშისტ ბარბაროსებზე. ასე რომ ყველა მწერალს უნდა მოეცა მაქსიმუმი იმისა, რისი მოცემაც მას შეეძლო. მით უმეტეს იმ დროისათვის მწერლებს შორის იყვნენ ისეთები, რომელთაც ჰქონდათ თავიანთი მდიდარი სულიერი სამყარო, უნარი და ნიჭი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ ჰქონდათ გამოქვადენებული თავიანთი შემოქმედებითი ინდივიდუალობა, ვერ დაიკავეს თავიანთი ადგილი თანამედროვე ქართულ მწერლობაში. ამ შემთხვევაშიც კრიტიკის სისუსტეზეც ითქვა, რომ კრიტიკას ძალზე უჭირდა მწერლის თავისებურებების გამოვლინება, მეტწილად იგი იყო აღწერილობითი კრიტიკა, რომელიც მხოლოდ აღნიშნავდა თუ რა იყო მოცემული ნაწარმოებებში, რა დადებითი ან უარყოფითი მხარე ჰქონდა მას, კრიტიკა, რომელიც ვერ ხსნიდა და ვერ ამქვადენებდა იმ სულიერ სამყაროს, რომელიც ყოველ ჰემმარიტ ნაწარმოებში არის მოცემული.

*
* *

ლექსის თემატიკა თანდათან მრავალფეროვანი გახდა, სახეები — მიმზიდველი და საინტერესო.

გიორგი ლეონიძემ, რომელიც მწერლისაგან მოითხოვდა გრძნობის აღმძვრელ ლექსს, მუსიკისა და ლექსის შერწყმას, დაწერა „არ დაიდარდო, დედაო“, „მხედარი პირტახია“. ჩვენი ჯარების შეტევის დღეებში დაწერა შესანიშნავი ლექსი „ქართველი მხედრის ნაამბობი“. ლეონიძემ ქართველი მხედრის ნაამბობიდან შექმნა მართლაც გრძნობის ამშლელი ეს სიმღერა.

კარლო კალაძემ დაწერა „ქართული ბალადა“. ალექო შენგელიამ უმღერა პარტიზან დედას („პარტიზანი დედა“), გიორგი შატ-

ბერაშვილმა — აკნის ოსტატს („ქართული ნანა“), მარკია ბარათაშვილმა — „მოდი ნახე“. „მოდი ნახეო! — შენ გიმღეროდა დიდი მგოსანი და მეც, პატარა შენს მეხოტბედ გეგულებოდეთ“. იოსებ ნონეშვილმა მსროლელი დივიზიიდან გამოგზავნა ლექსი „ბარათი ფრონტიდან“. გიორგი კაჭახიძემ პატარა ლექსს „ისევ ვეფხურად დაუბრუნდება“ საინტერესო კოლორიტი და კონკრეტული სახე მისცა. ომგადახდილი მეომარი ვერ მოისვენებს საერთოდ მანამდე, „სანამ მზის მხარეს შემოესევთან სვავნი გუნდებად. განიკურნება და ფრონტს მრისხანეს ისევ ვეფხურად დაუბრუნდება“. ასეთია ამ ლექსის იდეური ხაზი. სამშობლო მხარეს, მშობლიურ ქალაქსა და სოფელს, დედ-მამას, და-ძმას, მეზობლებს და სატრფოს მონატრებული მეომრის სახე დაგვიხატა შალვა აფხაიძემ ლექსში „მომწერე ხშირად“. მირზა გელოვანი მოქმედი არმიიდან გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებას“ უგზავნის რამდენიმე ლექსს: „მეგობარს“, „მთაწმინდა“, „ჩემი ძმა“, „წერილი“. ლექსში „მთაწმინდა“ პოეტი-მეომარი იგონებს გმირულად დაცემულ თანამებრძოლს.

დამქანცავმა ომმა გააპარტახა არა მარტო მატერიალური ფასეულობანი, ადამიანების სულშიც შეიჭრა ცეცხლით და გრიგალით. მოახლოებულ გამარჯვებას, მალე მშვიდობის მოსვლას ნიშნავდა გრიგოლ აბაშიძის სამაისო სიმღერა („სამაისო“), რომელიც მალე სიხარულისა და აღტაცების, სიყვარულისა და სიცოცხლის ნიშნად უნდა მოვლინებოდა ქვეყანას და ხალხს. „ნეტავ ისე ამამღერა, აღარ დამრჩეს სასიმღერო, ჩემი ხმისგან გაოცებამ შეაჩეროს ცაში წერო, ქარიც შედგეს გაფრენილი, სასწაული დაიჭეროს“. — მღერის პოეტი.

სამშობლოს გამარჯვება მოახლოებული იყო, მაგრამ პოეტი ალექსანდრე საჭაია, რომელიც უკურნებელმა სენმა შეიპყრო, დარდით აღივსო, რადგან უყურებს, ცაცხვს ჩუმს, მორჩილს, რომელსაც პოეტთან ქარში ფრენა ერჩია, მაგრამ პოეტს კი უბედობა შემოჩვევია. დღიურ სიკაშკაშეს მოწყენით უცქერის, „დაინგრა კოშკები, ოცნებით ნაგები“ და ხედავს „ლავევარდის ნათელი ფურცლები შავდება მწუხარე ფიქრების ქარგებით“. ეს იყო პოეტის უკანასკნელი ლექსები. სამშობლოს გამარჯვებას იგი ვერ მოესწრო.

მებრძოლ პოეტს, შალვა ამისულაშვილს 1944 წლის გაზაფხულმა დნებრსა და დუნაიზე მოუსწრო. ეს პოეტის მეოცდაათე გაზაფხული იყო.

„მალე რკინის შემოგარენიც“ გაშუქდებიან ამ გაზაფხულის მშვენიერებით და პოეტს, რომელსაც ხალათზე სისხლი არ შეშრობია, სისხლი, რომელიც მიწას რწყავდა ოფლის მაგივრად, ისევ ბრძოლისაკენ მიაქანებდა.

რა ძალა მოგდევთ ამ სიშორიდან?! —
ჩამოგვეძახიან მთები მალღიდან.

ეს იყო ძალა იმ დიდი მოვალეობისა, რაც პოეტის სისხლში ჩქეფდა.

მაგრამ რაც უფრო შორდებოდა იგი მაღალ მთებს, სატრფოს წამწამებს — მით უფრო გრძნობდა შემხვედრი წამის მოახლოებას.

ცაზე იმედის შუქი კამკამებს
და ხმალს რიყრაყის მიკოცნის ნაში.

ასეთია ფრონტზე მყოფი პოეტის იმედიანი განწყობილება, ხოლო ფრონტიდან დაბრუნებულნი პოეტი რევანს მარგიანი ოცნებით ისევ იქ ტრიალებს, სადაც მისი ძმები იბრძვიან („ქერჩი“, „გადავიწყება არ შეგვიძლია“, „რა გამეფანტა ომში სიზმრები“ — და სხვ.).

ჩვენი სამამულო ომის არც ერთ ეტაპზე ისე მრავალფეროვანი არ ყოფილა ქართული პოეზია, როგორც 1944 წელს.

ნიკოლოზ ტიხონოვი ქ. მოსკოვში საბჭოთა ლიტერატურისა და მუსიკის სადამოების მოწყობასთან დაკავშირებით წერდა:

„ქართველი პოეტების ლექსში არის პეიზაჟი მშვიდობიანობისა და პეიზაჟი ომისა იმიტომ, რომ ომი მიუახლოვდა საქართველოს საზღვრებს და შეჩერებული იქნა წითელი არმიის მძლე ძალით. ქართული ლექსები უმღერიან გმირობას ფრონტზე და გმირობას ზურგში. ქართველ პოეტთა ლექსებში ცოცხლობს პატრიოტიზმი, ცოცხლობს ახალი კეთილშობილური გრძნობა საბჭოთა პუმანიზმისა, რომელიც ძლევამოსილად ებრძვის ფაშიზმის ბნელ კაცთმოძულე იდეოლოგიას. ქართული პოეზია უძველესი დროიდან ლექსებით და პოემებით ასახავს ყოველ მნიშვნელოვან მოვლენას, რომლებიც კი დაკავშირებულია ქართველი ხალხის ისტორიასთან. ეს თემა ამჟამად კიდევ უფრო გამდიდრდა იმიტომ, რომ გრძნობა სამშობლოსადმი გავეფართოვდა და ქართველისათვის მოსკოვი ისეთივე მშობლიური ქალაქია, როგორც თბილისი, და მტკვრის ნაპირზე დაბადებული ადამიანი და მდინარე მოსკოვის ნაპირზე დაბადებული ადამიანი დამოუკიდებელი ამაყი ხალხების ერთი მშვენიერი ოჯახის ძმები არიან“.

ამიტომ უმღეროდა ქართველი პოეტი მოსკოვს თუ ლენინგრადს, სტალინგრადს თუ ოდესას, სევასტოპოლს თუ კიევს იმ დიდი სიყვარულით, რომლითაც იგი მშობლიური თბილისისადმი იყო გამსჭვალული.

ამიტომ იყო, რომ ქართველი ვაჟაკები, მოძმე ხალხების შვილებთან ერთად, ვეფხვებივით ებრძოდნენ მტერს, რომელმაც შე-

ბილწა ჩვენი მიწის სიწმინდე. მტერს, რომელიც სამშობლო „სიმ-
შვიდეს მოხტომია, როგორც ნადირი, რომ გადათქეროს მისი ყოფ-
ნა და მისი კერა“ (მ. მიქელაძე — „თერგის ნაპირზე“), ფეხქვეშ გა-
იგდოს მებრძოლის დედის თეთრი მანდილი და ჩააჩუმოს ბედნიე-
რების სიმღერა.

დიდი სამამულო ომის მსვლელობაში საბჭოთა ხალხის ძალები
შეუჩერებელ ზრდას განაგრძობდნენ. ყოველდღიურად იზრდებო-
დნენ ჩვენი ადამიანები, რომელთაც ჭეშმარიტად სასწაულების მო-
ხდენა შეძლეს. იზრდებოდა ჩვენი ლიტერატურაც, რომელმაც სა-
მამულო ომის ვითარებაში შეძლო ყოფილიყო ჭეშმარიტი, მგზნე-
ბარე აგიტატორი და პროპაგანდისტი სამშობლოს დაცვის მაღალი
და კეთილშობილი იდეისა. გავიხსენოთ რამდენად პოპულარული
იყო ქართველი პოეტების ლექსები მოქმედ არმიაში, ქართველ
მებრძოლთა შორის. ცნობილია, რომ ამ ლექსებს ფრონტზე ქართ-
ველი მეომრები უბით ატარებდნენ. ეს იყო ყველაზე მაღალი შე-
ფასება პოეტისათვის, როცა მისი სტრიქონები მონაწილეობდნენ
სამშობლოსათვის ბრძოლაში. მებრძოლები მღეროდნენ ირ. აბა-
შიძის „კაპიტან ბუხაიძეს“, კითხულობდნენ ალიო მირცხულავას
ლექსს „შემოდგომას“.

გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნების“ 1943 წლის 22 ოქ-
ტომბრის ნომერში ვკითხულობთ კარლო გოგოძის სტატიას „ლექ-
სები სანგარში“. კ. გოგოძე ასეთ ცნობებს გვაწვდის: „ერთ-ერთ
სიმაღლეზე მძიმედ დაქრილ მებრძოლს მეგობრები თავს დასტრია-
ლებენ. როცა მისი ჩანთა გავხსენით, მასში მებრძოლის დღიურებს
წაეაწყდით, მებრძოლის უბის წიგნაკში ვიპოვნეთ ალექსანდრე აბა-
შელის ლექსი: „არ მოუშვა, დაჰკარა“.

ეს ლექსი გმირი მებრძოლის საყვარელი ლექსი ყოფილა —
ზეპირად სცოდნია იგი.

წითელი ფანქრით შემოუხაზია მებრძოლს შემდეგი სტრიქო-
ნები:

ნუმ გვენახოს მყინვარქედს
მტრის მახვილი სწუდებოდეს,
ამირანის ნადგომზე
ქონდრის კაცი დგებოდეს.

აი, შეხედეთ, — განაგრძობს გოგოძე, — ჩვეულებრივი მებ-
რძოლი ა. ტორონაშვილი! მან წერა-კითხვა ხეირიანად არც კი იცის,
მაგრამ სადღაც ამოუკითხავს ს. ჩიქოვანის ლექსი „ბრძოლაში“
და სადაც არ უნდა იყოს, მუდამ ღიღინებს:

კვლავ ბრძოლის ველი ხმაურობს,
ვერვინ ჩაგვიქროს ნაჟელი.

* * *

1944 წელიც ხევიანი გამოდგა მხატვრული ლიტერატურის გამოცემის მხრივ. გამოვიდა პოეტების: ალ. აბაშელის „ლექსები“, „რჩეული ლექსები“, „სამოცი წელი“, გრ. აბაშიძის „ძღვეის ქედი“, ი. გრიშაშვილის „ლექსები“, „რჩეული ლექსები“, კ. კალაძის „ახალი ლექსები“, „ბალადები და სიმღერები“, გ. ლეონიძის „ლექსები“, „ქართველ მეომრებს“, გ. ტაბიძის „ოქრო აქარის ლაქვარდში“, „რჩეული“, ალ. შენგელიას „გაზაფხულის სიმღერა“, სიმონ ჩიქოვანის „ჩემი მამული“, გრ. ცეცხლაძის „ახალი ლექსები“.

გათავისუფლა რა საბჭოთა ქვეყნის უზარმაზარი ტერიტორია, ჩვენი ჯარი დაეხმარა გერმანელი ფაშისტებისაგან თავიანთი მიწაწყლის გაწმენდის საქმეში რუმინეთის, ბულგარეთის, იუგოსლავიის, ნორვეგიის (ჩრდილო ნაწილი), უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, ალბანეთის, საბერძნეთის ხალხებს, საბჭოთა ჯარები 1945 წლის დამდეგისათვის შევიდნენ გერმანიისა და უნგრეთის ფარგლებში.

დადგა დიდი სამამულო ომის უკანასკნელი — მეოთხე ეტაპი. ამ ეტაპზე გერმანულ-ფაშისტური უღლისაგან მთლიანად განთავისუფლებულ იქნენ პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკიის აღმოსავლეთი ნაწილი, ავსტრიის მნიშვნელოვანი ნაწილი და მისი დედაქალაქი ვენა.

1945 წლის თებერვალში, ყირიმში გაიმართა სამი მოკავშირე სახელმწიფოს — ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის კონფერენცია, სადაც დაისახა გეგმა გერმანიის საბოლოო განადგურების, მისი უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ. ამასთანავე მიღებულ იქნა დებულებანი გერმანიის დემილიტარიზაციისა და დემოკრატიზაციის შესახებ.

16 აპრილს საბჭოთა ჯარებმა გადამწყვეტი შეტევა დაიწყეს ბერლინის მიმართულებით. შეტევაზე მიდიოდნენ ბელორუსიის პირველი და უკრაინის პირველი ფრონტების ჯარები.

1945 წლის 9 მაისს გერმანიამ ხელი მოაწერა უსიტყვო კაპიტულაციის აქტს.

ამრიგად, ძღვემოსილი წითელი არმიისა და საბჭოთა ხალხის შეუპოვარ ბრძოლასა და შრომას დიდ სამამულო ომში საბჭოთა ქვეყნის გამარჯვება მოჰყვა.

სამამულო ომის ამ უკანასკნელ ეტაპზე კიდევ უფრო ამაღლდა პასუხისმგებლობის გრძნობა ქართულ მწერლობაში. 1945 წელს ქართველი პოეტები ახალი ლექსებით შეეგებნენ.

სახალხო პოეტმა გალაკტიონ ტაბიძემ გამარჯვებისაკენ მიმავალ 1945 წელს აღმაფრთოვანებული სტრიქონები მიუძღვნა. ლექსს — „ღგება ახალი წელი“ წინ შოთა რუსთაველის სიტყვები წარუშმღვარა: „...სიახლე დაშვრების აღმაფრენითა“, „...ძებნე წელიწადსა იგი შენი საძებარი“, „ახალმა ფიქრმა დათოვა“... ასეთი ეპიგრაფით დაიწყო გალაკტიონმა საახალწლო ლექსი:

ღგება ახალი წელი, გამარჯვებათა წელი.

და მუღამ ასე: ღღებებს ცელავს სიახლის ცელი.

გიორგი ლეონიძემ საახალწლო ლექსში „სამშობლოს“ უმღერა სამშობლოს დიდებას, რომელმაც ხმლით გადალახა წარსული, სისხლის დაუშრეტელი გზა. სამშობლოს, რომელსაც თავზე დიდება ადგია „სიმაგრე დაურღვეველი“, რომლის ნაამაგარ ბარაქას „ვინა ჰყავს გადამთვალველი“? სამშობლოს, რომელსაც მკერდზე მტევანი აყრია, „ოქროიანი თაველი“.

პოეტმა იოსებ ნონეშვილმა ლექსში „საახალწლო“ ღღეგრძელობა უსურვა იმ ვაჟკაცს, რომელსაც „ბრძოლის ქარში“ დროსა მოჰქონდა, „ვინც ახალწლის გარიერაჟი სანგრიდან დაინახა“.

მთელი საბჭოთა ჯარები მძლავრი იერიშით ანადგურებდნენ ფაშისტურ მხეცს თავისავე ბუნაგში. მთელი ჩვენი ქვეყნის ყურადღება, მთელი მსოფლიოს ყურადღება მიჰყრობილი იყო ფრონტისაკენ. გამარჯვების მტკიცე რწმენით ადევნებდა თვალყურს ჩვენი ხალხი წითელი არმიის წინსვლას და თავდადებული შრომით მხარდამხარ მიჰყვებოდა მას.

როგორც ომის დასაწყისში, ისე დასასრულსაც სახალხო შრომის ყველა დარგი მხოლოდ ერთ ამოცანას ემსახურებოდა: რაც შეიძლებოდა მალე მოეპოვებინა საბჭოთა ხალხის მტერზე საბოლოო გამარჯვება, უმოკლეს ვადაში გაეთავისუფლებინა მთელი მსოფლიო ფაშისტური სულთამხუთავისაგან, მისი ნაშთებისაგან.

ომის ქარცეცხლში გამოიწროთ საბჭოთა ხალხის, საბჭოთა ადამიანის ხასიათი. ომის დასასრულს კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა ხალხის ეროვნული თვითშეგნება, კიდევ უფრო განმტკიცდა შეგნება იმისა, რომ საბჭოთა პატრიოტიზმში ჰარმონიულად არის შეთავსებული საბჭოთა კავშირის ხალხთა ეროვნული ტრადიციები და ყველა მშრომელის საერთო სასიცოცხლო ინტერესები.

როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, როგორც მთელი საბჭოთა ინტელიგენცია, ქართველი საბჭოთა მწერლები ცოცხლობდნენ თავისი დიდი ქვეყნის მაჯისცემით, ჩვენი ეპოქის სიდიადის, ჩვენი სამამულო ომის სამართლიანობის შეგნებით. მათ ღრმად ესმოდათ უდიდესი პასუხისმგებლობა თავიანთი შრომისა, თავიანთი მოვა-

ლეობისა სამშობლოსა და ხალხის წინაშე. ქართული საბჭოთა მწერლობა ომის დაწყების დღიდანვე ძალღონეს არ ზოგავდა, რომ ლიტერატურული შემოქმედება ხალხის სულიერ იარაღად გამხდარიყო სასტიკ და უღმობელ მტერთან ბრძოლაში. მწერლის წინაშე მთავარ ამოცანად დადგა ისეთი ნაწარმოებების შექმნა, რომელიც გამოხატავდა ეპოქის სულს და სწორად ახსნიდა ჩვენი გამარჯვების კანონზომიერებას და გარდაუვალობას, დაგვინახავდა საბჭოთა ხალხის მორალურ ძლიერებას და გვაგარძნობინებდა განუწყვეტელ კავშირს ჩვენი ხალხის სახელოვან წარსულსა, გვირულ აწმყოსა და დიად მომავალს შორის. კრიტიკის წინაშე დადგა ამოცანა — ყოველმხრივ გაერჩიათ ისეთი ნაწარმოებები, რაც დაეხმარებოდა ქართულ მწერლობას. სწორი დასკვნები გაეკეთებინა განვლილი შემოქმედებითი მუშაობის შედეგებისათვის და საფუძველი დაედო ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარების ახალი პერიოდისათვის, ახალი ეტაპისათვის. მას უნდა შეეთასებინა ქართული მწერლობის მდიდარი შემოქმედებითი პროდუქცია. ერთხელ კიდევ გამახვილებულ იქნა ყურადღება იმის თაობაზე, რომ დაუსაბუთებელი, ხელაღებით ქება და ასევე დაუსაბუთებელი, ხელაღებით გაკიცხვა — ერთნაირად მავნებელი და ხელის შემშლელი იყო ლიტერატურული ნაწარმოების შეთასების, მისი ღრმა ანალიზის საქმეში. ლიტერატურული ფაქტი უნდა განეხილათ არა გამოცალკევებით, არამედ ჩვენი დიდი ეპოქის მოთხოვნებთან შეფარდებით, საბჭოთა ხალხის მიერ დიდი სამამულო ომის პერიოდში გადახდილი ბრძოლების და მისი გამარჯვების კონტაქტში.

„ღრონი იცვალნენ — წერდა პოეტი ნ. ს. ტიხონოვი, — ახლა ჩვენ ვომობთ მტრის მიწაზე. თოფის წამლის კვამლში, ხანძრების ცეცხლში ჩვენ ვხედავთ გამარჯვების წარმტაც სახეს. ეს გამარჯვება საბოლოოდ განამტკიცებს სასიქადულო საგმირო საქმეს საბჭოთა მეომრებისას, რომელთაც დაამხეს ფაშიზმის ბნელი მეუფება. ჩვენ გვმართებს ღრმად ჩავხედოთ ჩვენს პოეტურ სამუშაოს. ჩვენს ლექსებს. ახალი დრო მოდის. ომის ადამიანი შინ დაბრუნდა, ის შეუდგება აღმშენებლობით შრომას“...

*

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი დამთავრდა. საბჭოთა არმიის არაჩვეულებრივი გამარჯვებათა წყარო იყო უმაღლესი მთავარსარდლობის სტრატეგიისა და ტაქტიკის სიბრძნე, მაღალი მორალური სულისკვეთება და შეტევითი ალტკინება საბჭოთა მებრძოლებისა და ოფიცრებისა, რომლებიც სავსებით დაეუფლნენ სამხედრო ხელოვნებას, რომელსაც ჩვენს მამაც მეომრებს უხვად აწვდიდა ჩვენი სამშობლოს მრეწველობა.

ომის დამთავრების შემდეგ საფუძველი უნდა ჩაყროდა ლიტერატურის განვითარების ახალ ეტაპს, რისთვისაც საჭირო იყო ომის პერიოდის მაღალპოეტურად ასახვა. ამას ამბობდნენ მწერალთა კავშირში სამამულო ომის დამთავრებასთან დაკავშირებით გამართულ მიტინგზე, აგრეთვე დისკუსიებსა და პლენუმებზე.

ომის დამთავრების შემდეგ მწერალთა კავშირში გამართული პირველივე დისკუსია ამაღლდა პოეტური შემოქმედების პრობლემების განხილვის პრინციპულ დონემდე. მომსენებლის — გიორგი ნატროშვილის — ერთ-ერთი მთავარი დებულება, რომ სამამულო ომის წლებში ქართული საბჭოთა პოეზია თავისი იდეური დანიშნულებით, თავისი შინაარსით და ფორმით გახდა ჩვენი მებრძოლი და მშენებელი ხალხის სულისკვეთების, მისწრაფებების უფრო სრული და მკვეთრი გამოხატველი, — კამათში გამოსულმა მწერლებმა მრავალი ლექსის კონკრეტული ანალიზით, ჩვენი პოეტური პრაქტიკიდან მოყვანილი მრავალი მაგალითით დაადასტურეს. ამის ნათელი დადასტურება თუნდაც ისიც იყო, რომ მრავალი ლექსი — დაწერილი ომის ადამიანებზე, ძალიან ახლოს მივიდა მკითხველის გულთან. მაგრამ, სამაგიეროდ, ბევრმა პოეტმა, სამწუხაროდ, სამამულო ომის მონაწილე საბჭოთა პატრიოტების განცდების გამოსახატავად ვერ მონახა ისეთი ხერხები, რომლებიც სრული სიმართლით, ზუსტად და სიცხადით გამოხატავდნენ მათ სულიერ ვითარებას.

კამათში გამოსული ამხანაგები ჩვენი პოეტებისაგან მოითხოვდნენ მეტს შემოქმედებითს გაშვებაობას, მეტს გამომგონებლობას, მეტს პოეტურ თაოსნობას, ეს სავსებით დროული და აუცილებელი მოთხოვნა იყო.

მშვიდობიანი განვითარების პერიოდი ახალ ამოცანებს აყენებდა მხატვრული ლიტერატურის წინაშე. პოეზიას მომავალი თაობებისათვის მეტის სიღრმით უნდა აღებეჭდა ძლევამოსილება და სულიერი სიდიადე საბჭოთა ხალხისა, რომელმაც იხსნა მსოფლიო ცივილიზაცია დაღუპვისაგან.

ამასთან დაკავშირებით 1945 წლის 23 — 25 ივლისს ჩატარდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო მწერალთა აქტივმა. პლენუმმა განიხილა 1944—1945 წლებში გამოქვეყნებული ლიტერატურული პროდუქცია.

პლენუმზე გამოიკვია და ცხადი გახდა ერთი მავნე ტენდენცია ზოგიერთი ნიჟიერი მწერლის შემოქმედებაში, — ეს იყო ჩვენი სინამდვილისაგან განაპირების ცდები — ე. წ. უაღრესად „ინტიმურ“, „მარადიულ“ თემებზე გადასვლის ნიშნები, რაღაც უმიზნ-
3. ე. ბართაია

ნო, უმიზეზო კაეშნითა და სევდით განმსკეალვის ნიშნები. იმ პოეტთა შორის, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ თითქოს ომის შემდეგ არაა საჭირო ამ თემაზე წერა, დასახელებული იქნა ისეთი გამოჩენილი პოეტებიც, როგორებიც იყვნენ, მაგალითად, გალაკტიონ ტაბიძე და ალიო მირცხულავა.

გრიგოლ აბაშიძემ „დროების“ ციკლის გვერდით დაბეჭდა ციკლი ლექსებისა — „ჯიგთახათუნი“, „რევაზ პიტიახში“, „ზარზ-მა“. კრიტიკამ მაშინვე აღნიშნა გრ. აბაშიძის ლექსების ამ ციკლის სუსტი მხარე.

მწერალთა კავშირში გამართულ დისკუსიაზე (1945 წლის მარტს) მტკივნეულად დაისვა საკითხი ახალი თაობის პოეტების მუშაობაზე. ამ საკითხზე განსაკუთრებით შეჩერდა კრიტიკოსი ბ. ჟღენტის. „თუ წინათ პოეტების ახალ თაობებს ქართულ პოეზიაში მოჰქონდათ იდეურ-მხატვრული სიახლე, მოვლენების თავისებური პოეტური ათვისება, — ამბობდა იგი, — ახალგაზრდები არ მუშაობენ სრული ინტენსიობით იმისათვის, რომ გვაგრძნობინონ და დაგვანახონ საკუთარი პოეტური სახე, საკუთარი პოეტური სამყარო.

ბესო ჟღენტის ამ მოსაზრებას წინ აღუდგა და ახალგაზრდა პოეტებს გამოექომაგა ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტი იოსებ ნონეშვილი. მან საფუძველმოკლებულად მიიჩნია ბ. ჟღენტის განცხადება ახალგაზრდა მწერლების მიმართ: „არ შეიძლება დაპირისპირება ახალი და ძველი თაობის მწერლების, არ არსებობს ახალგაზრდა მწერალი იმ გაგებით, როგორც მას ჩვეულებრივ ამბობენ, ისევე, როგორც არ არსებობს მოხუცი მწერალი. — განმარტავდა ი. ნონეშვილი. — არსებობს მხოლოდ ჰემმარიტი მწერალი და წუნის მკეთებელი. მწერალთა შემოქმედების შეფასებისას დროა მხედველობაში აღარ იქნას მიღებული მწერალი ჰადაროსანი თუ პირტიტველა. ის ნაკლი, რაც აქვთ ახლად გამოსულ მწერლებს. დამახასიათებელია ძველი თაობის მწერლებისთვისაც.

მაგრამ თუ „უფროსი თაობის“ პოეტები რჩევას აძლევდნენ ახალგაზრდებს, ეს მხედველობაში მისაღები რჩევა იყო. რადგან „ერთი ან ორი კარგად დაწერილი ლექსი, — როგორც ამას ამავე დისკუსიაზე ა. მირცხულავა ამბობდა, — პოეზიის დარს ვერ შექმნის. პოეტი უნდა ავიდოთ მთლიანობაში, როგორც ფიგურა. ამ ფიგურებს შორის განსხვავება უნდა იყოს, რასაკვირველია, არა იდეურობის, არამედ მხატვრული თავისებურების მხრით“.

მაშასადამე, ლექსის იდეურობა აუცილებელია. საბჭოთა ეპოქაში ლექსს ერთი იდეა აქვს — ემსახუროს კომუნისმის მშენებელ ხალხს. ეს სამსახური კი ნიშნავს ლექსის იდეისა და მხატვრული

ფორმების ერთიანობას, ხალხის, ცხოვრების შუაგულში ტრიალს. გიორგი კაჭახიძემ დისკუსიაზე მეტად მოხდენილად თქვა: „ზოგჯერ ეშორდებით რეალიზმს, ხალხის სამეტყველო ენას, ვუბრუნდებით პრიმიტივს, არა მგონია, თანამედროვე ომის ასახვა შეიძლებოდეს ისეთი ცნებების გამოყენებით, როგორცაა შუბი, დაშნა, ჯაქვის პერანგი, შურდული და სხვა. ასეთ ხშირად ნახმარ სიტყვიერ მასალას ზოგჯერ მიმართავენ ჩვენი პოეტები, მათ შორის შალვა აფხაიძეც თავის პოემა „მთების ზეიმში“, სადაც მოვლენები და ფაქტები გადმოცემულია არა ჩვენი დროისათვის დამახასიათებელი, რეალისტური ცნებებით, არამედ სიმბოლისტური პოეზიიდან და ზოგჯერ მითოლოგიური ეპოსიდან ნახესხები სახეებით. ხშირად ჩვენ ისეთს სულმოკლეობას ვიჩენთ, თითქოს ხვალ ვასრულებდეთ ცხოვრებას და უეჭველად დღეს უნდა წავავლოთ ხელი უკვდავებას. პოეტობა მეფედ კურთხევა არ არის, რომ მხოლოდ ერთი ტახტი და ერთი გვირგვინი არსებობდეს ხელში ჩასაგდებად. პოეზია დიდია და ვრცელი, იქ იმდენი გვირგვინი არსებობს, რამდენი ღირსეული თავიც გამოჩნდება“.

შესანიშნავად ამბობდა დიდი გერმანელი მწერალი გოეთე: „აავსეთ თქვენი გონება და გული თქვენი საუკუნის იდეებით და გრძნობებით, და მხატვრული ნაწარმოები უთუოდ გაჩნდება“, ხოლო ბესარიონ ბელინსკიმ ასე განსაზღვრა პოეზიის რაობა: „პოეზია არის ცხოვრების გამოხატულება, ან უკეთ რომ ვთქვათ, თვით ცხოვრება... პოეზია — ეს ცხოვრების მაჯისცემაა, ეს — მისი სისხლია, მისი ცეცხლი, მისი ნათელი და მზე“. მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმმა სწორედ აქეთკენ მოუწოდა ჩვენს მწერლობას.

გამოჩენილ ქართველ პოეტებს, რომელთაც სამამულო ომის დროს პოეზია მიჰყავდათ, ომის შემდეგ თითქმის არაფერი დაუწერიათ ომის თემაზე. ამ თემით დაინტერესდნენ ის პოეტები, რომლებიც ომის დროს ფრონტებზე იბრძოდნენ და მაშინ ვერ მოახერხეს ძვალსა და რბილში გამჭდარი ომის საშინელების ასახვა. ამ თემით დაინტერესდნენ აგრეთვე ომის დროს სამწერლო ასპარეზზე გამოსული ახალგაზრდა პოეტები, რომელთაც პოტენცია ჯერ კიდევ არ ჰყოფნიდათ იმისათვის, რომ ომის მძაფრი დღეები სრულფასოვნად აესახათ თავიანთ შემოქმედებაში, და თუ მათ ომის შემდეგ ომის თემა კვლავ აიღეს შემოქმედების თემად, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ფრონტელი პოეტის რევავ მარგიანის თქმისა არ იყო:

განა ომს სძინავს მხოლოდ ხსოვნაში,
ძვალსა და რბილში არის გამჭდარი.

ამრიგად, ის გარემოება, რომ დიდი სამამულო ომი დამთავრდა ჩვენი ხალხის ძლევამოსილი გამარჯვებით, ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვებით, სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, რომ საბჭოთა მწერლობის დღის წესრიგიდან მოხსნილიყო ის თემები, ის მოტივები, რომლებსაც ამუშავებდნენ საბჭოთა მწერლები სამამულო ომის წლებში. საბჭოთა მწერლობას კვლავ უნდა დაეხატა საბჭოთა ეპოქის ადამიანის სულის სიდიადე, რომელიც მთელი თავისი ბრწყინვალეობით გამოჩნდა სამამულო ომის წლებში. მაგრამ ისმება კითხვა: შესძლო თუ არა ეს ქართულმა ლიტერატურამ და კერძოდ პოეზიამ?

ქართულმა ლიტერატურამ საერთოდ და კერძოდ პოეზიამ, ეს მხოლოდ ნაწილობრივ შესძლო.

კავკასიონის მისადგომებზე მტრის განადგურების ისტორიამაც ვერ ჰპოვა მკვეთრი ასახვა (ამ შემთხვევაში მხდველობაში არ ვღებულობთ გრ. აბაშიძის „ძღვეის ქედს“ და ლეო ქიაჩელის „მთის კაცს“) მაშინ, როცა ქართველ მწერლებს ყოველგვარი პირობები ჰქონდათ, თავიანთი თვალთ ენახათ ფრონტის ხაზი და უშუალო შთაბეჭდილებებით შეექმნათ მხატვრული ტილოები.

დიდმა მწერალმა ლევ ტოლსტოიმ, როგორც ცნობილია, ხომ უშუალო შთაბეჭდილებებით შექმნა „სევასტოპოლის მოთხრობები“, რომელიც 1854—1855 წლებში სევასტოპოლის დაცვის თემაზეა დაწერილი! ამ მოთხრობების მკითხველი მხოლოდ მაშინ დარწმუნდება ტოლსტოის დიდ სიმართლეში, როცა თავის თვალთ ნახავს „სევასტოპოლის დაცვის“ პანორამას, ხოლო შემდეგ ფეხით შემოივლის სევასტოპოლის ჩრდილოეთის მხარის ძმათა სასაფლაოს (1854—1855 წწ.), რომელსაც მაღალი გორიდან გადმოსცქერის ცადაღმართული უზარმაზარი პირამიდისებური ძეგლი — სამლოცველო.

ან მოვიგონოთ დიდი ამერიკელი მწერლის ჯონ რიდის „ომი აღმოსავლეთ ევროპაში“ (1916 წ.), რომელიც სერბიაში მოგზაურობის შთაბეჭდილებებით არის შექმნილი. მოვიგონოთ მისივე „აჩანყებული მექსიკა“. „ოთხი თვის განმავლობაში, — წერდა რიდი, — მე ცხენდაცხენ ასეული მილი გავიქროლე მზის გადაბუგულ უდაბნოში. მიწაზე მეძინა ჯარისკაცებთან ერთად, მთელი დღე ცხენზე ჯდომით დაღლილი ღამეებს ვათენებდი მათთან ცეკვასა და ლხინში. მე ყველგან მათთან ვიყავი თამაშშიც და ბრძოლაშიც და იქნებ ჩემი ცხოვრების სწორედ ამ პერიოდმა მომანიჭა ყველაზე მეტი კმაყოფილება. მე მადლიერი ვიყავი ამ ველური მეომარი ხალხისა და საკუთარი თავის. მე შევიყვარე ისინი და მათი ცხოვრება“.

რამდენი საგმირო ამბავი, ცოცხალი, უკვდავი ფაქტი ახლაც იარასავით ატყვია სამშობლოს მიწას. უამრავი საარქივო მასალები, ჩვენი მთები და ველები, ქალაქები და სოფლები, ნაომარი ქვეყნის ზღვა და ხმელეთი აურაცხელ მასალას ახლაც მისცემს შემოქმედს დიდი მხატვრული ტილოების შესაქმნელად.

არა თუ ომის დროს, დღესაც კი ვერავენ იტყვის, იმას, რომ ომის თემა ვერ მისცემს მასალას მწერალს. ნიკიერ, დაკვირვებულ მწერალს, ისევე როგორც მათემატიკის პატარა ფაქტის ანალიზით შექმნილი დიდი პრობლემების გადაწყვეტა, არ გაუჭირდება გაატოცხლოს, უკვე მიჩქმალული ფაქტები, აამეტყველოს ფაქტები, ხოლო ფაქტები—პატარებიც და დიდებიც, როგორც არაერთხელ უთქვამთ, უამრავია, საჭიროა მხოლოდ მონდომება, რასაკვირველია, ნიქთან ერთად.

განა გალაკტიონ ტაბიძემ, ალექსანდრე აბაშელმა, იოსებ გრიშაშვილმა, ალიო მირცხულავამ, ირაკლი აბაშიძემ, გიორგი ლეონიძემ, სიმონ ჩიქოვანმა, გრიგოლ აბაშიძემ და სხვებმა არ შექმნეს სამამულო ომისდროინდელი დიდი პოეზია! განა მათვე არ შექმნილი ომის შემდეგაც, როცა უკვე ამის საშუალებაც იყო და დროც, გასულიყვენ ყოფილ ფრონტის ხაზებზე, მოეარნათ ქალაქები, სოფლები, ის მიწა-წყალი, სადაც ომის ხანძარი ენთო და უფრო გაელრმავებინათ დიდი სამამულო ომის პოეზია! მაგრამ არა, ეს ასე არ მოხდა. ნაწილობრივ ამ ხარვეზებს ახალი თაობის პოეტები ასწორებენ და მომავალშიც ალბათ გამოჩნდებიან მწერლები, რომლებიც მოიხედავენ წარსულისაკენ და მომავალ თაობებს აჩვენებენ თანამედროვე ქართული მწერლების მიერ გამორჩენილ ისტორიულ ფაქტებს, შექმნიან მათზე ამაღლებულ მხატვრულ ტილოებს, რომლებსაც ისეთივე ღირებულება ექნება მათი შემდგომი თაობებისათვის, როგორც ჩვენთვის, ჩვენი მომავალი თაობისათვის, მაგალითად: კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებელს“, გრიგოლ აბაშიძის „გიორგი მეექვსეს“, სანდრო შანშიაშვილის „კრწანისის გმირებს“ თუ „არსენას“, გიორგი ლეონიძის „გიორგი ბრწყინვალეს“.

ქართული პოეზიის პირობები და ბავშვის ურთიერთობა

დადგა ომის პირველი ეტაპი.

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 27 ივნისის ნომერში (ეს პირველი ნომერი იყო დიდი სამამულო ომის დაწყების შემდეგ) დაიბეჭდა ცნობილი ქართველი მწერლების შალვა აფხაიძის, კონსტანტინე ჭიჭინაძის, დემნა შენგელაიას, სიმონ წვერაგას, იაკინთე ლისაშვილის, სერგო კლდიაშვილის მგზნებარე წერილები ფაშისტთა ბარბაროსების ვერაგულ თავდასხმაზე და ფაშისტების ბოროტებაზე მშვიდობიანი საბჭოთა სამშობლოსადმი. მწერლები თავიანთ აღშფოთებას გამოთქვამდნენ ვერაგი მტრის მიმართ.

ამავე ნომერში დაიბეჭდა ლექსები: სოლომონ თავაძის „შენ გაიმარჯვებ“, მარიკა მიქელაძის „სამშობლოსადმი“, გიორგი კაჭახიძის „წითელ მებრძოლებს“. და კრიტიკოს ბესარიონ ჟღენტის წერილი „სამშობლოსათვის“. კრიტიკოსს უხვად მოჰყავს ადგილები ქართველი პოეტების გ. ტაბიძის, ი. გრიშაშვილის, ს. ჩიქოვანის, ი. აბაშიძის, ალ. აბაშელის, კ. კალაძის, შ. აფხაიძის პატრიოტული ლექსებიდან.

ჟურნალ „მნათობის“ ივნის-ივლისის ნომერში გამოქვეყნდა ალიო მირცხულავას (მაშაშვილის) ლექსი „სიმღერა გამარჯვებისა“, სადაც პოეტი წყველა-კრულვას უთვლის სამშობლოს მტრებს, პირისხლიან ჰიტლერებს და ამავე დროს სამარცხვინო ბოძზე აკრავს ყველას, ვინც სამშობლოს უღალატებს.

შხამალ შეერგოს დედის რძე, ცოფს ჰყრიდეს
პირზიზღიანი,
დაეცეს, ხსნას არ ელოდეს, ვერ მოიჩინოს ზიანი,
დაძროდეს, გზას ვერ იკვლევდეს გახელებული,
ზნიანი,
მეწყერი წამოეწიოს, დღე დაუბნელდეს მზიანი!
...
ვინც უღალატოს სამშობლოს, დიად საბჭოთა მხარესა,

აქვე დაბეჭდილია ალექსანდრე აბაშელის ცნობილი ლექსი „ცამ დაიქუხა გუშინ“. ეს ლექსი 1941 წლის 23 ივნისით თარიღდება.

არა! სამშობლოს იცავს
ძღვეამოსილი ხმალი.
ჩვენს აყვავებულ შიწას
ვერვინ წაგეართმევს ძალით.

დიდი ინტერესით იკითხება გერმანელი ჯარისკაცის აღფრედლისკოფის ნაამბობი. იგი მკითხველებს მოუთხრობს, თუ როგორ გადაწყვიტა საბჭოთა რუსეთში გამოქცევა. მან ღამით მდინარე ცურვით გადმოლაზა და დატოვა სამშობლო, „რომელიც ფაშისმის უღელქვეშ გმინავს, რომელიც შიმშილობს და იტანჯება ომის ცეცხლის საშინელებსაგან. რომელშიც წყეულმა პიტლერმა და მისმა თავზებელალებულმა დამქაშებმა იგი ჩააგდეს“.

სამამულო ომი იქცა ყველა მწერლის ერთადერთ თემად. ეს თემა გახდა ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების წყარო, რომელიც მკითხველთა ფართო მასებში გადიოდა და ადამიანებს უღვივებდა მტრების სიძულვილსა და გამარჯვების რწმენას.

ქართველი პოეტები ზიდიოდნენ ქ. თბილისის რაიონების სამხედრო კომისარიატების სამობილიზაციო პუნქტებში. ომში მიმავალ ვაჟაკებს უკითხავდნენ საბჭოთა პატრიოტიზმით გაყენებით ახალ ლექსებს, რომლებიც აქტიურ სააგიტაციო-საპროპაგანდო როლს ასრულებდნენ მასების დარაზმვის საქმეში. მობილიზებულნი თუ სამხედრო ვალდებულნი დიდი ინტერესით უსმენდნენ პოეტებს. მწერლების ასეთი შეხვედრა სამხედრო ვალდებულებთან პირველად მოეწყო 1941 წლის 27 ივნისს, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პოეტებმა ილო მოსაშვილმა, სიმონ ჩიქოვანმა, სანდრო შანშიაშვილმა. ალექსანდრე აბაშელმა, გიორგი ქუჩიშვილმა და შალვა აფხაიძემ. მათს გამოსვლებს აღფრთოვანებით მოუსმინეს წითელ არმიას გაწვეულებმა და მათმა გამცილებლებმა.

ასეთივე შეხვედრა მოეწყო 29 ივნისს თბილისის ამჟამად ოქტომბრის რაიონის სამხედრო კომისარიატის ეზოში. წითელ არმიას გაწვეულებს სიტყვით მიესალმა მწერალი სიმონ წვერავა, პოეტებმა ს. ჩიქოვანმა, გ. ლეონიძემ, კ. კალაძემ და გ. ქუჩიშვილმა წაიკითხეს ლექსები პარტიასზე, წითელ არმიასზე, სამშობლოზე. იმავე დღეს შეხვედრა ჩატარდა ერთ-ერთ საზაფხულო კლუბში.

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1941 წლის 10 ივნისის მონაწილე წერილი მოუწოდებდა მწერლებს, რომ ისინი თავიანთი მგზნებარე სიტყვით გამოსულიყვნენ გაზეთების ფურცლებზე, წარმოებებში, კოლმეურნეობებში, წითელი არმიის ნაწი-

ლებში. საკიროების შემთხვევაში მწერალმა კალამი უნდა შეცვალოს საბრძოლო იარაღით. თანადროულობა მოითხოვდა მიაკოვსკის ტიპის მწერალს, რომელიც თავისი კალმით უდიდეს საქმეს აკეთებდა რევოლუციის საკეთილდღეოდ.

საბჭოთა მწერლის მოვალეობას შეადგენდა, საბჭოთა ადამიანების გულში გაედვივებინა და განემტკიცებინა თავგანწირული პატრიოტისა და უშიშარი მებრძოლის მაღალი მორალური თვისებები — გაუტეხელი სულიერი სიმტკიცე, მოუდრეკელი შრომისა და ბრძოლის უნარი. საბჭოთა მწერალს უნდა ეკეთებინა ის, რაც ხელს შეუწყობდა ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის ძლევამოსილებას, საბჭოთა ხალხის გამარჯვებას მუხანათ მტერზე.

საბჭოთა მწერლის კალმის დანიშნულებას ამ მომენტში შეადგენდა მხოლოდ ერთი რამ — სოციალისტური სამშობლოსათვის თავდადების ცეცხლით აღენთო ყოველი საბჭოთა მოქალაქე. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მწერლის მონაწილეობას პრესაში, თეატრში. კინოში, კლუბებში და წითელი არმიის ნაწილებში, რომ შეექმნათ საბრძოლო პათოსით აღსავსე ლექსები, სცენარები, პიესები და მიედოთ აქტიური მონაწილეობა წითელი არმიის მხატვრული მომსახურების საქმეში.

მწერალთა კავშირმა გაითვალისწინა მწერლების მუშაობის ეს ახალი ფორმები და მწერლები მიამაგრა გაზეთ „კომუნისტს“, „ზარია ვოსტოკას“, „ახალგაზრდა კომუნისტს“, „სახკინმრეწვს“, წითელი არმიის სახლს. გამოჰყო პოეტების სპეციალური ბრიგადა და მიამაგრა იგი სისტემატური თანამშრომლობისათვის წითელარმიული გაზეთის „მუშურ-გლეხური წითელი არმიის მებრძოლის“ რედაქციას. ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის ამ გაზეთის რედაქციაში გამართულ თათბირზე, რომელსაც დაესწრნენ გაზეთის რედაქციის მუშაკები, მხატვრები და მწერლები, ი. გრიშაშვილმა, ს. ეულმა, ს. ჩიქოვანმა, ს. ფაშალიშვილმა, გრ. აბაშიძემ, ბ. სერებრიაკოვმა, ი. ვაკელმა, გრ. ცეცხლაძემ, რ. ივნეევმა, ი. ლისაშვილმა, გ. კრეიტანმა იკისრეს კონკრეტული ვალდებულებები, რომ სისტემატურად ეთანამშრომლათ გაზეთში.

პოეტების ბრიგადებში შედიოდნენ ი. აბაშიძე, ა. მაშაშვილი, ი. გრიშაშვილი, ს. ჩიქოვანი, ი. მოსაშვილი, კ. კალაძე, გრ. აბაშიძე, ს. ეული, ს. თავაძე, ს. ფაშალიშვილი, ი. ვაკელი, ი. ლისაშვილი და გრ. ცეცხლაძე. ეს პოეტები უმთავრესად მუშაობდნენ ფელეტონებზე, საბრძოლო ლექსების შექმნაზე და პლაკატების წარწერებზე.

1941 წლის 4 ივლისს, დღის პირველ საათზე, მწერალთა კლუბის დარბაზი აივსო მწერლებითა და ლიტერატურული ორგანიზა-

ციების მუშაყებით. გაიმართა ანტიფაშისტური მიტინგი. მიტინგი გახსნა პოეტმა სანდრო ეულმა და მოუწოდა დამსწრეთ, რომ მთელი მოქალაქეობრივი შეგნებით და პასუხისმგებლობით ჩასწვდომოდნენ პარტიის მოწოდების ყოველ სიტყვას და გაეხადათ იგი ყოველდღიურ სახელმძღვანელოდ ბრძოლისა და შრომის დროს.

პოეტმა ირ. აბაშიძემ წაიკითხა საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ი. ბ. სტალინის მოწოდება საბჭოთა ხალხებისადმი.

მწერლებმა ლეო ქიაჩელმა, კონსტანტინე გამსახურდიამ, სიმონ ჩიქოვანმა, ვანო წულუკიძემ, ვასო გორგაძემ, დემნა შენგელაიამ, ალექსანდრე აბაშელმა, სიმონ ქვარიაშმა და სხვებმა თავიანთ მგზნებარე სიტყვებში ამხილეს გერმანიის ფაშიზმის ბარბაროსული დაუნდობლობა, რომელსაც ყველა ერისათვის ცეცხლი და განადგურება პოჰქონდა.

გამოჩენილმა საბჭოთა მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ განაცხადა: „თავისი ველურობით გერმანელმა ფაშისტებმა დაჩრდილეს შუასაუკუნეების ინკვიზიტორები. ფაშიზმს ყველა ერისათვის მოაქვს ცეცხლი და განადგურება. მან წარმოუდგენელი მონობის უღელში შეაბა ევროპის ყველა განათლებული ერი, ხოლო ელზასისა და პოზნანის მოსახლეობა სრულიად აღგავა პირისაგან მიწისა. ასეთსავე დაუნდობელ განადგურებას უქადის იგი ჩვენს მიწა-წყალს, ჩვენს კულტურას... უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცვათ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი კულტურა, რომელსაც დაძაბული შრომით ვქმნიდით ათეული წლების მანძილზე“.

ტრიბუნაზე ადის გამოჩენილი საბჭოთა პოეტი სიმონ ჩიქოვანი: „ჩვენი გონება ერთი წუთითაც ვერ შეურიგდება იმას, აცხადებს ჩიქოვანი. რომ ფაშიზმის ჩექმამ გაათელოს ის დიდი მონაპოვარი, რომელსაც საბჭოთა ხალხების კულტურა, საბჭოთა ხალხების მეგობრობა ეწოდება...“

საბჭოთა მოძმე ხალხები სრულიად შეესისხლხორცნენ ერთმანეთს. ჩვენ გვახარებს და გვადფრთოვანებს ჩვენი მოძმე ხალხის ყოველი მიღწევა ისევე, როგორც საკუთარი მიღწევა. ამ განუყრელ ძმობას, ამ მეგობრობას და მისი მეოხებით მოპოვებულს ჩვენს ახალ კულტურას დავიცავთ მთელი ჩვენი თავგანწირულობით...“

საინტერესო, აღმაფრთოვანებელი სიტყვა წარმოსთქვა გამოჩენილმა საბჭოთა მწერალმა დემნა შენგელაიამ:

„ქართველ ხალხს ისევე, როგორც სხვა მოძმე ხალხებს, აკავშირებს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საერთო თავგანწირული ბრძოლის ტრადიციები. დღევანდელ სამამულო

ომში ქართველი ხალხი თავის თავგანწირული ბრძოლითა და გმირობით განამტკიცებს ხალხთა დიად მეგობრობას, შეიტანს რა თავის წვლილს კაცობრიობის დაუძინებელი მტრის — პირსისხლიანი ფაშიზმის განადგურებაში“.

დამსწრე საზოგადოებამ ინტერესით მოისმინა ცნობილი ქართველი პოეტის ალექსანდრე აბაშელის სიტყვა: „ყველამ უნდა ვაკეთოთ ის, რაც ხელს უწყობს ჩვენი არმიის ძლევამოსილებას, საბჭოთა ხალხის გამარჯვებას მუხანათ მტერზე“. ალ. აბაშელმა ბოლოს წაიკითხა თავისი ახალი ლექსი, რომელიც თავგანწირული ბრძოლისა და შრომისაკენ მოუწოდებდა მწერლობას.

ქართველი მწერლების ხმა უერთდება მთელი მსოფლიოს მოწინავე მწერლების ხმას გერმანიის ფაშისტური ბარბაროსების წინააღმდეგ.

გერმანიის პირსისხლიანი ფაშიზმის ვერაგულმა, მუხანათურმა მოქმედებამ უდიდესი აღშფოთება და პროტესტი გამოიწვია მთელი კაცობრიობის მოწინავე ნაწილში. მრავალ, ქვეყნანაში—ევროპის, ამერიკის, აზიის მატერიკებზე — მუშები, გლეხები, ინტელიგენცია ზიზღს უცხადებდნენ პირსისხლიან ფაშიზმს და მოითხოვდნენ მის საბოლოო განადგურებას. მსოფლიო კულტურის მოწინავე მუშაკები მოუწოდებდნენ მასებს და სახელმწიფოებს, რომ ყოველნაირად დახმარებოდნენ პროგრესისა და კულტურის კერას — საბჭოთა კავშირს და მის ხალხს, რომელიც გმირულად ებრძოდა ფაშისტ ბარბაროსებს.

მსოფლიო კულტურის მოწინავე მუშაკები — მწერლები მთელ ხალხთან ერთად დიდი სიმკაცრით ილაშქრებდნენ მეოცე საუკუნის კაცობრიობის წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებულ შტატებში მკოფმა ცნობილმა გერმანელმა მწერალმა ლეონ ფეიხტვანგერმა განაცხადა: „ჩვენ აღშფოთებულნი ვართ საბჭოთა ხალხზე ფაშისტების თავდასხმით. ჩვენ ვიცით, რომ ამ თავდასხმაში უგუნურობა უფრო მეტია, ვიდრე ვერაგობა. უგუნურობა ფაშისტებმა ახლა საბრძოლოდ გამოიწვიეს ისეთი მოწინააღმდეგენი, რომელნიც მათ სპარბოზენ თავიანთი რაოდენობით, ძლიერნი არიან რწმენით, ერთიანობით. ახლა ფაშისტებს ბოლო მოეღება... ჩვენ ვიცნობთ საბჭოთა ხალხს და დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა ხალხი საბოლოოდ ალაგმავს ნაჟისტებს“.

ფაშისტური ბარბაროსების მიერ გერმანიიდან გაძევებულმა ცნობილმა მწერალმა ჰენრიხ მანმა საკდესის კორესპონდენტს განუცხადა: „...პიტლერა უსიკცხვილოდ მოუწოდებს ევროპას საბჭოთა

კავშირის წინააღმდეგ „ჯვაროსნული ლაშქრობისაკენ“ იმიტომ, რომ მან უკვე გაძარცვა სხვა ქვეყნები კონტინენტზე... იგი მხოლოდ თავისი უბადრუკი ბატონობისა და საკუთარი პერსონისათვის იბრძვის. იგი დამარცხდება“.

ამერიკელი მწერალი თეოდორ დრაიზერი წერდა: „რუსების საქმე ყოველთვის და ყველგან დემოკრატიის ნამდვილი საქმეა, ვინაიდან რუსეთმა უბრალო ადამიანისათვის უკვე გააკეთა იმაზე მეტი, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანამ ისტორიაში“.

ინგლისელი მწერალი ჰერბერტ უელსი გაზეთ „სანდი დისპეჩში“ წერდა: „რუსეთზე თავდასხმა წარმოადგენს ჰიტლერის ახალ, შეიძლება ითქვას, სასოწარკვეთილებით ნაკარნახევ უკანასკნელ ნაბიჯს“.

ასევე ილაშქრებდა გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ფრანგი მწერალი ჟიულ რომენი. იგი მოუწოდებდა ხალხებს, რომ ყველას ერთად გაელაშქრა კაცობრიობის მტრის წინააღმდეგ, რადგან რუსი ხალხის ბრძოლა სამართლიანი იყო, იგი იბრძოდა თავისი თავის, ევროპის, მთელი მსოფლიოს თავისუფლებისათვის.

მთელ მსოფლიოში მძლავრად გაისმოდა საბჭოთა ხალხებისადმი თანაგრძნობისა და სიყვარულის ხმა. პირსისხლიან ფაშიზმთან ბრძოლაში საბჭოთა ქვეყნის, მისი სამართლიანი საქმის გამარჯვების რწმენა ასე შეესისხლბორცა იმ ადამიანების ბრძოლას, რომლებიც ცივილიზაციას და კულტურას იცავდნენ.

მსოფლიოს პროგრესული ძალებისათვის ცნობილი იყო, რომ ომი, რომელსაც საბჭოთა ხალხი ეწეოდა, სტალინის სიტყვებით რომ ეთქვათ. იყო „გამათვისუფლებელი ომი, სამართლიანი ომი“. „დაე, ამ ომში თქვენ აღგაფრთოვანებდეთ ჩვენი დიადი წინაპრების ალექსანდრე ნეველის, დიმიტრი დონელის, კუზმა მინინის, დიმიტრი პოჟარსკის, ალექსანდრე სუვოროვის, მიხეილ კუტუზოვის მამაცური სახე. დაე, გფარავდეთ თქვენ დიდი ლენინის ძღვეამოსილი დროშა“. ასეთი იყო ი. ბ. სტალინის მოწოდება საბჭოთა არმიის პარადზე 1941 წლის 7 ნოემბერს.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის დადგენილებით ეწყობოდა დიდი ანტიფაშისტური ლიტერატურული საღამოები. საღამოებზე კითხულობდნენ მოხსენებებს თემებზე: „ფაშიზმი — კაცობრიობისა და კულტურის უბოროტესი მტერი“, „საბჭოთა ხალხების სამამულო ომი და ქართული მწერლობა“ და სხვ.

ამ ლიტერატურულ საღამოებში მონაწილეობდნენ გ. ლეონიძე, შ. დადიანი, კ. გამსახურდია, ს. შანშიაშვილი, ალ. აბაშელი,

გ. ქუჩიშვილი, გ. კაქახიძე, ბ. ელენტი, ვ. წულუკიძე და სხვ.

დამახასიათებელია მსცოვანი მწერლის შალვა დადიანის მიერ ერთ-ერთ ასეთ საღამოზე წარმოთქმული მგზნებარე სიტყვა: „ჩვენი ხალხი უკვე აღსდგა საბჭოთა ქვეყნის წმიდათა-წმიდა მიწა-წყლის დასაცავად. საქართველოს შვილები არავის ჩამორჩებიან ამ დიდსა და სასახელო ბრძოლაში. პარტიისა და ხელისუფლების პირველი დაძახებისთანავე, ყველანი, როგორც ერთი კაცი, გავალთ მტრის გასანადგურებლად, ჭაღარა არ მიშლის ხელს, მეც წავიდე ბრძოლის ველზე“...

სამამულო ომმა უაღრესად გაზარდა ჩვენი ლიტერატურის ამოცანები, მწერლის ყოველი სიტყვა, ყოველი სტრიქონი ბასრი და ფხიანი უნდა ყოფილიყო, როგორც ხიშტი, მრისხანე და ზუსტი, მიზანში აუცდენელი, როგორც ტყვია საბჭოთა მებრძოლისა.

საქართველოს მწერლების კავშირის გამგეობა ქართველ მწერლებს მიმართავდა, რომ ყველა მწერალს მთელი თავისი დრო და უნარი დაემორჩილებია ბოლშევიკური აგიტაციისა და პროპაგანდის ამოცანებისათვის. „საბჭოთა მწერალი თავის მუშაობით, — წერდა გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ 1941 წლის 25 ივლისის (№ 30) მოწინავე წერილში, — უნდა უპირისპირდებოდეს, ებრძოდეს ყოველგვარ ხმასა და ჩურჩულს, რომელსაც შეუძლია იმოქმედოს მტრის სასარგებლოდ, უნდა ვებრძოლოთ ყოველგვარ პანიკორობას, დაბნეულობას, უნდა განვაშუქოთ სიფხიზლე და შეუბრალებელნი ვიყვნეთ იმათ მიმართ, ვინც პროვოკაციული ხმების გავრცელების საშუალებით სასოწარკვეთილების შხამი დათესოს, ყოველმხრივ უნდა გავაძლიეროთ ხალხის პატრიოტული აღფრთოვანება“.

ამ მოწოდების პასუხად მეტად გაფართოვდა მწერალთა შეხვედრები მშრომელებთან. 1941 წლის 24 აგვისტოს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის არმიის საზაფხულო ბაღში მოეწყო საქართველოს მწერლების შეხვედრა თბილისის გარნიზონის ჯარების მეთაურებთან, მათი ოჯახის წევრებთან და წითელარმიელებთან. საღამოზე მოკლე შესავალი სიტყვით გამოვიდა კრიტიკოსი ბესო ელენტი. თავიანთი ნაწარმოებები წაიკითხეს დადიანმა, მირცხულავამ, აბაშელმა და სერებრიაკოვმა. ასეთივე ლიტერატურული საღამოები და შეხვედრები მოეწყო ამიერკავკასიის რკინიგზის პოლიტსამმართველოს აგიტწრეებსა და სამხედრო ჰოსპიტალში, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს ი. გრიშაშვილმა, ს. ჩიქოვანმა, ალ. აბაშელმა, გ. ქუჩიშვილმა, ბ. სერებრიაკოვმა და სხვ.

სამამულო ომის პირობებმა ლიტერატურული ორგანიზაციე-

ბის წინაშე ახალი ამოცანები დასახა. ეს ამოცანები მოითხოვდნენ ჩვენი სამწერლო საქმიანობის ძირეულ გარდაქმნას.

საქართველოს მწერალთა კავშირი კვლავ მოუწოდებდა ქართველ მწერლებს: „მობილიზაცია ვუყოთ მთელს ჩვენს ძალებს, ჩავაბათ მთელი აქტივი ამ საპროპაგანდო მუშაობაში! შორს არ არის ის დღე, როცა საბჭოთა ხალხები იზეიმებენ თავიანთ ძლევამოსილ გამარჯვებას კაცობრიობის უსაშინლეს მტერზე — ფაშისტ ბანდიტებზე და ქართველი მწერლებიც ვიამაყებთ იმის შეგნებით, რომ ჩვენც მთელი ჩვენი ენერგიით ვიყავით მონაწილენი დიდი სამამულო ომისა“.

მწერალთა კავშირი კვლავ მოაგონებდა მწერალს, რომ ის მოვალეა, იყოს აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი ორგანიზატორი ყოველგვარი თავდაცვითი ღონისძიებისა, სადაც კი საჭიროა მისი პროფესიული იარაღი — მხატვრული სიტყვა. ამისათვის მან უნდა გამოიყენოს გაზეთი, ჟურნალი, რადიო, საკლუბო სცენა, ესტრადა, აგიტურული.

ამ მიზნით საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა შექმნა სააგიტაციო და საპროპაგანდო განყოფილება. განყოფილებაში გაერთიანდა ყველა ჟანრობრივი სექციის მუშაობა. სააგიტაციო და საპროპაგანდო განყოფილების ბიუროში არჩეულ იქნენ: შ. დადიანი, ი. მოსაშვილი, ს. ჩიქოვანი (ბიუროს თავმჯდომარე), ს. ეული, და ს. წვერაევა (თავმჯდომარის მოადგილე).

ბიურომ საგრძნობლად გამოაცოცხლა მუშაობა. გახშირდა ანტიფაშისტური ლიტერატურული საღამოები. საქართველოს მწერალთა კავშირმა ერთ-ერთ სამხედრო ჰოსპიტალში მოაწყო დიდი ანტიფაშისტური ლიტერატურული საღამო. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ჰოსპიტლის უფროსმა პოლიტბელმა კრიტიკოსმა შალვა რადიანმა. მოხსენება თემაზე: „ფაშიზმი ცივილიზაციისა და პროგრესის უბოროტესი მტერია“ გააკეთა კრიტიკოსმა ბესო ჟღენტმა. მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა მწერალმა შალვა დადიანმა, თავიანთი ნაწარმოებები წაიკითხეს მწერლებმა ალ. მირცხულავამ, ს. ჩიქოვანმა, ი. გრიშაშვილმა, ალ. აბაშელმა, ბ. სერებრიაკოვმა, რ. ივნემა და სხვ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ და კლუბმა 13, 18 და 19 ოქტომბერს მოაწყეს ანტიფაშისტური ლიტერატურული საღამოები ჰოსპიტალში, კარლ მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში და მ. გორკის სახელობის კლუბში. 22 ოქტომბერს საქართველოს მწერალთა კავშირის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ ავჭალის კლუბში გამართა დიდი ანტიფაშისტური ლიტერა-

ტურული ფასიანი საღამო, რომლის მთელი შემოსავალიც თავდა-
ცვის სახალხო ფონდში შეიტანეს. საღამოზე მოხსენებით — „საბ-
ჭოთა ხალხების სამამულო ომი და ქართული მწერლობა“ გამოვი-
და კრიტიკოსი ბესო ჟღენტის.

ანალოგიური საღამო მოეწყო აგრეთვე სახელმწიფო უნი-
ვერსიტეტის კლუბში. ამ საღამოზე თბილისის მე-16 საშუალო
სკოლის მოსწავლეთა და მშობელთათვის თავიანთ ნაწარმოებებს.
კითხულობდნენ პოეტები: მ. პატარიძე, ს. ერთაწმინდელი, ი. ნო-
ნეშვილი, გ. კრეიტანი, ვ. გაბესკირია, ვ. ჟურული, მ. მიქელაძე
ს. ავჩიანი და სხვ.

მწერლებისა და ლიტერატურული ორგანიზაციების თანამშ-
რომელთა საერთო კრებამ 1941 წლის 10 ოქტომბერს, წითელი არ-
მიის მებრძოლთათვის თბილი ტანსაცმლის და საჩუქრების შეგრო-
ვების მიზნით, აირჩია სპეციალური კომისია (კომისიაში შედიოდნენ
შ. დადიანი, ლ. ქიაჩელი, ნ. ნაკაშიძე, ქ. ირემაძე, ნ. ჩაჩავა, მ. გა-
რიყული), რომელიც სისტემატურად აგროვებდა მებრძოლთათვის
საჩუქრებს. კომისია მართავდა აგრეთვე ფასიან საღამოებს, რო-
მელთა შემოსავალიც მთლიანად საზამთრო ტანსაცმლის შექმნას
ხმარდებოდა.

კომისიამ 1941 წლის 24 ნოემბერს მწერალთა კლუბში გამარ-
თა ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო. საღამო შესავალი სიტ-
ყვით გახსნა ირაკლი აბაშიძემ. ამ საღამოზე თავიანთი ნაწარმოებე-
ბი წაიკითხეს ქართველმა მწერლებმა.

ასეთი ანტიფაშისტური საღამოები მოეწყო აგრეთვე სოფელ
დილომსა და მარტყოფში — 1941 წლის 28 ნოემბერს. მთელი შე-
მოსავალი შეტანილ იქნა თავდაცვის სახალხო ფონდში. მოხსენე-
ბებითა და თავიანთი ნაწარმოებების კითხვით გამოვიდნენ მწერ-
ლები: გ. ქიქოძე, ალ. ქუთათელი, კ. კიჭინაძე, კ. სიმონოვი, ალ.
შენგელია.

ქართველი მწერლები თბილისიდან გავიდნენ რესპუბლიკის
რაიონებში. მწერალთა კავშირმა ქუთაისში, წყალტუბოსა და მია-
კოვსკში დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილი ლიტერატურული
საღამოების გასამართავად მიავლინა მწერალთა ბრიგადა ორდენო-
სანი მწერლების ლეო ქიაჩელის, ალიო მირცხულავას, სიმონ ჩი-
ქოვანის, დემნა შენგელიას, ირაკლი აბაშიძისა და კრიტიკოს ბე-
სო ჟღენტის შემადგენლობით.

11—16 დეკემბრამდე ბრიგადამ ქუთაისში, წყალტუბოსა და
მიაკოვსკში მოაწყო თორმეტი ლიტერატურული გამოსვლა. ქარ-
თველ მწერლებთან ერთად ამ გამოსვლებში მონაწილეობას ლებუ-

ლობდნენ უკრაინელი მწერალი კონდრატ სტარჩიკი და ახალგაზრდა ბელორუსი პოეტი მიხას კოლაჩინსკი.

მოხსენებებით — „საბჭოთა ხალხის დიადი სამამულო ომი“ და „ფაშიზმი კულტურის უბოროტესი მტერია“ — გამოდიოდა ბესო ჟლენტი. ლეო ქიაჩელმა ამ საღამოებზე წაიკითხა თავისი ნოველა „მამა და შვილი“, რომელმაც დამსწრეთა შორის ცხოველი ინტერესი გამოიწვია. პოეტებმა ალიო მირცხულავამ, სიმონ ჩიქოვანმა და ირაკლი აბაშიძემ წაიკითხეს თავიანთი ახალი ლექსები დიდი სამამულო ომის თემაზე. მათს გამოსვლებს დამსწრენი გულმხურვალედ ეგებებოდნენ.

ქართველი საბჭოთა მწერლების მთელი აქტივი სამხედრო წვრთნაში ჩაება.

მწერლობა განუყრელი დარჩა საბჭოთა ხალხისაგან. „საბჭოთა ინტელიგენციის მოწინავე რაზმი — მწერლობა მოწოდებულია თავის სამხედრო გაწვრთნით, სამხედრო მომზადების მაგალითი უჩვენოს თავდაცვა ჰეროიკუმიის რაზმებში ჩაბმულ ყოველ მოქალაქეს“. — ასეთ რჩევას აძლევდა საქართველოს მწერლების კავშირის პრეზიდიუმი მწერლებს.

„საბჭოთა პატრიოტი მეომარია, მეომრისთვის კი სავალდებულოა მკაცრი წესრიგი, სავალდებულოა ბრძანებათა შესრულება“. — წერდა მაშინ გაზეთი „პრავდა“.

„პრავდის“ ამ მოწოდების საპასუხოდ საქართველოს მწერლების კავშირმა წამოაყენა ლოზუნგი: — „ყველა მწერალი სამხედრო-სავალდებულო სწავლებაში“. ამ ლოზუნგის ქვეშ იგულისხმებოდა საბჭოთა ადამიანების აზრი და ეს ნაგულისხმევი ასე იყო გამოხატული: „გავხდეთ სრულფასოვანი მეომრები და საჭიროებისთანავე წავიდეთ დიად სამამულო ომის ფრონტზე, რომ იარაღით ხელში, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, დავიცვათ დედა-სამშობლო და ამით კიდევ უფრო მეტი ძალა და მნიშვნელობა მივცეთ სამშობლოს დაცვისაკენ მომწოდებელ ჩვენს სიტყვას“.

„დღე, ბარბაროსი მტრის იმ განადგურებაში, რომელიც მას ჩვენი მამაცი წითელი არმიისა და სახალხო ლაშქრისაგან მოელის, — წერდა გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ თავის მოწინავეში, — ქართველი საბჭოთა მწერლის მიერ გასროლილი ტყვია-ყუმბარაც მონაწილეობდეს“.

ყოველდღიურ პრესაში ქართველი საბჭოთა მწერალი უფრო ენერგიულად და ინტენსიურად თანამშრომლობდა, ვიდრე ომის წინა თვეებში. იგი ლექსით, მოთხრობით, ნარკვევით თუ პუბლიცისტური წერილით დროულად ეხმაურებოდა ყველა ფაქტს, რომელიც სამამულო ომთან იყო დაკავშირებული. ქართველი საბჭო-

თა მწერალი უფრო აქტიურად მონაწილეობდა რადიო-გადაცემებში, მუშაობდა მოკლემეტრაჟიან კინოფილმებზე, უშვებდა პატრიოტულ და ანტიფაშისტურ თემებზე დაწერილ ნაწარმოებთა კრებულებს, სისტემატურად აწყობდა ანტიფაშისტურ და პატრიოტულ საღამოებს, ადგენდა წარწერებს მხატვართა მიერ შესრულებული პატრიოტული პლაკატებისათვის, წერდა ანტიფაშისტურ სატირულ ნაწარმოებებს და სხვ. „ლახვარმა“, რომელიც თავის გესლიან ეპიგრამებსა თუ მწვავე პამფლეტებში, ფელეტონებსა თუ შარკებში სამარცხვინო ბოძზე აკრავდა გათავხედებულ მტერს, დიდი პოპულარობა მოიპოვა მკითხველ საზოგადოებაში.

ჩვენმა მწერლობამ, რომელიც ყოველთვის სახელოვნად იბრძოდა პარტიისა და მთავრობის მიერ დასმული ამოცანების შესასრულებლად, დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე მისცა თავის კალამს მტრისადმი დაუნდობელი მეომრის სიმამხილე, გადააქცია თავისი სტრიქონები ფაშიზმის განადგურებისათვის მომწოდებელ ძახილად. იგი ქართველ ხალხს აწვდიდა თავისი ისტორიული და თანამედროვე გმირების მხატვრულ პორტრეტს, ჩვენი გმირული წარსულის მოგონებით აღანთებდა ჩვენს ხალხში გმირულ სულს გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ, აცნობდა ჩვენს ხალხს დიდი სამამულო ომის მეომართა საგმირო საქმეებს, მხატვრულად გადასცემდა ჩვენი წითელი არმიის გმირული ბრძოლების დაუვიწყარ ეპიზოდებს. ქართველმა მწერლებმა მოკლე დროში დაწერეს არა ერთი და ორი სრულფასოვანი ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები, რომელნიც გავიდნენ ჩვენს ხალხში და რომელნიც დარჩნენ ქართულ ლიტერატურაში, როგორც მრისხანე დღეების მხატვრული სტრიქონები.

ასეთი იყო მხატვრული პროპაგანდის ის ფორმები, რომელთაც მიმართავდა ქართველი საბჭოთა მწერლობა მასების დასარაზმავად დიდი სამამულო ომის პირველ დღეებში.

მაგრამ ის, რაც ამ მიმართულებით გაკეთდა, ჯერ კიდევ არ იყო დამაკმაყოფილებელი. ამიტომ მწერალთა აქტივის კრებაზე, რომელიც 1941 წლის 29—30 ნოემბერს გაიმართა, მწვავედ იქნა დაყენებული საკითხი იმის შესახებ, რომ მწერლის მუშაობა უფრო მოქნილი და ელასტიური გამხდარიყო. ამას მოითხოვდა სამამულო ომისადმი მიძღვნილ მხატვრულ პროდუქციაზე ხალხის გაზრდილი მოთხოვნილება. მკითხველი საჭიროებდა მოკლე და სხარტ ნაწარმოებებს — პატრიოტული მგზნებარებით გამსჭვალულ ლექსს და მოთხრობას, ნარკვევს, პუბლიცისტურ წერილს საბჭოთა ხალხის გმირობაზე, როგორც ფრონტზე, ისე ზურგში. მკითხველი მოითხოვდა იუმორს, სატირას, ფელეტონს, რომელთაც მზის სი-

ნათლევზე გამოჰქონდათ მტრის იდეურ-მორალური უბადრუკობა და ამით აძლიერებდნენ მასების სიძულვილს ფაშისტი გარეწრებისადმი. აქტივის კრებამ მწერლისაგან მოითხოვა, მოემარჯვებინა მხატვრული შემოქმედების ისეთი ფორმები, რომელიც უფრო მეტ ეფექტს და ნაყოფს იძლეოდა.

„ყოველი ჩვენგანი, — ამბობდა ამ კრებაზე მომხსენებელი ირ. აბაშიძე, — ზუსტად და დროზე უნდა ასრულებდეს დაკვეთას, რომელსაც დღევანდელი დაძაბული მომენტი გვიკარნახებს. თავისი დღევანდელი მუშაობით მწერალი უნდა დაემსგავსოს წარმოების მუშას, რომელიც დღეს აორკეცებს და ასამკეცებს თავის ნაყოფიერებას, მუშაობის ტემპებს“.

ორატორები: ს. ჩიქოვანი, ს. ეული, ლ. ასათიანი, პ. კეშელავა, ვ. წულუკიძე, ლ. ავალიანი, ლ. ასათიანი, ს. შანშიაშვილი, აკ. გაწერელია, აკ. ბელიაშვილი, რ. გვეტაძე, კ. გამსახურდია და ბ. ქლენტი მკაცრად მოითხოვდნენ, რომ მწერალთა კავშირის ყოველ წევრს სრული დატვირთვით ემუშავნა არა მარტო როგორც მწერალს, არამედ, როგორც პროპაგანდისტსა და აგიტატორს, როგორც მომხსენებელსა და ლექტორს სამამულო ომისა და საერთაშორისო ვითარების საკითხებზე.

სამამულო ომის ფრონტზე უამრავი საბჭოთა მეომრის თავგანწირულება იმდენად დიადი და ამაღლევებელი იყო, რომ საბჭოთა მწერალი თავის უწმინდეს მოვალეობად სთვლიდა, პირველ ყოვლისა, გამოეხატა ხალხის მოწიწება სამამულო ომის გმირების წინაშე.

მაგრამ სწორი არ იქნებოდა, რომ ასეთივე მოწიწებით, პატივისცემით და სიყვარულით არ გამსჭვალულიყო საბჭოთა მწერალი იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ზურგში თავდადებით მუშაობდნენ და რომელთა ყოველდღიური საქმიანობა მოკლებული იყო გარეგნულ ბრწყინვალებას. როგორც ყოველი ჩვენი მოძმე რესპუბლიკის, ისე ორდენოსანი საქართველოს სინამდვილე, საქართველოს საწარმოებში და საკოლმეურნეო მინდვრებზე გაჩაღებული მუშაობა საბჭოთა მწერალს უღვევლ მასალას აძლევდა იმისათვის, რომ დაეწერა აღმაფრთოვანებელი ლექსი, მოთხრობა, ნარკვევი საბჭოთა ადამიანის შრომითს გმირობაზე, ყოველდღიურ შრომაში გამომეღავენებულ მის პატრიოტობაზე.

„დღე, ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე სამამულო ომის ფრონტის გმირების სახელებთან ერთად იხსენიებოდნენ ის უჩინარი ადამიანებიც, რომლებიც გაათკეცებული ენერგიით. იღვწიან ზურგში ჩვენი სასიქადულო არმიის გამარჯვებისათვის“. — წერდა გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“.

სამამულო ომის პირველ დღეებშივე ფრონტის ხაზს მიაშურეს საბჭოთა მწერლებმა და ჟურნალისტებმა, რომელთა სახელებსაც კარგად იცნობდა ჩვენი ქვეყნის უამრავი მკითხველი.

რუსმა პოეტებმა: ნ. ტიხონოვმა, კ. სიმონოვმა, ვ. სტავსკიმ, ა. ტვარდოვსკიმ, ა. სურკოვმა, პ. ანტოკოლსკიმ, მ. ისაკოვსკიმ და სხვებმა თავიანთი პოეზია მტრის წინააღმდეგ შემართეს.

პოეტი ალ. სურკოვი, რომლის საბრძოლო სიმღერებიც აღაფრთოვანებდნენ წითელი არმიის მეომრებს, ხშირად იმყოფებოდა მოქმედი არმიის მოწინავე პოზიციებზე. ფრონტის გაზეთში ქვეყნდებოდა მისი მებრძოლი ლექსები. სურკოვის ომისდროინდელი პოეზია იყო ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა ეწერა საბჭოთა პოეტს ასეთ მძიმე დღეებში:

აღსდექ, პოეტო! ჯარისკაცთა მწყობრში ჩადექი
და მოიხადე შენი ქვეყნის წინაშე ვალი! —

ასეთი იყო სურკოვის მოწოდება ომის დროს.

დასავლეთ ფრონტზე მოქმედი არმიის საფრონტო გაზეთებში აქტიურად მუშაობდნენ მწერლები ვ. კოჟევნიკოვი, ფ. ლევინი. ფრონტზე იმყოფებოდა ვიქტორ გოლცევი.

საქართველოს მწერალთა აქტივის ერთი ნაწილი უკვე წავიდა წითელ არმიას. მწერლები წავიდნენ პოლიტმუშაკებად. მეთაურებად საფრონტო გაზეთების თანამშრომლებად. ხოლო ახალგაზრდა მწერლების ერთ ნაწილს, რომელიც შეიარაღებულ ძალთა რიგებში იმყოფებოდა, როგორც სამხედრო ვალდებული, იქ მოუსწრო ომმა.

დიდი სამამულო ომის პირველი დღიდანვე იქნა გაწვეული წითელი არმიის რიგებში სახელმძღვანელო პოეტი ალექსანდრე გომიაშვილი. იგი კავკასიის ფრონტის სადესანტო ჯარებთან ერთად გადავიდა ქერჩის ნახევარკუნძულზე. იბრძოდა ყირიმის ფრონტზე. იყო დივიზიონის კომისარი. იგი ყირიმის ბრძოლების სახელოვანი მონაწილეა. პოეტი მეომარი ამაყობს იმით, რომ გმირი ხალხის შვილია. მისი წინაპრები მტერს პირისპირ ებრძოდნენ და არასოდეს შიშით უკან არ დაუხვეიათ. პოეტი სახელოვანი გმირის კვირიას (თუმცა იგი ლიტერატურული გმირია, მაგრამ ზოგადი სახეა თავდადებული ქართველისა) შთამომავალია. ისიც ისეთივე გაუტეხელი ვაჟაკია, როგორც კვირია. თოვლში, ყინვასა და ქარბუქში, ნისლიან თავრიდსა და ცეცხლში მოგუგუნე სევასტოპოლში მებრძოლი პოეტი წინაპრების ლანდებს ხედავს და მათი სიცოცხლის, ბრძოლისა და გამარჯვების ნათელი დღეებით გზა უნათდება:

თოვლი თოვს შემოდგომისა,
ტყემ ჩამოყარა ფოთოლი,

მიწაც ნისლშია თავრიდის,
გუგუნებს სევასტოპოლი...
მივდივარ ტრიალს მინდორზე,
როგორც კვირია თბოლი.

(„თოვლი თოვს“... 1942 წ., ყირიმი).

„ეს თვით ომის დღეებში შექმნილი მრისხანე სტრიქონებია. თვით ომის მრისხანე დღეებში შექმნილ სტრიქონებს კი სულ სხვა სურნელება აქვთ“ (ირ. აბაშიძე).

გამარჯვების ოცი წლისთავზე გამოცემულ კრებულში „მრისხანე წლების მოსაგონარად“ გომიაშვილის მხოლოდ ეს ექვსსტრიქონიანი ლექსი შევიდა, მაგრამ სრულიად საკმარისად გამოჩნდა მასში პოეტის მეომრული სახე.

ყირიმის ბრძოლების დღეებმა მაღალმხატვრული პოეტური ასახვა პოვა ალ. გომიაშვილის სხვა ლექსებშიც. პოეტი თავისი სანგრებიდან ხედავს მრისხანედ აღმართულ ბერ მყინვარს და ესმის თერგის ზარი და არწივების გამყივარი ხმა — მამულის დაცვის მძლავრი ძახილი:

ჩემი სანგრიდან ლაქვარდებში ყოველდღე ვხედავ,
როგორ მრისხანედ აღმართულა ბერი მყინვარი. —
და მესმის აქაც, ყურღანებში მოხვევ მხედარს
თერგის ზარი და არწივების ხმა გამყივარი:
— ქართველო ხელი ხმალს იყარო! — გრიალებს ველად...

დაჰკრეს ნაღარა. ბრძოლისაკენ მიმიწვეს გული,
გული ნათელი ისევ სუნთქავს სროლის ხმაზედა, —
არა, არ არის — ესრედ ტკბილი სხვა სიყვარული,
ვიდრე მამულის სიყვარული ქვეყანაზედა.

(„შეტევის ხმაში ტყვიისფერი ლაქვარი
ლეღავს“, 1943 წლის სექტემბერი).

ყურღანებში დადის პოეტის „ქარიშხლიანი ღირსების და სახელის ლალი ოცნება“, ვარსკვლავიან ზეცას არმადები სერავენ, მიწას საბჭოეთის ნაღმსატყორცნები თხრიან. და მერე სიწყნარე ჩამოვარდება. „გამქრალ მზის თვალებს ღამის წყვდიადში გადაეყვრა შავი ღრუბლები“. პოეტი უცქერს თავის მთებს — კავკასიის მაღალ მწვერვალებს და ფიქრით ისევ საქართველოს ესაუბრება. პოეტს აუსრულდა მოწყურებული სურვილი, თუმცა გვიან, 1946 წელს, მაგრამ მაინც დაუბრუნდა მშობლიურ მთებს, საყვარელ საქართველოს, შორიდან მხოლოდ ფიქრით რომ ესაუბრებოდა.

ომის დაწყების პირველ დღეებში გაიწვიეს საარმიო გაზეთში („გეროი როდინი“) მწერლად (მაშინ იყო ასეთი თანამდებობა,

ითვლებოდა როგორც სამხედრო კორესპონდენტი) გამოჩენილი ქართველი მწერალი დემნა შენგელაია. საარმიო გაზეთში იბეჭდებოდა შენგელაიას მხატვრული ნარკვევები და მოთხრობები.

სამამულო ომის პირველ დღეებში ფრონტზე წავიდა ცნობილი მწერალი გიორგი ნატროშვილი.

გ. ნატროშვილი 1942 წლის აპრილამდე იბრძოდა დასავლეთის ფრონტზე სმოლენსკის მიმართულებით, 1942 წლის აპრილს, ფეხში დაჭრილი, დაბრუნდა საქართველოში.

გ. ნატროშვილი, როგორც უფროსი ლეიტენანტი, უშუალოდ ლებულობდა მონაწილეობას ბრძოლებში. შემდეგ კი ფრონტზე მიღებულ შთაბეჭდილებების მიხედვით მან დაწერა და გამოაქვეყნა მოთხრობების წიგნი „დასავლეთის ფრონტზე“. ეს წიგნი მნიშვნელოვანი შენაძენია ქართულ ლიტერატურაში დიდი სამამულო ომის თემაზე დაწერილ პროზაულ ნაწარმოებთა შორის.

ომმა ქართველი მხედრების ბრძოლის მემკვიდრე აქცია მწერალი კონსტანტინე ლორთქიფანიძე. იგი 1942 წელს წავიდა საბჭოთა არმიის რიგებში, როგორც ყირიმის ფრონტის წითელ-არმიული გაზეთის ორგანიზატორ-კორესპონდენტი. იყო „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი, „იზვესტიას“, „ზარია ვოსტოკას“, „ლიტერატურა და ხელოვნების“, „კრასნი კრიმის“ კორესპონდენტი. იყო აგრეთვე უახლოესი თანამშრომელი ცალკე ზღვისპირეთის არმიის საფრონტო გაზეთისა „წინ, სამშობლოსათვის“.

კონსტანტინე ლორთქიფანიძეს ეს დაძაბული მუშაობა შეაძლებინა იმ დიდმა ძალამ, რასაც სამშობლოს სიყვარული ჰქვია. მხოლოდ ამ ძალას შეეძლო ერთიათად ექცია ადამიანის შესაძლებლობა და ამიტომ იყო, რომ უამრავი შთაბეჭდილებებით დატვირთულმა მწერალმა თავის თვალთ ნანახი და საკუთარი გრძნობით განცდილი ამბები ჩამოაყალიბა ერთ მთლიან მხატვრულ მკვიდრად და მომავალ თაობებს წინ დაუდო იგი, როგორც ჩვენი ერის ისტორიის ბრწყინვალე ფურცელი, სადაც საინტერესოდ არის წარმოდგენილი კავკასიის მისადგომებზე, ყუბანის ველებსა და ყირიმის მიდამოებში ქართველ ვაჟკაცთა საბრძოლო ცხოვრების დამახასიათებელი ეპიზოდები.

1942 წელს გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში მწერალი ელიზბარ ზედგენიძე, სადაც მან დაყო 1946 წლამდე. იყო ქერჩსა და სევასტოპოლში ფრონტული გაზეთის „ლენინის დროშით“ და მეტოქემეტე საავიაციო არმიის ორგანოს „ოტვაგას“ სპეცკორესპონდენტი. წერდა ნარკვევებს და სტატიებს საბრძოლო ცხოვრებიდან.

ყირიმის საფრონტო გაზეთში მოღვაწეობდა ნიკიერ პოეტი რევაზ მარგიანი. გაზეთ „მედგარი შეტევის“ ისტორია მხოლოდ ოთ-

ხი თვით განისაზღვრება, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მებრძოლთა საკმაო სიყვარული დაიმსახურა.

აქ დაწერა მარგიანმა ლექსი „ყირიმისათვის მებრძოლ ქართველებს“. ამ ლექსის მგზნებარე სტრიქონებში ქართველი მებრძოლები კითხულობდნენ საქართველოს დიდ ისტორიას, უბრალო; მაგრამ თბილ სიტყვაში თითქოს მამა-პაპათა სისხლი მჩქეფარებდა.

ყირიმის ქარი გრიალებს, სჩანს მტრისკენ გადასახედი,

აქაც ხომ ჩვენი მიწაა, ჩვენი ქართლი და კახეთი!

მამული ვიხსნათ, ბიჭებო, ყველა ხალხს გვაწევს

ვაღადა,

დავაგუგუნოთ ძლიერი ჩვენი „ეაშა“ და „ვარადა“!

ყირიმის ფრონტზე იბრძოდა 143-ე სადესანტო პოლკი, რომლის მეთაური იყო ჯერ მაიორი ლეეკოვიჩი, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ — კომისარი აკაკი გიორგაძე. ერთ-ერთი ბრძოლის დროს ქერჩის მისადგომებთან, სოფ. ბულგანაკთან შეტევის დროს, გმირულად დაიღუპა კომისარი გიორგაძე. საყვარელი მეთაურის დაღუპვამ შურისძიებით აღაგზნო მებრძოლები. მათ ჯაჭვი იყარეს ვერაგ მტერზე — მტრის გვაშებით მოფინეს ბულგანაკის მიღამოები.

სახელოვანი მეთაურის აკაკი გიორგაძის გმირობას ლექსი მიუძღვნა პოეტმა რევაზ მარგიანმა. ლექსი დაიბეჭდა გაზეთ „მედგარი შეტევის“ 1942 წლის 17 მარტის (№26) ნომერში. შემდეგ ეს ლექსი — „კომისარი გიორგაძე“ იქვე დაიბეჭდა ცალკე ბროშურად. ამ ვრცელ ლექსში მოთხრობილია გიორგაძის ერთი საბრძოლო ეპიზოდი და ამ ბრძოლაში მისი მამაცობის დამახასიათებელი დეტალები. გიორგაძის სიტყვები: „ყველაფერი: შენი ძალა, შენი სიყვარული უნდა შენს ხალხს ანაცვალო, შენის წრფელის გულით“, — იყო ომში გმირულად დაღუპული ვაჟკაცის სიტყვები.

როცა მოვა გაზაფხული, კვირტი გახსნის თვალებს,

როცა ახლად გაიღვიძებს ხუნდშეხსნილი მხარე,

ამ მხარეში შეხედავენ საქართველოს ქალებს.

მოვლენ ჩვენი ჩონგურების უნაზესი ხმებით,

მოვლენ მზიან საქართველოს ფერის ყვაილებით —

ამხანაგი გიორგაძის სიყრმის ღობილები.

(„კომისარი გიორგაძე“).

მოქმედ არმიაში მყოფი ქართველი მწერლები თავიანთი თვალით ხედავდნენ ყირიმის გადამწვარ სოფლებს და ქალაქებს, ნაწამებ ხალხს.

ასეთ დროს საბრძოლო ნალარად გაისმოდა ფრონტზე მყოფი პოეტის რევაზ მარგიანის ხმა. მწერლის შემოქმედებითს წარმატებას განსაზღვრავს მისი გაცდა. მისი სიტყვა მაშინ არის მოკლებული ყალბ „ლადადს“, როცა იგი უშუალოდ განიცდის, ხოლო მკითხველი მაშინ მიიტანს მას გულთან, როცა ლექსი ბუნებრივი და უშუალოა, გულწრფელი და ძალდაუტანებელია.

მოვისმინოთ რევაზ მარგიანის ბრძოლის უჩინო აღგზნებული ლექსი — სიმღერა:

თავისუფლებით სუნთქავდეს ჩვენი კერა და ქალაბი,
ჩვენს მიწას მკერდით ვეფაროთ, მტერს არ დაუთმოთ
ალაბიცი!

— ბიჭებო, ზქვენი ჰირიმე, მაისმა გამახალისა,
ისევ მომესმა ჟღრიალი თქვენი ხმლისა და ფარისა.
წინ მივალთ! ვინ შეგვაჩერებს? იმედი გვექონდეს
ხვალისა...

რევაზ მარგიანმა დიდი ღვაწლი დასდო გაზეთ „ყირიმის საბრძოლოს“. იგი საფრონტო გაზეთში, ორიგინალურ ლექსებთან ერთად, აქვეყნებდა ყირიმის ფრონტზე მყოფი პოეტების ილია სელვინსკის, რასულ რზას, ა. ფარბერის და ი. ორატოვსკის ლექსების ქართულ თარგმანებს.

ზემოთ ხსენებულმა პოეტებმა შექმნეს ყირიმის პარტიზანთა სიმღერა — მარში.

აი, წერილი, რომელიც მათ გაუგზავნეს გაზეთ „ყირიმის პარტიზანის“ რედაქციას:

„ძვირფასო ამხანაგებო!

თქვენს გაზეთში წავიკითხეთ ცნობა იმის შესახებ, რომ გამოვიცხადებიათ კონკურსი ყირიმის პარტიზანთა სიმღერა — მარშზე. ჩვენ, ყირიმის ფრონტის პოეტები, მხურვალედ მივესალმებით თქვენს ინიციატივას და ვებმებით კონკურსში.

დაე, ჩვენს მიერ შექმნილი საუკეთესო სიმღერები აღაფრთოვანებდეს სახალხო შურისმგებლებს ახალი მამაცობისათვის და თვითეული თავისი სიტყვით შთააგონებდეს მათ, რომ მთელი ქვეყანა სიამაყის გრძობით აღევნებს თვალყურს მათს შესანიშნავ საბრძოლო ცხოვრებას საძულველი მტრის ზურგში.

გაუმარჯოს ყირიმის პარტიზანებს!

ილია სელვინსკი, რასულ რზა, რევაზ მარგიანი,
ა. ფარბერი, ი. ორატოვსკი.

მოქმედი არმია“.

პოეტმა ირაკლი აბაშიძემ ყირიმის ფრონტზე მებრძოლ ქართველ ვაჟკაცებთან მიღებული შთაბეჭდილებებით შექმნა პატრიოტული მგზნებარებით გამსჭვალული ლექსები „პორიზონტზე იწვოდა მესსერშიმიტი“ (მიუძღვნა მწერალ ალექსანდრე სულავას, რომელიც მაშინ ყირიმის ფრონტზე იბრძოდა), „მრისხანე ცხრაასორმოცდაორი“, „შეტევის წინ“, „ალექსანდრე კერესელიძე“, „შენ კვლავ ცოცხალ ხარ?“

ირ. აბაშიძე საინტერესოდ ხატავს ბრძოლის ეპიზოდებს, მკაფიო ფერებში გვიჩვენებს მტრის თავდასხმის საშინელებასა და წითელი არმიის საპასუხო საბრძოლო გმირობის მომენტს.

„ალექსანდრე კერესელიძე“ პატარა პოემა უფროა, ვიდრე ლექსი. ასეთი სიუჟეტური ხასიათის ლექსები, რომლის შესახებაც ხშირად ესაუბრებოდა ხოლმე ირ. აბაშიძე პოეტებს, როგორც საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე და როგორც მეგობარი პოეტი, მის შემოქმედებაში გარკვეულ ადგილს იკავებს.

1942 წელს ყირიმსა და ქერხში იბრძოდა პოეტი ლაღო სულაბერიძე. მებრძოლთა რიგებში იგი ომის დაწყებისთანავე ჩადგა. ომში მიმავალი პოეტის განცდები დიდი და ამაღელვებელი იყო:

ფანჯრიდან ვხედავ, როგორ ვშორდები
სადგურს და დედას... შორს კი მთებია,
და მე მგონია. რომ ის კორდები,
მე მიეღივარ და თან მიმყვებიან.

(„განშორება“, 1941 წ.).

1942 წელს პოეტი ყირიმშია, იგონებს მშობლიურ იმერეთს, ბრძოლის დაძაბულ მომენტში ხომ მშობლის, მშობლიური მიწა-წყლის, სატრფოს მოგონებით მიდიოდნენ მებრძოლები მტერთან საოპრად, თოვს ყირიმში და ალბათ იმერეთშიც თოვლი მოდის. დედა და ბუხარი ალბათ ღამეს ათევენ მებრძოლის ნატკრაში.

მე კი... შორს ვარ... ფრთაფარფატა ფანტელები
თოფის ლულას ადნებიან ცახცახითა.
ისევ ვდგავარ მე ცხრა ღამე ნათენები,
ცხრა წლის ღამეც ყოფილიყო, არ წამხრიდა.

(„თოვლი“, 1942 წ.).

მაგრამ ცხარე ბრძოლებია. პოეტის ეს მოგონება იქნებ მოგონებად დარჩეს და ვერასდროს იხილოს მშობლიური იმერეთი.

ხვალ ცხარე ბრძოლა იქნება ალბათ,
იქნებ დამგლიჯოს საღმე ყუმბარამ,

არაინ გეტყვის შერე ჩემს ამბავს
და ველარ მოგწერ ვერასდროს ბარათს.

(„უმისამართო წერილი“, 1942 წ.).

წერს პოეტი სატრფოს, მაგრამ არც კი იცის, მიუვა თუ არა ეს წერილი ადრესატს.

საინტერესოდ აღწერს პოეტი ომის ერთ პატარა ეპიზოდს. მთელ თვეს თაკარა სიცხე ჩამოდგა ბრძოლის ველზე. თითქოს ზღვაც აღუღლდა... და წვიმა დაიწყო:

და ომის ცეცხლში გარუჯულა ხე,
და მოწყენილა, გაგვრიდებია...
აქ მხოლოდ მაღლა შემართულები,
წვიმაში ცოტას გაგრილდებთან
ქვემეხების და თოფის ლულებო.

(„წვიმაში“, 1942 წ.)

ასეთი პატარა და მოხდენილი ლექსებით დაამშვენა მეომარმა პოეტმა ლადო სულაბერიძემ სამამულო ომის პოეზია.

მოქმედ არმიაში 1941 წლიდან იყო პოეტი სევერიან ისიანი. მისი საბრძოლო გზა ყირიმში დაიწყო. ბრძოლით მოიარა ყუბანი, უკრაინის ველები, ბელორუსიის ტყეები. მებრძოლი პოეტის „საველე ჩანთაში, კომისრის ინვენტართან ერთად, ლირიკულ-პატრიოტული ლექსების ხელნაწერებიც ეწყო“. — წერდა გ. ჯიბლაძე. ს. ისიანი ფრონტზე დაიღუპა, დასაფლავებულია ბრიანსკში ძმათა სასაფლაოზე.

ფრონტზე მიმავალი პოეტი სამშობლოს ეფიცებოდა:

შენს დაძახილზე თუ არ ავენთო, —
გამრისხებია მიწა მშობელი,
შენი მზე არის უდასავლეთო,
და გაზაფხული დაუქკნობელი

(„სამშობლო“).

უდასავლეთო და დაუქკნობელი სამშობლოს დიდებისა და სახელისათვის პირველი კრილობის შემდეგ ხელმეორედ ფრონტზე მიმავალი პოეტი ეთხოვება მშობლიურ თბილისს. ბნელა, მაგრამ ის ბნელშიც ხედავს: როგორ თვლემს კრწანისის ველი — ბრძოლებში დადლილი მიწა, ქალაქში როგორ დადის შოთას ლანდი, ღრუბელმა როგორ შეჰბურა მთაწმინდის მიწა დასაფიცარი, საფლავში როგორ „ბორგავს ბარათაშვილი — ცეცხლმოდებული ლექსის გენია“ — ქალაქის ფიქრი ერთია, „ერთია მისი გულის იარა: ამ კედლებს იქით.

იმ კედლებს იქით მტრის შესამუსრად სკედენ იარაღს“. მაგრამ პოეტის ღრმა რწმენით, მრავალ ავდარში გამოვლილი თბილისი, რომელსაც ბევრჯერ „ჭკონია ზეცა ცეცხლის მთოველი“, სააკაძის ქვეყნის გულია და აქ „მტერს ეკვეთება ბუჩქიც ყოველი“. პოეტს არ შეუძლია „კალმის და წიგნის კაცად დარჩენა“. რადგან „ცაში ცეცხლია ლაქვარდის ნაცვლად და ყუმბარებით მთები იძვრიაან“.

მე თქვენს სიმწვანეს, მშობელო მთებო,
შემეძლოს, — მკერდში დავიმარხავდი,
ჩემო ქალარა გოლიათებო,
ნახვამდის!

სამამულო ომის თემა პოეტისათვის დაუშრეტელი ზღვაა, ეს მით უმეტეს, მებრძოლი პოეტისათვის, რომელსაც ომმა სამჯერ კრილობაც არ აკმარა და საბოლოოდ ლექსით ანთებული შუქიც ჩაუქრო.

პოეტი უმღერის ლურჯას, რომელიც დაქრილ მებრძოლს სიყვარულით დასცქეროდა, თითქოს სტკიოდა მისი კრილობა:

ქაფიან ნაპირს მოადგა ნავი
და ჩვენ დავშორდით ერთმანეთს მალე.
შენი ჭიხვინი გულშემზარავი
მომავონდება და შაერიალებს.

პოეტი მრავალ განშორებას მოესწრო. „მე განშორებას ბევრს მოვესწარი, — ასე წავიდა ჩემი ცხოვრება“. იგი გაამოეთხოვა ქალარა დედას, საყვარელ მეუღლეს და მეგობარს, თავის ერთადერთი ვაჟის — თამაზის საფლავის მიწას:... „მაგრამ ისეთი ძნელი და მწარე მაინც არ მახსოვს მე განშორება“, — მიმართავს პოეტი ლურჯას („ჩემს ლურჯას“, 1942 წ.).

ლურჯას დაშორდა დაქრილი პოეტი, მაგრამ იმედოვნებს, მალე შეხვდებიან ერთმანეთს „ტყვიის წვიმაში გამოვლილები“.

კვლავ დაგიოცნი ჰკვიანურ თვლებს
და ღუშმანს რისხვად მოვევლინებით!

ასეთ პატარა სიუჟეტთან ლექსებს ცვლის ომახიანი შეძახილი, საბრძოლო ყიყინით აღვზნებული ლექსი:

დაქარ! — გვეძახის ველი ვრცელი,
მოაქვს ძახილი მშობლიურ ქარებს.
ბრძოლის ველიდან გამოქცეული
მოკვდება, მიწა არ მთიბარებს.

დაქარ! — მონურად ქედმოხრილობას
საძმო საფლავში სჯობია წოლა.

ასეთივე მგზნებარე მოწოდება ისმის ლექსში „გაანადგურე“.
სევერიან ისიანის არც ერთი სიტყვა ყალბი არ არის. ომმა
შეიწირა მისი ოჯახი. მოუკვდა ერთადერთი შვილი, საყვარელი
დედა და მეუღლე. ბოლოს თვითონაც სამუდამოდ მიიძინა ბრიანს-
კის ტყვიით გადახნულ მიწაზე. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ:

ღილით, ხვეიდან ამოსული აქ ნისლი ტირის.
მოხუცი დედა აქ ვერ მოვა, რომ ნახოს შვილი,
თავს მხოლოდ ძეწნა დასდგომია თმებჩამოშლილი.

ასე მღუმარედ განისვენებს ამაყი გმირი.
მიწაში ჩარჩა, მზის ნათელი აღარ ეღირსა,
მაგრამ ნათელი დასციმციმებს უკვდავებისა.

(„უკვდავების ნათელი“).

ყირიმის ფრონტზე იბრძოდა ახალგაზრდა პოეტი გიორგი ნა-
ფეტვარიძე. პოეტის ფრონტულ წერილებში კვითხულობთ საოცარ-
ი ინტუიციით დაწერილ სტრიქონებს: „ომი დამთავრდება, —
წერს თავის მეგობარს პოეტი, — ჩვენ გავიმარჯვებთ. გამარჯვებუ-
ლები დაბრუნდებიან და დაიწყებენ ცხოვრებას. მათ ექნებათ ახა-
ლი სახე, მაგარი კუნთები, კუჭი, რომელსაც ქვის მონელება შეეძ-
ლება, ისინი არ გახდებიან ავად გრიპით, არ ეცოდინებათ, რა
არის მოწყენა, მოყვებიან ამბებს ომზე და არავენ დაიჭერებს მათ
თავგადასავალს, ეს ასე იქნება უსათუოდ“.

ო, მაპატიე, და სთხოვე გამჩენს,
გრივალი ჩადევს, გამოიდაროს,
ვინ იცის, იქნებ ცოცხალი დავრჩე
და შენი გული ჩამოგიტანო!

(1942 წლის 3 აპრილი).

გამჩენის იმედით ფრიცებმა იარონო, ხუმრობით განაგრძობს
პოეტი.

ხუთ თვეს იყო ფრონტზე პოეტი. მეექვსე თვეს — მაისის მრის-
ხანე დღეებში იგი ბრძოლის ველზე დაიღუპა, რომელსაც ის-ის იყო
ოცდაოთხი წელი შეუსრულდა. ხოლო დაღუპვამდე რამდენიმე
ღლით აღრე ნაფეტვარიძემ ზოია კოსმოდემიანსკაიას მიუძღვნა
ლექსი „გმირი — ზოია (ტანია) კოსმოდემიანსკაიას“ (გაზეთი „ყი-
რიმის საბრძოლო“, 1942 წ.; 2 მაისი, № 67). გმირები არ კვდებიან.
პოეტმა ეს კარგად იცის. „ფრონტზე დაქროდა მისი სახელი (ლა-

პარაკია ზოიაზე, ე. ბ.) ატაცებული დროშების ჯარით!“ მან იქვე დაწერა მოთხრობა „ბაბუა ხაილოს შვილიშვილი“, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1942 წლის 23 მაისის ნომერში (№21).

პოეტს მეტის თქმა უნდოდა, მეტის დაწერა სურდა, თუმცა, როგორც თვითონ ამბობდა, ფრონტზე „სიტყვებით ღარიბია ენა, ყველაფრის გადმოცემა არ ხერხდება, ხოლო რასაც გრძნობ, იგი სრულად არასდროს არ ჩაეტევა წინადადებაში“, მაგრამ უმუხთლად მტრის ტყვიამ: ადრე გააგდებინა ხელიდან კალამი. ლექსი „გმირი“ სევასტოპოლშია დაწერილი. პოეტი სევასტოპოლის განთავისუფლებას ვერ მოესწრო.

ყირიმის ბრძოლებში მონაწილეობდა ახალგაზრდა პოეტი სანდრო ჟღენტის. მისი ლექსები სისტემატურად იბეჭდებოდა 414 გვარდიული დივიზიის გაზეთ „სამშობლოს დამცველში“. პოეტი მიმართავს შაშხანას:

ახლაც კაბუჯურ ფიქრით აშლილი,
შენთან მოვსულვარ მხედრული ფიცით;
ჩვენ სიხარულის გრძნობით ავსილი,
გვიხმობს ლაქვარდი შშობლიურ მიწის.

სამშობლოს მიწის ძახილმა მეომარი პოეტი ყირიმში ჩაიყვანა.

მტერს შური ვუგოთ, ცეცხლის გრიგალით
ვაკაოთ გული ამხანაგური,
თუნდაც დაბნელდეს ბრძოლაში თვალი
უკანასკნელი სისხლის ნაეურთ.

სანდრო ჟღენტმა ბრძოლებით გაიარა მთელი ჩრდილო კავკასია, კრასნოდარის მხარე, ტამანის ნახევარკუნძული, ქერჩის სრუტე, ყირიმის მიწა-წყალი და სანგარში დაწერილი უკანასკნელი ლექსით „ფიცი სამშობლოს“ დაამთავრა თავისი პოეტური მოღვაწეობა: 1943 წლის 23 თებერვალს გმირის სიკვდილით დაეცა პოეტი-ჯარისკაცი ყუბანის მიწაზე, მაგრამ აქ არ დამთავრებულა მისი სიცოცხლე. სიცოცხლე განაგრძეს მისმა ლექსებმა.

ომმა შეიარაღებულ ძალთა რიგებში მოუხსრო ნიჭიერ ახალგაზრდა პოეტს მირზა გელოვანს. იგი სამხედრო-სავალდებულო სამსახურის მოსახდელად 1939 წელს წავიდა. მან პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღო ჯერ კიდევ 1940 წელს, როცა წითელი არმიის ნაწილებმა გაათავისუფლეს ბესარაბია. გელოვანი ომის პირველი დღეებიდანვე ფრონტზე იყო. მან, როგორც პოეტმა და მებრძოლმა მეთაურმა (ჰქონდა უფროსი ლეიტენანტის წოდება) მონაწილეობა მიიღო მოსკოვისა და ლენინგრადის დაცვაში, უკრაინისა

და ბელორუსიის სოფლებისა და ქალაქების განთავისუფლებაში. იგი დაიღუპა 1944 წლის ივლისში. დაკრძალულია ბელორუსიის სსრ-ვიტებსკის ოლქის ბეშენკოვიჩის რაიონის სოფლების რეავეკის და სანიკის მახლობლად, მდინარე დასავლეთ დვინის ნაპირზე, დიდი სამამულო ომში დაღუპული მეომრების ძმათა სასაფლაოზე.

მირზა გელოვანის შემოქმედების თემატიკა არ განირჩეოდა სხვა მის თანამოკალმე ფრონტელი პოეტების თემატიკისაგან. მხოლოდ თვით მისი პოეტური ნიჭი და გემოვნება იყო, რომ ამ თემატიკას სულ სხვა სიტბოს აძლევდა, საკუთარ პოეტურ სამყაროში დაღუღებულ სიტყვას რომ არწივის ფრთებით მიაფრენდა პოეზიის ვრცელ ცაზე.

ვარ ერთი ვინმე, ცასავით სუფთა
და ცაზე ვრცელი გულის პატრონი.

წერდა პოეტი სანგარში. და ამ სუფთა და ვრცელი გულის პატრონი პოეტი, ომამდე ჯერ კიდევ ერთი წლით ადრე, ყველას სთხოვდა:

...
- უარი ყველას... სიყვარული ერთს ათასიდან.
ვინც უკვდავებას, როგორც ხვითოს ქვეყნად აფასებს,
დალიეთ ღვინო ჩემი თასიდან.

ეს იყო პოეტური სულით სავსე თასი, რომლის მხნე, რწმენით აღგზნებულ სიელვარეში იღუმალი სევდით, დაუვიწყარი საღამოებით გამოწვეული დარდი იყო გარეული. ეს საღამოები პოეტის ახალგაზრდულ ფიქრთა თეთრი საღამოები იყო, პოეტი რომ სიყვარულზე, ცხოვრების ცისკარზე ოცნებობდა, რომელიც ფიქრიან საღამოებს თან მოსდევს ხოლმე. ეს არ იყო პოეტის უიმედო განწყობის სათავე, არამედ ეს იყო დიდი მერმისის საძირკველი, რაზედაც უნდა აგებულყო სიცოცხლის დიდი შენობა.

არ მავიწყდება, როგორც ქარები,
გარდასულ დღეთა ლეგა ფურცლები.
იცვალენ ყველა შემოგარენი,
საღამოები დარჩნენ უცვლელი.

მაგრამ ომმა შეცვალა ეს საღამოები და დღეები. პოეტი ნიკელი არსებით ჩაება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. მას სიკვდილისა არ ეშინია:

რომ მოგვადე, ვიცი, ბრძოლაში ნაწრთობს
მტრის სიძულვილი გამახალისებს.

პოეტი საკუთარ თავს და სხვასაც იმით ამხნევებს, რომ ომის დროს არავის უშველის სიკვდილის გამო შეკრთომა:

სიკვდილისაგან შენ ვერა გიხსნის,
თვითონ სიკვდილი თუ არა სძლიე.

მირზა გელოვანი თანდათან გამოიწრთო ბრძოლებში. მისი სული რკინაზე მაგარი და ცაზე მაღალი გახდა. მან ხომ იცოდა, რომ ვინც ომში წავიდოდა, ყველა ვერ დაბრუნდებოდა, მაგრამ სატრფოს იმედით საესე წერილებით ამხნევებდა:

მე დავბრუნდები, ტკივილებს წაშლი,
ოღონდ მოსელამდის, ოღონდ ბოლომდის,
როგორც გაზაფხულს ელიან მთაში, —
შენი ლამაზი გული შელოდეს.

შევეყრი შეგობრებს, მაღალ მაყრიონს.
ორღობეებში გასროლას დოღის,
ზეცის ჩამოხსნას, მთების შერყევას
ჭიღოდ მოვეუტან ბრწყინვალე ლოღინს.

... და ქორწილს ზეცის სუფრაზე გავშლი...

(„ლოღინი“, 1942 წ., ფრონტი).

მაგრამ პოეტი ომმა უცნობი გზით გააქანა, სატრფო შორს დარჩა, ცასავით შორს და დაბრუნების დაპირება მრისხანე დღეებმა გაანადგურეს.

და საღმე ტყვია თუ გააციებს
გულს საშინელი განადგურებით,
თქვენ მაპატიეთ, ო, მაპატიეთ,
დანაშაული არ დაბრუნების.

(„ო, მაპატიეთ“, 1942 წ., ფრონტი).

პოეტი იცავს სამშობლოს, თავის ლამაზ საქართველოს, რომლის ყოველი განხსენებაც მას ურუოლას ჰგვრის, რადგან ზოგჯერ დიდმა სიხარულმა დიდი განცდები იცის და ამ განცდის გაღმომცემას ძალა უნდა. ეს ძალა პოეტს ახლა არ ყოფნის იმ უღრმესი სიყვარულის გამო, რასაც იგი სამშობლოს მხრივ განიცდის.

ნუ მწერ, რომ ბაღში აყუვედა ნუში,
რომ მთაწმინდაზე ცა დაწვა თითქოს,
რომ საქართველო ამ გაზაფხულში,
როგორც ყოველთვის წააგავს ხვითოს.

(„ნუ მწერ“... 1943 წ., პრიჩისტიე).

მირზა გელოვანი ის მებრძოლია, „ვინც იარაღთან მივიდა ბავშვი და ახლა შუბლზე ითვლის ნაოქებს“. პოეტს, როგორც თვითონ ამბობს, არ დაბრუნება არ ეძნელება, მაგრამ მისთვის ძნელია სატრფოზე წუხილი იმიტომ კი არა, „რომ სიყვარული იყო პირველი, იყო უთქმელი“... არა, „სისხლიან ჩრდილში მწვავე ბრძოლებს“ აგონებდა იგი, „როგორც იმედი წარსულთა დღეთა განმეორების“.

და ფრონტზე მყოფ პოეტს, ადრე რომ წერდა: დღეს ჩემი იყო საღამოს მწუხრი, ხვალ იქნებ ჩემთვის არც ირიყრაქოსო, ახლა, როცა უკვე თითქმის სამი წლის ბრძოლით გაკაჟდა, ისევ მოევიწინა ფიქრიანი ლამეები, მაგრამ არა იმგვარად, როგორც ოდესღაც.

დადგება მხრებთან თეთრი საღამო
და, როგორც თრთოლვა, წუთით გრძელდება;
მაღალ ფიქრებთან ვდგევარ მაღალი
და სიმაღლეში გაძითეხდება.

(„დადგება მხრებთან“..., 1944 წელი, ფრონტი).

მირზა გელოვანს მართლაც „სიმაღლეში“ გაუთენდა ის ლამე, სამხრეთში რომ მხრებზე დაიდგა და ჩრდილოეთში გულით წაიღო, ახლა ადგება „ადამიანივით და შუადღისას გზაში“ ეფერება დიდების სიმაღლისაკენ გაფრენილ პოეტს. ცხოვრების შუადღისას კი არ დაცემულა პოეტი, იგი დაეცა დღის გარიყრაქზე (27 წლის ასაკში), როგორც გმირი და აღსდგა, როგორც გმირიც და პოეტიც.

ჰკითხეთ ქარს, ეგებ მან გაიამბოთ ჩემი სიკვდილი
და უცნაური დაბადება ჩემი გაიამბოთ.
მე გამარჯვება დამაბრუნებს თქვენთან, სწორებთან,
მე გამარჯვება გადამიყვანს მთებზე, ქედებზე.
ყოველი წვიმა თქვენს მღუმარე ცრემლს მაგონებდა
და ის ცრემლები გამარჯვების გზებს მიქვებდნენ.

(„დედას“, 1943 წ., ფრონტი).

ბრძოლაში დაცემული პოეტის საფლავი, როგორც უკვე ცნობილია, დიდხანს, თითქმის ოცი წელი, მის თანამემამულეთათვის არ იყო მიკვლეული. ახლა ჩვენ შეგვიძლია მირზაზე გავიმეოროთ მისივე სიტყვები:

როდესაც რკინა ტყვიამ დაქნდა,
როცა ასწიეს ფრთები ანძებმა,
საძმო საფლავში იწექ ნაძვებთან
არ ესწრებოდი ჩვენს გამარჯვებას.

ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტი ვლადიმერ უბილავა ომის დაწყებისთანავე მოხალისედ წავიდა ფრონტზე. სხვადასხვა დროს იყო

არტილერისტი, მეკავშირე, მზვერავი, 1941 — 1942 წლებში იბრძოდა ყირიმსა და კრასნოდარის მხარეში. დაიღუპა 1942 წლის 14 ივლისს. მისი საფლავი დღესაც უცნობია.

ომის იმ დღეებში ვლადიმერ უბილავას ლექსები დივიზიის გაზეთში იბეჭდებოდა. ოპტიმიზმით, გამარჯვების ნათელი რწმენით აღგზნებული პოეტის ლექსები მებრძოლ მეგობრებს მოუწოდებდა ბრძოლისაკენ, ხოლო თვით უბილავაზე იმის თქმა შეიძლება, რაც მან სხვაზე თქვა:

გაიშრიალებს ფრონტზე ფარაჯა,
ტყვიას ტყვიაში აჭენს ვაჟაკი,
იბრძვის და მამულს უდგას დარაჯად
თოფის, ხიშტის და ხმლების კაშკაშში.

(„გაიშრიალებს ფრონტზე ფარაჯა“. ბრძოლის
ველი, 1942 წელი).

ამ სახის მებრძოლად წარმოუდგა მას თავისი თანასოფლელი უბრალო ბიჭი. ბრძოლის ველზე დაწერილ ერთ-ერთ ლექსში პოეტი ასეთ სურათს ხატავს: ატყდა ბრძოლა. „ტყვიამფრქვევები მიყუჩდნენ წამით, ხმლებსა და ხიშტებს მიაყურადეს“. ბრძოლის ველზე გამოჩნდა პოეტის თანასოფლელი ბიჭი.

ასეთ დროს მართლაც ვეფხდება კაცი,
ისიც ძმებს შორის ჩადგა ვეფხურად.
დაკრა და მტერი მტერზევე დასცა,
წვიმდა, ველს სისხლის ფარჩა ეხურა!

(„მას შეკლიმოდა ფრონტის დობილი“, 1942 წ.).

ბრძოლის ველზე მყოფ პოეტს თვალწინ უდგას მშობლიური, ნაცნობი მინდვრები, „ცხენთა ქენება ველზე თქარუნით“, „ულრანი ტევრი, მთანი დიდრონი, კადლაც ბულბულის სტვენა თამაბ... ქარი, ღრუბელი...“ წისქვილი, სიმინდების ნორჩი უღვაში, მწიფე ხეხილი — რტო დაღუნული, ორლობებში მიმავალი ცურგატენილი ძროხები, ბლავილით რომ იკლებენ შარას, მოქანცული გლეხების მიყუდებული თოხები, სოფლის პატარა ღელე, ერთ დროს რომ ტოლებს ფაცერი ედგათ. შეაყრიალა სოფლის ბუნებამ და უგალობა ტკბილი ურმული.

ეგ თვალსერი უთუოდ კმარა,
რისთვის ვინატრო სხვა რამ დიდება.
სულს აქ დარჩენა სწყურია მარად —
მეტი ხალისი და დამშვიდება.

(„ნაცნობი მინდვრების რომანტიკა“, 1942 წ.).

პოეტს მშობლიურ მინდვრებში დარჩენა სურს, რადგან ჯერ ის სულ ახალგაზრდაა და ვერ გამძლარა მათი ყურებით. ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე მყოფ პოეტს (1942 წ.) ისევ მშობლიური მადამოღბა ავონდებდა. ეს მიდამოები მას ფრონტის მიდამოებმა მოაგონეს. აქაც „ხეებს აყრია ყლორტების ზვავი“, „ტანშეფრქვეული აღუჩა ჰყვავის“, „მიწას ახურავს მწვანე საბანი“.

თავს ვერ ვიკაეებ...
სალამი ყვავილთ!
ეს რა ვარდობა შემოპარვია!

ვეღარ ჩაკეტავს სურვილს სანგარი,
სულს გაზაფხული ეწვია ურჩი —
მინდვრები გოცდის შენ უანგაროს,
ისე ჩამახხის ნიავი ყურში.

მებრძოლმა სანგრიდან ამოყო თავი, უმზერს ირგვლივ ტყეს,
ყანას, ჭეჭილს...

მაგრამ მოვარდა ტყვიების ზვავი
და არა დარჩა დანდღეჯელი!

იქნებ ეს იყო პოეტის უკანასკნელი სიმღერა. იქნებ იმ ტყვიების ზვავმა არც პოეტი ჯარისკაცი დატოვა დაუგლეჯელი! ვინ იცის ეს?! მაგრამ სამაგიეროდ ვლადიმერ უბილაევს, ამ გულწრფელი და თავაზიანი, კეთილშობილი ქართველი ახალგაზრდა პოეტისა და მეომრის ლექსები ისევე ნაცნობია მკითხველთათვის, როგორც მისი თანამოკალმე ფრონტზე დაღუპული პოეტების მირზა გელოვანის, სევერიან ისიანის, სანდრო ელენტის, გიორგი ნაფეტვარიძის დავით პატატიშვილის ლექსები, რომელთაც სიყვარული და ქება სამართლიანად დაიმსახურეს.

ტკბილია დედა, ტკბილია სატრფოც,
ანთებული და შეკრული ფიცით,
მაგრამ სხვა არის და სხვაგვარ გვათბობს
უნრეტი ძალა საბჭოთა მიწის.

ეს მებრძოლი პოეტის დავით პატატიშვილის სტრიქონებია, დაწერილი ჯერ კიდევ დიდ სამამულო ომამდე (1940 წელს). მშობლიური მიწის ამ უშრეტმა ძალამ, მისმა სითბომ და სიყვარულმა სამამულო ომის სასტიკ ბრძოლებში გამოაწრთო პოეტი ჯარისკაცი.

ჩვენ კი, ვარდების უწმინდესი წვენით გაზრდილებს,
ბედი გვიღიმის, მნათობივით ყოვლის მშოსავი.
აღღარებულებს, ჩვენი დროის მძლე ავთანდილებს,
სიცოცხლე გვინდა ბედნიერი სამშობლოსათვის.

1941 წელს, ომის პირველ დღეებში, ბესარაბიაში, ქალაქ ბელცში, თქვა პოეტმა ეს სიტყვები. ომში დავაყვავებული პოეტის გული წყაროა სიკეთის. პოეტის „ფიქრი კავკასიონს გადასცილდა — საალერსოდ თბილისისკენ გაფრენილი“. იგი სიკვდილის ურჩია, ჟამთა გრიგალი მზებაბუქს ვერ ღლის, სიცოცხლეს სიკვდილი ვერ დასძლევს, რადგან ნათელი ადგია მყობადს. ამ რწმენით იბრძვის პოეტი და ეს რწმენა მას ცივ სამარემდე არ დაეღევა. უკუნეთი ხელს ვერ ახლებს:

რომ მეც ვანათო. დე თუგინდ მკრთალად,
თვალმოუუუენე ვარსკვლავთა ახლოს. —

ეს არის უპრეტენზიო პოეტის გულწრფელი თქმა. ბედნიერი იქნება იგი, თუ კაშკაშა ვარსკვლავთა გვერდით სადმე ახლოს თუნდაც მკრთალად გამოანათებს. ამ სიხარულით მიდის შეტევაზე და ამ სურვილს წინ ვერაფერი გადაეღობება.

ღარეკა ჟამმა... შეტევაზე სიმღერით მივალ,
გზა დამილოცე, გენაცვალე, გზა დამილოცე!...

ომი გაგრძელდა. ორმოცდაერთის ოცდარე ივნისს პოეტი მდინარე პრუტთან შეხვდა. სამი წლის შემდეგ იგონებს პოეტი იმ ღამეს, „მთვრალ კაცებივით უძინარნი“ გორები რომ თვლემდნენ, როცა პრუტმა დაჰქარგა სიმშვიდე და სითამამე, დაკოდილ ზვირთებს დუნაისკენ რომ მიაქროლებდა. პოეტი თავის საბრძოლო ცხოვრებას თითქოს ისევ თავიდან იწყებს.

რამდენი სისხლი ჩაეაქციეთ ველებს ბულიანს,
ათასი დარტყმა და სიკვდილი გადავიტანეთ...

მდინარე პრუტი 1944 წელს გამარჯვებული, მოლდავეური მასპინძლობით დახვდა გმირებს — ტიტანებს.

პოეტი გაჰყურებს ბრძოლის ველს, ბრძოლის ველზე კი სიკვდილი ბორგავს:

დამჩნის აებედი, სულმოუთქმელად.
დაეცი. როგორც ვარსია ლორკა,
იცოცხლე, როგორც შოთა რუსთველმა...

მიმართავს პოეტი მებრძოლს. სულ ერთია, სადაც იბრძვი, საბჭოთა ქვეყანა დიდია. რუსია თუ ქართველი, მოლდაველი თუ უკრაინელი, ყველას ერთი აზრი უნდა სწამდეს, მაგრამ

გამხმარ ხესავით თუ აიტუზები,
ხალხში არ გექნება მცირედი ალაგიც,

გზას დაგიწყევლიან მრისხანე მუზები,
გზას დაგიწყევლიან მტკეარი და არაგვი...

დაუჩრდილავი შშვენება გწამდეს,
ჩვენი კიევის, ჩვენი ოდესის...

პოეტს შორიდან კავკასიონი უხმობს „შვილებზე დარდით გა-
თეთრებული!“

ფერებს მოვტაცებ ოცნების ლაქვარდს...
წავლენ ღრუბლები, ღამე გატყდება,
გამოვალ გარეთ და როგორც ვაქას,
მთებთან ჩურჩული მოძენატრება.

პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე წერდა: „ეს ლექსები იმ
ადამიანს ეკუთვნის, რომელსაც არ შეუძლია არ დაწეროს, არ შე-
უძლია ამავე დროს უშუალო არ იყოს და არ შეუძლია ნათლად და
უბრალოდ არ გადმოგვეცეს ის, რასაც განიცდის... ამიტომ მე სია-
მოვნებით ვწერ ამ შენიშვნას ახალგაზრდა პოეტის დ. პატატიშვი-
ლის უბის წიგნაკზე, რომელიც თავისი უბრალოებით ასე გვიზი-
დავს... ეტყობა შემდეგშიც თავის პოეტურ გზაზედ ეს ახალგაზრ-
და პოეტი რეალისტი იქნება და თანმიმდევრული რეალისტიც.
ცეცხლსა და ფოლადის წვიმაში განვლილ ადამიანს არ შეუძლია
არ იყოს რეალისტი“.

როცა ირაკლი აბაშიძე ამ სტრიქონებს წერდა, დავით პატატი-
შვილი თურმე ცოცხალი არც იყო. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ,
„გაიგებ განა საშინელ ომში ბედის მისნობას?!“ და ამ „ბედის
მისნობამ“ პოეტის შემდგომ ლიტერატურულ ცხოვრებას უღალა-
ტა: პოეტი ჭარისკაცი 1944 წელს ბრძოლის ველზე გმირულად
დაეცა.

ომმა საბჭოთა არმიის რიგებში მოუხსწრო ახალგაზრდა პოეტს
შალვა ამისულაშვილს. მან ომის დამთავრებამდე დაჰყო მოქმედ
არმიაში.

მართალია, სამშობლოში ომის დამთავრების შემდეგ დაბრუ-
ნებული პოეტი თავის ერთ-ერთ ლექსში ამბობდა, რომ კვლავ
ელირსა „ხმის ამოღებას პოეზიაში“, თანამოკალმეთა გულახდილად
გაზიარებულმა შთაბეჭდილებამ ხელახლა გაუღვიძა „ლექსთან ჰი-
დილის უინი“, მაგრამ მის ამ „აღიარებას“ არ დაუვუჯერებთ. ამისუ-
ლაშვილის ლექსი არც ფრონტზე დუმდა, ცნობილია ომის წლებში
დაწერილი მისი ლექსების ციკლი „სირდარიის ნაპირებზე“ და
„სანგრებში თქმული ლექსები“.

მე მახსოვს მტკვარზე, მტკვრის ქანჩახებზე
ქუხილს ვისმენდი ყოველ გაზაფხულს,
მთანი მალაღნი რომ ჩახჩახებდნენ,
ვეგრძნობდი მხნეობას — გულში დამარხულს.

აქ კი ამ ზვიად, ველურ სტეპებზე
ისე მოფრინდა თეთრი აპრილი,
რომ ფრთებმა გულის თრთოლა ვერ შესძლეს,
რომ წამწამები მქონდა დახრილი.

(„მაინც მიყვარხარ“, 1942 წ.).

ეს ფრონტზე მყოფი პოეტის სიტყვებია.

ფრონტზე, სანგარში მყოფ მეომარ პოეტს ძალას მატებს წინაპართა უკვდავება, რომელიც მას მუხად წარმოუდგა („ბალადა უკვდავებაზე“), მუხა კი კაცად, რომელმაც ჯარისკაცს სთხოვა: „მეც ხანდახან გამიხსენე, სადაც იყო“ და თან დალოცა: „დაგეთვალოს ასჯერ ასი გაზაფხული!“ ხეს რომ ვგავარ, მართლა ხე არ გეგონო, მეც შენსავით ღონიერი მკლავები მაქვს, „წამოდექი! მომეც ხელი სამეგობროდ, — დედა-მიწას არ ვეგონოთ მოღლილები“. მუხა კაცი იყო, მიწაც იყო, ნისლიც იყო. მოვა წამი, იქნებ ცეცხლად გადაიქცეს, მას ფესვებში უკვდავების სისხლი უდგას, არ სჩვევია მღუპარება.

გაელვიძა ჯარისკაცს, „გულს ჩაიქდო სიზმრად მუხის ნაამბობი, ტყეს მიადგა, ტყეში ქარი ახმაურდა... შედგა, რკინას დაემგვანა ჯანმადგრობით“... „და ფრთა შეისხა ბრძოლის უინმა ჩაუმქრალმა“.

ლექსში „მოვა დრო“, რომელიც 1942 წლით არის დათარიღებული, პოეტი წერს:

თუ ვერ შევესწარ საუკუნო გამოდარებას,
მღულარე რკინამ დააცხედრა ჩემი სხეული,
ღე, გამძლეობა სცადონ მაშინ ჩემმა პწკარებმა, —
მაინც სიკვდილი მეყოლება დამარცხებული.

სიკვდილი მართლაც დაამარცხა პოეტმა. რუსეთის, უკრაინის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, ავსტრიის მიწა-წყალზე ბრძოლებში მოძმე რესპუბლიკების შვილების ბედის მოზიარე, ჭირნახული პოეტი, გაზაფხულს შეეცწრო.

ვინ იცის, რამდენჯერ მივსულვარ ნაპარლთან,
ბედ-იღბლის ნაპარლთან მახვილით ხელში,
სისხლიან ბრძოლებში რამდენჯერ დავმთერალვარ,
რამდენჯერ მივლია ნადირის გეშით...

ბოლოს ყველაფერი კეთილად დამთავრდა,
შევესწარ გაზაფხულს, დიდი ხნის ოცნებას!

დღეს გული ჩიტვიით ამიფრთხილდა, —
და ეუხმობ ნაცნობებს დასაკოცნელად!...

ვიდრე ბოლომდე ჩაიკითხავს ამ ლექსს, შეიძლება მკითხველმა თქვას კიდევაც, ნუთუ პოეტს ფრონტიდან მხოლოდ გამარჯვების სიხარული მოჰყვა და სხვა არაფერი, მაგრამ ეს ასე არ არის სინამდვილეში, და აი, რატომ:

მაგრამ ძმის შესახებ რა ვუთხრა დედაჩემს?
იგი ზომ უნგრეთის ბრძოლაში დაეცა...
დამალა? ის მაინც, ის მაინც შემამჩნევს
ღიმილში დამალულ იღუმალ კაემანს...

(„შევესწარ გაზაფხულს“, 1945 წ.).

ომში გამირულად დაღუპული ძმის გახსენებით გამოწვეულ სევდას ლექსი „შევესწარ გაზაფხულს“ აპყავს სრულიად ახალ მხატვრულ ხარისხში, რადგან მტერზე გამარჯვების პირველი გაზაფხულის ამგვარი განცდა საყოველთაო განცდაა, და რაც საყოველთაოა, ის ყოველთვის ისტორიული სიმართლეც არის. სწორედ ამგვარმა გაზაფხულმა შეაძლებინა პოეტს შემდეგი შემოქმედებითი წარმატება, — 1947 წელს გამოქვეყნდა მისი ლექსების მეორე წიგნა (პირველი წიგნი 1940 წელს გამოვიდა) — „თალარი“, რომელშიც უფრო რელიეფურად აისახა პოეტის მიერ უშუალოდ განცდილი ომის ამბები.

ფრონტზე 1942 წელს წავიდა ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტი მურმან ლებანიძე.

სამამულო ომის თემაზე დაწერილი ლექსები საერთოდ მოწოდებითი პათოსით ჟღერდა, მაგრამ მურმან ლებანიძემ ლექსის ამ პათოსში მოხერხებულად შეიტანა სხვა ნიუანსი, რითაც მიმზიდველი გახდა ფორმაც და შინაარსიც („შალვა ლებანიძეს“).

მოულოდნელი სტრიქონები და საოცრად ტევადი სიტყვები. ზოგჯერ თვით მკითხველისაგანაც მოითხოვდნენ დაფიქრებას, ქვეტექსტში რომ ჟღერენ უცნაური ძალით, პოეტმა ფრონტზე უფრო გააჟამკაშა, უფრო მიმზიდველი გახდა იგი. ომის ამბებს ყოველი პოეტი თავისებურად ხატავდა; რადგან თავისებურად ხედავდა. მურმან ლებანიძე მხატვარიცაა, სიტყვის, აზრის მხატვარი, მის ხელში სიტყვა ლერწამივით მოქნილი და ნარჩარია:

გარიჩი კლიუჩიდან
კრასნოდარამდე,
ცრემლით და სისხლით
განაბანები

და ნალმსატყორცნთა
გუთნით მოხნული
ამწვანებულან
შარაგანები.

გარიაჩი კლიუჩიდახ
კრასნოდარამდე,
შენი სიოცხლე
არის პოემა...
დაჭეჭ,
გალექსე,
როცა დრო გეჭხეს,
ფარაჯიანი კაცის ცხოვრება.

წერდა პოეტი მოქმედ არმიაში, როცა ცას გრგვინვა-გუგუნე
ბზარავდა.

ომიდან დაბრუნებულმა პოეტმა მართლაც შესანიშნავად გა-
ლექსა ფარაჯიანი კაცის ცხოვრება. მისი ოცნება ისევ ფრონტზე
იყო, ისევ სამშობლოს სიყვარულით ჟღერდა მისი ლექსი.

მე კრასნოდარის კარებთან დამკრეს, —
შენს კარიბჭესთან ველარ მოველი.
მე შენს ტკბილ სახელს თბილისში ასჯერ
ერთი პატარა ვამკობ პოეტი...

(„ოღესას“, 1944 წ.).

გავიხსენოთ მ. ლებანიძის სხვა ლექსებიც — „მეომრის ქუდი“,
„მამიდაჩემი“, „წარწერა გაიდარის წიგნზე“, „ბალადა პატარა წი-
თელფლოტელზე“, „წლები“, „ისევ მისადმი“.

ომის ამ ეტაპზე მოქმედ არმიაში იმყოფებოდა პოეტი ვახტანგ
გორგანელი. იგი იბრძოდა მოსკოვთან და სტალინგრადში. 1943
წელს დაჭრილი დაბრუნდა სამშობლოში. მისი შემოქმედების თემა,
რასაკვირველია, ომი იყო. მისი თვალეები ხედავდნენ დედას, სატრ-
ფოს („დაჭრილი მეომარი“, 1942 წ., მოქმედი არმია).

ბრძოლის შემდეგ, ბლინდაეებში, მთვარის შუქზე, მებრძოლე-
ბი რომ წერილს კითხულობდნენ. პოეტი ისევ სატრფოს უმზერდა
და შტაბიდან ფოსტალიონს ელოდა („ბრძოლის შემდეგ“, 1942 წ.,
მოქმედი არმია). მაგრამ არა თუ ფოსტალიონი მოდიოდა, სიოც
ხმას არ იღებდა.

სტალინგრადის გმირული დღეები მისთვის წარუშლელია. „ო,
მე იმ დღიდან პოეზიის მედევა ცეცხლი, როს სტალინგრადის გრი-
გალებმა მკერდი დასერეს“, — წერს ომიდან დაბრუნებული პოეტი.

ო. მე მას შემდეგ სიძლერა მსურს ნაზი და წმინდა,
შეუწყვეტელი და მშფოთვარე, როგორც არაგვი.

პოეტის სიძლერა არ შეწყვეტილა. იგი ახლაც აღტაცებით უმღერის ჩვენს საყვარელ სამშობლოს და მის ძლიერებას.

1942 წელს წავიდა ფრონტზე პოეტი ვაჰილ გვეტაძე, ბელო-რუსიის მეორე ფრონტის გზას გაჰყვა იგი და ასე იარა ბრძოლით კენიგსბერგამდე (ახლანდელი კალინინგრადი). გამარჯვების დღე — 9 მაისი აქ შემოათენდა. ქალაქები კანტემიროვკა, მილეროვო, ვილნიუსი, კაუნასი... აი, პოეტის მიერ ომის დროს განვლილი და განცდილი გზები და დღეები. ვ. გვეტაძემ ასეთი სახელწოდებით („გზები და დღეები“) ლექსების წიგნიც გამოსცა ომის შემდეგ.

კომკავშირი, სამშობლო, პარტიზანული მოძრაობა, სანგარი, ომში დაკარგული ძმა, მშობლიური საქართველო, — აი თემები ვ. გვეტაძის ლექსებისა.

გმირთა საფლავებს ხელისგულებით ეფერებიან... ადამიანები სამძო საფლავს ცოცხალ თაიგულებად ეკვრიან ირგვლივ და

სათნო და სუფთა პირველ თოვლივით
ტყის პირს ანათებს მთვარე ნაშლევით
და დასტქერს ბალი ცეცხლგამოვლილი
საფლავს მადლობის მთქმელი თვლებით.
სდუმან... ოცნება სიოდ იძვრება,
ყაყაოც თითქოს არის იარა.
მათ დაიძინეს გაუღვიძებლად,
რომ ამ ბუჩქნარებს სულ ეშრიალათ.

მოკმედ არმიაში შეიქმნა ლექსის ეს ლამაზი, ამაღლვებელი სტრიქონები.

აღმოსავლეთი პრუსია, რუმინეთი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია. ლატვია... ომის საკმაოდ მრისხანე გზაა. ეს გზა გაიარა პოეტმა აკაკი გეწაძემ. ისიც 1942 წელს გაემგზავრა ფრონტზე და ომის დამთავრებამდე იქ იმყოფებოდა.

ომის დღეებში, პოეტურად რომ ვთქვათ, ჯარისკაცი-პოეტები მართლაც რომ სისხლით წერდნენ მიწაზე ლექსს, ხოლო შემდეგ გადაჰქონდათ იგი ქალაქებზე მელნით.

ღიად გამარჯვებას შაშხანით ვეძებდით
და როცა შეეხედეთ დაცემულ ბერლინს,
ჯერ სისხლით დაეწერე მიწაზე ეს ლექსი
და მერე ქალაქზე წითელი მელნით.

გეწაძემ ამ სტრიქონებით ყველა მებრძოლი პოეტის, ფრონტელი მგოსნის გულის წადილი თქვა.

პოეტი ალექსანდრე შანიძე ფრონტზე წავიდა 1942 წლის იანვარში. პირველი საბრძოლო ნათლობა, როგორც ასეულის მეთა-

ურმა, ხარკოვის მისადგომებთან, მდინარე დონეცის ნაპირებზე მიი-
 ლო. იბრძოდა ქალაქებში მილეროვოსა და სტარობელსკში. იგი
 იმავე დროს ლექსებს აგზავნიდა მშობლიურ საქართველოში. მისი
 მრავალი ლექსი დაიბეჭდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველო-
 ში“, „კომუნისტში“, „ლაზხვარში“, დივიზიის გაზეთებში — „სამშობ-
 ლოს სადარაჯოზე“ და „სტალინელში“. 1943 წელს გამოვიდა
 ა. შანიძის ლექსების კრებული „საბრძოლო სიმღერები“. ფრონტზე
 დაწერილი მისი ლექსები: „ხმალო ძლიერო“, „კავკასიის არწივე-
 ბო“, „ქართველი მეომარი“, „გმირულ სტალინგრადს“, „საბჭოთა
 კავშირის გმირს ნოე ადამიას“, „ომგადახდილს დამელოდე“, „ნე-
 ტავი ძმაო, სადა ხარ“, „გამარჯვების სიმღერა“ გამოირჩეოდნენ
 გულწრფელობითა და ფრონტზე მიღებული შთაბეჭდილებების
 უშუალოებით. სასიმღერო ტონზე დაწერილი მისი ლექსები მკითხ-
 ველს მაშინვე გულთან მიჰქონდა. ლექსი „მებრძოლის სიმღერა“
 შანიძემ სანგარში ასეულის შეტევაზე გადასვლის წინ დაწერა. ეს
 ლექსი გამოუგზავნა ვანიონ დარასელს, რომელიც მაშინ ამიერკავ-
 კასიის ფრონტის ქართული გაზეთის „ლენინის დროშის“ რედაქტო-
 რი იყო. ლექსი ამ გაზეთში დაიბეჭდა, ხოლო შემდეგ მის ტექსტზე
 კომპოზიტორმა კ. ფოცხვერაშვილმა შექმნა სიმღერა. დაკრძალმა
 პროექტმა ა. შანიძემ ეს სიმღერა ვლადიკავკავის ჰოსპიტალში რადიო-
 თი მოისმინა 1942 წლის შემოდგომის დღეებში. ამ ლექსის საბრძო-
 ლო ჰიმნი ასე მკათიოდ მოისმოდა:

ძალგულოვნება შემმატე,
 ფარ-ხმალო შაძა-ჰაპისავ!
 უნდა დაიცივა სამშობლო
 ფერად მზისა და ლალისა.
 უნდა დაიცივა დიდება
 ჩვენი შთისა და ზარისა.
 ასეთი არის სურვილი
 საბჭოთა შემოქარისა...

საბჭოთა მეომრის ამ სურვილს პროეტო ბოლომდე გაჰყვა და
 საბჭოთა შეიარაღებულ ძალთა რიგებიდან მხოლოდ მაშინ დაბრუნ-
 და, როცა მტერი საბოლოოდ დასამარდა.

სამამულო ომის დროს შეიარაღებულ ძალთა რიგებში იმყოფე-
 ბოდნენ: მწერალი ქალი თინა დონეაშვილი, მწერალი, გენერალ-
 მაიორი ივანე შაიშმელაშვილი, დავით კვიციარიძე, სილოვან ახვლე-
 დიანი, პოლიო აბრამია, კარპეს მუმლაძე, ალექსანდრე სულავა,
 ნიკა აგიაშვილი, ლავრენტი ჭიჭინაძე, ვლადიმერ თორდუა, ელიზ-
 ბარ მაისურაძე, გრიგოლ ბერძენიშვილი, ვასილ ლაფერაშვილი,
 რევაზ ჭაფარიძე, შოთა ლომსაძე და ივანე ურჯუმელაშვილი.

1942 წლის ზაფხულში მტრის ხელში აღმოჩნდა ტერიტორია, რომელზედაც ომამდე საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობის 45 პროცენტი ცხოვრობდა.

მტერი მოვიდა ვოლგის ნაპირებამდე. ომი მოადგა კავკასიონის ქედსაც. ამიერკავკასია უკვე ფრონტისპირა ზონა გახდა. ჩვენს რესპუბლიკას, ჩვენს ქალაქებსა და დაბა-სოფლებს მოელოდათ უშუალოდ განეცადათ ომის სისასტიკე. პარტია, მთავრობა, ყველანი ზომებს ღებულობდნენ, რომ ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობა ყოველმხრივ, სამხედრო თვალსაზრისით თუ ფსიქოლოგიურად და მორალურად მომზადებული შეხვედროდა განსაცდელს.

გერმანელ ფაშისტებს უნდოდათ, კავკასიის ხალხები ჩამოეშორებინათ რუსეთისაგან. კავკასიელები მტკიცედ იცავდნენ რუს ხალხთან ტრადიციულ მეგობრობას. გერმანელი ჯალათები „მიმართავდნენ ტყვე კავკასიელ ჯარისკაცთა გადაბირებას, განსაკუთრებით ქართველი ჯარისკაცებისაგან მოითხოვდნენ შეედგინათ ე. წ. „თავისუფალი ლეგიონები“ საქართველოს რუსეთთან ჩამოსაშორებლად“ (ი. კაქარავა, „ღიადი მეგობრობა“, მნათობი, 1942 წ. № 10 გვ. 104—125).

მაგრამ პიტლერელი არამზადები ანგარიშში მოტყუვდნენ. კავკასიელ და რუს ხალხთა ურთიერთობა არა თუ შესუსტდა, არნახულად განმტკიცდა და გაძლიერდა. მათმა მეგობრობამ ბრძოლის მრისხანე დღეებში ერთხელ კიდევ დაუმტკიცა მსოფლიოს ხალხებს, რომ საბჭოთა კავშირის ერთიანი ოჯახი მტკიცე და ურყევეია.

არასოდეს ისე საჭირო და აუცილებელი არ ყოფილა მწერლის მუშაობა, როგორც მაშინ — იმ მეტად სერიოზულ მომენტში, მწერლის მთელი უნარი, როგორც მოქალაქისა და მწერლისა, უნდა მიმართულიყო იქითგენ, რომ აღკვეთილიყო ფაშისტური აგენტურის ყოველგვარი ცდა — მოეხდინა მოსახლეობის დემორალიზაცია, შეეტანა ნასში პანიკა და არეუ-დარევა.

1942 წლის შუა ნოემბრისათვის გერმანელ ფაშისტთა ჯარები, რომლებმაც სტალინგრადთან დაკარგეს ასიათასობით კაცი და დიდძალი ტექნიკა, იძულებული გახდნენ თავდაცვაზე გადასულიყვნენ. ამ დროისათვის გერმანელ ფაშისტთა ჯარების შეტევა შეჩერებულ იქნა აგრეთვე კავკასიონის მისადგომებთან.

1942 წლის 19 ნოემბერს დაიწყო საბჭოთა არმიის კონტრშეტევა სტალინგრადთან, რამაც დასაწყისი მისცა ძირეულ გარდატეხას დიდი სამამულო ომისა და მთელი მსოფლიო ომის მსვლელო-

ბაში. სტალინგრადთან გამარჯვებით ამაღლდა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტი, გამტკიცდა ანტიჰიტლერული კოალიცია. ამავე დროს დაეცა ფაშისტური გერმანიის სამხედრო პრესტიჟი.

სტალინგრადთან კონტრშეტევის შემდეგ, 1942—1943 წლების ზამთარში, დაიწყო საბჭოთა არმიის გადამწყვეტი შეტევა ველიკოლუკიდან კავკასიონის ქედამდე. განადგურებულ იქნა გერმანელ ფაშისტთა ჯარები ჩრდილოეთ კავკასიასა და ყუბანში, მტერმა მთელი რიგი მძიმე დამარცხებანი განიცადა ღონსა და ჩრდილოეთ დონეც შუა მდებარე რაიონში.

მეორე ფრონტი ჯერ კიდევ არ იყო გახსნილი.

*
* *

სამამულო ომმა გამოამყლავნა საბჭოთა ადამიანის მაღალი მორალური თვისებები, უფრო მეტიც: სამამულო ომმა სულიერად უფრო აამაღლა იგი, აღჭურვა ისეთი ღირსებით, რომელიც შეჭერის ყველაზე კეთილშობილური იდეებისათვის მებრძოლ მოწინავე ხალხს.

საბჭოთა ადამიანის ეს იდეურ-მორალური სიმაღლე ცხადი გახდა ომის პირველი დღეებიდანვე, როგორც ბრძოლის ველზე, ისე ზურგში. ამიტომ სავსებით ბუნებრივია თუ იგი თავიდანვე გადაიქცა საბჭოთა პოეზიის, საბჭოთა პროზის, საბჭოთა დრამატურგიის მთავარ თემად, მთავარ მოტივად. ჩვენ დავინახეთ მრავალი მაგალითი ქართველი მწერლების შემოქმედებითი ცხოვრებიდან, ომის პირველი დღეებიდანვე თუ როგორ ისწრაფოდნენ ისინი, აესახათ საბჭოთა ადამიანების გმირული საქმეები, მათი მგზნებარე სიყვარული სამშობლოსადმი. სამამულო ომმა აქტიური შემოქმედებითი მუშაობისათვის ამოძრავა ჩვენი მწერლების საუკეთესო ნაწილი. თვალსაჩინოდ გაძლიერდა მათი ნაყოფიერება. თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ეტაპი დიდი სამამულო ომისა, ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა, ყველა სასიხარულო და სამწუხარო ფაქტი, რომელიც აღელვებდა საბჭოთა ადამიანს, თავის გამოხმაურებას პოულობდა ქართველი მწერლის ლექსსა თუ პოემაში, ნოველასა თუ მხატვრულ-პუბლიცისტურ ნარკვევში,

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ სისრულით და სწორად არ იყო ასახული ყოველივე ის, რასაც განიცდიდა ჩვენი ხალხი იმ მრისხანე და მკაცრ დღეებში.

„ის, რაც ჩვენში ამ 15 თვის მანძილზე დაიწერა, არც რაოდენობით და არც ღირსებით არა სწყვეტს, არ უპასუხებს იმ დიად და გრანდიოზულ ამოცანას, რომელსაც სამამულო ომი უსახავს

მხატვრულ ლიტერატურას. დღემდე გამოქვეყნებულ არა ყოველ ქართველი მწერლის მხატვრულ ნაწარმოებებში, ლექსებსა და მოთხრობებში აისახა ესა თუ ის ცალკეული მხარე, ცალკეული თვისება მეომარი საბჭოთა ხალხისა, გაისმა ხმა სახალხო მრისხანებისა, ხმა სახალხო შურისგებისა, ხმა ლომივით ფაფარაყრილი ხალხისა, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს, რადაც უნდა დაუჭდეს, მოიპოვოს გამარჯვება მიხაკისფერი კანიბალების ველურ ურდოებზე“, — გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1942 წ., №35.

დასკვნა ასეთია: სამამულო ომის ამ ეტაპზე მკითხველი ვერ დაკმაყოფილდებოდა მხოლოდ ზოგადი, პათეტიკური ლექსებით და მხოლოდ პუბლიცისტური ნარკვევებით, რასაც მანამდე ფართოდ გილი ჰქონდა დათმობილი, ხოლო კონკრეტულ მასალებზე აგებული ესა თუ ის პოეტური თუ პროზაული ნაწარმოებები ჯერ კიდევ საკმარისი არ იყო.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა პირდაპირ მიუთითა ქართველ მწერლებს, გადასულიყვნენ დიდ მხატვრულ ტილოებზე, ხელი მოეკიდათ მომხდარი მოვლენების იდეურ-მხატვრული განზოგადებისათვის, ტიპიზაციისათვის, სამამულო ომის მიერ აღძრული დიდი პრობლემების გაშუქებისათვის. საბჭოთა საქართველოს სიმტკიცე, ქართველი ხალხის საუკეთესო შვილთა თავგანწირული ბრძოლა ფრონტებზე და ზურგში მათი დაძაბული თავდაუზოგავი შრომა, მათი ფიზიკური და სულიერი დაძაბულობა იძლეოდა წარმატებულ მასალას ასეთი სრულფასოვანი ნაწარმოებების შესაქმნელად.

საბჭოთა ადამიანების სიძულვილის გრძნობა გამხეცებული მტრისადმი ბევრად უფრო მწვავე და სასტიკი გახდა იმაზე, რაც ჩვენმა მწერლობამ გამოხატა ომის პირველ დღეებში შექმნილ ნაწარმოებებში. სამამულო ომმა გამოკვეთა, შეავსო საბჭოთა მებრძოლის სახე ისეთი გმირული თვისებებით, რომელთა ბრწყინვალე მაგალითი მოგვცეს კაპიტანმა გასტელომ, კომკავშირელმა სოსნოვსკიმ, კაპიტანმა ბუხაიძემ, 28 პანფილოველმა გვარდიელმა და მრავალმა სხვა შეუპოვარმა მებრძოლმა.

ქართული მწერლობა შეეცადა ამ მოთხოვნის შესრულებას.

ამიერკავკასიის ხალხთა ერთსულოვნების გამოხატვა მხატვრულ ნაწარმოებში გახდა იმ მომენტში ქართველი მწერლების მთავარი ამოცანა. ამას ხელი შეუწყო 1942 წლის 23 აგვისტოს თბილისში შემდგარმა ამიერკავკასიის ხალხთა ანტიფაშისტურმა მიტინგმაც. მიტინგმა უდიდესი და მკვეთრი ძალით ასახა ის გრძნობები და აზრები, რომლითაც ამიერკავკასიის თავისუფლებისმოყვარე ხალხები იმ მრისხანე დღეებში ცხოვრობდნენ. ეს გრძნობები და აზრები

ემორჩილებოდა ერთიან საბრძოლო ამოცანას: ჰიტლერელთა ურ-
დობების გააფთრებული შემოტევისათვის დაეპირისპირებინათ საბ-
ჭოთა ადამიანების რკინისებური მედგრობა, შეეჩერებინათ, უკუეჭ-
ციათ და გაენადგურებინათ მტერი.

ამიერკავკასიის ხალხთა ანტიფაშისტური მიტინგი იყო მძლავ-
რი დემონსტრაცია საბჭოთა პატრიოტიზმისა, ხალხთა მეგობრობისა.
აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის ხალხთა განუხრელი
გადაწყვეტილებისა, მთელი ძალღონით ებრძოლათ თავიან-
თი თავისუფლებისა და ღირსებისათვის, გერმანელ ფაშისტ დამპყ-
რობლებზე სრული გამარჯვებისათვის.

მწერლობას რომ სინამდვილით აესახა სამშობლოსათვის მეგრ-
ძოლი გმირის სახე, საკირო იყო ფრონტელებთან დაახლოება, ფრონ-
ტი კი უკვე საქართველოს კარიბჭეებს მოადგა. მტერი ჩვენს მიწა-
წყალზე შემოკრას ლამობდა. ქართველ მწერლებს მეტი შესაძლებ-
ლობა ჰქონდათ, დაახლოებოდნენ თავიანთ თანამემამულეებს ქარ-
თულ დივიზიებში. ეს ერთგვარი ხელსაყრელი ფაქტორი იყო გმი-
რის ხასიათის გახსნისა, მასთან დაახლოებისა და მისი ბუნების გა-
გებისათვის. ბევრმა მეგრძოლმა არ იცოდა რუსული ენა. მშობ-
ლიურ ენაზე საუბრების და ლიტერატურული საღამოების ჩატა-
რება მეტ ეფექტს იძლეოდა. ეს კი მეგრძოლისა და მწერლის დაახ-
ლოების მეტად ხელსაყრელი პირობა იყო.

ქართული დივიზიები დიდი სამამულო ომის ყველაზე მრისხა-
ნე დღეებში ჩამოყალიბდა. სულ ოთხი დივიზია იყო: 224-ე ქარ-
თული მსროლელი დივიზია, 414-ე ანაპის წითელდროშოვანი ქარ-
თული მსროლელი დივიზია, 392-ე ქართული მსროლელი დივიზია
და 242-ე სამთო-მსროლელი დივიზია.

224-ე დივიზიის ამოცანას შეადგენდა, დაეკავებინა ქერჩის მი-
სადგომები ზღვიდან, დივიზიის მთავარი ძალებისათვის მტკიცე
პლაცდარმი შეექმნა სადესანტო ჯარების გადმოსასხმელად, იერიში
განევითარებინა გერმანელ ფაშისტთა ჯარების თავდაცვითი ხაზის
სიღრმეში.

414-ე ქართულმა მსროლელმა ანაპის წითელდროშოვანმა დი-
ვიზიამ მძიმე კლიმატურ პირობებში უთანასწორო ბრძოლებით გა-
იარა მთელი ჩრდილო კავკასია, კრასნოდარის მხარე, ტამანის ნა-
ხევარკუნძული, ქერჩის სრუტე, ყირიმის მიწა-წყალი და გმირი ქა-
ლაქის — სევასტოპოლის განთავისუფლებით დააგვირგვინა თავისი
სახელოვანი საბრძოლო გზა.

392-ე ქართული მსროლელი დივიზიის მოგერიების რაიონისწი-
ნა ხაზი გადიოდა მდინარე ურუხის მარჯვენა ნაპირზე. დივიზიას
შევალებოდა, მტკიცედ ჩაეკეტა ველხოტოვოს „კარები“, მამისონის

ულელტეხილის მისადგომები და, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, არ გამოეშვა წინ მტრის ძალები. დივიზიამ სარდლობის ეს და მრავალი სხვა დავალება პირნათლად შეასრულა. მოგერიების შემდეგ (1942 წლის 26 აგვისტოს) დივიზიის ნაწილები შეტევაზე გადავიდნენ და გაანთავისუფლეს მრავალი სოფელი და ქალაქი.

242-ე სამთო მსროლელი დივიზია მოქმედებდა კავკასიონის ქედის ცენტრალურ ნაწილში:

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა ამ დივიზიებში სხვადასხვა დროს მიაღწინა ქართველ მწერალთა დელეგაციები.

224-ე დივიზიაში, საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს წარმომადგენლებთან ერთად, მწერალთა კავშირის სახელით გაემგზავრა პოეტი ირაკლი აბაშიძე.

414-ე ქართულ მსროლელ დივიზიაში მივიდა საქართველოს მწერალთა კავშირის დელეგაცია მხცოვანი მწერლის შალვა დადიანის ხელმძღვანელობით. დელეგაციაში შედიოდნენ მწერლები კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ილო მოსაშვილი და სხვ. მათმა საინტერესო საუბრებმა და მხატვრულმა სიტყვამ დიდად აღაფრთოვანა ქართველი მეომრები.

392-ე ქართულ მსროლელ დივიზიაში გერმანელ ოკუპანტთა წინააღმდეგ გააფთრებული შეტევითი ბრძოლის დღეებში მივიდა საქართველოს მშრომელთა პირველი დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. თავაძე და პოეტები ირ. აბაშიძე, ა. მირცხულავა და ს. ჩიქოვანი. ისინი ყოველთვის ფრონტის მოწინავე ხაზზე იყვნენ და მოწოდებებით აღაფრთოვანებდნენ მებრძოლებს მტრის გასანადგურებლად. ეს დელეგაცია 10 დღეს დარჩა ფრონტზე.

„...საბჭოთა საქართველოს მებრძოლებო, თქვენ შემოგცქერით ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი, თქვენ დაგცქერით ჭაღარა კავკასიონი, თქვენ გეძახით მის კალთებზე დაღვრილი წინაპრების სისხლი, თქვენ გეძახით წინაპართა ძვლებით აგებული ციხე-კოშკები... ვაშა და გამარჯვება თქვენ, ქართველი ხალხის სასიქადულო შეილებო!“ ასეთი მოწოდებით მიმართა დივიზიის მებრძოლებს, მეთაურებს და პოლიტმუშაკებს სამშობლოში გამომგზავრების წინ საქართველოს დელეგაციამ.

სხვა დროს, ფრონტის სხვა უბანზე, მტერთან გააფთრებული ბრძოლების დღეებში, 392-ე ქართულ დივიზიაში კვლავ მივიდა საქართველოს მშრომელთა დელეგაცია. დელეგაციაში შედიოდნენ მწერლები: კონსტანტინე ლორთქიფანიძე, გიორგი ქუჩიშვილი, სოლომონ თავაძე, კარლო კალაძე, ერემია ქარელიშვილი, კინომუშაკები: ირაკლი კანდელაკი, ლეო არზუმანოვი, ოთარ დეკანოსიძე და

:ვ. კილასონიძე. მათ მოწინავე ხაზზე პირადად ინახულეს ქართველი მეომრები, აღაფრთოვანეს ისინი ახალი გიგანტური ბრძოლებისათვის და შემდეგში ღირსეულად ასახეს მათი საბრძოლო დამსახურება ლექსებში, მოთხრობებსა და ნარკვევებში.

წითელი არმიის თბილისის საოლქო საბჭოს ინიციატივით ჩამოყალიბდა მწერალთა ახალი ბრიგადა, რომელშიც შედიოდნენ რუსი და ქართველი მწერლები: ი. ვსევოლოვსკი, ა. სიტკოვსკი, ი. სნეგროვი, ვ. მიაკუშკოვი, მ. პატარიძე და ს. თვაძე. ბრიგადა აწყობდა ლიტერატურულ შეხვედრებს მებრძოლეთან და პოლიტმუშაკებთან, ატარებდა შემოქმედებითს საუბრებს ახალგაზრდა არმიელ პოეტებთან და მწერლებთან.

ამ ბრიგადის გამოცდილების საფუძველზე წითელი არმიის სახლმა და საქართველოს მწერლების კავშირის პრეზიდენტმა გამოყო მწერალთა მეორე ბრიგადა, რომელშიც შედიოდნენ შ. დადიანი, გ. კაჭახიძე, რ. ქორქია, ა. თევზაძე და ს. მთვარაძე, ბრიგადას შალვა დადიანი მეთაურობდა. ბრიგადამ 20-22 დღის განმავლობაში მემრებთან მოაწყო რამდენიმე ათეული შეხვედრა.

„...ან რა დიდებული სანახავი არიან ეს ჩვენი ახალი ნაწილები: ბრგე მოყვანილობის ვაჟკაცები, წარმოსადეგი, მხარბეჟიანი! მათ შემხედვარეს გვჭერა სიმტკიცე მათი სულიერი ძალებისა, შესაძლებლობა მათი სამხედრო შემართებისა“, — წერდა შალვა დადიანი.

ფრონტის მოწინავე ხაზზე ჩასული ქართველი მწერლები ამხნევებდნენ ქართველ ვაჟკაცებს ბრძოლაში მტრის გასანადგურებლად. საფრონტო გაზეთების ფურცლებზე ბეჭდავდნენ ლექსებს, მოთხრობებს, ნარკვევებს. ჩანახატებს, ფელეტონებს.

საფრონტო პირობებში ცხოვრებამ დადებითად იმოქმედა ქართველ მწერალთა შემოქმედებაზე.

ქართულ დივიზიებში მისულმა მწერლებმა და პოეტებმა, გარდა იმისა, რომ ყუმბარებისა და ნალმსატყორცების გრიალში მრავალი აღფრთოვანებული შეხვედრები მოაწყვეს საბჭოთა მეომრებთან, აქტიური მონაწილეობა მიიღეს დივიზიის გაზეთების მუშაობაშიც.

უდიდესი ძალისა და ზემოქმედების საბრძოლო, მრისხანე იარაღს წარმოადგენდა ბოლშევიკური ყოველდღიური ბეჭდვითი სიტყვა სამამულო ომის დღეებში. იგი მუდამდღე, შეუსვენებლად და დაუღალავად უხსნიდა და უმარტავდა ჩვენს ხალხს, ჩვენს გმირ, მამაც არმიას ჩვენი სამართლიანი გამანთავისუფლებელი ომის მაღალ და კეთილშობილ ამოცანებსა და დანიშნულებას.

სამამულო ომის ვითარებაში ვანსაკუთრებით გაიზარდა სამ-

ხედრო გაზეთების რიცხვი, წარმოუდგენლად ამაღლდა და გაძლიერდა მათი მნიშვნელობა.

„საბჭოთა გაზეთების ოჯახში, — წერდა მაშინ ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანო „პრავდა“, — სამხედრო ბეჭდვითი სიტყვაგანსაკუთრებით საპატიო და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ამოცანებს ასრულებს. იგი აღაგზნებს და მოუწოდებს საბჭოთა მებრძოლებს მტერთან დაუნდობელი ბრძოლისაკენ, იგი ასრულებს მოწინავეთა გამოცდილების ტრიბუნის როლს, იგი პოპულარულს ხდის უმაგალითო გმირობისა და თავდადების უამრავ ფაქტს, იგი შველის მებრძოლებს დაეუფლონ სამხედრო ხელოვნებას. საფრონტო გაზეთები, საარმიო გაზეთები, ცალკე შენაერთებისა და ნაწილების გაზეთები გმირულ საქმეს აკეთებდნენ. სახელი და დიდება ჩვენს სამხედრო ბეჭდვით სიტყვას!“

სამამულო ომის დღეებში გამრავლდა აგრეთვე ქართული საფრონტო გაზეთების რიცხვი.

224-ე ქართულ დივიზიაში გამოდიოდა გაზეთი „ქართველი მსროლელი“ (რედაქტორი — ვ. სიხარულიძე, მოადგილე — მწერალი ალ. სულავა), 414-ე ანაპის წითელდროშოვან მსროლელ დივიზიაში — „სამშობლოს დამცველი“ (რედაქტორი — ა. კოკილაშვილი), 392-ე ქართულ მსროლელ დივიზიაში — „წინ გამარჯვებისაკენ“ (რედაქტორი — ვ. ავალიანი), ყირიმის ფრონტის ყოველდღიური წითელარმიული გაზეთი „მედგარი შეტევა“ (შემდეგში „ყირიმის საბრძოლო“, რედაქტორი — ვ. მაჭავარიანი).

ქართული სამხედრო გაზეთები პირნათლად, ბოლშევიკური პრინციპულობით ასრულებდნენ კოლექტიური პროპაგანდისტისა და მეომარი მასების ორგანიზატორის მეტად საპატიო როლს. ქართულ სამხედრო გაზეთებში ქვემარტივი პატრიოტული გატაცებით და გულმოდგინებით მუშაობდნენ ქართველი საბჭოთა ჟურნალისტები, ბოლშევიკური პუბლიცისტიკის შესანიშნავ ტრადიციებზე აღზრდილი მუშაეები, რომლებიც წითელი არმიის მებრძოლებთან და მეთაურებთან ერთად იზიარებდნენ ომთან დაკავშირებულ სიძნელესა და გაჭირვებას.

მაგრამ საფრონტო გაზეთებში ქართველ საბჭოთა მწერალს ჯერ კიდევ არ ეჭირა ის ადგილი, რომელიც მას უნდა ჰქონოდა. ქართველ მწერალს შეეძლო სამხედრო გაზეთებში შეეტანა უფრო მეტი სიცხოველე, სიმკვეთრე, სიმახვილე.

ქართველ საბჭოთა მწერალს თავისი ლექსით, ნარკვევით, სატირით და იუმორით უნდა გაემრავალფეროვნებინა სამხედრო გაზეთი. ამ დროისათვის, უკვე იყო ქართულ საარმიო გაზეთებში ქართველი პროფესიონალი მწერლების მონაწილეობის

რამდენიმე მაგალითი; სხვადასხვა ნაწილში მივლინებულმა მწერლებმა, მათ შორის შ. დადიანმა, ი. აბაშიძემ, კ. ლორთქიფანიძემ, ი. მოსაშვილმა, რ. მარგიანმა, რ. ქორქიამ, ს. მთვარაძემ, გ. კაჭახიძემ, ა. თევზაძემ და სხვებმა მოათავსეს თავიანთი ლექსები, ნარკვევები, წერილები და სხვა, ამით ამ გაზეთების ნომრები ბევრად უფრო მრავალფეროვანი და შინაარსიანი გახდა, მაგრამ ეს მაინც არ იყო საკმარისი. ქართველ მწერალთა თანამშრომლობას სამხედრო გაზეთში უნდა მისცემოდა უფრო სისტემატური და ყოველდღიური ხასიათი. ამიტომ საქართველოს საბჭოთა მწერლობის კავშირის პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება და სამხედრო გაზეთებზე მუდმივად მიამაგრა მწერლები.

„წითელარმიული პრესის წინაშე დასახული უდიდესი საბრძოლო ამოცანების განხორციელებაში მხატვრული სიტყვის ქმედითი ძალის სწორად შეფასებისა და ამ ბასრი იარაღის ფართოდ გამოყენების საუცხოო მაგალითს გვაძლევს ერთ-ერთი სამხედრო შენაერთის გაზეთი „სამშობლოს დამცველი“ (რედაქტორი ანხ. ა. კოკილაშვილი)“. — წერდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ კრიტიკოსი ბ. ჟღენტი. (1942 წ. 1 აგვისტო, № 31).

„სამშობლოს დამცველის“ ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდებოდა უმცროსი ლეიტენანტის, პოეტ სანდრო ჟღენტისა და დამწყები მებრძოლის პოეტ ქსენოფონტე ჭანტურიას ლექსები. ამ ლექსებში ისინი გამოხატავდნენ ყოველი საბჭოთა მეომრის აზრს, სამშობლოსადმი სიყვარულის უმაღლეს ადამიანურ და უწმინდეს გრძნობას. ჭანტურია ლექსში „სამშობლო გვეძახის“ გულწრფელი და სადა სიტყვებით გვიხატავს ჩვენი გმირი ხალხის, ჩვენი სამშობლოს თავდადებული დამცველების უწმინდეს გრძნობებს. გაზეთში სისტემატურად იბეჭდებოდა ახალგაზრდა მწერლის, პოლიტხელის მოადგილის ვლ. გელაშვილის ნარკვევები.

„სამშობლოს დამცველში“ თავიანთ წერილებს ათავსებდნენ მოწინავე ქართველი მწერლები კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ილო მოსაშვილი („მამა და შვილი“), ანდრო თევზაძე („ჩემი ძმა“) და სხვ.

ფრონტზე ქართველ მეომრებთან ყოფნის შემდეგ საქართველოში დაბრუნებული მწერლები რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში აწყობდნენ ლიტერატურულ საღამოებსა და შეხვედრებს მშრომელებთან და მოუთხრობდნენ მებრძოლთა გმირობის ამბებს.

ასეთი შეხვედრები და ლიტერატურული საღამოები მოეწყო, მაგალითად, სამტრედიიაში, გურჯაანში, ველისციხეში, რომლებშიც მონაწილეობას იღებდნენ შალვა დადიანი, ალიო მირცხულავა, სანდრო ეული, სიმონ წევრავა, ანდრო თევზაძე.

ასეთი შეხვედრებისა და ლიტერატურული საღამოების ჩამოთვლა და დახასიათება შორს წაგვიყვანდა. ქართველი მწერლების მიერ ომის ამ ეტაპზე გაწეული ორგანიზატორული მუშაობის გასაცნობად. ვფიქრობთ, ესეც კმარა.

მწერლის ცოცხალ სიტყვას, მის გამოჩენას მოსახლეობასა და მებრძოლეებში მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მათ დიდი ინტერესით უსმენდნენ ჩვენი ქვეყნის პატრიოტები. მათი აღმაგზნებელი სიტყვა ადამიანების გულეებში ამაღლებდა სამშობლოს სიყვარულის, პატრიოტიზმის წმინდა გრძნობებს.

დიდი სამამულო ომის ეს ეტაპი ქართულ ლიტერატურაში ამით როდი შემოიფარგლა. გამოვიდა ქართველი მწერლების უამრავი წიგნი. გამომცემლობა „ზარია ვოსტოკამ“ აგიტატორის დასახმარებლად გამოსცა წიგნების მთელი სერია. მათ შორის მეთავე წიგნად გამოვიდა ქართველი საბჭოთა მწერლების თავდაცვით თემატკაზე დაწერილი ლექსების თარგმანები.

გამომცემლობა „ფედერაციამ“ გამოსცა წითელი არმიის ოცდაოთხი წლისთავისადმი მიძღვნილი ლექსების კრებული „ქართველი პოეტები — წითელ არმიას“, რომელშიც დაიბეჭდა გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, ალიო მირცხულავას, სიმონ ჩიქოვანის, ალექსანდრე აბაშელის, იოსებ გრიშაშვილის, კარლო კალაძის, რაჟდენ გვეტაძის, ვასო გორგაძის, გიორგი ქუჩიშვილის, მარიჯანის, სოლომონ თავაძის, ხარიტონ ვარდოშვილის, სიკო ფაშალიშვილის. იოსებ ნონეშვილის და ვ. გუგუშვილის ლექსები.

ცალკე წიგნებად გამოვიდა პოეტების — გალაკტიონ ტაბიძის „მშობლიურო ჩემო მიწავ“, ალიო მირცხულავას „ლექსები“ და „სიმღერა გამარჯვებისა“, გიორგი ლეონიძის „სამშობლო, სტალინი“, „ახალი ლექსები“, ალექსანდრე აბაშელის „გმირული დღეები“, რაჟდენ გვეტაძის „თავდადებულნი“, გიორგი ქუჩიშვილის „კავკასიის მთებში“, დავით გაჩეჩილაძის და მიქელ პატარაძის სატირული ხასიათის ნაწარმოებები.

„საბლიტგამმა“ გამოსცა გიორგი ლეონიძის „ქართველი გმირები“, რომელშიც მოთავსებულია ეპიზოდები საქართველოს წარსულიდან: „შალვა-შავლეგო“, „ზეზვა გაფრინდაული“, „ქართველი ქალი“, „გმირი გლეხის ქალი“.

ჩვენი ქვეყნის ისტორიულ მოვლენებთან არის დაკავშირებული შალვა-შავლეგოს და ზეზვა გაფრინდაულის ცხოვრება. ლეონიძის აზრით შალვა-შავლეგოს თქმულებაში ხალხის ხსოვნას შემოუნახავს მე-12-13 საუკუნის გმირები შალვა ახალციხელი და მისი ძმა ივანე. რომელთაც თავიანთი ქველი გმირობით აღიღეს თამარის მეფობა, ხოლო ზეზვა გაფრინდაული ის გმირია, რომლის გამჭირ-

ახობის შედეგად აიღეს ქართველებმა დიდად გამაგრებული ბახტრიონის ციხე, რომელიც სპარსელებს ეჭირათ. ეს ის დროა, როცა ქართველებს ბრძოლა უხდებოდათ შაჰ-აბასისა და მისი შემდგომი სპარსელი შაჰების ურდოების წინააღმდეგ.

გამოვიდა სერგი მაკალათიას წიგნი „დიმიტრი თავდადებული“.

„საბლიტგამმა“ გამოსცა გრიგოლ აბაშიძის ისტორიული პოემა „გიორგი მეექვსე“.

მკითხველმა მიიღო „ქართული პატრიოტული პოეზიის ანთოლოგია“, აგრეთვე გამოვიდა გამოჩენილი ქართველი მწერლის სანდრო შანშიაშვილის დრამატული ნაწარმოებები „გიორგი სააკაძე“, „კრწანისი“, „ხევისბერი გოჩა“, გამოვიდა კრებული „სამშობლოსათვის“ (ნარკვევები, ლექსები).

აჭარისა და აფხაზეთის გამომცემლობებმა ქართულ და რუსულ ენებზე გამოსცეს ლექსების, მოთხრობების და ნარკვევების კრებულები და მწერლების წიგნები ცალკე.

ასე რომ, 1942 წელი ნაყოფიერი წელი იყო ქართულ ლიტერატურაში.

*
*

1943 წლის 16 მაისს მოსკოვის, ხოლო თვრამეტ მაისს თბილისის გაზეთებში გამოქვეყნდა ქართველ მებრძოლთა წერილი საქართველოს მშრომელებისადმი. წერილი მაშინვე გახმაურდა მთელს საბჭოთა კავშირში. გაზეთებმა „პრავდამ“, „იზვესტიამ“ და „კრასნაია ზევედამ“, საქართველოსა და მოძმე რესპუბლიკების ყოველდღიურმა ბეჭდვითმა ორგანოებმა მას მოწინავე წერილები მიუძღვნეს.

წერილი დაწერილი იყო ლენინგრადისა და მოსკოვის, სევასტოპოლისა და სტალინგრადის, ყუბანისა და ამიერკავკასიის დამცველ ქართველ მებრძოლთა მიერ, იმ ვაჟკაცების მიერ, რომელთაც თავიანთ მხრებზე გადაიტანეს ომის მთელი მრისხანება და სიმწვავე. ამ ადამიანებმა ორკეცად აზღვევეინეს გერმანელ ვანდალებს მათ მიერ დაღვრილი სისხლი საბჭოთა ადამიანებისა, უდანაშაულო დედებისა და ბავშვებისა.

20 მაისს საქართველოს მწერალთა კავშირის სასახლეში შედგა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა საქართველოს მშრომელი ხალხისადმი ქართველ მებრძოლთა წერილის განხილვას. ამავე საკითხს მიეძღვნა მწერალთა კავშირის პლენუმი, რომელიც 3, 4 და 5 ივნისს მიმდინარეობდა.

6. ე. ბართაია

პლენუმში გაიხსნა მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივნის ირაკლი აბაშიძის შესავალი სიტყვით: „სამამულო ომის მიმდინარე მომენტი და საბჭოთა მწერლების ამოცანები“. პლენუმმა მოისმინა მოხსენებები ბესარიონ ჟღენტისა — „ქართული მხატვრული პროზა სამამულო ომის დღეებში“ და ილო მოსაშვილის — „ქართველი მწერლები სამხედრო პრესაში“.

„სამამულო ომმა, — ამბობდა თავის შესავალ სიტყვაში ირაკლი აბაშიძე, — ათასობით წარმოშვა შესანიშნავი ქართველი მებრძოლი, რომელთაგან ზოგიერთნი ვაჟკაცურად დაიღუპნენ, ხოლო მრავალნი დღესაც განაგრძობენ ვაჟკაცურ ბრძოლას ომის ფრონტებზე. ჩვენ გვქონდა საშუალება ახლო გაცნობოდით მათ, შეგვესწავლა მათი ბუნება, მათი გმირული საქმე, რათა მოგვეცა სინთეტური სახე, რომელიც გახდებოდა მისაბაძი და საყვარელი ყველა მებრძოლისათვის, ყველა საბჭოთა პატრიოტისათვის. მაგრამ დღემდე ეს ჩვენ ვერ შევძელით... ჩვენ საკმაოდ ვერ ვაფასებთ და სათანადო ანგარიშს ვერ ვუწევთ იმ დიდ სიყვარულს და უსაზღვრო ინტერესს, რომელიც არსებობს მხატვრული ლიტერატურისადმი წითელი არმიის მებრძოლებში... ფრონტზე ყოფნისას ზოგიერთი ჩვენგანი ყოფილა იმის მხილველი, თუ როგორ ატარებდნენ მებრძოლები უბით ქართველი საბჭოთა პოეტების იმ ლექსებს, რომლებიც გამოხატავენ და ეხმაურებიან მათ პატრიოტულ განწყობილებას“...

პლენუმზე მოუხრიდებლად აკრიტიკებდნენ ყველა მწერალს რა რანგისაც არ უნდა ყოფილიყო იგი, თუ მის მიერ ომის თემაზე დაწერილი მხატვრული ქმნილება ვერ პასუხობდა ჩვენი სახელოვანი მებრძოლებისა და ზურგის მშრომელების დიდ მოთხოვნილებას. მართალია, არ იყო არც ერთი ქართველი მწერალი, რომელსაც ესა თუ ის შემოქმედებითი მუშაობა არ ეწარმოებინა სამამულო ომის დღეებში და თავისი შემოქმედებითი წვლილი არ შეეტანა იმ დიად ბრძოლაში, რომელსაც ჩვენი ხალხი აწარმოებდა, ამ მხრივ ქართული პოეზიის თემატიკა სავსებით შეეფარდებოდა ჩვენი ქვეყნის მაშინდელ ვითარებას, მაგრამ არც პოეზიაში და არც პროზაში ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი ფართო ტილოები.

*

*

ახალგაზრდათა შორის, შეიარაღებულ ძალთა რიგებში გაწვევამდე (1943 წელი) და მის შემდეგაც (ლაპარაკია მხოლოდ ომის დროზე) თვალსაჩინო იყო პოეტ ი. ნონეშვილის მუშაობა 392-ე

დივიზიის გაზეთ „ლენინსკოე ზნამიამი“. აქ იგი მუშაობდა გაზეთის ქართული გამოცემის — ჯერ ლიტმუშაკის, ხოლო შემდეგ პასუხისმგებელი მდივნის თანამდებობაზე, პოეტმა შეიარაღებულ ძალთა რიგებიდან დაბრუნებამდე (1946 წელი) მრავალი ლექსი დაწერა და შესანიშნავი საგაზეთო მუშაობა გასწია.

1943 წელს შეიარაღებულ ძალთა რიგებში წავიდა ახალგაზრდა პოეტი თეიმურაზ ჯანგულაშვილი. ამავე წელს ჯარისკაცის ფარაჯა ჩაიცვა აგრეთვე ახალგაზრდა პოეტმა ოთარ ჭელიძემ. ამიტომ აქვე მინდა მკითხველის ყურადღება გავამახვილო ამ ორი ნიჭიერი ახალგაზრდის პოეტურ გზაზე დიდი სამამულო ომის დროს, მხოლოდ ორიოდ სიტყვით მოვაგონო მკითხველს მათი დამსახურება ლიტერატურული ცხოვრების ამ ეტაპზე.

ამ შემთხვევაში არაფერი მინდა ვთქვა იოსებ ნონეშვილის შესახებ, რომელმაც სამამულო ომის პერიოდში თითქმის იმდენი გააკეთა, რაც უფროსი თაობის გამოჩენილმა პოეტებმა.

თეიმურაზ ჯანგულაშვილი 1943 წელს წავიდა ფრონტზე. ადრე, სტუდენტობის დროს, მისი ლექსები იბეჭდებოდა საგარეჯოსა და ყვარლის რაიონულ გაზეთებში, გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ და ჟურნალ „მნათობში“.

1940 წელს, ვიდრე მშობლიურ ცას ომის ჯანდი დაფარავდა, 17 წლის ქაბუჯი პოეტი მღეროდა:

ჩვენს გულებში საღი გრძნობის რა ულუვი მადნებია,
სიხარულის ხეივნებში ვყვავით გზამოვარდულები.
ფანტელები თუ გკოცნიან და ლოყებზე გადნებიან
მე რა დამიშავებია?! წკრიალებენ ფანდურები.

(„ფანდურები“).

დადგა სიცოცხლისა და სიკვდილის შერკინების უამი — 1941 წელი. ფანდურის წკრიალი ქვემეხის გრუხუნმა შესცვალა და სრულიად ახალგაზრდა პოეტი სცვლის ლექსის კილოს.

მეც მსურს, ვიბრძოდე ძალგულოვანი,
ისე, ვით დიად წინაპრებს სწამდათ...
შერკეხვს სიცოცხლე ათასწლოვანი
სამშობლოსათვის სიკვდილის წამთან!

(„სამშობლოსათვის“, „მნათობი“, 1941 წ.).

და აი, პოეტი ფრონტზეა, რამდენი გზა მოვლო პოეტმა და თეთრი თოვლი ვერსად ნახა. სისხლიან გზაზე მიდიოდა. ეს იყო „მრისხანე დევთა ნაფეხურები, სისხლის, მიწის და ხორცის ნარევი“... საშინელი გზაა!

და დაფლეთილი ასად გეამები
თოვლს შერევია ბრძოლების შემდეგ.
უცქერი მტრის სისხლს და გეამება
კაცს. ჩიტიც რომ არ მოგეკლა ღღემდე.

(„ვინა სთქვა, თეთრიაო თოვლი“).

ახალგაზრდა პოეტი აღრე, თმამდე, რუკაზე თითით ხაზავდა „ვისლას, დუნაის, ნემანს და ოდერს“, ეგონა „მიწას არ ჰქონდა ბოლო და უზრუნველად ღღეები ჰქროდნენ“, თებერვლის ღამით ოდერის შავი ნაპირი გადაჰკრა, ფერფლით და სისხლით ნაფერი მიწა გადაიარა. გათენებისას დასძლიეს მტერი: ბრძოლამ ოდერს გადაღმა იქუხა. ოდერამდე პოეტის გზას ცეცხლის ენები მოსდევდა. სანაღმტყორცნო ოცეულის მეთაური, ლეიტენანტი თ. ჭანგულაშვილი ოდერს გაღმა შეხვდა გამარჯვების დაუვიწყარ მაისს.

თ. ჭანგულაშვილის ლექსი ყოველთვის გამართული იყო იდეურად. ლექსის იდეური გამართულობა პოეტის შინაგანი ბუნების კანონზომიერი ნაწილი იყო და მას არასოდეს უღალატნია ამ კანონზომიერებისათვის.

პირსისხლიანი ფაშისტები არ ზოგავდნენ არავის — დიდს თუ პატარას. მაგრამ საბჭოთა მეომარი, რა აღგზნებულიც არ უნდა ყოფილიყო იგი, ზღვარს არ სცილდებოდა. მტრის მიმართ უღმობელი, მაგრამ ადამიანური გრძნობებით მუდამ მღელვარე, მტერს სამაგიეროს მხოლოდ მაშინ მიუზღავდა, როცა ეს აუცილებელი იყო სიკვდილზე გამარჯვებისათვის. პოეტს ერთხელ გერმანიაში ბრძოლისას შეხვდა არიელთა მოდგმის ასული, რომელსაც მკერდზე ბავშვი ჰყავდა მიკრული.

შემკრთალი დედის მკერდზე მიკრული
მუშტის ოდენა თვალებით მიმზერს
ბავშვი.

მოცახცახე და ფერწასული დედა ქვის იატაკზე ეცემა მუხლით. თრთის და კანკალებს, შეუპყრია თითქოს ციებას, ცრემლად იღვრება, ლეიტენანტს პატიებას სთხოვს და „უმდაბლეს რასის“ ადამიანს უკოცნის ჩეკმებს. რატომ?

და ამ კითხვას პოეტივე აძლევს პასუხს:

— ო. ქალბატონო, დაშვიდდით და ადექით ფეხზე,
ჩვენ ბავშვებს არ ვკლავთ, ბავშვის მკვლელი
ქმარია თქვენი!

ღიახ, ჩვენს დედებს, ჩვენს ქალებსაც უყვარდათ ასე
შვილები, მაგრამ...

არა, ბავშვს არ ჰქვავს ჩემი ბავშვის შობელი მამა.
ქალის სისხლს არ ღვრის ჩემი ცოლის მებრძოლი ქმარი.
მე მხოლოდ თქვენს ქმარს და ამ ბავშვის მამას
დავეძებ,
გვსმით?—ღარეკა და გუგუნებს განკითხვის ზარი!

განკითხვის ქამმა არა თუ ღარეკა, დაიგრგვინა. ტანჯვის, დიდების და გამარჯვების გზებზე მოსიარულე პოეტს გაუთენდა 9 მაისის — გამარჯვების დღეა.

პე. გამარჯვება იზეიმე. ჩემო მამულო,
რა სხიენათელი. მზენათელი დროშა ფრიალებს!
...და ჩვენ ვიბარებთ ფრიცების, პანსების
ცხრაასორმოდახუთის ნიმუშის
უკანასკნელ ეგზემპლარებს.

და ეს „უკანასკნელი ეგზემპლარები“ მას შემდეგ ისტორიის სამარცხვინო ბოძზეა გაკრული.

ოთარ ჰელიძე ერთი ის ნიჭიერი პოეტთაგანია, რომლის პოეტური ხმა „სალამურებმა“ დააძმობილა ფრონტელი პოეტების ვახტანგ გორგანელის, მურმან ლებანიძის და თეიმურაზ ჭანგულაშვილის პოეტურ ხმასთან.

ოთარ ჰელიძე ორიგინალური ხმის პოეტია. მისი ლექსის ტექნიკა, წყობა, რითმა, ამბის გადმოცემის ხერხი თავისებურია, პოეტის მდიდარი ფანტაზია რეალურ სამყაროში ეძებს დასაყრდენს. დიდი სამამულო ომის მძაფრ დღეებში სისტემატურად იბეჭდებოდა მისი ახალგაზრდული ალტკინებით, სამშობლოს უღრმესი სიყვარულით გამოთბარი ლექსები გაზეთ „კომუნისტის“ სააგიტაციო ფურცლებზე („როგორც პირველი მახარობელი“, „რადისტი ქალი“ და სხვ.), გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ („დაჭრილი მეომრის სიტყვა“, „წყურვილი“ და სხვ.). პოეტის ოცნებას ახლისაკენ ლტოლვა აცისკროვნებდა. სიახლის ეს გრძნობა განასხვავებდა მას მისი თაობის ზურგში თუ ფრონტზე მყოფი პოეტებისაგან.

ვაშლის ხე. მღგარი განმარტოებით,
ვაშლით ამაყობს. განა რტოებით,
მე კი ლექსებით ნაცაცხარო
ვხშიანობ, მინდა რაღაც ახალი.

(„რაღაც ახალი“).

ოთარ ჰელიძის სამამულო ომისდროინდელი პოეზია — ლორთქო ბალახივით მწვანე და მობიბინე — თანდათანობით ფეხს იკიდებდა ქართული პოეზიის დიდ ოჯახში. მისი ლექსების მრავალფე-

როვნება, რაც პოეტს განასხვავებდა სხვებისგან, აიხსნება თვით ლექსის თემატიკით.

საინტერესო შთანაფიქრია ლექსი „ომისდროინდელი ბალადა“. ჯარისკაცები დაკარგულ წყაროს ეძებენ ტრამალზე. წააწყდებიან ნაკადულს. უცებ ელდისაგან მათარა დაუვარდებათ: წყალთან დაჭრილი ბავშვი წევს, სიკვდილს ებრძვის. ბაგე გახსნა, წყალი და დედა ახსენა.

გააჟრიალათ დევგშირებს,
ხმა რომ მოესმათ პატარის,
ბალს წყალი დააღვივნეს,
ალარ სწყუროდა არავის.

ასეთივე მიგნებული, საინტერესო სტრიქონებია ლექსში „დრო-შების დაბადება“. ბაქსანთან იბრძვიან გმირები. ფრონტს იცავს სამი მოძმე. ზარბაზნები დგანდგარებენ, მაგრამ სიკვდილს არ ნებდებიან ძმები.

— თუ ცოცხლები ვერ ავღვებოთ,
დამიწება არ ვიკმაროთ,
დავიხადოთ პერანგები,
კრილობებზე დავიფაროთ!

ასეთივე სიუჟეტიანი ლირიკული ლექსია „კახაბრიძე“. ინჟინერი კახაბრიძე ახალ ხიდზე ფიქრობდა. მდინარეზე მართლაც გადესკ ხიდი „და პოლკები ძლევამოსილ მარშით“ ლალად გაემართნენ გაღმა მხრისაკენ!

მრავლისმეტყველია ლექსები: „პოსპიტალი“, „1942 წლის მთაწმინდა“, პოემები: „ღამის დარაჯი“, „ბეჭა ხმალაძე“, „ბრინჯაოს მასპინძელი“, „თანამედროვე ეპოპეა“.

ოთარ ჭელიძე გრიგოლ აბაშიძის შემდეგ ერთადერთი ქართველი პოეტია, რომელმაც დიდი სამამულო ომის (1941 — 1945 წწ) პოეზია მრავალი საინტერესო პოემით გაამდიდრა. ეს პოემები ომის შემდეგაა დაწერილი.

ამრიგად შეიარაღებულ ძალთა რიგებში მყოფ ქართველ პოეტთა რიგებს 1943 წელს მიემატა სამი ქართველი პოეტი იოსებ ნონეშვილი, თეიმურაზ ჩანგულაშვილი და ოთარ ჭელიძე.

საქართველოს მწერალთა კავშირის 1943 წლის ივნისის პლენუმმა, რომელიც ღონისძიებებს სახავდა ქართველ პოეტთა შემდგომ მოღვაწეობაზე ფრონტზე თუ ზურგში, აღნიშნა ახალგაზრდა ქართველი პოეტების პოეტური და საბრძოლო დამსახურება სამამულო ომის მრისხანე დღეებში და სხვა ღონისძიებებთან ერთად

ქართველი მწერლების უფროს თაობას მოუწოდა დახმარებო-
და ახალგაზრდობას. მაშინ ქართულ ფრონტულ გაზეთებში თავი ა-
ლექსებს ბეჭდავდა ახალგაზრდა პოეტი სანდრო ჟღენტი. ფრონ-
ტიდან ბრძოლის წყურვილით აღგზნებულ ლექსებს აგზავნიდა ა-
ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტი მირზა გელოვანი. ფრონტული გაზე-
თების ფურცლებზე გამოჩნდნენ ახალგაზრდა პოეტები კურსანტი
ნ. მ. გელიაშვილი, წითელარმიელ ალ. ჭაფარიძე და სხვ. ეს ახალ-
ბედა პოეტები, რომლებიც ჭარის ნაწილებში იმყოფებოდნენ და
ქართულ არმიულ გაზეთებს თავიანთ ლექსებს აწვდიდნენ, მოით-
ხოვდნენ გამოცდილი მეგობრებისაგან დახმარებას.

სწორედ პლენუმის გადაწყვეტილების შედეგი იყო ფრონტელ-
თა ლექსების კითხვის საღამო, რომელიც 1943 წლის 25 დეკემ-
ბერს მოეწყო მწერალთა კლუბში. სამამულო ომის ფრონტებიდან
მებრძოლთა მიერ გამოგზავნილი ლექსები წაიკითხა საქართველოს
სახალხო პოეტმა ვალაკტიონ ტაბიძემ, საღამოზე გაიმართა აზრთა
გაცვლა-გამოცვლა.

საბჭოთა არმიის ნაწილებში მწერალთა მუშაობის გაძლიერე-
ბის საკითხს მიეძღვნა ქართველი მწერლების გაფართოებული თათ-
ბირი, რომელიც ჩატარდა 1943 წლის 24 აგვისტოს მწერალთა კავ-
შირის კლუბში. ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამიერკავკასიის
სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს აგიტაციისა და პროპაგან-
დის განყოფილების უფროსი კრეტოვი. აღნიშნა რა ბევრი ქართვე-
ლი მწერლის ნაყოფიერი მუშაობა წითელი არმიისა და სამხედრო-
საზღვაო ფლოტის ნაწილებში, მომხსენებელმა, უკვე მიღებული გა-
მომცდილების საფუძველზე, ხაზი გაუსვა იმ უდიდეს მნიშვნელო-
ბას, რომელიც აქვს მწერალთა ცოცხალ კავშირს წითელი არმიის
ერთეულებთან ფრონტისა და ზურგის ერთიანობის შემდგომი გან-
მტკიცებისათვის.

თათბირზე ხაზი გაესვა იმ მდგომარეობას, რომ პლენუმის
შემდეგ, მართალია ფრონტზე მოქმედ და ზურგში მდგარ სამხედრო
ნაწილებში იგზავნებოდა მწერალთა ჯგუფები, მაგრამ ეს ჯგუფები
ხშირად ერთი და იგივე მწერლებისაგან შედგენილი და მცირერიც-
ხოვანი იყო, რომელნიც ვერ სწვდებოდნენ ყველა შენაერთს.

დასახულ ღონისძიებათა შედეგად 1943 წლის სექტემბერში
საბჭოთა არმიის ნაწილებში გაემგზავრა მწერალთა დიდი ბრიგადა,
რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ შალვა დადიანი, სიმონ ჩი-
ქოვანი, სანდრო ეული, კარლო კალაძე, გრიგოლ აბაშიძე, სოლო-
მონ თავაძე, რაქდენ გვეტაძე და როდიონ ქორქია. ბრიგადას ხელ-
მძღვანელობდა სიმონ ჩიქოვანი. ბრიგადამ მეომრებთან ათ დღეს

დაპყო, გამართა ლიტერატურული საღამოები, მოაწყო შეხვედრები, გაეცნო მებრძოლთა ყოფა-ცხოვრებას.

დიდი სიხარულით შეხვდნენ მებრძოლები იმ მწერლებს, რომელნიც ადრე ფრონტზე იყვნენ მათთან ბრძოლებში. მაგალითად, ბევრი ნაცნობი გამოუჩნდა სიმონ ჩიქოვანს, სოლომონ თავაძეს, კარლო კალაძეს. მათ გაიხსენეს შეხვედრები ფრონტზე, საბრძოლო ეპიზოდები.

ტამანის ნახევარკუნძულის საბოლოოდ განთავისუფლების შემდეგ ქალაქ ანაპაში, სადაც ანაპის ქართული მსროლელი (ადრე 414-ე) დივიზია იდგა, ჩავიდა დელეგაცია, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი მიხა ბარამია ხელმძღვანელობდა. დელეგაციაში შედიოდნენ რესპუბლიკის თვალსაჩინო წარმომადგენლები: სსრ კავშირის სახალხო არტიტი აკაკი ხორავა, გამოჩენილი ქართველი პოეტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე, პოეტი სიმონ ჩიქოვანი, საქართველოს სახალხო მხატვარი უჩა ჯაფარიძე და სხვ. შემდეგში დივიზიას ესტუმრნენ აგრეთვე პროფესორი აბელ კიკვიძე, ნიკო ჩახვაშვილი და სხვები.

ასე რომ, ფრონტზე გამგზავრებულ დელეგაციებში ქართველი მწერლების მონაწილეობას ფართო ხასიათი მიეცა. ქართველ მწერლებს თავიანთი მგზნებარე, მხატვრული სიტყვა მიჰქონდათ სახელოვან მამულიშვილებთან და აღაფრთოვანებდნენ მათ სამშობლოსათვის ბრძოლაში.

მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი ამ მუშაობას არ თვლიდა საკმარისად, გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებას“ გარშემო შემოიკრიბა ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატები აქტუალური შემოქმედებითი პრობლემების გადასაწყვეტად. ეწყობოდა შეხვედრები და დისკუსიები ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა განსახილველად, რამაც უეჭველად შეუწყო ხელი მწერლების, თეატრის, კინოს, ფერწერის ოსტატთა ურთიერთდაახლოებას, მიღწევათა ურთიერთ გაცნობას, მათი ჰორიზონტის გაფართოებას და ოსტატობის გაღრმავებას. გაზეთმა ოპერატიულობა და გეგმიანობა შეიტანა მწერლისა და ხელოვანის საქმიანობაში.

მწერლებისა და მხატვრების ერთობლივი შემოქმედებითი შრომის ნაყოფი იყო ლიტერატურულ-მხატვრული პლაკატები „კალმით და ხიშტით“. 1943 წლის დასაწყისისათვის უკვე გამოცემული იყო 3 ნომერი. პირველ პლაკატზე დაიბეჭდა ი. გრიშაშვილის ლექსი „1943 წ.“, მეორე პლაკატზე — ა. მირცხულავას „მშობლიურ უკრაინა“, ხოლო მესამე პლაკატზე — ა. აბაშელის „უკანასკნელი საათი“.

ჩვენს პრესაში მხატვრულ ნარკვევებთან ერთად იბეჭდებოდა მხატვრების საფრონტო ჩანახატებიც. მაგალითად, გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ დაბეჭდილ ს. ჩიქოვანის მხატვრულ ნარკვევს „გიორგიანის მთაზე“ (ტამანის ნახევარკუნძულზე) ამშვენებდა კ. ხუციშვილისა და შ. მამალაძის მიერ შესრულებული პორტრეტები: პოლკოვნიკი სტეფანე ბერუჩაშვილი, კაპიტანი ნიკოლოზ ქურაძე, სერჟანტი გრ. სამხარაძე, უფროსი სერჟანტი სერგი კორძაძე. ასეთი ჩანახატები ახლდა აგრეთვე კ. ლორთქიფანიძის, ირ. აბაშიძისა და სხვათა ნარკვევებს. მწერლისა და მხატვრის ერთობლივი მუშაობა მეტ ეფექტურს ხდოდა ნარკვევს.

მწერლებისა და ხელოვნების მუშაკების ერთობლივი ღონისძიება იყო თუ გნებავთ 1944 წლის მაისში მწერალ ელიზბარ ზედგინიძისა და კინოოპერატორების კილასონიძისა და დეკანოზიძის გამგზავრება სევასტოპოლში¹. ეს ის დრო იყო, როდესაც ბრძოლა სევასტოპოლისათვის მეტად გამწვავდა, ფაშისტები თავგამოდებით იცავდნენ სევასტოპოლის მისადგომებს და სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ საბჭოთა ჯარებს. ირაკლი კანდელაკი, ლეო არზუმანოვი, ოთარ დეკანოზიძე და ვ. კილასონიძე 1942 წელსაც იყვნენ 392-ე ქართულ დივიზიაში, გამოჩენილ ქართველ მწერლებთან — კონსტანტინე ლორთქიფანიძესთან, გიორგი ქუჩიშვილთან, სოლომონ თავაძესთან, კარლო კალაძესთან, ერემია ქარელიშვილთან ერთად მწერლებმა და კინოოპერატორებმა დიდი მუშაობა ჩატარეს იმისათვის, რომ ღირსეულად აესახათ ქართული დივიზიის პირადი შემადგენლობის თავდადებული ბრძოლები სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

მწერალთა კავშირი დიდი სამამულო ომის ამ ეტაპზე მრავალფეროვან ღონისძიებებს ატარებდა მწერლის გააქტიურების მიზნით. ამ ღონისძიების ერთ-ერთი ფორმა იყო ტრადიციული ლიტერატურული საღამოების მოწყობა. ასეთი, ლიტერატურული საღამოები ჩატარდა, მაგალითად, ქ. ცხაკაიაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ალიო მირცხულავამ, არჩილ ჩაჩიბაიამ და ალიო ადამიამ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზდიუმის დადგენილებით მოეწყო საპირველმანისო საღამოები წითელი არმიის ნაწილებში, სარაიონო ცენტრებსა და კოლმეურნეობებში. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და წითელი არმიის ნაწილებში გაიგზავნენ გრიგოლ ჩიქოვანი, მარიამ გარიყული, ანდრო თევზაძე. ლევან გოთუა, გიორგი კაჭახიძე და მავყალა მრეველიშვილი.

1944 წლის 12 მაისს, მოსკოვში, მწერალთა კლუბში შედგა ქართული ლიტერატურის პირველი საღამო, რომელიც მოძმე ლი-

¹ კინოოპერატორი ვ. კილასონიძე საპუნ-გორაზე დაიღუპა 1944 წლის მაისში.

ტერატორთა მეგობრობის დემონსტრაციად გადაიქცა. სალამოზე მომხსენებელი იყო ლევან ასათიანი.

ლიტერატურული სალამოები გაიმართა ქ. გორში (მომხსენებელი გ. ჯიბლაძე). სიტყვებით და თავიანთი ნაწარმოებების კითხვით გამოვიდნენ დ. ბენაშვილი, ს. შანშიაშვილი, ლ. ქიაჩელი, ირ. აბაშიძე, დ. სულიაშვილი, ს. ჩიქოვანი, დ. კასრაძე, გრ. აბაშიძე, ი. ლისაშვილი, კ. ქიქინაძე, გ. ლეონიძე, გ. შატბერაშვილი, რ. გვეტაძე, მ. მრევლიშვილი.

ასეთი სალამოები ჩატარდა სოხუმში, სადაც სალამოს მუშაობაში მონაწილეობდნენ გ. გაჩეჩილაძე, ა. თევზაძე, რ. მარგიანი, ა. ლომიძე. ა. შენგელია, მალე აფხაზეთში ჩავიდნენ აგრესივე ლ. ქიაჩელი, ს. ჩიქოვანი და ირ. აბაშიძე.

ლიტერატურულ სალამოებზე აღინიშნა აფხაზ და აფხაზეთში მომუშავე ქართველი პოეტების ნაყოფიერი მუშაობა დიდი სამამულო ომის წლებში.

ფრონტელმა პოეტმა ა. სანგულიამ მგზნებარე ლექსი მიუძღვნა მფრინავ ალექსანდრე წურწუმიას გმირობას, ხოლო პოეტმა ი. თარბამ — კომისარ ჩარგეიშვილის სიმამაცეს. პოეტმა ბ. შინკუბამ თავის პოეზიაში აგვისახა საბჭოთა ხალხის მორალურ-სულიერი ძლევამოსილება. რამდენიმე მგზნებარე ლექსი დაწერა სახალხო პოეტმა დ. გულიამ საბჭოთა კავშირის გმირ ვ. ხარაზიაზე.

ლიტერატურული სალამოები ტარდებოდა ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქ ბათუმში. ბათუმში მცხოვრები მწერლები სამამულო ომის პერიოდში გატაცებით მუშაობდნენ ჩვენი ხალხის გმირული შრომის ამსახველ ნაწარმოებებზე. აჭარის სახელგამმა გამოსცა რამდენიმე კრებული, რომლებშიაც წარმოდგენილი იყო ბათუმში მომუშავე მწერლების ლექსები, პოემები და მოთხრობები. მთელი განვლილი პერიოდის განმავლობაში განსაკუთრებული შემოქმედებითი ნაყოფიერება ახასიათებდა კაპიტონ რუსიძეს. თავის ლექსებში და პოემებში პოეტი ხატავდა ბრძოლის ცალკეულ ეპიზოდებს, სამშობლოსათვის თავდადების მაგალითებს. ნაყოფიერად მუშაობდა პოეტი შალვა შუბლაძე. მისი ლექსიდან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ „ზარს შემოჰკარ ქართლის მიწავ“, რომელშიც პოეტმა გადმოგვცა კავკასიის ხალხთა მონოლითური ერთიანობა, ხალხთა ურყევი მეგობრობა. პოეტი ნესტორ მალაზონია თავის ლექსებში და ბალადებში ნათელი საღებავებით გადმოგვცემდა გამარჯვების იმ უღრმეს რწმენას, რომელიც ერთი წუთითაც არ სტოვებდა მთელი ომის განმავლობაში საბჭოთა პატრიოტის გულს. თემატიკური მრავალფეროვნება ახასიათებს პ. რუარუას ლექსებს.

აღსანიშნავია ნ. გვარიშვილის, დ. გოგატაძის, გ. სალუქვაძის, შ. ვარშანიძის და სხვათა ნაყოფიერი მუშაობა ომის წლებში. პრავალი მათგანი ფრონტზეც იყო. პროზის დარგში განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობდა პარმენ ლორია.

იმ გიგანტური ომის უმძაფრეს ეპოპეაში ქართველი მეომრის სასიქადულო მონაწილეობა აღბეჭდილია არა მარტო მწერალთა სტატიებში და საგაზეთო კორესპონდენციებში, არამედ თვით ქართველ მეომართა დღიურებსა, ნარკვევებსა, მოთხრობებსა და ლექსებში. ბევრმა არც კი იცის, რომ რუსეთსა, უკრაინასა და ბელორუსიაში მებრძოლი ქართველები თავიანთი საკუთარი ძალებით სცემდნენ ქართულ საფრონტო გაზეთებს, სადაც ქართველ მეომართა კორესპონდენციებთან ერთად იბეჭდებოდა მათი მხატვრული ნაწარმოებები — ლექსები და მოთხრობები. იმავე დროს მათ განუწყვეტელი კავშირი ჰქონდათ სამშობლოსთან — საბჭოთა საქართველოსთან. სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე ჩვენი პერიოდული პრესის რედაქციები — „კომუნისტი“, „ზარია ვოსტოკა“, „ლიტერატურული საქართველო“ (შემდგომში „ლიტერატურა და ხელოვნება“), ყურნალი „მნათობი“, სარაიონო გაზეთები, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი, გამომცემლობები — „სახელგამი“, „საბჭოთა მწერალი“ და სხვები უამრავ მხატვრულ მასალას დაგროვებდნენ ქართველი მეომრებისაგან. ნაწილი ამ მასალისა იბეჭდებოდა, მაგრამ უმრავლესობა გამოუქვეყნებელი რჩებოდა იმის გამო, რომ მათ აკლდა ლიტერატურული დამუშავება.

დადგა საკითხი, შექმნილიყო ცენტრი, რომელიც ამ მასალებს თავს მოუყრიდა და სათანადო ხელმძღვანელობას გაუწევდა მის დამუშავებას. ამ საქმის თაოსნობა იკისრა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა. მაგრამ, ამ მიმართულებით ბევრი რამ არც ომის და არც ომის შემდგომ არ გაკეთებულა. მართალია, ამ ბოლო წლებში გამოიცა ფრონტელი პოეტების მირზა გელოვანის, დავით პატატიშვილის, გიორგი ნათეტვარიძის, ვლადიმერ უბილავას, სევერიან ისიანის, სანდრო ჟღენტის ლექსების წიგნები, მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

სამამულო ომის უმძაფრეს დღეებში ფრონტზე იბრძოდნენ და იქ დაიღუპნენ ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტები, რომელთა შემოქმედებას ახალი თაობა არ იცნობს, ხოლო ძველ თაობას ავიწყდება. მათი ლექსები იბეჭდებოდა რესპუბლიკურ, რაიონულ და სამხედრო გაზეთებში. მართალია, 1948 წელს „საბლიტგამმა“, გამოსცა ფრონტელი პოეტების ლექსების კრებული „იერიში“, მაგრამ იგი სავსებით ვერ აკმაყოფილებს იმ წყურვილს, რაც ასე აწუხებს ქართველ მკითხველს. ლიტერატურის მოყვარულებს არ შეიძლე-

ბა არ ახსოვდეთ ვაჟიკა ფხოველის, იოსებ ბალახაძის, ლ. გელაძის, ი. ჩხაიძის, ნ. კობალიანის, შ. იოსელიანის, ლ. ძიმისტარიშვილის და სხვათა უშუალოდ ცეცხლის ხაზზე დაწერილი მგზნებარე ლექსები. მათ ლექსებს, როგორც იტყვიან, დენტის მძაფრი სურნელი დაჰკრავს. ბევრი მათგანი ძელმიწურ საცეცხლე წერტებსა და ბლინდაეებში შეიქმნა. ჩვენი სამშობლოს სახელოვანი დამცველები— რიგითი მებრძოლები, სერჟანტები და ოფიცრები ცდილობდნენ ხიშტთან ერთად კალამიც გამოეყენებინათ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. მართალია, ფრონტელი პოეტები ზოგჯერ ვერ იძლეოდნენ მხატვრულად ყოველმხრივ გამართულ ლექსსა თუ მოთხრობას, მაგრამ მათ შესწევდათ უნარი, ბრძოლის ცეცხლში საკუთარი თვალით ნანახი და საკუთარი გულით განცდილი უშუალოდ ეგრძნობინებინათ მკითხველისათვის.

ფრონტიდან გამოგზავნილ ლექსებში უფროსი სერჟანტი ალ. ჯაფარიძე წერდა:

გაივლის ეამი, ჩადგება ქარი,
ჩვენც წინაპრებად ვიქცევით მაშინ
და ვიგუგუნებთ ისე, ვით ზარი,
შთამომავლობის შორეულ ხმაში.

ამ სტრიქონებში შესანიშნავად არის გამოხატული „ძველი“ წინაპრების უწყვეტი კავშირი „ახალ“ წინაპრებთან. ეს უწყვეტობა ჯაჭვი, რაც ასე ამკიდროვებს ამ ორი წინაპრის საგმირო კავშირს, ისევე უწყვეტად დარჩება ქართველი ერის ისტორიაში, როგორც თვით საქართველო საქართველოს ისტორიაში.

გაზეთმა „ლიტერატურა და ხელოვნებამ“ კარგი საქმე გააკეთა. როცა მოამზადა ჯერ „ფრონტელი პოეტების ლექსების ფურცელი“, ხოლო შემდეგ „წითელარმიული გაზეთის ლიტერატურული გვერდი“. პირველში განხილულია მებრძოლთა ლექსები (მიმომხილველი მაცყალა მრევლიშვილი). აქვე დაბეჭდილია სერჟანტ შალვა ერისთავის („შვილის ფიცა“), ანზორ ბეშიძის („ფრონტელის წერილი“), უფროსი სერჟანტის შალვა ჯოხაძის („ფიცა“), წითელარმიულ ქ. დაუშვილის („სმოლენსკი ჩვენია“), სერჟანტ ილო ჯაჭანიძის და სტეფანე არღუნელის ლექსები.

ლიტერატურული გვერდი, რომელიც ფრონტელების შემოქმედებას მოიცავს, დათმობილი აქვთ რიგით მებრძოლს ნ. თალაკვაძეს, უფროს სერჟანტს ალ. ჯაფარიძეს, ლეიტენანტ თ. ჯანგულაშვილს, უფროს ლეიტენანტს — აკ. თოფურიას და შ. ლომსაძეს, რიგით მებრძოლს მ. ლებანიძეს, გვარდიის ლეიტენანტს აკ. გეწაძეს, რიგით მებრძოლებს ვლ. გელაშვილს, კაპიტან ნ. ტატიშვილს, ი. აროსიას, ვ. გალდავას, შ. ერისთავს.

პაჭკოთა პოეზია

საბჭოთა ადამიანებს ყოველთვის განუსაზღვრელად უყვარდათ და უყვართ თავიანთი სამშობლო და მწერალიც თავის უპირველეს მოვალეობად თვლის, თავის შემოქმედებაში გამოხატოს ეს მაღალა და წმინდა გრძნობა, სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე საბჭოთა ადამიანის პატრიოტული აღტკინების ასახვა ქართველ მწერალთა შემოქმედებაში უფრო ახალ და მაღალ საფეხურზე ავიდა.

თავისუფლებისმოყვარე საბჭოთა ხალხი ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე იყო გამსჭვალული შუასაუკუნეების ბნელეთის მოციქულის — ფაშიზმისადმი შეურიგებელი სიძულვილის გრძნობით. ომმა ასწავლა ჩვენს ხალხს უფრო რეალური, უფრო მწვავე სიძულვილი პირსისხლიანი მტრისადმი. მრისხანე შურისძიების ცეცხლს, რომელიც იმეამად საბჭოთა ადამიანის გულში გიზგიზებდა, სწორედ ეს შეგნებული სიძულვილი ასაზრდოებდა. ამან კი მოითხოვა, რომ საბჭოთა მწერლის ნაწარმოებში უფრო რეალურად და უფრო კონკრეტულად შესხმოდა ხორცი მტრისადმი ჩვენი ხალხის დაუცხრომელ სიძულვილს.

საბჭოთა მწერალს ჯერ კიდევ ომამდე აღაფრთოვანებდა ჩვენი დიადი პარტიის მიერ აღზრდილი ადამიანების შრომითი გმირობა და სიმამაცე. იგი შეძლებისდაგვარად ასახავდა საბჭოთა ადამიანის ამ წარმატებულ მორალურ თვისებას. მას ექვი არ ეპარებოდა, რომ სამშობლოს მტრებთან ბრძოლაში საბჭოთა პატრიოტის გმირობა გააოცებდა მთელ კაცობრიობას. მაგრამ ჩვენი წარმოდგენა საბჭოთა ადამიანის ვაჟკაცობაზე, გამძლეობასა და სიმტკიცეზე მაინც ზოგადი და რამდენადმე განყენებული იყო. სამამულო ომის პირველ თვეებშივე საბჭოთა ადამიანებმა მთელი მსოფლიო განაცვიფრეს თავიანთი გაუგონარი გმირობით. ეს გმირობა იქცა ჩვენი მწერლობის შთაგონების წყაროდ. დაიწერა და გამოქვეყნდა ლექსები,

მოთხოვნები, მხატვრული ნარკვევები და პუბლიცისტური წერილები, სადაც უმთავრესად საბჭოთა ადამიანის მაღალ გრძნობაზე, განცდებსა და აზრებზე იყო ლაპარაკი. და ყოველივე ეს დაკავშირებული იყო სამშობლოს პატრიოტიზმთან, სამშობლოს დიდ სიყვარულთან, რაც ესოდენ ძლიერი ფესვებით იყო გადახლართული ქართველი ხალხის ბრწყინვალე ისტორიასთან, მის სიცოცხლესთან მის შემოქმედებასთან.

სამშობლოს სიყვარული, მამულისათვის თავდადებულთა გმირობა ოდითგანვე იყო ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი უპირველესი სიტყვა. „სახლკარისათვის, ღირსებისათვის ბრძოლის ზნეობითს ძალას ქართველი ხალხი უხვად ჰპოვებდა მწიგნობრობაში. მწერლობა, პოეზია ქართველი ხალხის ყოფიერების განუკვეთელ ნაწილად იქცა. დიდი და მცირე, ერი და ბერი, ყველა ეწეოდა შემოქმედებითი ცხოვრების ჰაპანს. წერილობით თუ სიტყვიერად იქმნებოდა და ყალიბდებოდა სიცოცხლის, ბრძოლისა და სიყვარულის მაღალი იდეალი“. — ამბობს ალ. ბარამიძე.

კარგად უთქვამს XVIII საუკუნის ცნობილ მოღვაწესა და პოეტს მამუკა ბარათაშვილს: „ან კაი იგავები მოიყვანე და იმაზე თქვი, ან კაი სწავლის ამბით კაი ამბები გალექსე, ან ომებსა და ფალავნების ამბავზედ თქვი, ამისათვის რომ კაცს გააგულოვნებს, ომს მოანდომებს და იარაღის ხმარებას ასწავლის და რჯულისა და მეფის და ქვეყნის გამოსაყენებელია“.

და როცა ატყდა დიდი სამამულო ომი, ქართველმა მწერლობამ ერთხმად აიღო გეზი, ევლო სამშობლოს/სიყვარულის იმ ლაღი იდეალის გზით, რაც მას ძველმა მწერლობამ უნდერძა.

ამიტომ იყო, რომ ომის დაწყების პირველსავე დღეებში ქუხილად გაისმა გამოჩენილი ქართველი პოეტის ალექსანდრე აბაშელის მგზნებარე სიტყვები და იგი ხალხმა საკუთარ ხმასავით მიიღო:

ჩვენს აყვავებულ მიწას
ვერვინ წაგვართმევს ძალით,
რადგან ქვეყანას იცავს
ძღვეამოსილი ხმალი.

(„ცამ დაიქუხა გუშინ“).

იმ დღეებშივე ალექსანდრე აბაშელმა შესანიშნავად გამოხატა იმ უდიდესი განსაცდელის უამს ყველა ქართველი მწერლის წმინდათა წმინდა მოვალეობა:

კალამო! მხოლოდ შემუსვრა მტერთა! —
გადივიწყე სხვა ყველაფერი.

დაუნდობელი მტერი რომ თვალს არ აცილებდა ჩვენს სამშობლოს, ამის წინამგძნობელი თვითონ იყო ჩვენი სამშობლო. გამოჩენილმა ქართველმა პოეტმა გალაკტიონ ტაბიძემ თავის ლექსში „მამულო სიტოცხლო“ ასე გამოხატა სამშობლოზე მტრის თავდასხმის ფაქტი:

...ირიერაჲ თუ არა —
ალისფერმა სინათლემ
ღრუბლებს გადაუარა.

პოეტი პატრიოტული ადგზნებით მიმართავს მამულს: შვილთა შენთა ხმამაღლა სთქვან შენი სიყვარულიო, — რადგან ხალხის ხმა მძლავრობდა და პოეტის ღრმა რწმენით, საბოლოოდ მამული გაიმარჯვებდა.

ასე უწინასწარმეტყველა გამარჯვება გ. ტაბიძემ საყვარელ მამულს.

აღიო მირცხულავამ ყველა საბჭოთა მოქალაქეს მოუწოდა:

ლენინის ღროშა გავშალოთ,—ორბის-ფრთა
ნაპერწყლოვანი,
დაესძახოთ ბრძოლის ყოვინა მრისხანე. ხმაცეცხლოვანი,
მტრებს დაესცხოთ, ქარბუქს მიჰქონდეს მათი ოხვრა
და გლოვანი,
კვლავ ვასახელოთ გმირობით სამშობლო სახელოვანი!
(„სიმღერა გამარჯვებისა“).

გიორგი ლეონიძეს ფაშიზმისაგან ჩვენი ლამაზი ბარის, მთისა თუ ხეობის დაცვის უებარ საშუალებად ვაეკაცის მარჯვენა, არწივების ფრთის ძალა მიაჩნდა.

შენს ფროვში ხალხის ძალა,
ხალხის ვაეკაო, ძლიერო,
ათჳერ და ასჳერ მიუზღე
მტარვალ მტერს სამაგიერო.

არ დაეთმოთ თავისუფლება,
მარცვალი ჩვენი ყანისა;
დააწრთე სულის ფოლადი,
ჯიში ხარ ამირანისა.

(„წინ, სტალინურო არწივო!“).

ამ ვაეკაცთა სახელები „დიდ ბრძოლის ველზე სწერია“. ქართველი ვაეკაცების გმირობის მოწმენი არიან „რუსთა არენი“, „დი-

დი მოსკოვის მიწანი“. ამ მხედრების ფუძე ფოლადია, ხოლო აკვანი — პთები. მათი „ჭრილობის წვეთ-წვეთი ძველ გმირთა სისხლს შეერთებია“. ხალხს ღვიძავს მარადღლე, რომ მტერს „არ დაუთმოს სამშობლო წინაპართ ნამემკვიდრები“, ვენახი, „დაპურებული მინდვრები“, რუსთველის სიტყვა, „მზის ნელვარი ნათელი და მომავლის გზა-კვალი“. თვითონ პოეტიც, რომელმაც კარგად იცის საქართველოს ისტორია, ქართველი ვაჟკაცების ხმლისა და მკლავის სიმძლავრე, გაცეხულია იმ გმირობით, რასაც ისინი ბრძოლებში სჩადიან („ქართველ მხედრებს“).

მოწოდება — „სამშობლოსათვის“ პოეტს მიაჩნია ყველაზე ძლიერ მოწოდებად, რომლის მსგავსი არც ყოფილა და არც იქნება („სამშობლოსათვის“). სამშობლოს ამ მოწოდებაზე საბჭოთა ადამიანები ამართულნი არიან, „როგორც სალი კლდე წარღვნის მკეტავი“, რომ არავის დაუთმონ თავისუფლება და არავის მისცენ ხალხის ნასიკეთარი, არც არვის ეყმონ, არცა ემონონ.

„მოწოდება“ — ასე დაასათაურა იოსებ გრიშაშვილმა ომის პირველ დღეებში დაწერილი ერთ-ერთი ლექსი, ზარივით გაისმა პოეტის ეს ომახიანი მოწოდება:

შემოკრებით ერთად! გავღვენოთ
მტერი სიწმინდის მკრეხელი,
აყვავდეს ჩვენი ქვეყანა,
ამაყი, გაუტეხელი.

(„მოწოდება“).

დიდმა სამამულლო ომმა გრიშაშვილის ლექსის ნაზი ლირიკული ხმა საბრძოლო ყიყინით შესცვალა. პოეტი მთელი ხმით უმღეროდა სამშობლოს, მის უწმინდეს სიყვარულს, მტრის წინააღმდეგ ამხედრებული საბჭოთა ხალხის გმირობას.

ირაკლი აბაშიძემ „ჩვენი დღეების ვაჟკაცს“ პროგრამასავით დაუდო წინ მოწოდება — „მხოლოდ ფრონტისთვის იზრუნე!“ ფრონტისთვის ზრუნვა, ეს ყველა მოქალაქის მოვალეობაა:

მხოლოდ ფრონტისთვის იზრუნე,
ეს ერთი გკონდეს მიზანი,
ასჯერ დამაბე ძალ-ღონე,
შენი უნარი იცანი.

ომის დროს ზურგი და ფრონტი ერთია. ზურგში გმირული შრომით იქმნება დოვლათი, ფრონტის სასიცოცხლო წყარო, ფრონტზე კი გამარჯვება იქედება. ამიტომ ამბობს პოეტი, რომ ვაჟკაცის მიერ ნასროლი ყუმბარა გმირულ შრომას უდრის, ხოლო ზურგში ხელმარჯვედ მოქმედიც — ხმალია გამოპირულიო. ზურგში, დარჩენილის ხელმარჯვეობას შესცქერის მისივე შვილი და მშობელი, მან

უნდა მისცეს არმიას ტყვია მტრის შუბლში გასარქობელიო. „დიდ-მა სამშობლომ ჩვენ შეგვაჩვია თავისუფლებას და გალალეხას“. — ამბობს ირ. აბაშიძე. ეს არის პოეტის სავსებით გულწრფელი თქმა. მას მთელი გულით სწამს, რომ „მებრძოლი მგოსნის გვარშია მტრისათვის ყუმბარაც და ხმალალეხაც“. და რადგან ასეა, პოეტი მიმართავს მგოსნებს:

ძმებო, ვანათ მტერს ვერაგობა,
შავს სამარეში ნახონ ბინები,
ვერ შეგვივინონ ოქროს ბალები,
ჩვენის ჰანგებით ნაფოფინები.

საინტერესო ლექსი — „ახალგაზრდობავ!“ — მიუძღვნა პოეტმა დავით გაჩეჩილაძემ თავისუფლების მშენებელს გაზრდილ, ცხოვრებით გალალეხულ ახალგაზრდობას, რომელიც ომის ქარიშხალმა დიდ განსაცდელში გადაისროლა.

შენ სიხარულის ქვეყანამ გზარდა,
გუშინ ამინდი იყო სხვაგვარი,
და მშობლიური ალერსის გარდა,
არ განგიცდია სხვა არაფერი.

მტერმა სისხლით მორწყო მშობლიური მიწა, ყვაველებისა და ოცნების მიწა, ის მიწა, სადაც ჩვენი და-ძმობა „აცისკრებული მღეროდა ლხენით“.

დღეს იმ თითებით. წიგნს რომ ფურცლავდი,
მრისხანე ხმალი მალა ამართე
და მისი ელვით, შორ ბურუსამდი,
მტრის მინდორ-ველებს გადაანათე...

თუ მისი შაშხანის ბოლი ველს მონისლავს წამოსული წყვილადის დასათრგუნავად, მშობლიურ მიდამოებს სხივი დაეცემა „და ნასხივარზე იფეთქებს ვარდი“, რომელიც

ამოვა. წითლად დაიწყებს ლოვლევს,
უმანკო ნაშით ტან-დაცვარული.

„ახალგაზრდობა — აბჯარასხმული, — ჩვენი სამშობლოს სიყვარულია“, — ამბობს გაჩეჩილაძე.

პოეტმა სიმონ ჩიქოვანმა სამშობლოს წარსულის, აწმყოსა და მომავლის სიდიადე, დღევანდელი დღის ძახილი, ხვალისდელი იმედი და გამარჯვების ნათელი რწმენა, ერთად აამღერა ლექსში — „მამულს ვუთხრათ გამარჯვება“. ეს არის სიმღერა — მოწოდება,

რომელმაც დიდი როლი შეასრულა სამამულო ომისდროინდელ ქართულ პოეზიაში.

ომმა უცებ შესცვალა სიმონ ჩიქოვანის პოეტური შემოქმედების თემა. მის სულიერ სამყაროში თითქმის გრიგალი დაიძრა, გვერდზე გადასდო ლამაზი ოცნება, უსასტიკესი სინამდვილის შუაგულში ჩადგა. თუ მანამდე მის ლექსებში საქართველოს შორეულ-გმირების — სახელოვანი წინაპრების აჩრდილები ლამაზ ფერებში იხატებოდნენ და ამ ფერებიდან ჩანდნენ მესხეთის წიაღი, წუნდა, ლერწამი და ძნების ულოები, სადაც ნანგრევთა შორის ისმოდა ხელიკების წრიალი, იღიმებოდნენ კალატოზები და ციხის ხუროები („მტკვრის ხეობაში“), ახლა იმ ლამაზი აჩრდილებისაგან მხოლოდ „მედგრად თქმულ გამარჯვებას“ ისმენდა პოეტი, მხოლოდ „გამარჯვების“ მოსმენა სურდა.

პოეტმა იცის, რომ „ხალხის ძალა არ დაშრება“, ხალხისა, რომელიც სამართლიან ომს ეწევა. ამიტომ მტერი უნდა დაისაჯოს, მტერი სამუდამოდ უნდა მოისპოს, ხოლო „მამულს კუთხრათ: გამარჯვება!“

სამამულო ომის ამ ეტაპზე (1941—1942 წწ.) ქართულ პოეზიაში განსაკუთრებული სიძლიერით ეღერდა გამოჩენილი ქართველი პოეტების ალექსანდრე აბაშელის, ირაკლი აბაშიძის, იოსებ გრიშაშვილის, გიორგი ლეონიძის, ალიო მირცხულავას, გალაკტიონ ტაბიძის. სიმონ ჩიქოვანის ხმა. მათ სამამულო ომის პოეზიაში შემოიტანეს დამოუკიდებელი მხატვრული აზროვნება და მსოფლშეგრძნება.

სამამულო ომის პოეზიის შექმნა არც ისე ადვილი საქმე იყო. საბჭოთა პოეზიას როდი ჰქონდა ომის გამოცდილება. ირაკლი აბაშიძის თქმისა არ იყოს, გაღაღებით გაზრდილი ჩვენი ახალგაზრდობა. ამ შემთხვევაში ლიტერატურული ახალგაზრდობა, რომელსაც შრომის სიმწარეც სილაღედ მიაჩნდა, მიჰყვებოდა ქართული პოეზიის ბირთვის, სადაც გაერთიანებული იყვნენ ქართული სიტყვის გამოჩენილი ოსტატები. საბედნიეროდ, ქართულ პოეზიას იმდენი შინაგანი ძალა აღმოაჩნდა, რომ პლაკატური, დეკლარაციული ლექსების გვერდით უცებ გაჩნდა ჭეშმარიტი მხატვრობით აღბეჭდილი ნაწარმოებები, რომლებმაც მკითხველის გული შესძრეს. ავიღოთ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „თასი“. ეს ლექსი ომის დღეებში დაიწერა. ლექსში ლაპარაკია ღვინით სავსე თასზე. პოეტი ამ თასით სადღეგრძელოს ამბობს და კიდევაც სკლის მას. ეს უბრალო დეტალი პოეტმა ისეთი მრავალფეროვანი სიტყვით ააქლერა, რომ ლექსის ლირიკული გმირი არის ნამდვილი ტიტანი, სულიერად მაღალი და ფაქიზი ადამიანი, დიდი ჰუმანისტი და პა-

ტრიოტი. ლექსში ქვეშარიტი პოეზიის სული ღელავს. აქ დეკლარაცია არის და საბრძოლო შეძახილიც.

უსამშობლოდ დე. ეს ღვინო გადმეჭყეს შხამად
და სასიკვდილო გაზმორებად მოედოს ძარღვებს...
...თასს უკანასკნელს ეცლი, დაეცალე. გადავივიარ მას,
დაე, დაიმსხვრეს მტერი ჩვენის მძლავრი სიმტკიცით!
ახსოვდეს ყველას, ვინც აიღებს ამ მშობლიურ თასს,
რომ ეს სავსეა არა ღვინით — არამედ ფიცით.

ასეთი ხერხით მიიტანა პოეტმა სამშობლოს პატრიოტიზმის ღიდი გრძნობა მკითხველამდის.

ასეთივე ინტერპრეტაციასთან გვაქვს საქმე სიმონ ჩიქოვანის ლექსში „მიტოვებული სახლ-ქარი“.

როგორც ვხედავთ, მაშინაც კი, როცა დრო და გარემოება ამას მოითხოვს, აუცილებელი არ ყოფილა დეკლარაციული ამღერება ლექსისა, რადგან შინაგანი მრავალფეროვნებით შექმნილი ლექსი უფრო მეტს ამბობს, ვიდრე მშრალი რიტორიკა. ჩვენი ცნობილი პოეტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ საბრძოლო-მოწოდებითს ლექსებშიც მოიმარჯვეს ისეთი პოეტური ფერები, რომელთაც გაათბეს და გააშუქეს მეგრძოლი ხალხის სული. შესძლეს გაეღვივებინათ საბჭოთა ადამიანებში მალალი პატრიოტული გრძნობები, სოციალისტური სამშობლოსათვის თავდადების სულისკვეთება.

ომის პერიოდის ქართული პოეზიის მთავარი ნიშანი, მთავარი განმსაზღვრელი თვისება საბჭოთა პატრიოტიზმი იყო. ამით დაიწყო სამამულო ომის პოეზია, მაგრამ მისი გამომსახველობითი ძალა თანდათან ყალიბდებოდა. პატრიოტიზმის მრავალფეროვან ყალიბში ჩასმული ლექსებისაგან კი მივიღეთ მრავალფეროვანი ლირიკა. მოვიგონოთ ისევ გალაკტიონ ტაბიძის „არაგვის ქარი“. ღელავენ ველები, ჭეჯილები და ყვავილნარი. „ყვავილებს ოდნავ შეეხება ბაგეზე ქარი, რათა აიღოს და გადასცეს მსუბუქი მტვერი — წარმოშობათა საიდუმლო ნაზი, ცისფერი“. ეს „ნაზი, ცისფერი“ მტვერი არის სიყვარულის უკვდავება, მომავალი აყვავილების „ნაზი მტვერი“. უცებ ყვავილს შეარყევს შმაგი ქარი. ისმის საზენიტო არტილერიის ხმა. პოეტი მიმართავს ლირიკულ გმირს: „შენ ხომ ამაყი ხარ, მეგრძოლი, და ახალგაზრდა, სისხლში ღელავენ ნაპერწკლები დიდებულ აზრთა“. ამ გმირს ეხვევა ბრძოლა, როგორც ქარი, როგორც გრიგალი. „ცეცხლად ღელავენ ნაპერწკლები მშობლიურ აზრთა“ და ამიტომ მტერი „ვერ შესძლებს დასწვას ხალხთა აწმყო და მომავალი“. პოეტის ხმა მსუბუქი, თბილი ტონით თანდათან აღმავალი გზით მიდის, თანდათან იცვლება, ქარის ხმაურში გადადის. შემ-

დეგ არტილერიის გუგუნს ერწყმის, მალღდება და საბრძოლო ყოინად იქცევა.

გიორგი ლეონიძის მხედრულ ხმაში ბუბუნებდა პოეტურად გასხივებული აზრი („აიმართენით, ვაჟკაცო“).

ორიგინალური პოეტური ხედვით გამოირჩევიან ი. გრიშაშვილისა და ალ. აბაშელის ლექსები.

პოეტის ორიგინალური ხმა მისი უკვდავების საწინდარია. სამშობლოს მიწის ხილვა, მისი ჰაერით სუნთქვა, ცის ლაქვარად ფერები, სამშობლოს მზე და ვარსკვლავი პოეტისათვის დედასავით ტკბილი და საყვარელია, დედასავით უკვდავი და მარადიული.

საბჭოთა ქვეყნის პოლიტიკას თავიდანვე დაუპირისპირდა კაპიტალიზმის კაცთმოძულე სისხლიანი პოლიტიკა. საბჭოთა ქვეყანას მტერი რომ მოაწყდა, საბჭოთა „ქვეყანა მტერს დაეჯახა გარისხებული“, ასეთ დროს პოეტი ალიო მირცხულავა უმღერას ქედმოუხრელ დედასამშობლოს („სიმღერის ძალა“). პოეტის მისწრაფებაა, გრივალივით მოახტეს და ქარზე უსწრაფეს დაძრას მერანი, რომ „სივრცეს ჰფარავდეს“ „ფლოქვების ელვა და უზანგების მძლავრი ჟღერანი“, მხნედ გაჰყიოდეს მხედარი ორბებს, არწივებს და „ძრწოდეს ყორნების რაზმი ვერანი“.

თუ არა მამულს. ვის შეეწიროს
ჩემი ჭანი და სიმღერის ძალა?!

პოეტი ნატრობს, დაეცეს, ვითარცა ელვა, სისხლით შეღებულ მკერდზე ეფინოს „ჩანგის გვირგვინი ჩაუქრობელი“. სამშობლოსათვის თავგანწირვა, სიკვდილი პოეტს ნეტარებად მიაჩნია, რადგან მამული ეს პირველი მცნებაა მისთვის, მამული ისაა, რასაც სიცოცხლე ჰქვია.

მხოლოდ ცოცხლობდეს ჩემი სამშობლო,
მისი ლამაზი მთები და ჰალა,
მუდამ ჰყვოდეს დროშა წითელი
ხალხთა ძმობის და სიმღერის ძალად...

ლამაზი და მიმზიდველია ჩვენი ქვეყნის შემოდგომა. ამ დროს „ტყიდან მოჩქეფს ნაკადული ძილის დამაფრთხობელი... ჭირნახულის სურნელი დგას გულის დამათრობელი“. შემოდგომა მოდის უხვი მოსავლით.

ყანაც ადიდებულა და — უკვე გახდა საშკალი,
კელაპტრებად ანთებული თავთავების კანკალით.
(„ომის შემოდგომა“).

ქალ-ვაჟები „თამარქალოს“ ლულუნებენ, მოაქვთ ტანწერწე-

ტა ძნები, ლეწავენ კალოს, „ვაზს მტევნები გამოუსხამს ქარვასავით აყვითელი“.

მოდის შემოდგომა — „შრომის აგუგუნება, ხეხილების დაქალება, მიწის აბუბუნება“.

საქართველოს შემოდგომა პოეტს ზოგად სახეში აქვს დახატული, მაგრამ, რადგან ლექსი 1942 წლის შემოდგომას — კავკასიისათვის ბრძოლების იმ მრისხანე შემოდგომას ეხება. პოეტი სამშობლოს შვილს მოწოდებით მიმართავს, რომ „ელვით ტანდამეხილი“ ქარის მძვინვარების ეამს არ დაიღუპოს მოსავალი და არ დაიღუფოს ხეხილი:

შვილო! მამულს უღარაჭე. შენი ვალი ეგ არი,
ქარი ახლოს არ მოუშვა ჩქარი, დაუღეგარი,
ხმლით და ხიშტით გაღარაზე დარიალის კლდეკარი!

დეკლარაციული ლექსიდან ღრმა აზრით დამუხტულ. მაღალმხატვრულ ლექსებზე გადასვლა იყო ერთგვარი ევოლუცია. რასაც აღგილი ჰქონდა ომის პირველი ეტაპიდანვე, მაგრამ იგი ერთბაშად არ მომხდარა. ომის შემდგომ ეტაპებზე იგი უფრო გაფართოვდა და გაძლიერდა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო. ხალხის სულისკვეთებასთან უფრო დაახლოვება, ბასრი და მახვილი პოეტური სიტყვა, წარუშლელ შთაბეჭდილებათა აღმძვრელი სახეები და ფერები პოეტური აქსიომა, აქსესუარი გახდა, ხოლო მისი გამოყენება — აქსიომური კეშმარიტება. ამრიგად წამოიჭრა აქტუალური, თანამედროვეობისათვის დიდად მნიშვნელოვანი. თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაბამისი მოვლენების თავისებური წარმოთქმის აუცილებლობა. საჭირო გახდა „ხმის აწევა“ ყოველგვარ მაღალფარდოვნებას მოკლებული ტონით; მახვილის დასმა — რაიმე აზრის, იდეის ხაზგასმა, ტემბრის, აქცენტის, ტონის შეცვლა.

ჩვენი მწერლობა, თავის ხალხთან ერთად, კალმით და ხიშტით აღსდგა სამშობლოს თავისუფლების დასაცავად. ცნობილია, რომ შეიცვალა კილო პოეტური მეტყველებისა. „ჩვენ ამ დროს გვიხდებოდა წერა ომის ქექა-ქუხილის და ელვის სინათლეზე, — ამბობდა პოეტი ალიო მირცხულავა საქართველოს საბჭოთა მწერლობის კავშირის დისკუსიაზე, რომელიც გაიმართა 1945 წლის მარტში, — და რა გასაკვირია თუ ლექსების უმრავლესობას სიჩქარის კვალი ატყვია. ჩვენ არ გვქონდა დრო ერთი და იგივე თემა რამდენიმე ვარიანტად გადაგვემუშავებია. ავად თუ კარგად ვიბრძოდით ჩვენი საქმის გამარჯვებისათვის“. ამ მხრივ ქართულმა მწერლობამ უსათუოდ დიდი ვალი მოიხადა მამულის წინაშე. მიუხედავად უღრობისა, შეიქმნა ბევრი კარგი ნაწარმოები, რომ-

ლებმაც თავისი საქმე გააკეთეს, ხელი შეუწყვეს მტრის განადგურების საქმეს და იმ ხანგრძლივი მშვიდობიანობის მოახლოვება. რომელსაც უნდა მოჰყოლოდა ჩვენი ქვეყნის უფრო მძლავრი სამეურნეო-კულტურული აყვავება, კერძოდ, მხატვრული შემოქმედების აღმავლობა.

„ქართველმა პოეტებმა, — აღნიშნავდა ზემოხსენებულ დისკუსიაზე გ. ნატროშვილი, — დაწერეს ლექსები, რომლებმაც გაუძლეს დროის გამოცდას და, როგორც ჩანს, კვლავაც გაუძლებენ“. მან ასეთი ლექსების რიცხვში პირველ რიგში დაასახელა ალიო მირცხულავას „მყინვარი“ და ომის წლებში დაწერილი მთელი ციკლი ბალადებისა. აქვე დაასახელა ი. გრიშაშვილისა და ა. აბაშელის ლექსები, ს. ჩიქოვანის „ვინა სთქვა“, „მამულს ვუთხრათ გამარჯვება“, გიორგი ლეონიძის „არ დაიდარდო, დედაო“, გრ. აბაშიძის „დროშები“ და „ძღვევის ქედი“, ი. მოსაშვილის ლექსების ციკლი — „მისი ბარათი“, კ. კალაიძის საფრონტო ბალადები, დ. გაჩეჩილაძის „ძახილი უკვდავებისა“, კ. ჭიჭინაძის „გმირი“ და სხვ..

*

*

მშობლიური ქვეყნის სიყვარული მხოლოდ იმას აქვს, ვინც შრომობს და იბრძვის. შრომა აკეთილშობილებს ადამიანს, ეს უდავო ჭეშმარიტება ყველასათვის ცნობილია, ხოლო ბრძოლა აკაყვება ნებისყოფას. ნებისყოფის გაკაყვებას, რასაკვირველია, შრომაც არ გამორიცხავს, მაგრამ ბრძოლაში გაკაყვებული ნებისყოფა მტრისაგან სამშობლოს ხსნის ერთი და მთავარი პირობაა. ამ ნათელ იდეას გამოხატავს გ. ტაბიძის სიტყვები:

რა სიცოცხლა — შეიგრძნო რომა — ნამდვილ ედემად აქცია დრომა
მხარე, რომელსაც გალვევებული აშუქებს შრომა და მხოლოდ შრომა.

(„ორი ათეული წლით და კიდევ მეტი...“)

ხოლო თუ შრომა ბედნიერებაა, რომელიც აშუქებს ადამიანთა ცხოვრებას, მაშინ ცხოვრებაში იბადება მშვენიერების გრძნობაც და იქედება, ლამაზდება პოეზიაც, ხოლო ვაჟკაცი ბრძოლაში გმირი ხდება.

და დღეს, როდესაც მტერი სდგას კარად,
და ისტორიის ტრიალებს ჭარა,
შენ დაღუძლები გამარჯვებისთვის? — არა და არა!
არა და არა!

იოსებ გრიშაშვილმა შრომისა და ბრძოლის უადრესად დიდ პნიშვნელობა სულ სხვა ასპექტში წარმოგვიდგინა:

ძველმა გმირებმა დაგვზარდეს კაცად,
გეწამს მათი მზერა და მითითება,
რათ მარჯვენას და იმით ნაცად
ბილიკს მიუყევართ, ვაშა! დიდება!

მაგრამ რამდენი გმირია ესლა
ჯაყარიანი ხალხის გენია!
მათი საქმენი, მათი სახელი
დაგიწერია? დაგიდგენია?

(„მეისტორიევ, წიგნი დახურე“).

გ. ტაბიძემ თავის ლექსში შრომას და ბრძოლას უმღერა თავისებური პოეტური ექსტაზით: „შენ დადუმდები გამარჯვებისთვის? — არა და არა! არა და არა!“ ხოლო ი. გრიშაშვილმა ეს პოეტური აღმადრენა სულ სხვა ჩარჩოში მოაქცია: „მათი საქმენი, მათი სახელი დაგიწერია? დაგიდგენია?“ — პოეტი თავის თანამედროვე გმირების შესახებ ეკითხება მეისტორიეს და ამ კითხვას თვითონვე პასუხობს ისე, როგორც გალაკტიონი პასუხობს კითხვას — „შენ დადუმდები გამარჯვებისთვის?“

თემის ამგვარი გახსნა ქვეშაირიტი ხელოვნებაა. ხელოვნების გარეშე კი პოეზია წარმოუდგენელია.

იოსებ გრიშაშვილმა სატრფიალო ლირიკის ელემენტები, რომლის დიდოსტატიც ის იყო, ომის თემაშიც შემოიტანა და თავისებურად ააქლერა („ბალადა ხელმანდილზე“).

ი. გრიშაშვილის ლექსის გმირი, რომელიც იცავდა წითელ დროშას — „ჩვენს შნოსა და ლაზათს“, ერთი გაუმკლავდა მტრის ასეულს. მაგრამ, დაინახა რა მარცხდებოდა, მტერს რომ ხელთ არ ჩაეარდნოდა, ხიშტი მკერდზე იძგერა. ჩამოიხსნა ხელმანდილი, რომელიც მას სატრფომ უსახსოვრა და ზედ თავისივე სისხლით დააწერა ერთი სიტყვა: „ლენინ!“

აქ არ თქმულა არც „ტანსარო“, არც „მკერდდიქალი, ოქროს ცვარით დანამული“, არც „მოცქრიალე“. ამ ქლარუნა და ყალბი ელვარებით მოკიაფე ეპითეტების გარეშე უფრო უშუალოდ და გრძნობის აღმძვრელად მივიდა ეს ლექსი მკითხველის გულამდე. აქ ქალ-ვაჟის ძლიერი სიყვარული საძირკვლად დაედო მამულის უდიდეს სიყვარულს, რამაც გმირად აქცია უბრალო და ჩვეულებრივი ქაბუკი. საშობლოს პატრიოტიზმის უფრო ძლიერად გადმოცემის სხვა ხერხი თითქმის წარმოუდგენელია:

ახალგაზრდა პოეტებისათვის სიყვარულის თემა ძალიან ძნე-

ლი „დასამუშავებელი“ იყო, და მით უმეტეს ომის დროს, როცა ყველაზე მეტად იყო საჭირო ლექსის იდეურობა და ამასთანავე იგი არ უნდა გამხდარიყო მხოლოდ უბრალო, გასართობ, საჩონგურო კომპლიმენტად — საქებარ, სასიამოვნო რაიმეს თქმად ვინმესთვის.

ასეთი ცოდვებისაგან შორს არის იოსებ ნონეშვილის ომისდროინდელი სატრფიალო ლექსები: „ნუ ხატავ ნათლმოსილ წინაპრებს“, „ჩემს ქუჩაზე“, „შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა“, „შენ არა გაქვს მეფის გვარი“, მაგრამ საქმე ის არის. რომ ეს ლექსები ერთგვარ დისონანსად გაისმა — მაშინ, როცა ქვეყანას ომის ხანძარი ჰქონდა მოდებული. პოეტი „ხატაური აბრეშუმის კაბით“ დამშვენებულ „სადედოფლოზე“ („შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა“) მღეროდა და არ ჰქონდა სხვა ნატვრა, გარდა ერთისა — ეს ქერა ქალიშვილი, სადმე შორს, ლერწმის ქოხის საოცნებო კალთის ქვეშ ჰყავდეს და მასთან ერთად თეთრ გვირილებს ჰკრეფდეს ველად.

შორს გეფარავდეს ლერწმის ქოხის
საოცნებო კალთა.
თეთრ გვირილებს ვკრეფდეთ ველად,
სიყვარულით მთვრალი.
მიბერავდეს მისი ქერა
დალალების ქარი.

(„ჩემს ქუჩაზე“).

პოეტმა არც ეს იკმარა.

დე, აფრინდეს ლერწმის ქოხი,
ვით ცისფერი გედი.
აგვიყვანოს, ლერჯი ფრთებით
გაქრას ზეცის კალთა,
სადაც კრთიან ვარსკვლავები —
სულნი წინაპარაა.

წინაპართა გმირული სულის ასე მოხსენიება, თავშეუყავებელ ტრფიალთა გაფრენა ვარსკვლავეთში, სადაც წინაპრები „ბინადრობდნენ“, ვერ გამოხატავდა სამამულო ომის მრისხანე დღეებში ჩვენი ახალგაზრდობის მიზნებსა და მისწრაფებებს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ლექსები ოსტატობით არის დაწერილი ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტის მიერ, მათ ვერ უპასუხეს დროის მოთხოვნას. ამიტომ თავის დროზე სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული ი. ნონეშვილის ომისდროინდელი სატრფიალო ხასიათის ლექსები.

სამაგიეროდ იოსებ ნონეშვილმა, ახალგაზრდა პოეტმა შორის, რომელთაც მხოლოდ „ორიოდე დღის“ გამოცდილება ჰქონდათ პოეზიის გზაზე, თავი გამოიჩინა, როგორც ქართველი დედების ცხოვრებისა და მოღვაწეობის მხატვრულად ასახვის შესანიშნავმა ოსტატმა. გავიხსენოთ მისი „ქართველი დედები“, „ვარდები“, „არსად წარწერა ფერგადასული“.

რაში მდგომარეობდა იოსებ ნონეშვილის ლექსის მომხიბლაობა?

განვიხილოთ იოსებ ნონეშვილის ერთი უსათაურო ლექსი („მაისის შემობრძანება“...). აქ არც ომის დაწყებამდეა ლაპარაკი არც ხმალ-ხანჯლის ტრიალია აღწერილი, არც არტილერიის ბათქი აყრუებს მკითხველს თუ მსმენელს. მაისი, ვარდები, შროშანა, „აყვავებული ვაშლების ღრუბლები“, ცის ლაქვარდი, მთვარის ნაკვალევი, მთებში ჩაღვრილი ლაქვარდი, „ცისფერ ყვავილებდაყრილი ვარდობის თვე და აპრილი!“ — აი, ამ ლექსის შემამკობელი ინვენტარი. მკითხველი ამ ინვენტარს იქით კი ხედავს გმირებს, რომელთაც „სამშობლოს სახელი შუქივით მკერდზე ესვენათ. ჰქონდათ ცხელი მზის სხივები ჩაწნული გულის ფესვებად“.

პოეტს მკითხველი ლექსის სიღრმეში ყაყაჩოს შუქით შეჰყავს. ლექსი იწყება მაისის შემობრძანებით, ბუღბუღის გალობით, ვარდით და ფირუზისფერი წვიმებით. ბუნების ამ სილამაზიან მოხიბლულ მკითხველს მერცხალი გაკრავს გულზე ფრთას და მისი „ფიქრიც ფრთამალი, ლაქვარდში შეიტყორცნება“, მშობელი ქვეყნის სიწრცეებს გადაატარებს და მოიყვანს.—

იქ. სადაც მალაღმეინვარებს თერგის ტალღები
ჩაუქრის,
ხელში ხმალდამიწებული მხარდამხარ წვანან ჩაუქნი.

პოეტი მომხიბლავი სახეებით ხატავს მათ უკვდავებას:

სიკვდილის მრუმე მახვილმა მათი ხსოვნა ვერ მოშალა.
მე ვნახე, გმირთა საფლავზე როგორ აყვავდა შროშანა.

ამ გმირებს, რომელთაც უყვარდათ „მთებში ლაქვარდი ჩაღვრილი“, მშობლიური ზეცა, ვარდობის თვე და აპრილი, —

...სამშობლოს სახელი შუქივით მკერდზე ესვენათ,
ჰქონდათ ცხელი მზის სხივები ჩაწნული გულის
ფესვებად.

„ცხელი მზის სხივები“, ეს სამშობლოს მზის სხივებია, ეს სამშობლოს მზეა, თვითონ სამშობლოა — მზეზე დიდიც და მზეზე

მალალიც. რომელიც მძლავრი ფესვებით ჩაწნულა გმირების გულში. აზრისა და პოეტური სახის შეხამების, გაგების, სისადავის შესანა-შნავი ნიმუშია ეს სტრიქონები.

ლექსის ტონი თანდათან მალლა მიიწვეს. მისი ბოლო სტრიქონები შეძახილში გადადის, გამოჩნდებიან ჩვენი გმირი ქალები, რომელთაც გმირებისა და ძმების სადიდებლად შრომაში უსახელე-ბიათ თავი:

გამოლით, ლამაზმანებო, ქალებო თვალბეჭუქუნა,
ეს შეხის ხმა კი არ არის, ზეცამ რომ დაიგუგუნა...
ძმის სისხლს იღებენ გმირები, შურისძიებით მოცულან,
მათი ხიშტების ნათელი თქვენს ფანჯრებამდე მოსულა.

*

* * *

სამშობლოს პატრიოტიზმის გრძნობის გასაღვივებლად მხატვრული სიტყვა ყოველთვის იყენებდა პოეტიკის სხვადასხვა საშუალებებს: შედარებას, ეპითეტს, მეტაფორას, აფორიზმს, ალეგორიას, ჰიპერბოლას. ეს ხერხები ლექსის ისეთი სამკაულებია, რომლის გარეშეც საერთოდ იგი ვერ იელერებს, ვერასგზით ვერ შეეგუება ამ ინვენტარის გარეშე ყოფნას, საბრძოლო-მოწოდებითმა ლექსებმა თუ მოიგეს, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ლექსებში სიტყვის ან გამოთქმის გადატანითი მნიშვნელობით ხმარებამ, რაც ემყარება მსგავსებას, შედარებას, ანალოგიას, — ლექსს გამძლეობა შეუნარჩუნა. ალეგორიამ (თუმცა სამამულო ომის პოეზიაში მას დიდი ადგილი არ ეკავა) კი საინტერესო და მიმზიდველი გახადა აზრი, აფორიზმმა სიმკვეთრე და სისხარტე მისცა ფრაზას, ხოლო ეპითეტმა საგანსა და მოვლენაში გახაზა მისი დამახასიათებელი თვისება და ამით ხელშესახებლად გამოკვეთა საგნისა და მთლიანობის ყველაზე კარგი თვისება.

„მეტაფორა და შედარება პოეზიაში სხვაგვარად წარმოგვიდგება,—ამბობს გ. ჭიბლაძე,—ვიდრე მხატვრულ პროზაში, ვინაიდან მას ლექსში შეუდარებლად უფრო დიდი ფუნქცია აქვს მინიჭებული, ვიდრე ბელეტრისტიკაში“, ასევე: აფორიზმი და ეპითეტი. აფორიზმი სამამულო ომის პოეზიაში პოეტებმა შესაფერისად ვერ გამოიყენეს. თუ სადმე გამოიყენეს, ეს მხოლოდ საბრძოლო მოწოდებითს ლექსებში.

ყველა ეს სამკაული სასიცოცხლოა ლექსისათვის. რამდენი ლექსი დაწერილა ომის პერიოდში პატრიოტულ თემაზე, რამდენი ლამაზი სიტყვა დახატულა ლექსის შესამკობად, „სადაც უდიდე-

სი და უმაღლესი აზრები ხშირად ისე ლაკონიურად არის გამოხატული, რომ სიტყვებს შორის ნემსიც ვეღარ ჩაეტევა“, — გ. ჭიბლაძე. მაგრამ იმის გამო, რომ ლექსში ვერ ნახავთ ვერც ერთ სახეს, მარტო ლამაზი სიტყვები არაფერს ლაპარაკობენ (ვ. ჟურული — „ტოლსტოის სახლთან“). მაგალითად ჟურულის ლექსი მოვიყვანეთ, თუმცა სხვა მის შესანიშნავ ლექსებში „იმ დღეს“, „იღუღუნე ბერეზინავ!“, „გმირს“ და სხვა, საკმაოდ კარგად აისახა ომის მრისხანე დღეები.

ლამაზი პოეტური ინვენტარის გამოყენების შესანიშნავი მაგალითია ს. ჩიქოვანის „აჩრდილი“. ძნელია, ნახო მეორე ქართველი საბჭოთა პოეტი, რომელსაც ლექსში მხატვრული სახეები ასე მრავალფეროვნად ჰქონდეს გამოყენებული.

ანალოგიური სახეები კარლო კალაძის პოეზიაშიც გვხვდება. საქვეყნოდ ომის ხმის დარხევა კარლო კალაძეს ხალხისათვის არ უმცვნია მშრალი მსჯელობით, არც ტრაფარეტული მოწოდებით, პოეტმა პირველსავე ლექსში გამოიყენა აღწერის ნაცადი მეთოდი. ეს მეთოდი კალაძისათვის არ იყო უცხო. მაგრამ რამდენადაც ჩვენთვის საინტერესოა, ვინ როგორ გადმოსცა ლექსში პატრიოტიზმის მაღალი გრძნობა, როგორ, რა ძალით გამოხატა იგი მხატვრულ სიტყვაში, საილუსტრაციოდ განვიხილოთ კ. კალაძის ლექსი — „საქვეყნოდ ომის ხმა დარხეულა“. ეს ლექსი დაწერილია ომის დაწყების პირველ დღეებში.

ლამეა. მაღალი შენობები მხრებიდან არ იშორებენ ჩრდილებს: „შვენით ნაბდები მაღალ შენობებს“. ლექსის ლირიკული გმირიც დგას თოფით ხელში და გუშაგობს თბილისს. არ შორდება გუშაგი თბილისის სადარაჯოს. ვით ღამის აჩრდილი მაღალ შენობებს. ქალაქში სიმყუდროვეა. ამ შენობებში სძინავთ დღიური შრომით მოღლილ ადამიანებს. მართალია, ლექსში ამაზე არ არის ლაპარაკი, მაგრამ მკითხველი ტექსტის იქით ხედავს ამ სურათს. „მეც თოფით ვგუშაგობ თბილისს“. — აი, ეს სტრაქონი ხსნის ამ აზრს. თვითონ პოეტი მომავალ ღამეს უყურებს და ხედავს — „ღრუბლებში ელავს ანაწდევულად ომში წასული ვაჟკაცის ხმალი“.

შორს. მთავორებზე. ღამის ჩრდილია,
შორიდან მაინც მანდ მეგულები!...
და ნაპურალზე აღბეჭდილია
შენი ტაიკის ნაფეხურები...

მიჰქრის მხედარი და მისი ფიქრიც „მისდევს ღრუბლების დაფლეთილ რუკას“. პოეტმა ლექსის დასაწყისშიც შენიშნა, რომ ღამით ვარსკვლავთა შუქზე ჩანდა რუკად გაშლილი ღრუბლის ნა-

ფლეთი. ღრუბლების დაფლეთილ რუკაში პოეტი გვაჩვენებს ომი-
გამოწვეულ გაპარტახებას. თითქოს მიწის ცხოვრება ღრუბ-
ლებმაც შეიგრძნეს. ცაზე თვალს ახელს ძილგატეხილი ცისკრის
ვარსკვლავი. ვარსკვლავმაც იგრძნო დედამიწის კმუნვარება.

პოეტი ეძებს ახალ სახეებს, ორიგინალურ ხმასა და ხშირად
კიდევაც აღწევს მიზანს, მაგრამ ზოგჯერ ღალატობს ნებისყოფა და
დაწყებულ მდინარებას ბოლომდე ვერ მიჰყვება. ჩვენს მიერ განსა-
ხილავი ლექსის პირველ ოთხ ტაეპში პოეტი ამბობს: „საქვეყნოდ
ომის ხმა დარხეულა“... ხატავს სურათს: „შვენით ნაბდები მაღალ
შენობებს“..., ძერწავს სახეებს: „რუკად გაშლილა ღრუბლის ნაფ-
ლეთი“. მერე მრავალწერტილს სვამს და უცებ ხატვიდან თხრობა-
ზე, შეძახილზე, სიმღერაზე გადადის. პოეტი, მართალია, აღწევს
მიზანს — მკითხველში აღვივებს პატრიოტიზმის დიდ გრძნობას,
მაგრამ, საქმე იმაშია: როგორ, რა სიძლიერით მიმდინარეობს ეს
მოვლენა. აი, მაგალითად, ერთი დამახასიათებელი კონტრასტა-
სტროფთა შორის:

პირველ სტროფში:

მაღლა შეათრენ მერანს განწირვით,
საიერიშოდ შეჰკრავ კამარას!
ნაბადგაშლილი, როგორც არწივი,
მიჰქრი ხმლისა და რისხვის ამარად!...

მომდევნო სტროფში:

მიჰქრის მხედარი — და ჩემი ფიქრაც
მისდევს ღრუბლების დაფლეთილ რუკას.
ძილგატეხილი ვარსკვლავი ცისკრის
ც:დ ახელს თავის მთრთოლვარე გუგას.

არ არის გამორიცხული ასეთი დარღვევა დროში. ზოგჯერ ე-
არა თუ დარღვევაა, პირიქით, საჭიროც არის, ლექსს აძლიერებს
(ნ. ბარათაშვილის „მერანი“) და საერთო სტილსაც არ არღვევს.
მაგრამ კ. კალაძის ლექსი „საქვეყნოდ ომის ხმა დარხეულა“ ამ მო-
თხოვნას ვერ აკმაყოფილებს. ამაში განსაკუთრებით ძლიერია გი-
ორგი ლეონიძე. მის ლექსში არ ირღვევა ლექსის მუსიკალურა
წყობა — მაჟორი. ხალისიან, მხიარულ ბგერებზე გადასვლა ხდე-
ბა შეხამებულად, შეფერებულად („დღეს ვადღეგრძელოთ“...)-
ლექსის პირველი სტროფი მიმართავს ხალხისადმი, რომ ადღეგრ-
ძელოს სამშობლო. მერე გადადის სადღეგრძელოზე და ლოცავს
გმირს:

ელვარე სულით ვინც არი
ქვის უმტყიცი მხედარი,
ვინც გულის ნებას ეწია
მრავალ ქირგადამხედარი, —
ვინც მტრის ბუნავში მიიწევს
ქვეყნის მშვიდობის მდომელი...

ასე მიდის ბოლომდე. აი, რა ძალა მიანიჭა პოეტმა ლექსს. ლექსის მკაფიო წყობას საერთოდ თითქმის ყველა პოეტი მიმართავდა ომის დროს, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ აღწევდა.

მკაფიო ლექსის შესანიშნავი ნიმუშია ლადო ასათიანის ომამდელი ლექსები „ჩემი სამშობლო“ და „კრწანისის ყაყაჩოები“.

...ტბილია, როგორც ბედელი ამოვსებული თავამდი,
ტბილია, როგორც სიმღერა და შეძახილი თამადის:
— ჩემი სამშობლო ზურმუხტთა და მარგალიტის
სადარი,

ამრიგად აყვავებული მხარე მეორე სად არი?
ჩემი სამშობლო ქვეყანა რა ლამაზია, რა კარგი,
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი, ნაირფერებით
ნაქარგი...

(„ჩემი სამშობლო“).

გავიხსენოთ აგრეთვე ომის წლებში დაწერილი მისი ლექსები: „ქართულ ცხენოსანს“, „პირველი მკედლები“, „წარწერა წიგნზე“: „ახალი წლის ხმა“, „ორი საახალწლო“.

მკაფიო ლექსთწყობისათვის ასათიანი ირჩევს თქვესმეტ-მარცვლიან ლექსს (დაბალი შაირით). მისი ყველა ასეთი ლექსი ამ შაირით არის ამღერებული:

მოვიღიარ უბედნიერეს დღეების გამომჩარხელი,
ცხრაას ორმოცდასამია ჩემი გვარი და სახელი.
მომაქვს რა განადგურება შემოსეული მტრებისა,
სამარადჯამოდ იქნება განათებული ჩემი ცა...

(„ახალი წლის ხმა“).

ან კიდევ:

ამხედრებულ ვაჟაკო, წვერ-ულვაში რომ გიხდება,
როცა გულხარბი მტარვალს ხმალდახმალ
გადმოგიხტება,
ასჩეხე, სანამდისინაც მარჯვენა გადაგიწვდება,
გახსოვდეს, რომ ხარ ვაჟაკი, ნურასდროს
დაგავიწყდება!

გალაღებული თეთრონით გადაერიე ლაშქარში.
რომ დუშმანთ თავბრუ დაესხას შენი ფრანგულის
კაშკაშით.

(„ქართველ ცხენოსანს“).

და სულ ასე მოდის ერთმანეთზე მიჯრილი სტრიქონები.
მკითხველს შეაყრყოლებს პატრიოტიზმის ნათელი იდეებით
სავსე ასეთი ლექსი—

მოსკოვს და თბილისს-ქალაქსა წინ აღემართე ფარადა,
ღასკეკე, დააგუგუნე მამაპაპური „ვარადა“.

(იქვე).

ან კიდევ:

იბერიელთა სოფელი... მაღალ-მაღალი ცხენები...
ხალიბის ფოლადს ადნობენ მამაცი ხალიბელები...

(„პირველი მკედლები“).

ამავე დროს პოეტი მინორულ ლექსთწყობასაც მიმართავს
(„ცხრა ძმა ხერხეულიძე“). ეს ერთგვარი ბალადაა ცხრა ძმა ხერ-
ხეულიძეზე. პოეტმა მინორის აკორდით ისე მოახერხა პატრიოტი-
ზმის მაღალი გრძნობის გამოხატვა, რომ ლექსი მკითხველზე ძლი-
ერ შთაბეჭდილებას ახდენს. პოეტის სიტყვა მკითხველის გრძნობებ-
ზე საოცრად მოქმედებს, ქმნის მღელვარე განწყობილებას.

ეს გაფრენილი ფაფარი, თუ მშობლიური ნისლია?
ვისია ცხრა ბედაური, ცხრა დარახტული ვისია?
საით წავიდნენ ვაეები, რად მიატოვეს რაშები,
რაშები თამაშ-თამაშა, ომებში ნათამაშები?!

მინც ეს ერთი თეთრონი რა გულსაკლავად ქიხვინებს,
ბედშავო, ვისაც ეძახი, ვაი რომ ვეღარ იხილე!
იმისი სული მტრედვიით ცაში გაფრინდა ლაღადა,
აღარ გყავს შენი პატრონი, ხერხეულიძე ალათვან!

ლადო ასათიანის ლექსის მხურვალე სტრიქონის ძალა მაჟორ-
ში და მინორში ერთნაირად ყდერს. სუბიექტურ განწყობილებას
საერთოდ მინორით უფრო ადვილად გამოხატავენ პოეტები, მაგ-
რამ მინორითვე ვერ ახერხებენ ამ განცდის განზოგადებას.
ლადო ასათიანისათვის კი სულ ერთია ეს. მისი ლექსი „ნამკაშუ-
რის წისკვილები“ მაჟორსაც მოიცავს და მინორსაც. ლექსთწყო-
ბის ამ ორი რთული სახის ერთ ლექსში მოქცევა პოეტისაგან დიდ
ნიქს მოითხოვს. მინორი აქ გამოყენებულია გადატანითი მნიშვნე-
ლობით.

მ ა ე ო რ ი

მე მიყვარს თქვენი ხის სასთუმალი,
თქვენი ბორბლების მძლავრი გრივალი,
თქვენი ქალების ხშირი სტუმარი —
ლურჯა აფხაზურუნაგრიანი;

თქვენი ქაჯები და ალქაჯები
ია-იების თვალთა ბრიალით,
მთვარიანში რომ დალაჯებენ
ბროწეულისფერ თავსაფრიანნი...

(„ნამკაშურის წისქვილები“).

მ ი ნ ო რ ი

მკლავს ნამკაშური — მინდვრის იმედი,
ფოთლების ნამით აღიდებული
და ცეცხლის პირას ნედლი სიმინდი,
გლეხის ბიჭივით ატირებული;
მკლავს...

ადრევე ვთქვით და ახლაც ვიმეორებთ, რომ ლექსს უსახე-
ბოდ ძალა არა აქვს. ლაღო ასათიანი ლექსში „ნამკაშურის წისქვი-
ლები“ ერთ სიტყვას არ ამბობს იმაზე, რომ მას სამშობლო უყ-
ვარს, ან მისთვის თავს გასწირავს, უიმისოდ ცხოვრება არ შეუძ-
ლია, მაგრამ ეს იდეა ლექსში თავისთავად იგულისხმება.

ხატვის შესანიშნავი ოსტატი იყო პოეტი ვიქტორ გაბესკირაა.
მის ლექსებში, როგორც წესი, ომის დროსაც ის ფორმა ბატონობ-
და, რაც ომამდე. იგი დინჯად ხატავს საგანს. მოვლენას („ბრძოლის
სურათები“, „საღამო დგება“, „ფიცი“, „მართა“ და სხვ.). ყველა
მისი ლექსი ერთ სტილზეა აგებული და. თუ შეიძლება ასე ითქვას,
ეს დუნე სტილი ხშირად უეფექტოა მანამდე, ვიდრე მკითხველი არ
წაიკითხავს ლექსის უკანასკნელ სტრიქონს. მისი ლექსი. როგორც
თვითონ იტყოდა ხოლმე, ჯიოკონდას ღმინილს. *ჰგავს. პოეტი ამ
ხერხით აღძრავს პატრიოტიზმის მაღალ გრძნობას მკითხველში.

ლექსი „შეტევა“ ასე იწყება: თენდება. წვიმს, მებრძოლები
წერილებს სწერენ. ბრძოლა ჯერ არ დაწყებულა. ზოგიც ჩაჟიქ-
რებულია. ელოდებიან შეტევის ნიშანს.

უცებ ქვემეხმა დაიგრილა,
ღრუბლებში ცეცხლის აღნი ჩნდებიან.
წამოდგენ. გაყენენ ტანკებს. ვით დევებს,
მტრისკენ გარბიან ცეცხლის ზეავებით.

მაგრამ რატომ გარბიან ასე გახელებით მებრძოლები? რა ძა-
ლა ამოძრავებთ მათ? ვინ ამხნევებთ?

ბოლო სტრიქონები:

გელისქმით, ფიქრით მათ თან მისდევენ
ღა ამხნევენ ნათესალები.

მკითხველის ფანტაზია არ გათავებულა იქ, სადაც გათავდა ლექსი. არა თუ სტროფის, უკანასკნელი სიტყვების — „და ამხნევენ ნათესალები“ — შემდეგაც მკითხველი ფიქრებით, მთელი არსებით, გადადის ზურგის სამყაროში და წარმოუდგება თვალწინ სოფელი, ოჯახი, ნათესალები. პოეტმა, ამ გავრცელებული თქმისა არ იყოს, კალმის ერთი მოსმით დახატა მთელი ამბავი და მკითხველს წინ ამოსაკითხავად დიდი ტილო დასდო. ამაშია მწერლის ორიგინალობა, მისი პოეტური ხედვის თავისებურება.

საინტერესოა ვ. გაბესკირიას ლექსი „ფიცი“. ბავშვმა დანაშაული ჩაიდინა. „დედა კვლავ წყრება და ბავშვს წნელით გარშემო უვლის, სურს გამოტეხოს“. ბავშვმა უცებ შეწყვიტა ტირილი და სმენად იქცა. ელიან პასუხს, იქვე ყურშაც ჩატუცქებულა, ოდნავ შემკრთალმა ბავშვმა უცებ წარმოთქვა ფიცი: — „მე, მართალი ვარ, მამას ვფიცავ, რომ არა ვიცი!“ მამა კი ომშია წასული. წყრომა შეცვალეს და ახლა ბავშვის კოცნა მოუნდათ.

ყველა ერწმუნა, ბავშვმაც ცრემლი ჩამოიწმინდა,
რადგან ეს ფიცი არის მათთვის წმინდათა-წმინდა.

როგორც ვთქვით, ვიქტორ გაბესკირია თავისებური სტილის პოეტი. ამ სტილს იგი შეგნებულად იცავს. „სამი პირობაა საჭირო, რომ ლექსმა გაიმარჯვოს, — ამბობდა ვ. გაბესკირია 1945 წლის მარტში მწერალთა კავშირში გამართულ დისკუსიაზე — პირველი: მკითხველის ფანტაზია არ უნდა თავდებოდეს იქ, სადაც გათავდა ლექსი, ე. ი. ლექსი უნდა გავდეს ჭიოკონდას ღიმილს; უცქერა და ვერ გაგივია, რის გამო იცინის, დიდი სიხარულისა თუ დიდი სევდის გამო; მეორე: ლექსში პოეტი უნდა ამბობდეს და წერდეს იმას, რისი ართქმა და არდაწერა მას არ შეუძლია; მესამე: ლექსი უნდა ეთანხმებოდეს და არ არღვევდეს პოეტის შემოქმედების იმ საერთო სტილს, რომელიც მის პოეტურ მოღვაწეობას ახასიათებს. როცა ყველა ეს პირობა დაცულია, პოეტი აღწევს კარგ შედეგს, ხოლო როცა დაცული არ არის, ლექსი საშუალო დონესაც ვერ აღწევს“. ამ სამივე პირობას ვ. გაბესკირია მართლაც პუნქტუალურად იცავდა.

როგორც ვხედავთ პატრიოტიზმის გრძნობის გასაღვივებლად ქართველმა პოეტებმა სხვადასხვა შემოქმედებით ხერხს მიმართეს. აქედან ჩანს, რომ დეკლარაციული, საბრძოლო-მოწოდებითი,

პლაკატური ლექსი არ ყოფილა წამყვანი სამამულო ომის პირველი წლების ქართულ პოეზიაში. მისი დიდი გავლენა, რასაკვირველია, გადაქარბებით იგრძნობოდა, მაგრამ ამასთანავე მოწინავე ქართველი პოეტების შემოქმედებაში ჯეროვანი ყურადღება ექცეოდა მხატვრულ სახეებს, ღრმა დაკვირვებით აღბეჭდილა ლირიკული განზოგადების ლექსები. ქართველმა პოეტებმა კონკრეტულად; უშუალოდ განიცადეს თემა, მხურვალე გულით შეიგრძნეს საგნები. ასეთ ლექსებად შეიძლება დავასახელოთ, მაგალითად, სიმონ ჩიქოვანის „თავსაფარი“, „დაქრილი“, „გამოსათხოვარი“, „საფლავის ქვასთან“, „ქართველი დედა“, გიორგი ლეონიძის „არ დაიდარდო, დედაო,“ რომელიც სამამულო ომისდროინდელ მთელ ქართულ პოეზიაში საგნისა და მოვლენის ლირიკული განზოგადების ერთ-ერთ ყველაზე კარგ ნიმუშს წარმოადგენს, ალიო მირცხულავას „ძმები“, „მყინვარი“, ი. გრიშაშვილის „ქართველი დედა“, „დამოღებულ ბავშვებისათვის“, გ. ტაბიძის „თასი“, „ჩანგო, ვით წინათ ახლაც მოველი“, „არაგვი“, „მიაგდებს მერანს მხედარი“, ალ. აბაშელის „დედა და შვილი“, „დედის წერილი“, „ომში მიმავალ ქართველ მეომარს“, „სამშობლოს ვარსკვლავი“, ირ. აბაშიძის „პარტიზანები“, „ქართველებო, ვკაფოთ მტერი“, „ქართველი მეომრები“, გრიგოლ აბაშიძის „შეშლილი ხარი“, ს. შანშიაშვილის „ქართველი დედა“, „კოლმეურნის წერილი წითელარმიელი შვილისადმი“, ქ. კალაძის „თამარის ოცნება“, „დები“, „თამარ ქალის სიმღერა“, „ჯარისკაცები თერგის ნაპირზე“. „ქართველი ქალი“, „საარტილერიო დუელი“, „ბუქურაული“, „ქართული ბალადა“, „ბარათი დედას“, რ. მარგიანის „მე უბით ვატარებ პატარა ბარათს. „მუმლა მუხასა“. „დედისადმი“. „ასე სცოდნია ბრძოლაში ქართველს“, „ბავშვი“, „გაფრინდი, ჩემო თეთრო თოლია“. „ტყვე“, შ. აფხაიძის „მე აქ ვდარაჯობ შენს წმინდა სახელს“, ი. მოსაშვილის „შვილო, სამშობლო გეძახის“, ი. ნონეშვილის „ქართველის დედები“, „ვარდები“, „არსად წარწერა ფერგადასული“, ალექო შენგელიას „უეკვადევა“, „დედა“, „დედის გული“, „მიწა“, „ქართველი მეომრის სიტყვა“.

საგნისა და მოვლენის სიმბოლურ ზოგად სახეში გამოხატვას, კონკრეტული საგნის ან მოვლენისათვის ფართო, ზოგადი სახის მოცემას მხოლოდ მაშინ მიიღწევს პოეტი, როცა ამ საგნებსა და მოვლენებს უშუალოდ განიცდის, ან განცილილი აქვს და შთაბეჭდილებათა შედეგებს უყრის თავს.

ამ თვალსაზრისით განვიხილოთ ალ. აბაშელის „სამშობლოს ვარსკვლავი“ და რ. მარგიანის „მე უბით ვატარებ პატარა ბარათს“.

ალ. აბაშელი ჰქმნიდა უაღრესად დიდი პატრიოტიზმით, ემოციური აღზნებით გამსჭვალულ ლექსებს, სადაც პოეტური სახეების

მრავალფეროვნება აყვანილი იყო აზრის, შინაარსის ფილოსოფიურ დონემდე და ინტელექტი და ემოცია ერთმანეთს არ გამოირიცხავდნენ. საინტერესო ის არის, რომ მისი ლექსის პოეტური ხასიათი, ხშირ შემთხვევაში, გამოირჩევა აზრის სიცხადით და მოედინება მხატვრული აზროვნების სიღრმიდან.

ლექსი „სამშობლოს ვარსკვლავი“ ინტელექტისა და ემოციის ლამაზი შერწყმაა:

როცა დღე, ომის გრიგალით სავსე,
ცეცხლსა და კვამლში დაიბინდება,
სამშობლოს ვარსკვლავს მე ვხედავ ცაზე,
და ჩემს გულშიაც სხივი ინთება.

სამშობლოს ვარსკვლავი სიცოცხლის, სიხარულის, გამარჯვების სიმბოლოდ წარმოიდგინა პოეტმა. სამშობლოს ვარსკვლავს რომ ხედავს ცაზე, პოეტის გულშიც სხივი ინთება. სამშობლოს ვარსკვლავი პოეტის ემოციაზე, გრძნობაზე, განცდაზე, სულიერ მღელვარებაზე ახდენს გავლენას, სიხარულს, იწვევს.

როცა ლამესაც ხანძარი დასწავს
და ისიც გრგვინით გადაფრინდება,
მაშინაც ვხედავ სამშობლოს ვარსკვლავს,
და გული საფრთხეს არ უშინდება.

პირველი ორი სტრიქონი პოეტის ემოციის — განცდის, სულიერი განწყობის მრისხანებას გამოხატავს. იგი მაშინაც ხედავს სამშობლოს ვარსკვლავს „და გული საფრთხეს არ უშინდება.“

სამშობლოს ვარსკვლავის ხილვა პოეტს მღვრიე ფიქრს უწმენდს. ეს მღვრიე ფიქრი კი არის სამშობლოს მდგომარეობით გამოწვეული დარდი. პოეტი დროის მსახურია, მაგრამ ბრმა მსახური როდია! საბჭოთა ადამიანისათვის სამშობლოს სიკეთე და ბედნიერება მოაქვს. ასეთ ქვეყანას კი მტერი განადგურებით ემუქრება.

აღ. აბაშელი, ინტელექტისა და ემოციის შესანიშნავი პოეტი, პუნქტუალური პიროვნებაც იყო. მის ყველა ლექსს აწერია ზუსტი დრო: წელი, თვე, რიცხვი. ლექსი „სამშობლოს ვარსკვლავი“ დაწერილია 1942 წლის 3 ნოემბერს, კავკასიის დაცვის მძიმე დღეებში.

ინტელექტუალური აზროვნების დიდი ძალა ჩანს აგრეთვე აღ. აბაშელის ლექსში „ოქტომბრის ვარსკვლავი“. ეს ლექსიც 1942 წლის 3 ნოემბრით თარიღდება. აქაც მახვილ გონებას ემორჩილება პოეტური სახე, მხატვრული სიტყვა. ამ ლექსის განწყობილება ძლიერ უახლოვდება „სამშობლოს ვარსკვლავის“ განწყობილებას. მაგრამ ჩვენ იგი მაინც არ დავასახელებთ პოეტის მიერ კონკრეტულად შეგარძნებული საგნებისა და მოვლენების გამომხატველ ლექ-

სთა შორის. ამ ლექსში ინტელექტი დიდად ქარბობს ემოციას, გარდა ამისა „ოქტომბრის ვარსკვლავი“ ვერ ადის იმ დონემდე — სიმბოლოების სიმალემდე, რომელსაც „სამშობლოს ვარსკვლავში“ ვხვდებით.

პოეტს ხანდახან შეესიტყვება ომი... და თითქოს ხანძარი ეტყვის არაკად:

რომ აღს ავარდნილს ბოლად მიჰყვება
ჩვენი სისხლი და შრომის ბარაქა...
...რომ ნადირთაგან დანგრეულ სკაში
ფურცარი ნექტარს არ ეზიდება.

აყვავებულ წალკოტის ნაცვლად რჩება ნანგრევთა ქვა და ნაცარი.

გულს შემფოთებულს ლექსი რას ეტყვის,
თუ მას სინათლე შემოაკლდება?
თვალი დაახედავს ბაღნარს დასეტყვილს, —
განა ყვავილი გულში არ კვდება?!

პოეტი, მიუხედავად ასეთი მძიმე განსაცდელისა, ღრმად არის დარწმუნებული, რომ „გამარჯვების დღე გაახელს თვალებს“.

მაგრამ აღმურით დანისლულ ცაში
ისევ იელვებს ოქტომბრის ალი
და მძიმე დღეთა გარდუვალ ცულაში
კვლავ გამოჩნდება დღე ნარისხვალი...

პოეტის წუხილი მხოლოდ ის არის, რომ „ამ ხანძარს მიჰყვება ბოლად ოფლიან წლების ნაამაგარი.“ მაგრამ ისიც იცის, რომ: გამარჯვება უცეცხლოდ არ იქნება:

ცეცხლი აწითობს და ამაგრებს ფოლადს,
გულიც ბრძოლაში ხდება მაგარი.

მდინარეს ბოლოს უერთდება ემოციის ტალღა და ლექსი ინტელექტისა და ემოციის ცხოველმყოფელი ზეგავლენით აღბეჭდილი სტრიქონებით თავდება:

სისხლიან დღეთა ბული გადივლის,
მზე გაიშლება დროშის ფარჩებად,
და მტრის უაზრო ბოდვა-ქადილის
მხოლოდ საზარი ხსოვნა დარჩება.
მშვიდობიანი დღე გათენდება,
მადლიან შრომის ოფლით ნაპურთი,
და რაც დაინგრა, კვლავ აშენდება,
ისევ მონახავს აგურს აგურთი.

„ჩვენს ქვეყანაში ხელოვანი სასიკოცხლო ძარღვითაა დაკავშირებული ხალხთან. ერთადერთი კრიტერიუმი, შემოქმედების შეფასების დროს, არის ორგანული შეთავსება ხალხის ინტერესებისა ხელოვნების ინტერესებთან.“ — თქვა ალ. აბაშელის საიუბილეო საღამოზე წაკითხულ მოხსენებაში დიმიტრი ბენაშვილმა 1944 წელს და ამ თვალსაზრისით განიხილა ალექსანდრე აბაშელის ომისდროინდელი შემოქმედება, რომ პოეტის კალაში განუყრელია ხალხის ფიქრებისა და განცდებისაგან, რომ იგი — ეს კალაში ხალხის მესაქე და მესაიდუმლეა.

ყველაზე მწვავედ დადგა ჩვენი ხალხის ყოფნა-არყოფნის საკითხი, როცა გაბოროტებული მტერი კავკასიისაკენ გამოიჭრა და ფაშისტი ყაჩაღები მზიურ საქართველოსაკენ მოიწვევდნენ. ქართული პოეზია რომ ახლოს არ ყოფილიყო ფრონტზე მყოფ ქართველ მეომრებთან და ზურგში დარჩენილ ადამიანებთან, მას ფასი არ ექნებოდა და ვერც შეიქმნებოდა ხალხის გრძნობების, განცდებისა და სულიერი მღელვარების ამსახველი დიდი პოეზია. ხალხთან კი პოეტი მაშინ არის ახლოს, როცა იგი თავის შემოქმედებაში სრულყოფილად ასახავს ხალხის მისწრაფებებს, განწყობილებებს. ვერ ვიტყვით იმას, თითქოს ეს განწყობილებები სამამულო ომის მთელ მსვლელობაში ერთნაირი სიძლიერით იყოს ასახული, მაგრამ ყველაზე მძლავრად აისახა იგი სწორედ კავკასიის დაცვის დღეებში (1942 წლის ივლისი — 1943 წლის ოქტომბერი). ქართული პოეზია ძალზე აქტიური იყო ყირიმის ბრძოლების (1942 წლის 25 სექტემბერი — 1942 წლის 3 ივლისი) დროსაც, ხოლო კავკასიის გმირული ეპოპეის შემდეგ, განსაკუთრებით 1944 წლის მეორე ნახევრიდან ომის დამთავრებამდე, ქართულ ლირიკას ერთგვარი სიღარიბე დაეტყო. ეს კარგად შენიშნა მწერალმა გიორგი ნატროშვილმა 1945 წლის მარტში მწერალთა დისკუსიაზე წაკითხულ მოხსენებაში „სამამულო ომის ქართული პოეზია“: „ომის უკანასკნელმა პერიოდმა ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა სათანადო გამოხატულება ქართველი პოეტების ლექსებში. ამ თემაზე უკვე შეიქმნა რამდენიმე ნაწარმოები, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია“...

სამწუხაროდ, ამ დასაწყისს ღირსეული გაგრძელება არ მოპოვოლია, მაგრამ ისევე ჩვენს სათქმელს დაეუბრუნდეთ. კავკასიისათვის გაჩაღებული გმირული ბრძოლის დღეებში განსაკუთრებული სიმძაფრით გაისმა ალ. აბაშელის ხმა. ხალხთან სიახლოვის, მისი განცდებისა და განწყობილების გამომხატველ მრავალ ლექსთანაგან აბაშელის კიდევ ერთი ლექსის ციტატას მოვიყვანთ:

ბაღებმა მაინც რა დააშავეს!

აბა, რა ჰქენით? აბა რას შერებით?

დედების თვალწინ, ხმელ შეშასავით.
ცეცხლს შეუკეთეთ თოთო ბაეშეები!

(„მრისხანე ანგარიში,“ 1942 წ., იანვარი).

სულ სხვა კუთხით არის დაწერილი რ. მარგვიანის ლექსი „მე უბით ვატარებ პატარა ბარათს“. მარგვიანის აღნიშნულ ლექსშიც სიხარულის, სიცოცხლის სიმბოლო, რასაკვირველია, მამულია, მაგრამ აქ პოეტმა, რომელიც ამ შემთხვევაში თვითონვეა ლექსის ლირიკული გმირი, სიცოცხლის სიმბოლური სახე „პატარა ბარათს“ მიანიჭა. ეს ბარათი მას საუნჯესავით ფარულად დააქვს.

მოსვლამდე ვინ იცის... უბეში მექნება
და ხშირად დაეხედავ ხენშით:
„საველე ფოსტა, 72,
მარგვიანს საკუთარ ხელში.“

რატომ არის სიცოცხლის სიმბოლური სახე „პატარა ბარათი“? იმიტომ რომ „ცრემლების წვეთები აქა-იქ ემჩნევა ჯარისკაცისთვის დაწერილ ქაღალდს“. ხოლო ამ ცრემლდამჩნეული ბარათის დამწერი — ჯარისკაცის სატრფო წუხდა თავის გულისსწორზე, მაგრამ ეს რომ არ გაეგებინებინა მისთვის, სიტყვაში წუხილს არ ამელაგნებდა. ამიტომ წამოსცდა საყვედური ომში მყოფს:

არ ვარგა: გულით სხვას ფიქრობდი თურმე,
ხელით კი სიხარულს წერდი.

და შემდეგ იგი ამხნევებს, ამშვიდებს თავის „თავშეკავებულ“ სატრფოს.

ნუ სწუხარ, გაივლის ომი და ქარი,
ვიცხოვრებთ ისევე მშუღად.
ჩვენთვის ხომ სიცოცხლე მამული არის.
ღიალი სამშობლო წმინდა!

ყოველგვარი ადამიანური გრძნობის სიმბოლო, რაც კარგი და ლამაზია, ემსახურება უპირველესს და უმთავრესს — სამშობლოს. ამ ლექსის იდეაც ეს არის. ხოლო ამ იდეას პოეტი ხსნის თავისებური ხერხით, მკითხველი ამ იდეამდე სხვა გზით მიჰყავს. უყვარს პირდაპირ (ამ სიტყვის არასრული მნიშვნელობით) თქმა. პირდაპირ სათქმელი სახემ უნდა გახსნას. ეს სახე სწორედ ის პატარა ბარათია, რომელმაც ათრთოლა ჯარისკაცი, რომელსაც არც კი ახსოვს, რამდენჯერ გაშალა ეს ღიმილის ბარათი.

ამგვარი ხერხით კონკრეტული სახიდან ზოგადში გადასვლა პოეტური მეტყველების ერთ-ერთი კარგი საშუალებაა. საერთოდ

რ. მარგიანი ფლობს ამ ხერხს, რაც შემდგომი წლების მის ლექსებშიც კარგად იგრძნობა („უკვდავი წიგნი“, „შენ შორს ხარ ახლა“ და სხვ.).

პოეზიას მაშინ აქვს მომაჯადოებელი ძალა, როცა იგი ხალხის მისწრაფებებს გამოხატავს, ხალხის სულთან არის ახლოს, მისი ტკივილი სტკივა და სიხარული ახარებს. ლექსის ლირიკული გმირი უნდა ეხმაურებოდეს მკითხველის, მეტრძოლი და მშენებელი ადამიანების სულს, მათ შინაგან სამყაროს, მათს გრძნობებსა და მისწრაფებებს. პოეტის ძლიერება გამოჩნდება თავისთავად მიერ გამოქვეყნებულ გმირის ხასიათში. ყოველ ჰემსტიქ პოეტს სახის თავისებური ძერწვა ახასიათებს. ამ თავისებურებით პოეტი საკუთარ შთაბეჭდილებებს აზავებს ხალხის შთაბეჭდილებებთან და განწყობილებებთან. პოეტისა და ხალხის განწყობილება დიდი სამამულო ომის დროს იყო მრისხანე, მტრის შეუწყალებლობის, მტრისადმი ზიზღის განწყობილება. ხალხის ეს მრისხანება მალალმხატვრულად აისახა სამამულო ომისდროინდელ ქართულ პოეზიაში. ეს იყო, თუ შეიძლება ითქვას, მრისხანების პოეზია, რომელიც უფრო მეტად ამადლებდა პატრიოტიზმის გრძნობას ჩვენს ხალხში.

ამ მრისხანე დღეებში პოეტის მოვალეობა ასე განსაზღვრა გიორგი ლეონიძემ თავის ლექსში — „პოეტს“:

დასძარი შენი ლექსის ხანძარი
და სხვა დიდებას ნურას დაეძებ,
ოღონდაც ერთი ცრემლის მარცვალი
ხალხის გულიდან შენ გულს დაეცეს.

პოეტის ღვაწლი არ იკარგება. „ცხრაჯერ დაიმსხვრა რუსთველის კუბო, ვიდრე საფლავთან დაიდგმებოდა“. იყო „ზარი, კიდილი, თითქოს მარხავდნენ მზეს და მთოვარეს, მაინც არ დასთმეს... მგონის სიკვდილი სიცოცხლედ იქვე ააფრთოვანეს“, დროშად ასწიეს, წინ წაიმძღვარეს, „როგორც უკვდავი ხალხის მშვენიება“.

და მით უძლებდნენ ჰირს, მტრის სიმძლავრეს,
სიკვდილს, დაცემას, გაღაშენებას.

ქართველი პოეტებისადმი მეგობარი პოეტისაგან ეს მეგობრული, ამხანაგური რჩევა იყო იმ „ცრემლის მარცვალივით“ წმინდა, რომელიც „ხალხის გულიდან“ დაეცემა ზოლმე პოეტის გულს, პოეტისა, რომელიც თავს სამშობლოს ზვარაკად სწირავს.

ის წმინდა ცრემლი ფერშეუცვლელი
აღმოაცენებს ხეს რტომრავალსა;
ის ხე დაპბურავს ვარდის ფურცლებით
და უკვდავ სუნთქვით შენს მომავალსა.

1943—1945 წლებში, დიდი სამამულო ომის მსვლელობაში მომხდარი შორეული გარდატეხის პერიოდში, კიდევ უფრო განვითარდა ქართული პატრიოტული პოეზია. ამ ეტაპზე ახლებურად იქნა შეგრძნობილი ჩვენი ქვეყნის ბუნების სილამაზე, უფრო ღრმად იქნა შეცნობილი და შესწავლილი ჩვენი სამშობლოს განსაცდელი, მისი ისტორიული წარსულის მძაფრი დღეები. უფრო მეტად დაფასდა ღვაწლი ჩვენი გმირი წინაპრებისა, რომელთაც ბევრჯერ იხსნეს სამშობლო დაღუპვისაგან. „მაგრამ ეს თემა ომის-ღროინდელ ლირიკაში ყველა პოეტმა ერთნაირად როდი დასძლია. ერთმა ნაწილმა კლასიკური ლიტერატურის მემკვიდრეობიდან ისესხა ზოგი რამ, ზოგმაც თანამედროვეთა მიერ ნახმარი სახეები გაიმეორა. ზოგმა საკმაოდ გაცვეთილი მეტაფორების გამოყენებით დააუძღურა და მოსაწყენი გახადა ლექსის წყობა და შინაარსი.

მიუხედავად ზოგიერთი ხარვეზისა ქართულმა პოეზიამ ამ ეტაპზე ცხოველმყოფელი გავლენა მოახდინა საზოგადოებაზე. მხატვრულად დაამუშავა და მრავალ თაობას დაუტოვა დიდი სამამულო ომის თემაზე შექმნილი ომის ლირიკა. უფრო გააღვივა მასებში სამშობლოს პატრიოტიზმი. მრავალფეროვანი გახდა ლექსის მხატვრული სახე, შეიქმნა სიუჟეტიანი ლექსის მრავალსახეობა, ამაღლდა ბალადის როლი. გრძელდებოდა და ყალიბდებოდა კავკასიის დაცვის ეპოპეის მხატვრული ასახვა პოეზიაში.

ამ ეტაპზე ქართული პოეზია გამდიდრდა მრავალი მაღალხარისხოვანი პროდუქციით, რასაც დღემდე არ დაუყარგავს ღირებულება და შემდგომშიც ქართული პოეზიის ისტორიაში დარჩება, როგორც დიდი ღირებულების მქონე ქმნილება.

ეს იყო ეტაპი დიდი სამამულო ომისა, როცა ახლოვდებოდა გმირი საბჭოთა ქალაქების ბლოკადიდან გამოსხნის და განთავისუფლების დღეები, დგებოდა ვრცელი საბჭოთა მიწა-წყლის მტრისაგან გაწმენდის და საბჭოთა საზღვრების აღდგენის, საკუთარ ბუნაგში მტრის განადგურების და საბოლოოდ მოსპობის დრო.

შესანიშნავად თქვა საქართველოს სახალხო პოეტმა გალაკტიონ ტაბიძემ:

მტერი უბედურ დღეებს თვლის,
მტერი თავის თავს იმეტებს
და ცეცხლში ნასროლ სიცოცხლის
წევს უკანასკნელ იმედებს.

ეს იყო ეტაპი. ისევ გალაკტიონ ტაბიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, როცა მტერს გაცლა ეწადა, მაგრამ ვერ დაიმალებოდა. რადგან „საბჭოთა ქვეყნის მეომარს“ თვალები შავარდენს უგავდა.

ამ ეტაპზე გააღრმავეს და გააფართოვეს ქართული პოეზია გიორგი ქუჩიშვილმა, შალვა აფხაიძემ, კარლო კალაძემ, რაქლენ გვეტაძემ, დავით გაჩეჩილაძემ, კონსტანტინე ჭიჭინაძემ, ვიქტორ გაბესკირიამ, ილო მოსაშვილმა, გიორგი კაქახიძემ, ხარიტონ ვარდოშვილმა. ალექო შენგელიამ, გრიგოლ ცეცხლაძემ და სხვ.

ფრონტიდან ისმოდა ცნობილი ქართველი პოეტის ალექსანდრე გომიაშვილის ხმა. ხოლო შალვა ამისულაშვილი სანგრებში დაწერილ ლექსებს უბის წიგნაკში ინახავდა. ეს ლექსები ომის შემდეგ ცალკე წიგნად დაიბეჭდა.

ხშირად ქვეყნდებოდა ფრონტელი პოეტის რევაზ მარგიანის ლექსები. საკუთარი სახით გამოჩნდა ახალგაზრდა პოეტი იოსებ ნონეშვილი.

თვალსაჩინო შემოქმედებით მუშაობას ეწეოდნენ პოეტები ვ. ჟურული, მ. ბარათაშვილი, მ. მიქელაძე, მ. მრეელიშვილი. საინტერესო ლექსები გამოაქვეყნეს ახალგაზრდა პოეტებმა ხ. ბერუღავამ, მურმან ლებანიძემ, ვახტანგ გორგანელმა, ოთარ ჭელიძემ და თეიმურაზ ჯანგულაშვილმა.

დადგა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის მეორე ძირითადი ეტაპი. ეს ეტაპი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1943—1945 წლებს მოიცავს.

1943—1945 წლების პატრიოტულ ლირიკას ამშვენებს გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება. ტაბიძემ ჩვეული სიყვარულით აამღერა თავისი ჩანგი. ამ პერიოდის ყოველ მის ლექსს სამშობლოს სიყვარული აჩირალდნებს, სამშობლოს პატრიოტიზმის შუქი აცისკროვნებს. ორიგინალურად გააზრებულ მის ლექსებში ხან „იავნანას“ ტკბილი მელოდია ჟღერს, ხან ყაზბეგის მაღალი მთების ქარი გუგუნებს.

გ. ტაბიძის ომისდროინდელ ლექსებში ვერ შეხვდებით მყვირალა ფრაზებს. ეს ლექსები იკითხება დიდი აღზნებითა და ემოციით. პოეტს, როგორც თვითონ ამბობს, რაც კი უვლია გზები — ჯერ ლექსი სწვავდა, „მერე მზე, ჯერ მზე და მერე ლექსები.“ ესმოდა „ხან სროლა ქუხილნაირი, ხან რხევა სამაისარი. ხან საკვნესარი დაირი, ხან ჩანგი მოდაისარი“. იგი დაქრილ ვეფხვივით იყო ოცნებისათვის „მშობლიურ მთა და ველეზზე“. ეს მთა და ველი არის სუნთქვა და სიცოცხლე მისი.

ის არის სუნთქვა, ჰაერი,
მთელი სიცოცხლე ის არი.

უძლეველია ყაზბეგის მთა („ყაზბეგის მხრები“). პოეტი მთელი არსებით გამსჭვალულია მისი სიყვარულით.

როგორ არაა ჩემთვის ძვირფასი
ყაზბეგის სამღვ მსვლელი იერი,
რომ ვერას აკლებს ქარი პირბასრი
და ცისკრის ალი რთავს მშვენიერი.

გალაკტიონ ტაბიძეს საქართველოს სიმღერად მიაჩნია ხმა --- „მუმლი მუხასა“ და „ლილეოსი“, მეზღვაურის მიერ მკერდით ზღვის გაპობა, არაგვის „საცნაური“ ხმა, მთებიდან ზეავეების გრი-ალი („მრავალეამიერ გუგუნებდეს ხმა“, 1945 წ.). ამ ლექსის ექვსი-ვე სტროფის ბოლო სტრიქონში აკომპანემენტით არის გამეორე-ბული სიტყვები: „ეს სიმღერაა საქართველოსი,“ რაც ძალასა და ელფერს მატებს ლექსის საერთო ჰარმონიას.

პოეტის ახალგაზრდობამ „განვლო, ვით გაზაფხულის შფოთი-ანმა მდინარემ“, მაგრამ მას უხარია, რომ „ხანგადასული გული ისევ გულია“. გალაკტიონ ტაბიძეს ალაფროთოვანებს საქართველოს მიერ განვლილი სახელოვანი გზა და უმღერის ახალ გზას, რომლი-თაც საქართველო წინ მიისწრაფის. პოეტის აზრით საჭიროა, ყო-ველ ქართველს ახსოვდეს მშობლიური მზის, ნათელი მზის ამოს-ვლა საქართველოში, ახსოვდეს „კავკასიონის გამძაფრებული დღე-ები“. ახსოვდეს, რომ იგი მეომარია, რომ მასთან „ელიდნენ მხარ-დამხარ აჩრდილნი მამა-პაპათა“.

სამშობლოს პატრიოტიზმის მაღალი გრძნობა ნაირფეროვანი მხატვრული სახეებითაა აღბეჭდილი სიმონ ჩიქოვანის ცნობილ და გავრცელებულ ლექსში „ვინა სთქვა...“ ეს ლექსი გამოქვეყნებისთა-ნავე პოპულარული გახდა. ლექსის ნაზი და თბილი სტრიქონები, რომელშიც შერწყმული იყო მამულიშვილის ვაჟკაცური ხმა, იწყება სტროფით:

ვინა სთქვა, თითქო პატარა იყოს
ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი,
ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე,
ვინ მოიგონა სიმცირე მისი?!

საქართველოს სიდიადეზე მეტყველებენ მისი მაღალი მთები— „მთები შემკული სხივების სირმით,“ „ყოველ მალღობზე ციხე და კოშკი“, „ქარი თუ ქარიშხალი“, „წყალი მქუხარი და საშიშარი“: „წინაპრების მიერ განვლილი სივრცე“, გორგასლის მტკიცე ნა-ბიჯი...

შეახეთ ბრძოლით გაწვრთნილი ხელი
დარუბანდიდან მოტანილ კარებს,
და გაიხსნება სამშობლო ჩემი,
უსასრულობის შემცველი მხარე.

ამ უსასრულობაში პოეტი სამშობლოს უსასრულო სიყვარულს აქსოვს.

ს. ჩიქოვანმა სამშობლოს პატრიოტიზმის მაღალი გრძნობა გადმოსცა თავის შესანიშნავი ლექსების ციკლში „მამულს ვუთხრათ გამარჯვება“.

ცნობილი რუსი დეკლამატორი სერგეი ბალაშოვი, რომელიც ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე ფრონტზე იმყოფებოდა, როგორც მსახიობი, საბჭოთა მეომრებისათვის ისეთ საყვარელ სახელებს შორის, როგორც იყვნენ მ. შოლოხოვი, ა. ტოლსტოი და სხვები, სიმონ ჩიქოვანსაც ასახელებდა. 1945 წლის იანვარში იგი „ლიტერატურაში“ (№9) წერდა: „მხატვრულ სიტყვას არსად ისე დიდი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც ფრონტზე... ნაციონალური თემატიკა ცოცხალ გამოხმაურებას პოულობდა ფრონტელ მსმენელთა შორის. მაგალითად, უდიდესი წარმატებით სარგებლობდნენ სიმონ ჩიქოვანის ლექსები წიგნიდან „მამულს ვუთხრათ გამარჯვება“.

სიმონ ჩიქოვანის ეს რკალი დაწერილია 1942—1943 წლებში, ხოლო ლექსი „მამულს ვუთხრათ გამარჯვება“ თარიღდება 1941 წლით. ეს ლექსები გამოირჩევიან პოეტური ოსტატობით, განცდათა სიღრმით და სიმართლით. მათი მომხიბლავი თავისებურება ისაა, რომ ისინი გვაგრძნობინებენ ხალხური და კლასიკური პოეტური მემკვიდრეობის სურნელებას, საბჭოთა პატრიოტიზმს ორგანულად აკავშირებენ ჩვენი ხალხის სამშობლოსათვის ისტორიული ბრძოლების გმირულ ტრადიციებთან და საბჭოთა მკითხველში აღვივებენ მტრისადმი შეურიგებლობისა და თავისუფალი სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის გრძნობას. ამ გრძნობას პოეტა შესანიშნავად გადმოგვცემს ერთ-ერთ მეტად საინტერესო ლექსში „ზღვაში შეეცურდით“.

ზღვაში კატარლით შეეცურებული პოეტი ესაუბრება ლექსის ლირიკულ გმირს, რომელიც „მთების გადაღმა“ დაუტოვებია, მიუხედავად იმისა, რომ „ზღვა და ღამეა მეტად საშიში“.

ვაპოზ კატარლით ტალღას ქინიანს
და მტერს ცხრა გზაზე შევეჯრიებო.

ეგებ უეცრად ნაღმი აფეთქდეს და ტალღამ გადაისროლოს პოეტი „ფხვიერ ფლატეზე“, პოეტის ოპტიმიზმი მაინც მაღალი და დაუმცხრალია: „შენ ზღვის ნაპირზე მოსვლა გაბედვით და ცხელი ცრემლი ზღვაში ჩათესეო“. —ათამამებს პოეტი „ქედის გადაღმა“ დარჩენილ ძვირფას მგებობას:

მე არ ვიქნები ზღვაზე წამლილი,
არც დაკარგული, როგორც კამეჩი,
მხოლოდ მექნება გული გაჭრილი,
ორად გაჭრილი ამგვარ ღამეში.

და სთხოვს მეგობარს: ერთი ნაწილი მამულს გადასცეს, მეორე — თბილად ჰქონდეს უბეში. სამშობლოს ღრმა სიყვარული აკაყვებს მამულის შვილს. ვისაც სამშობლო უყვარს, მას მეგობრის სიყვარულის დიდი გრძნობაც არ ღალატობს. სამშობლოს სიყვარული სიცოცხლის სიყვარულს ნიშნავს. სიცოცხლის სიყვარული — სანშობლოს სიყვარულს. თუ ასეა, სამშობლო და სიცოცხლე განუყრელი მცნებები ყოფილან. სიმონ ჩიქოვანის აზრიც ასეთია.

უღაბურ ზღვაზე არ მეშინია,
გულს ვერ შეაკრთობს ტყვიის წვიმები.
მე ეეყახები ტალღას ჟინიანს
და შენ შორიდან შეგეწყვილები.

პოეტმა ეს ლექსი 1943 წელს გელენჯიკისკენ მიმავალ კატარლაზე დაწერა. მაგრამ განა პირდაპირ კატარლა ნაგულისხმევი მასში! განა მართლაც ნამდვილ ზღვის ტალღებთანა აქვს პოეტს ჰიდილი! არა, კატარლა პოეტის ცხოვრების გზაა. ზღვა — თვით ცხოვრება, რომლის ტალღებთანაც უხდება ბრძოლა მგოსანს. სიმონ ჩიქოვანი მოაზროვნე პოეტია. იგი აზროვნებს სახეებით და ფერებით. კატარლა — ცხოვრების გზაა, რომელიც მიჰყავს ამ გზის (კატარლის) „კაპიტანს“. ეს „კაპიტანი“ კი პოეტია. იგი კატარლის კეჩოზე დგას და შორს იხედება. თვით ბნელ და საშიშ ღამეშიც კი სკრის მისი თვალი. ადამიანის ცხოვრება ბრძოლაა. ამ ბრძოლაში ყოველთვის ადამიანი იმარჯვებს. ამაზე მეტყველებს ადამიანის მრავალსაუკუნოვანი ისტორია.

ლექსში ომზე ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. არც გმირებზეა ლაპარაკი. მამული ერთგზისაა ნახსენები და ისიც საოცრად შეკუმშული ფორმით, როცა ძვირფას მეგობარს სთხოვს — ჩემი გულის ერთი ნაჭერი მამულს გადაეციო. მაგრამ ომის დროს დაწერილ ასეთ ლექსში სამშობლოს მგზნებარე სიყვარულის გამოსახატავად გამოყენებულ მომხიბლავ მეტაფორებს მეტად დიდი ძალა ჰქონდათ.

პოეტი უხვად იყენებს მეტაფორებს ლექსში „თოლიები აფრენილან“. მხატვრული სახეები ისე ხელმისაწვდომი და ნატიფია, როგორც მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩამავალ მზის დაფერილი „ცა ქართული, ცა ნატიფი“. აქაც ზღვაზეა პოეტი. მაგრამ ახლა ზღვა პირდაპირი მნიშვნელობით არის დახატული.

მზე ჩადის და ზღვაზე იწვის,
სად მოყვება ზღვით თოლია,
ერთი ლუკმა ქართულ მიწის
გულში საგზლად გამყოლია.

ეს „ერთი ლუკმა ქართული მიწა“ პოეტს სიკვდილამდე ეყოფა. ამ „ლუკმა მიწის“ დასაცავად მიემგზავრება პოეტი ქართველ ვაჟკაცებთან, რომლებიც ფრონტის მოწინავე პოზიციებზე იბრძვიან საშინელი ურჩხულის — გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ.

ძლიერია ს. ჩიქოვანის მხატვრული ნიჭი. იგი შესანიშნავად ხატავს პეიზაჟს, სახეს. მის თვალს უბრალო წვრილმანიც არ გამოეპარება, რაც სხვისთვის შეუმჩნეველია.

ზღვაზე მოგზაური პოეტი, რომელიც ყირიმისაკენ, ქერჩისაკენ. სევასტოპოლისაკენ თუ სიმფეროპოლისაკენ მიეშურება, ფიქრებს მისცემია. მას თან საქართველოს დიდი სიყვარული მიჰყვება.

სიმონ ჩიქოვანი მუსიკალური პოეტია. სიმონ ჩიქოვანზე არ ითქმის ვერლენის გამკიცხავი სიტყვები, ზოგიერთი პოეტის მიმართ რომ ამბობდა: მსჯელობენ და არ კი მღერიანო.

ამასთან დაკავშირებით არც ალ. ქუთათელის მტკიცებაა სწორი, რომ თითქოს სიმონ ჩიქოვანის „ლექსს ჰარმონიულობა და მელოდირობა აკლია“.

ალ. ქუთათელი ჩიქოვანის, როგორც მოაზროვნე პოეტის და მხატვრის დიდი პატივისმცემელია, მაგრამ ამ დიდ პოეტ-მხატვარში ის ვერ ხედავს მუსიკის იმ დიდ შინაგან ძალას, რაც საოცრად მელოდირებს ხდის მისი ლექსის ყოველ სტროფს. ეს, საბედნიეროდ, არა მარტო იმ ლექსებზე ითქმის, რომლებიც ჩიქოვანმა სასიმღერო სტილზე დაწერა („საბჭოთა კავშირის გმირს ვლადიმერ კანკავას“ და სხვ.), არამედ ისეთი ღრმა მსჯელობით, ინტელექტით. მეტაფორებით, სახეებით დატვირთულ ლექსებზეც კი, როგორცაა მაგალითად: „ზღვაში შევცურდი“, „ლემშაშელის სიკვდილი“, „ჯამის ნამსხვრევი“, „მტრის თვითმფრინავების თავდასხმის დროს თქმული“.

მართალია, რთულია ამ ლექსების მელოდია, რაც ლექსის რთული კომპოზიციის შედეგია, მაგრამ მათ მაინც სასიამოვნოდ ღებულობს სმენა.

აი, რა საოცარი ზომიერებით არის დაცული ამ სტრიქონში რიტმი და ტაქტი:

მე არ მქონია მაგარი მუხლი,
თურმე ვყოფილვარ ყამარ ქალის ჯამი უხეშა,

თავზე დაემხო საწუთროს მწუხრი,
აწ ვის შეეთხოვო ლუქმასავეთ მცირე ნუგეში.

(„ჭამის ნამსხვრევი“).

ეს არის ს. ჩიქოვანის შედარებით ყველაზე „მძიმე“ ლექსის სტროფი, მაგრამ აქაც არ ისმის ლექსის „უხეში“ მელოდია. ყველაფერი რიგზეა: რითმა, რიტმი, მეტრი, ტაქტი და პეიზაჟი.

ქარი მიმავრის საწუთროს ლობეს,
დავემგვანები ვარსკვლავებს და ცივინათულებს,
ჩემო მამულო, შენ რწმენა მომეტ,
მერმე მითხარი, გულს გატეხილს ვინ გაამრთულებს?

პირველი ორი სტრიქონი მხატვრის ფუნჯით არის დახატული, მეორე ორი სტრიქონი კი მსჯელობაა, მაგრამ ორივეს აერთიანებს ერთი ჰანგი, ერთი მელოდია. ორივენი მამულის ღრმა სიყვარულს ღაღადებენ. სიმონ ჩიქოვანი ამ შემთხვევაში გვევლინება, როგორც მამულის მოჭირნახულე შვილი. რომელიც ქარიშხალში კლდესავით შეუვალი დგას და აზოვის ზღვის ვრცელ ტალღებს გაჰყურებს, რომელიც პოეტს ოცნების გადასახედში მიაქანებენ. პოეტი, რომელსაც სამშობლოს ცუდი ამბავი მოჰკლავს, გაანადგურებს, ამბობს:

მეც გულის ქისა ნისლით ავივსე,
თუ დამამსხვრევენ მოთარეშე ცაში ლანდები,
ნაქარწყალივით ოქროს დაისზე
ავფრინდები და ცის გუმბათზე გაიფანტები.

ს. ჩიქოვანი ცაში არ ეძებს სიმყუდროვეს, ცის გუმბათზე ნაპერწყლად გაფანტული ბოლოს დაუბრუნდება დედამიწას, სადაც ადამიანები ცხოვრობენ და ჰქმნიან საამქვეყნო ღირებულებას.

ცას გაეკრება წეროების მწყობრი გუნდები
და გაბნეული შორს ნაქარწყლები
შეიყრებიან და მიმწუხრზე შინ დაებრუნდები.

სულ სხვა მელოდიაზეა აგებული ლექსები „ყუბანის ველზე“, „მე ვიყავ შენი ვაჟი გულადი“ და სხვ. ეს ლექსები ძირითადად მელოდიას ეყრდნობიან და მინორის თუ მაჟორის ხმაზე მღერიან. აქ არ არის ღრმა მსჯელობები და არც მეტაფორების კორიანტელი დგას. პოეტი უბრალოდ, სადად მეტყველებს გმირზე, ყუბანში სოფელ კალაბატკასთან გაჭრილ სამასი ქართველი საბჭოთა მეომრის საფლავს ყაყაჩოები დასცქერიან და ეს ყაყაჩოები მოხრილ დედეებს ჰგვანან, პოეტს ჰგონია, რომ ისინი ამბავს ჰკითხავენ „საყვარელ საქართველოზე“.

ს. ჩიქოვანი ძირითადად რვა და თორმეტმარცვლიან სტრიქონ-
თა მონაცვლეობით ანვითარებს ლექსს:

ღვას ლენინი მთების ჩრდილში,
მღერის მცხეთა და მტკვრის გაღმა მუხათვერდი...

ლექსის ასეთი ორიგინალური რიტმი ჩიქოვანს სხვებისაგან განასხვავებს. ზოგჯერ ათმარცვლიან სტრიქონს ენაცვლება თოთხმეტმარცვლიანი სტრიქონი:

მტრის მფრინავებმა დათესეს შიში,
მოფრინდნენ ბინდში და სოფელში ბევრი ვიარბინე.
შემდეგ, დალილმა, შევასწარ თხრილში
და მეხამეშა თავდახრილი თხრილის სივრცლე.

გიორგი ლეონიძემ და ალიო მირცხულავამ ამ პერიოდის ქართული პოეზია ძირითადად გაამდიდრეს სამამულო ომის გმირებისადმი და მებრძოლებისადმი მიძღვნილი ლექსებით. ამ ლექსების ერთი ნაწილი კონკრეტული პიროვნებისადმი არის მიძღვნილი, ხოლო მეორე — ზოგადად ასახავს გმირის ხასიათს.

პატრიოტული ლირიკის შესანიშნავი ნიმუშია გიორგი ლეონიძის „საქართველო“. ლეონიძეს არ შეუძლია ასეთი თემა წარსულის გარეშე გაშალოს. პატრიოტულ ლექსში პრიორიტეტი, მართალია, დათმობილი აქვს ახალს, მომავალს, მაგრამ იგი ეყრდნობა ძველს, წარსულს, იდეალურს, რაც კარგია და მისაბამი, რაც გამოსადეგია თანამედროვეობისათვის.

შენ ისევ დგებარ, თუმცა სისხლის ზღვამ
და ცეცხლის წარღვნამ გადაგიარა,
ყველას უნდოდა შენი გალენა,
თვით დაილენენ, იქმნენ იავარ.

საქართველომ „მებრძოლ ხმლის შუქით“ განვლო ბნელეთი და უცვლელი სიკბაბუკე შერჩა, არ დაკარგა თავისუფლება, ბოლოს იპოვნა ჩაუსვლელი მზე.

სამშობლოს სიყვარულის მაღალი ოპტიმიზმით ჟღერს მისივე „დღეს ვადღეგრძელოთ“. პოეტი უმღერის გმირებს, რომელთაც საქართველოს დიდება მოუტანეს. უყვარს თავისი სამშობლო—მზიანი ქართლი, „ხალხის ოცნების მჩენი“. ეს „ოცნების მჩენი“ ქართლი, რომელშიც პოეტი მთელს საქართველოს გულისხმობს, ხალხმა გაამზიანა, ამიტომ პოეტი ხალხს, ადამიანს ადღეგრძელებს.

ამ ეტაპზე ალ. მირცხულავას პოეზია გამოირჩეოდა თემატიკის მრავალსახეობით.

პოეტი უმღეროდა საქართველოს, რომელიც „დარუბანდიდან ვარსკვლავთ ხომლამდის ელვას იქნევდა თავგანწირულად, სისხლ-

ში სცურავდა, როგორც ხომალდი. მაგრამ ქვესკნელში არ ჩაძირულა“ („სადაც ვშობილვარ“). პოეტი აღტაცებულია საქართველოს გამარჯვებით, მისი ბედნიერებით, რომ იგი

დღეს: უსასრულო სიერცეს მიაპობს,
მიაქვს მყობადში მზე ოქროს განძად...

საქართველოს ბედნიერება მოუტანეს თავისმა ვაჟკაცებმა, თავისმა ხალხმა, რომელთაც ვერ აშინებდათ დაბრკოლება — ბო-ბოქარი ზღვა თუ ნიაქვარი. მალე გაჰყვებოდა „შავბნელ ტალღებს გემის ლტოლვა სწრაფზე სწრაფი“. მალე საქვს ლახვრად დასცემდნენ „დასავლეთის ქვეყნის ნაპირს“. მართალი იყო პოეტი, როცა ამბობდა: გაჩნდება ერთი მეოცნებე, ვარსკვლავთმრიცხველი, წყვილიად ღამეშიც ცას ჭოგრიტით შეაჩერდება... და ქართლის ცოცხალ წინაპრებში მეც მომიგონებს, რადგან ჩემი მისწრაფების აზრომხოლოდ სამშობლო იყო და არისო („პოეზია“).

სამშობლო და პარტია ლექსის დაუშრეტელი წყარო იყო იოსებ გრიშაშვილისათვის. მას სამშობლოს სიყვარულისა და ერთგულების გამოსახვის ორიგინალური ხერხი ახასიათებდა. თუ სიმონ ჩიქოვანის ლექსში მელოდია და მსჯელობა — ორივე დომინანტურია, ი. გრიშაშვილის ლექსში დომინანტურია მხოლოდ მელოდია.

ღიღღ, მტერმა გაბედა! ღიღღ, მტერმა ინება!
ჩენი დედა-სამშობლოს ხელის წაპოტიენება.

(„ხარკოვი ჩენია“).

ი. გრიშაშვილის ლექსის ესთეტიკურ ღირებულებას ბგერითი მხატვრული ფორმის ფაქტორი ჰქმნის. „ფორმების სიახლემ, ძლიერი გრძნობის მხატვრულ ზომიერებაში მოქცევამ გრიშაშვილის ლექსებს, დიდ პოეტურ სილამაზესთან ერთად, ადამიანური უშუალობა, მიმზიდველი სურნელება და არაჩვეულებრივი სინარნარე შესძინა“ (გ. ჯიბლაძე). და პოეტს, რომელსაც თავის პოეტურ სიცოცხლეში „ზამბახზე“ უფრო მძიმე სიტყვა არ წარმოუთქვამს (გ. ჯიბლაძე), ომის დროს ხმალზე უფრო ძლიერად უჭრიდა „პატარა და რბილი ენა“. 1944 წელს, უკვე ხანდაზმული პოეტი, რომელმაც გრიშაშვილისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, განზე გასწია ლექსების კიდე და ახალგაზრდობის ნაპირებს გასცდა, გატაცებით უმღეროდა სამშობლოს დაცვის მაღალ გრძნობას („ჩილო“). პოეტმა ქარიშხლიანი გზა გაიარა, მის გულშიც იდო მტრის მჭრელი ტყვია. იბრძოდა კალმით, იბრძოდა ლექსით. გრიშაშვილს უყვარდა ყველაფერი, რაც სამშობლოს ძვირფას სახელთან იყო დაკავშირებული. ადამიანებისადმი, მეგობრებისადმი და საერთოდ სი-

ცოცხლისადმი მგზნებარე სიყვარული პოეტს მხოლოდ მამულმა შთაუნერგა. „მწამხარ! მიყვარხარ, რომ მშობელ არეს ასე გულწრფელად უელი, ჰგუშავგობო“, — ეუბნება პოეტი ალექსანდრე აბაშელს მისდამი მიძღვნილ ლექსში დაბადების სამოცი წლისთავზე. სამშობლოს სიყვარულს ი. გრიშაშვილი სხვადასხვა ხერხებითა და საშუალებით აღვივებდა მკითხველში. ზოგჯერ ამ გრძნობას სულ უბრალოდ, მარტივად გადმოსცემდა:

ცას შიშტერდით, გადაყურეთ
ბალებს, ლელიანს,
რასაც ის ვეტყვით, ყურს საყურედ
გასაყრელია.

(„პასუხად ახალგაზრდა მწერლებს“).

ამავე ლექსში პოეტი ახალგაზრდობას ურჩევს, დაუყურადოს „ჩვენი ერის გულების ფეთქვას“.

გრიშაშვილის ლექსის მომხიბვლელობა აზრის სიციხოველის, რითმისა და წყობის სინარჩარეში, ლირიკული ფაქტებისა და დიდი მოვლენების ლაკონურ, სხარტ თქმაში მდგომარეობს.

გავიხსენოთ 1942 წელს დაწერილი ლექსი „თბილისის პოეტი“. ამ პატარა ლექსში არსად არ არის ლაპარაკი გერმანელ ფაშისტებზე, თბილისის აოხრებაზე, ზარბაზნებზე და ყუმბარებზე. დახატულია მხოლოდ სურათი — ღრუბლების მიერ მნათობის ჩანთქმა, სათუთი რითმის ომში ქარიშხალივით ავარდნა, დაუკეცავი ღრუბლის ფარჩები. იმდენად ძლიერი სიტყვის პლასტიკა აქვს ი. გრიშაშვილს, რომ საკმარისია კალმის ერთი მოსმა, საგნები და მოვლენები სრულყოფილად წარმოგიდგებათ თვალწინ. ი. გრიშაშვილი პირდაპირ შიშვლად კი არ ჰყვება ამბავს, არამედ ხატავს.

შავმა ღრუბელმა ჩანთქა მნათობი,
მზე აღარ ჰკეცავს ღრუბელს ფარჩებად, —
ალბათ მეც უნდა ავიღო თოფი
ჩემი თბილისის გადასარჩენად.

გრიშაშვილის ლექსის გამკვირვალე სათავე არასოდეს არ ამღვრეულა. ამ სათავიდან მუდამ წმინდა წყარო მოკამკამებდა. ამ აზრს შესანიშნავად გამოსთქვამს მისდამი მიძღვნილ ლექსში პოეტი ალექსანდრე აბაშელი:

ღამის ჩრდილში, დილის ცვირან ბალახში,
ლურჯ ტალღებში და ზღვის ოქროს ქვიშაშიც,
ყველგან ბრწყინავს შენი ლექსის ბადახში,
ფერითა და ხმით იცნობენ გრიშაშვილს.
ამღერებულ ლექსის ყოველ რითმიდან
ყავილების სურნელება ამოდის.

თვითონ ალექსანდრე აბაშელსაც ქარიშხლიანი გზა გამოუვლია პოეზიის ალში გახვეულს. ალ. აბაშელის ფუნჯიც მკვეთრი და პლასტიკურია. მართალია, მისი ლექსის ფერთა გამა არ არის ისე ძლიერი, როგორც, მაგალითად, ს. ჩიქოვანის ლექსისა, მაგრამ აბაშელის ლექსსაც ახასიათებს ტონების, ჩრდილების ცვლის მრავალფეროვნება და თანმიმდევრობა.

მდუმარებენ ვარსკვლავნი და იისფერ თალიდან
ცვივა თოვლის მტვერივით მოციმციმე წვეთები.
მდუმარებენ ვარსკვლავნი, მაგრამ ბნელ ოთახიდან
ესედავ, როგორ ავარდნენ ცაში თეთრი სვეტები.

(„თბილისი ლამით“, 1943 წ.)

თბილისის „ნაზი და ურბილესი“ „ცისფერი საღამო“, ომის მძიმე დღეებში „თეთრი სვეტებით“ დასერილი ცა, მდუმარე ვარსკვლავები, ვარსკვლავიან ღამეში ზღვაში გასულ უსინათლო ხომალდივით მდგარი ჩამქრალი თბილისი! — ძლიერი პლასტიკაა! „ჩამქრალი თბილისის“ ღამის რელიეფი შესანიშნავადაა გამოძერწილი.

მშობლიური თბილისის სიყვარულის გაღვივება, პატრიოტული გრძნობების ამალღება აბაშელმა თავის ლექსებში ყველა ორიგინალური ხერხით სცადა და საინტერესო და მიმზიდველი სურათები დაგვიხატა, სიმღერად გადმოგვცა. ზოგჯერ ომს სულ არ ახსენებდა ლექსში. სამშობლოს პატრიოტიზმს საქართველოს მთერისა და სერების. მზისა და ჩონგურების ფერსა და ხმაში გადმოცემდა.

საქართველოს მიღამოებს მგზავრივით
ჩამოივლის თვალუფუნა მაისი.

თერთმეტი თვე გზაში იყო. მოვიდა,
ვარსკვლავების სიშორიდან უკლა.
ჩვენს გარეშე ბინას საღ იპოვიდა? —
ის ხომ ჩემი გულის მოციქულია!

(„მეაბი“)

მაისი პოეტის გულის მოციქულია! პოეტი ხალხის შვილია. ხალხის აზრების და ფიქრების გამომხატველი და თანამზრახველი. ეს ლექსი პოეტმა 1944 წლის აპრილის მიწურულს დაიმღერა. ნამდვილად შეეფერებოდა იგი ომის იმ ეტაპს — მოწმენდილი ცა, მზე და ლაყვარდი, ყვავილები, ყვავილები!

დაიყვილებს ცაში ოქროს ნამალი.
ფარდას ასწევს შუქი უზენაესი

და შემოდის ყვეილები ამალით
ლაქვარდიდან გადმოსული მაისი.

პოეტს ახარებდა მაისი და „ვაუკაცის ხმალთან“, როგორც თვითონ ამბობდა, ლექსით მივიდა („ჩემი მადლობა“).

პოეტს „ლექსების ოქრო დაუხარჯავი“ საქართველოს დიდებისათვის უნდოდა, მას სურდა, რომ ნიავს ექროლა, ბაღს ემღერა, სამარადისოდ ნისლგადაყრილ მზეს ჩვენი წმინდა კერისათვის ეცქირა.

და შემოსილი მზიური ალით,
თოვლიან მთებით ცაშდე ასული,
ბრწყინავდეს ქართლი — ფირფხის თვალი,
კავკასიონის ბროლში ჩასმული.

აღ. აბაშელის აზრით პოეტი სამშობლოს მსახურია. „თუ პოეტის შუბლს ქვეყნის მადლი გადაეფინა, იმაზე უფრო დიდი ჯილდო მან რა ინატროს“, — ამბობდა იგი („წიგნთსაცავში“).

საოცარი სიღინჯით, მშვიდი ტონით არის დაწერილი აბაშელის ლექსი „9 მაისი“. ეს ლექსი გამარჯვების დღით, 1945 წლის 9 მაისით თარიღდება. აღ. აბაშელის ომისდროინდელ არც ერთ ლექსში ყალბი ადგილი არ არის. ხელოვნური, გაზვიადებული, ხმამაღალი, მყვირალა ფრაზები შორს იყო მისი პოეზიისაგან. იგი წერდა იმას, რასაც განიცდიდა. მის განცდებს, გრძნობებსა და განწყობას თვითონ ლექსის შინაგანი რიტმი და პლასტიკა გაგრძობინებთ. როცა პოეტი მეომრებს მიმართავდა, მხედრული აღტკინებით კრთოდნენ მისი ლექსის სტრიქონები („არ მოუშვა, დაჰკარი“, „სახალხო ლაშქარი“, „დედა და შვილი“, „დედის წერილი“).

სამშობლო ქვეყნის ძახილზე
საომრად მიგეჩქარება.
არწივის ფრთები შეგასჭან
კავკასიონის ქარებმა.

(„დედა და შვილი“)

ხოლო, როცა მტრის შურისგების ეინი უკვე დამცხრალი იყო, დამშვიდებით მღეროდა, თითქოს იგი ქარიშხლის ჩადგომას უცდიდა და, როგორც კი გადაიღარა, პოეტსაც გულს მოეშვა.

სხივი მოვარდა, ცხრა მაისის დანაკვესარი,
და თითქო ცხრა მზე შემოვიდა ჩვენს ცაში ერთად.
ჩემო კალამო! გიხაროდეს. ხომ მოყესწარით,
ხომ დაეინახეთ სანატრელი შემუსვრა მტერთა?

(„ცხრა მაისი“)

აბა შევეუდაროთ ამ სტრიქონებს ომის დაწყების პირველ დღე-სვე დაწერილი ლექსის სტრიქონები:

ცამ დაიქუხა გუშინ,
მეხიე გავარდა ბუერი,
დილა გათენდა ქუში
და ფეხზე დადგა ერი.
ცამ დაიქუხა გუშინ, —
კარს მოგვადგაო მტერი!

(„ცამ დაიქუხა გუშინ“)

პოეზია სარკეა, რომელშიც ჩანს პოეტის გულის ყველა სიმი. ალ. აბაშელს — ლექსის ოსტატს, გულით ქეშმარიტ პოეტს, რომელსაც სამშობლო უდიდესი ალტკინებით უყვარდა, ამ სარკეში ამოურანდავს ჭირნახული მამულის მღელვარე ცხოვრების ისტორია.

ალ. აბაშელი უმღერის საქართველოს მთებიდან აფრენილ გმირ მფრინავებს, რომლებმაც „თეთრი კავკასიონი გრგვინვით გადინაგარდეს“. მის ალტაცებას იწვევს საბჭოთა თვითმფრინავების „შორი გუგუნე“, რომელთაც „ფრთებით მიაქვთ ქუხილი“.

ჩენი ზეცის ლავარდის, ჩენი ოქროს ღრუბლების,
ჩენი მიწის სილალის დასაცავად მიდიან.

(„სამშობლოს შევარდნები“)

ახალი ფერებით, ახალი მხატვრული სახეებით გაამდიდრა დიდი სამამულო ომის ქართული პოეზია ირაკლი აბაშიძემ. სამშობლოს სიყვარულის ნათელი გრძნობით, სამშობლოს დაცვის შთაგონებით აღსავსე მისი ლექსები ხალხის კუთვნილება გახდა. იგადინჯი მთხრობელია, ორიგინალური მოსაუბრე. ირ. აბაშიძის ლექსი წაკითხვისთანავე მიდის გულთან და მისი საკუთრება ხდება. სამამულო ომისდროინდელ პოეზიას ამშვენებენ „კაპიტანი ბუხაიძე“, „ლურსმანაშვილის გმირობა“, „ქართველი მეომრები“, „ჰორიზონტზე იწვოდა მესსერშმიტი“, „შენ კვლავ ცოცხალ ხარ“, „ალექსანდრე კერესელიძე“, „ქართველებო, ვკაფოთ მტერი“, „მრისხანე ცხრაასორმოცდარი“, „ბავშვები“, „პარტიზანები“, „შეტევის წინ“, „მხოლოდ ფრონტისთვის იზრუნე“. ეს ლექსები პოეტმა დაწერა მოსკოვთან, ყირიმში, აკმონაიში, ქერჩში, ნალჩიკში. პოეტმა დაწერა ის, რაც თავის თვალთ ნახა, რაც გულით განიცადა. ამან მისცა მის ლექსებს მეტი ძალა და მომხიბლაობა. გოროზი ომის, ველების გადამბუგველი ცეცხლის მხილველი პოეტი, მაღალი ტალანტის წყალობით, თავისუფლად ახერხებს პატრიოტიზმის გაღვივებას მკითხველში. პოეტს ზიზლსა ჰვერის მტრის ყოვე-

ლი ნაბიჯი. პოეტი მტრის უსულო გვაშვიც კი ხედავს ფაშისტების ვერაგულ ზრახვათა ნაკვალევს: მათ „მკლავზე ლურსმნით ამოშანთული ლურჯად ეხატათ თავისქალები“.

ირ. აბაშიძე აზრის მიგნების, სიტყვის შემართვის ძლიერი ოსტატია. იგი მეტად მოხდენილად იყენებს რეამარცვლიან ლექსს. ეს ლექსები („კაპიტანი ბუხაიძე“, „ქართველი მეომრები“, „ლურსმანაშვილის გმირობა“) ხალხმა მაშინვე აიტაცა სასიმღეროდ. ამავე დროს პოეტი ხშირად მიმართავდა ათმარცვლიან და ოთხმეტმარცვლიან ლექსს. ეს იყო მისი დინჯი თხრობის ერთ-ერთი ნაცადი ხერხი. პოეტი ამ დინჯ თხრობაში შესანიშნავად გადმოგვცემს სამშობლოს დიდ სიყვარულს. მტერი რომელიც ომში — „ნაღმთა გრი-ალში, ტანკთა სრიალში“ გაიცნო პოეტმა, საბოლოოდ უნდა განადგურდეს.

მრავალ ქალაქის მოსპეს ძირ-ფესვი,
და წვეს, დასტოვეს მხოლოდ ლოდები...
ეს გაიხსენე ახლა, ძვირფასო,
როცა ბრანდენბურგს უახლოვდები.

(„როცა ბრანდენბურგს ვუახლოვდები“).

სამშობლოს გამარჯვებით აღფრთოვანებული პოეტი მოსკოვის სალუტის გუგუნში ისმენს ჩვენი მიწის და ჩვენი ბუნების, ჩვენი ცისა და ქვეყნის აგუგუნებას.

მარტო მოსკოვი გუგუნებს განა?
ჩვენი გული და ჩვენი გონება,
ფრონტზე მებრძოლებს რომ ახლავს თანა:
ჩვენი ყამირი, ბაღჩა და ყანა
არის სალუტის აგუგუნება.

ფაშისტური მტარვლების წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა ხალხის ქედუხრელობა და შემტევი ხასიათი თვალსაჩინოდ აისახა სანდრო ეულის შემოქმედებაშიც.

წითელი არმიის წინსვლით, მისი ყოველდღიური წარმატებით გამოწვეული აღტაცება ს. ეულმა შესანიშნავად გამოხატა ლექსში „წინ მიიწევს და მტერს უტევს“. „ყოველ დღით, ვიდრე ქუჩას სძინავს ჩრდილებმოფენილს“, ვიდრე მთაწმინდას მზის შუქი დაეცემა, პოეტის ოთახში თითქოს ვიდაც შემოდის, ხმა ისმის. ეს ხმა რადიომიმღების ხმაა, რომელიც ოთახს მზის სხივებით ათბობს. მიუჭდება პოეტი ახლოს და ისმენს „გმირ მებრძოლთა გმირულ ამბებს“. პროლეტარული პოეზიის ვეტერანს გული ნათელი იმედით ევსება. დასახელებულ ლექსთან ერთად არ შეიძლება არ გავიხსენოთ მისი „ლაშქრული“ და „ფოლადის ფრთები“, რომლებშიაც გამარჯვების აჩანაკლები რქმენა და აღფრთოვანებაა გამოთქმული.

სანდრო ეული აღტაცებით შეხვდა მტრის დამარცხებას, სიმ-
ლერიტ მიეგება ბერლინზე წითლად აფრიალებულ საბჭოთა დრო-
შას („მხეცი დაეცა“).

1943 წლის ქართულ პოეზიაში საიერიშო ყიყინით შემოვიდა
გიორგი ქუჩიშვილი:

წინ მებრძოლნო!
მტრის სიშაკაცეს
არ შეუდრკეთ
დაქათ!
დასცხეთ!

მტერს ვ-გემოთ
მარცხი-მარცხზე!

(„საიერიშო ყიყინი“)

გ. ქუჩიშვილის პოეზიას სამშობლოს სიყვარული ყველგან,
ყოველ სტრიქონში წითელ ზოლად გასდევს. მიუხედავად იმისა,
რომ პოეტის ცხოვრების უმძიმეს გზაზე „ხშირი იყო ძეძვი თუ ნა-
რი“. „მაინც მარადღამს მაშვრალთა ხსნაზე ეღერდა“ მისი სახალ-
ხო ქნარი („სამშობლოსადმი“).

პოეტი დიდებით იხსენიებს გმირებს. რომელთაც თავი შესწი-
რეს სამშობლოს. მან თავისი თვალით ნახა ბრძოლის ველი. ნახა
„სისხლი მებრძოლი ძმებისა, თუ ყაყაჩოთა მინდორ-ველები“...
(„დიდება მათ“).

პოეტისათვის უსაზღვრო სიზარულის მომნიჭებელი იყო საბ-
ჭოთა ქვეყნის მტერზე გამარჯვება („სასიხარულო“, 1945 წ.).

ზღვის ტალღების „მსხვერვის ხმაში“ ტაში და ვაშა ისმის.
აღლუმში აქვთ ნაღმოსნებს, გრგვინავს მარში, გუგუნებს ორკეს-
ტრი. უხარია პოეტს, რომ „ჩვენს მშვენიერ ზღვას და ხმელეთს
ველარავინ გადმოსთელავს“.

კარლო კალაძემ სამშობლოს მცნებაში გამთლიანებული გვი-
ჩენა თავისი თავიც და ლირიკული გმირებიც — ნათელაც და
ავთანდილიც. ამ ნათელებმა და ავთანდილებმა მოუტანეს სამშობ-
ლოს გამარჯვება. „მეცა მყავს ქვეყნად ერთი ნათელა“... „მე ჩემს
რჩეულად მყავს ავთანდილი, — წერს პოეტი („მე მათ შეხეიდრი-
წუთებს ვუხატავ“). ნათელა თუ ზურგში იყო, ავთანდილი მტერს
ებრძოდა ფრონტზე. ომმა ისინი დააშორა ერთმანეთს. პოეტი ამ
დაშორებას მწვავედ განიცდის. სამშობლომ გაიმარჯვა. ნათელასა
და ავთანდილის შეხვედრის დროც მოახლოვდა. პოეტი სამშობლოს

მცნებაში აერთიანებს იმ ადამიანებსაც, რომელთაც დიდების გზით მიჰყავთ სამშობლო.

ვხედავ ნათელას, ვხედავ აეთანდილს,
კვლავ დაწვრილებთ ჩრდილი მუხათა...

თავისებურად, ახალი მხატვრული სახეებით გადმოგვცემს კარლო კალაძე სამშობლოს პატრიოტიზმს ლექსში „გუდასტვირი და ღვინის გუდა“. ერთი გუდა „ძლივს ითქვამს სულს ჩურჩულითა, მეორე ღვინით სავსეა მუდამ“. სტვირის გუდა, რომელიც „უკვდავი სულის“ სიმბოლოდ აქვს წარმოსახული პოეტს, სიცოცხლის უკვდავებაა, უკვდავი სიცოცხლე კი სამშობლოს დიდებაა, ხოლო მუდამ ღვინით სავსე გუდა სიხარულის სიმბოლოა. ამ გულებს „საამოდ სურთ ერთმანეთი“. პოეტის აზრით ერთი წუთითაც არ უნდა მისცე ძილის ნება სტვირისა და ღვინის გუდასაც.

ორთავეს უნდა გაუქრო რული
დილა თუ გინდა გათენდეს ღვინით. —
შთაბერე პირველს ხელახლა სული,
მეორე ისევ აავსე ღვინით!

ცხოვრების მარადიულობის, სამშობლოს გამარჯვებით გამოწვეული სიცოცხლისა და სიხარულის ასეთ მხატვრულ სახეში გადმოცემა ორიგინალურ ხასიათს აძლევს კ. კალაძის პოეზიას.

საინტერესოა ამ ლექსის დასკვნაც:

თუ აქ ცოცხლობდი — აქ იხალისე,
მათი მოყვარე კაცი იყავი.

ე. ი. სტვირისა და ღვინის გულების მოყვარე კაცი იყავი, რომელთაც მამულისათვის, ხალხისათვის საამო სურვილი — ბედნიერება და სიხარული მოაქვთო.

კ. კალაძის ლირიკა რთულ ემოციებს ეყრდნობა. ამ, ემოციების გამოვლენის თავისებური ხერხი აქვს პოეტს. იგი ორიგინალური სახეებით მსჯელობს, მაგრამ ეს მსჯელობა მშრალი როდია. მას მხატვრული სახეებით ავსებს და აფერადებს. ამ მხრივ საინტერესოა ლექსი „ასე ვეტყვოდი ხოლმე იადონს“.

იადონის გალობა ყველას მოუხმენია, ვინც კი ყოფილა პოეტის სახლში... იგი თავისი პატარა ლურჯი გალიიდან უთვალთვალებდა პოეტს, მათ შუქი დილამდე ენთოთ ვარსკვლავად. ანლა პოეტი იგონებს იმ ნათელ წუთებს — იადონი რომ დასცქეროდა ხოლმე სტრიქონებს, როგორც თავთავს დასამარცხლავად. ომის ქარიშხალი ეს-ეს არის ჩადგა. იადონის ტბილი ხმა მონატ-

რებია პოეტს, თორემ სტრიქონებში „ღამეების და ღრუბლების ალყა“ დგას და ყურში ჭერ კიდევ შხუის „ტყვიით ნასხლტომი პაერის ტალღა“.

მოდი, ვიმღეროთ ისევ, მოგისმენ,
როგორც სალამურს საგანთიადოს,
მტერთა სიავე მისთვის მოგისპეს,
რომ ეხმატკბილა ისევ იადონა.

(„ასე ეტყობი ხოლმე იადონს“).

პოეტი აღტაცებულია, რომ სიმღერის დრო დადგა. „მეც კალამს ვეძებ შემკრთალ თითებით, იმღერე, დუმილს ნუ დამიტოვებო“, — შესთხოვს იგი იადონს. ეს იადონი პოეტის მუზაა, პოეტის ოცნება.

ისარს გვიმიზნებს კედლის საათიც,
ჩენი სიმღერის დრო არის ხედავ?!
ჩენი სიმღერის დრო არის ხედავ?!

პოეტი მხატვრული სახეებით გადმოგვეცემს თავისი თავისა და ხალხის აღფრთოვანებას, რაც ომის დამთავრებისა და საბჭოთა სამშობლოს გამარჯვების შედეგი იყო. „ისევ ავინთებ იმედს ვარსკვლავად, ცისკარი ისევ მე გამიგონებს“, — ამბობს იგი. იადონს შესთხოვს ახლებურად ააქლეროს პოეტის ჩანგი.

და, როგორც თვთავს დასამარცვლავად,
შენც გადმოხედე მალალ სტრიქონებს!

ქართული ლირიკის ერთ-ერთმა საინტერესო შემოქმედმა შალვა აფხაიძემ თავის შემოქმედების მთავარ თემად სამშობლო, ლენინი და პარტია აირჩია.

შ. აფხაიძის „ფიცი“ ერთი კარგი ლექსთაგანია ომისდროინდელ ქართულ პოეზიაში. ეს ლექსი ამერიკელი მწერლების ლიგამ ინგლისურ ენაზე ნიუ-იორკში გამოცემულ „გაერთიანებული ერების სამხედრო ლექსების“ კრებულში შეიტანა.

შ. აფხაიძე ფიცს აძლევს მშობლიურ მიწას, ცის განათებულ-მინანქრის თაღებს, მშობლიურ მზეს, დედისაგან დამღერებულ ნანას, ღამაზად გაშლილ მთელ თავის სამშობლოს — დიდ კავშირს ანდამათიანს, ხალხთა კრილობის შესისხლხორცებას, რომ დაიცავს სამშობლოს ზღუდეს მღელვარე ყანას, ყოველ ქუჩას, სახლს, ქარხანას, რადგან ხის ყველა ფესვი მისი ძარღვია, მიწის ნაფშენი მისი ნაწილი.

გულწრფელი სტრიქონებითაა გამთბარი ომის წლებში დაწე-

რილი მისი სხვა ლექსებიც („მეც მას ვუმღერი“, „აპრილი“, „გაეცდით ვაებას“... „აღსდგა მშვენება“ და სხვ.).

შ. აფხაიძისათვის, როგორც პოეტისა და მოქალაქისათვის, ყველაფერზე ძვირფასია სამშობლოს სახელი („სამშობლოს სახელს“). საქართველოში რაც არის: ქალაქი, ვაჟკაცის მხურვალე და მოცახცახე გული, თბილი სიო, რომელიც „აციმციმებს ფარჩის დროშაზე დახატულ სახეს“, პატარა ია, მტკვრის სანაპიროზე ციდან გადმოსული ნათელი, დროშა დროშას რომ ეჩურჩულება, მთაწმინდა, სადაც ვარსკვლავი ღამით ვარსკვლავებს გადასძახის— ყველა ესენი მომხიბლავი ფერებით სწერენ ერთ სახელს —სამშობლოს სახელს, მას ეტრფიან, მას უმღერიან.

პირსისხლიანმა გერმანელმა ფაშისტებმა გადასწვეს სამშობლოს ბაღები, მთაში წყლის ნაცვლად სისხლის ღვარი დადგა, საყვარელი სახლები დაიფერფლა, ძმებსა და „გულის ყვავილთა“ შორის ბევრი არ ჩანდა, მაგრამ საბჭოთა მებრძოლები წინ იწვედნენ, შიშს დასცინოდნენ სიცოცხლის ტრფობით, იცავდნენ ქვეყნის აღმდგარ ღირსებას, ლახვარს ლახვარზე ურტყამდნენ მტრებს, „არ ისვენებდნენ უსაზღვრო გზაზე“, მათ ვერ აკავებდათ „ტყვიების მღუღარე ღვარი“ („დასავლეთისკენ“). საბჭოთა მეომრების ამ მტკიცე ნაბიჯებმა საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანეს ჩვენი სამშობლო.

საბჭოთა ქვეყნის გამარჯვების მეორე დღეს — ათ მაისს პოეტმა ალტაყებით მღეროდა:

მერცხალმა ისევ გაჰკრა მხარული.
ჩვეილთ ტალღებმა იწყეს შეტევა.
ამდენი შუქი და სიხარული
რა ვქნა, რომ გულში აღარ მეტევა.

(„აღსდგა მშვენება“).

კალე ბობოხიძის ლექსები დიდი სამამულო ომის წლებში ძირითადად მიძღვნილი ხასიათისა იყო.

მშობლიური საქართველო პოეტს მიაჩნია სიცოცხლის თანაზიარად. ეტრფის საქართველოს გაზაფხულს, მის ცისფერ იას, ზღვას. ველებს, კრიალა ცას („ჰომინი საქართველოს“).

პოეტმა და დრამატურგმა ილ. მოსაშვილმა სამშობლოს თემას დაუკავშირა კომუნისტური პარტიის ბელადის — დიდი ლენინის სახელი. ლენინი განუყოფელია სამშობლოსაგან. ხალხს ისე უყვარს ლენინი. როგორც სამშობლო. ამიტომ არის. რომ „წყვლიადღის ხელი“ ვერ შეიხზო ლენინის ქალაქს ომის მძინვარე დღეებში („ლენინი ჯავშნოსანზე“).

1942 წელს პოეტი ილ. მოსაშვილი წერდა:

პარტიამ ბრძანა — და ჩვენც შევფიცეთ,
წარსულ ბრძოლებში, როგორც ვფიცავდით,
რომ ჩვენის ხელით ფაშისტ უჩალებს
სამარედ ექცეს ეს წელიწ-ლი!

უფრო მრავალფეროვანი გახდა ი. მოსაშვილის პატრიოტული ლირიკა 1943—1945 წლებში. მის პოეზიაში გამოჩნდა მოწოდებითი და მიძღვნილი ხასიათის ლექსებიც („შენ, უკრაინის ქალარა დედავ“, „არკადი გეგეშიძეს“, „სიმღერა გმირზე“, „1944 წელს“, „პეტერგოფს“, „ზაპოროჟელებს“, „უსმინეთ ყველამ“).

პოეტი აღტაცებული იყო, რომ „კრემლის ქვემეხთა მწყობრი გუგუნი“ ისევ მიაწყდა კავკასიის თხემს, რომ შავი ზღვის წყალი ისევ ჩვენი გახდა.

ისევ მშობლიურ მზის ქვეშ გვერდნენ
ბუგის წყალი და შავი ზღვის წყალი, —
თბილისის, ცაზე ღამეს ანათებს
უკრაინაში დაკრული ხმალი.

(„კრემლის ძახილი“).

პოეტმა შესანიშნავი მხატვრული ფერებით დაგვიხატა ჩვენი დიადი სამშობლოს მრავალფეროვნება, მისი ღამაში მთები, ქალაქები, სოფლები, მდინარეები, ქართლისა და მოსკოვის მიწა („აი, მოსკოვი“).

საბჭოთა ქვეყნის ადამიანმა ისევ დაადგა ფეხი მშობლიურ მიწას. ზედიზედ მოიპოვეს გამარჯვება საბჭოთა მეომრებმა, დაიბრუნეს ზაპოროჟიე, ოდესა, ხარკოვი („ეს ერთიც კიდევ“).

„ასე იქნება დღესაც და ხვალაც“, — ომანხანაღ ამბობს პოეტი. ვერსად წაუვიდა მოსისხლე მტერი შურისძიების უღმობელ ძალას. იგი თავის ბუნაგშივე დასამარდა.

ომის მრისხანე წლებში პოეტი გიორგი კაქახიძე აღტაცებით უმღეროდა „ოსტატების ოქრო ხელით“ მოხატულ დალოცვილ საქართველოს („საქართველო ბალი არის“). ახლა კი ამ ბაღს მოსისხლე მტერი ეცილებოდა. მხეცს უნდოდა, ეს ბალი ნაცრად ექცია („მინდვრის იარა“), მაგრამ პოეტს მტკიცედ სჯეროდა, რომ მტერი მალე დაყრიდა იარაღს, მოუშუშდებოდა მინდორს იარა და ამწევანდებოდა ჭეჭილი.

ბედნიერების გადასარჩენად აღიმართა პოეტის ჩანგი. რომელმაც მრავალფეროვან პოეტურ ასპექტში გარდასახა გმირი ხალხის საბრძოლო ცხოვრება.

სამამულო ომის წლებში გამოქვეყნდა კოლაუ ნადირაძის რამდენიმე საინტერესო ლექსი. მართალია, უშუალოდ ომზე არ არის ლაპარაკი ლექსებში „მზეს“ და „ზღვის პირას“, მაგრამ ორივე ლექსი ძალუმად არის განათებული მაღალი გრძნობით, დიდი ოპტიმიზმითა და სიცოცხლის სიხარულით.

ამ პერიოდში დიდი ნაყოფიერებით ხასიათდება ქართული მწერლობის თვალსაჩინო მოღვაწე გრიგოლ აბაშიძე, რომელმაც სამამულო ომის ქართულ პოეზიას მრავალი შესანიშნავი ლექსი და პოემა შემატა. აღსანიშნავია პოეტის ლირიკული ლექსების ციკლები „მტრები“ და „დროშები“. პირველი უშუალოდ სამამულო ომის თემას ეხება, ხოლო მეორე — ისტორიულ წარსულს აკავშირებს თანამედროვეობასთან.

„მტრები“ იხსნება ლექსით „ციხე-ქალაქი“, რომელიც მიძღვნილია სევასტოპოლის გმირი დამცველებისადმი.

ლექსი „გაზაფხული“ 1944 წლით თარიღდება. ეს ერთ-ერთი უბრწყინვალესი ლექსია სამამულო ომის პოეზიაში.

პოეტი გაზაფხულის თემაზე ჰქმნის სიცოცხლის მარადიულობის სურათს:

ამ დიდ ხმაურში თუ გესმის ნეტავ
ტყისა და მინდვრის თვალების ფშვნეტა,
თუ გესმის შორი შრიალი ფურცლის,
როგორც მარადი სიცოცხლის ქება!

ეს გაზაფხული „მოძებნის მათ, ვინც მოკვდა გმირულად, ვინც საცრისტოლა თვალი მილულა“. „ეს გაზაფხული მათი ძეგლია, მათი სიცოცხლის ჩაუმქრალობა“, — ასკენის პოეტი. ასეთ სიმადლზე დაგვანახვა გრ. აბაშიძემ ადამიანი, მისი დანიშნულება საზოგადოებაში, სამშობლოს კეთილმყოფელი გავლენა მის გრძნობებსა და განცდებზე და, პირიქით, ადამიანის როლი საზოგადოების განვითარებისა და თვით სამშობლოს კეთილდღეობის მეტად ფასდაუდებელ საქმეში.

ისტორიულ წარსულს ეხება ლექსების ციკლი „დროშები“. ლექსში „ქვეყანას გასწვდი, თუმცა დიღია“ (1944 წ.) აღძრული კეთილი იდეა ისე ფართოა, რომ იგი მოიცავს იმ უღრმეს პატრიოტიზმს, რაც ყოველ საბჭოთა ახალგაზრდას უნდა აწუხებდეს. პოეტის აზრით, ქვეყანა თუმცა დიღია, მაგრამ მაინც უნდა გასწვდე.

გრიგოლ აბაშიძეს, უკვე როგორც საკმაოდ სახელმწიფოეპიკოს პოეტს, დაეჭვებოდა ეს სიტყვები. „ოღონდ სულ გქონდეს ხილვა ნათელი“:—ურჩევს პოეტი ახალგაზრდობას, რომელიც მუდამ იქ არის,

სადაც ბეწვის ხიდია და ცეცხლთან თამაში. პოეტის აზრით „ცეცხლთან თამაში“ ადვილი როდია.

დაიწვი ცეცხლში, დაეცი ნაცრად,
ოღონდ ნუ გახვალ ფრთაგარეუელი.

პოეტმა რევაზ მარგიანმა შექმნა პატრიოტული ლექსების ციკლი „მუმლი შუხასა“.

პოეტის ცხოვრების გზა არის მკვიდროდ დაკავშირებული სამშობლოს დროშასთან. წუხილის თუ ქუხილის დროს — „ვინ მომამშობროს სამშობლოს დროშას, კაცთა საქულველ სიკვდილის გარდა“, — ამბობს ავტორი.

პოეტი მთელი ხმით შეჰყიოდა მომავალ გამარჯვებას:

ბატოლებით სძლიე უამინდობა,
მოფრინდი ხალხის მახარობელი.

(„გამარჯვების დღე“).

გამარჯვების დღის მოლოდინში თვალწინ გაფრინდა მრავალი მწარე, უძილო ღამე, მრავალი მწარე, უმზეო დილა. „თოვლში. წვიმაში წვით და დაგვითა, თვეებს კი არა, ვითვლიდით წამებს“, რომ ეს ბედნიერი დილა გვეხილაო, — ასკენის პოეტი.

ოთხ წელს არ ახსოვდა დედას ძილი, „თმაშიც ზამთარი შემოეპარა“. შვილს მხოლოდ სიზმარში უკოცნიდა შუბლს, „ზოგჯერ ეკიდა მის თვალებს რთვილი“, შვილებისათვის უთრთოდა პატარა გული — „სავანე ფიქრთა კეთილშობილთა“. იგი ღამეებს ათევდა გამარჯვების მოლოდინში, „შვილის ალერსი გულით დაჰქონდა და ამით იგი ყველაფერს სძლევდა“. ფიქრში წასული დედა მეომრებისათვის კრულ წინდებს ქსოვდა. გამარჯვების დღის მოლოდინში „მეუღლემ მარტო ზიდა უღელი“, უკაცოდ ყოფნა არ დასტყობია ოჯახს. „არ შეწყვეტილა ბუხარში კვამლი“. ოთხ წელს ელოდა დანიშნული დანიშნულს, არ შერცხვენილა მანდილი მათი. „იმედი, რწმენა ყველაფერს სძლევდა.“ უკაცობა არ დასტყობიათ ყანებს და სათიბებს.

ბერიკაცები ოთხ წელს ემსახურებოდნენ ყანებს და ვენახებს, მკედლები სკედნენ ბარსა და მახვილს, „დღისით და ღამით აწრთობდნენ ტყვიას“.

სამშობლოს პატრიოტიზმში პოეტმა ალეკო შენგელიამ თავისებურად მხატვრულ სახეებში გადმოგვცა.

იმ დროს, როცა ადამიანების სისხლით იყო მორწყული მშობლიური მიწები, პოეტი ეალერსება ყვავილსაც კი. „მოგფეროთ? კოცნა მიწა, — ფრთხილად, ფრთხილად, იქნებ ნაზი

ბაგე დაგიზიანოთო“. — ეუბნება იგი გვირილებს, ენძელებს.
იებს.

ყულგან თქვენი სიყვარული თან დამყვება.
მეხოტბე ვარ თქვენი ღამაზ ფერების,
აი, დღით ნიავე რომ ამბავს ჰყვება,
რად არ იცით, ეს ხომ მე გეფერებით.

(„სიმღერა საქართველოს ყვავილებზე“).

ადამიანები ეფერებიან სიციცხლეს, სიღამაზეს, მშვიდობას,
ბედნიერებას, სიყვარულს, სიხარულს, რაც პოეტმა ენძელების,
გვირილებისა და იების ნაზ, მშვიდ და სურნელოვან ფერში შენი-
შნა.

საქართველო ყვავილების თვალი არი
და სიყვდილსაც მის წამწაშზე ვანტრებ!

„საქართველო ლექსი არის რუსთაველის ნამღერი!“ — ამ აზრს
უტრიალებს ყოველი სიტყვა ლექსში „გაზაფხულის მოსულა“. განთიადის
კარების ვარდისფერი გაღიშება, ფერდობებზე გვირი-
ლასა და ენძელას გამობრწყინება, დილის მიერ გაზაფხულის სუ-
რნელების შემოტანა, გოგონებისა და ქაბუკების სიმღერა, გამარ-
ჯებით შეცვლილი ხალხის დიდი ნაღველი, — აი, რა ალაფროთო-
ვანებს და ახარებს პოეტს.

აღ. შენგელია აღტაცებით შეხვდა გამარჯვების წლის — 1945
წლის მოახლოვებას. მის ლექსებში დიდი პათოსით აულერდნენ
ჰანგები საქართველოს რაინდებზე — სახელოვან ვაჟკაცებზე, რო-
მელთაც თავი დასდეს სამშობლოს ბედნიერებისათვის და აგრეთ-
ვე იმათზე. რომელთაც სისხლი ბევრი დაღვარეს, მაგრამ ომით
ჭერაც არ მოღლილან.

პოეტი მებრძოლებს ულოცავს ახალი წლის — გამარჯვების
წლის გათენებას, უმღერის ომის მოსალოდნელ დამთავრებას,
განთიადის ცეცხლისფრად ანთებას.

მაისმა კიდევაც ახარა საბჭოთა ხალხს გამარჯვება. და ამ მაისს
ასე მიმართა პოეტმა:

დამყარე ყვავილთ თოელი, რომ ყელამდე ავიწყო, —
გამარჯვების უნდა უთქვა სიმღერები.

(„გამარჯვების მაისი“)

ქართველ ხალხს არასოდეს უფიქრია სხვისი მიწა-წყლის მიტა-
ცება, მაგრამ მოძალადე მტერს ყოველთვის გულადად ზედებოდა
და არავის მიცემდა უფლებას, დაემონებინა იგი და მოესპო მისი

ეროვნული კულტურა. იგი ყოველთვის მოყვრისა და მეგობრის კეთილი მასპინძელი იყო.

ქართველი ერის სტუმართმოყვარეობის ეს მისაბაძი ჩვევა პოეტმა იოსებ ნონეშვილმა საინტერესოდ გამოხატა ჭერ კიდევ ომამდე დაწერილ ცნობილ ლექსში „მობრძანდით. გელით...“

ნახეთ თბილისში ალევების რხევა,
მტკვარი ჩქარი და დაუღუშარი;
დაე, ნურასდროს ნუ დაეღუვა
ჩვენს საქართველოს კარგი სტუმარი.

მაგრამ, როცა ომმა დაარღვია ჩვენი ქვეყნის მყუდროება, პოეტმა ომანხიანად შესძახა: „სატევარი, მამაპაპის სატევარი, სატევარი, მტერთა გულის გამპობი!“...

ი. ნონეშვილმა თბილისის ახალგაზრდობის მეორე ანტიფაშისტურ მიტინგზე წარმოსთქვა ლექსი „ქართველის დიდება დავიცვათ“ და თავის თანატოლებს მოუწოდა:

განა იმიტომ ისმოდა
მთიდან ყვირილი ხარისა,
შავი კლდის თავზე ეღრიალი
ვოეა ჭურხანის ფარისა,

რომ ბატონებად დაგვადგნენ.
თავზე ხმალამომართულნი,
ენაც კი გაგვიერანონ —
ჩვენი ლამაზი ქართული?!

პოეტის ომისდროინდელი ლექსების სათაურებიც კი ხმალივით იყო შემართული: „ადექ, აიღე ფრანგული“, „არწივო, წაიღე გული სისხლიანი“, „ძმაო, ავისხათ ტანზე აბჯარი“, „დებო, დაპჯარით დუშმანს მახვილი“.

ი. ნონეშვილის მოწოდებითი ხასიათის ლექსების გვერდით თანდათანობით ადგილი დაიჭირა მრავალფეროვანმა მხატვრულმა ლირიკამ („ბარათი ფრონტიდან“, „შენ შენი ქვეყნის სახელს იცავდი“, „საქართველოს ყელყარყარა ლამაზებო“, „საახალწლო“).

ამ თაობის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელი იყო ნიკიერი პოეტი ალექსანდრე საჯაია. მისი სიცოცხლეც და მოღვაწეობაც ხანმოკლე იყო (გარდაიცვალა 1944 წელს, 28 წლის ასაკში), მაგრამ დროის ამ პატარა მონაკვეთშიც შესძლო თავისი კვალი დაეტოვებინა სამამულო ომისდროინდელ ქართულ პოეზიაში. ამ წლებში საინტერესო გახდა მისი მრავალფეროვანი პოეტური სამყარო.

სამამულო ომის თემა ა. საჯაიას შემოქმედებაში ძირითადად

1943—1944 წლებში აისახა. ამ წლებში დაიბეჭდა მისი ლექსები: „მშობლიური სიმღერა“, „ოლეგ კოშევი“, „სიკვდილი“. „ღაგ-რილი მეომრის წერილი“, „ჩემი სოფელი“, „ცაცხვი“, „საგაზაფხულო სიმღერა“, „სევანური მოტივებიდან“, „სიმღერა მურზაყანზე“, „წელს უთუოდ“, „კოშკები“, „მეც შენთან, მწყრალო“, სოლო 1940—1942 წლებით თარიღდება მისი მხოლოდ ოთხი ლექსი: „პატარა პარტიზანი“, „მქედელი“, „სამშობლო ჩვენია“ და „მამული“. ამ ლექსებში ა. საჯაია ყოველთვის გვევლინებოდა, როგორც სიტყვის შესანიშნავი ოსტატი. იგი შეჭნაროდა სამშობლოს აწმყოსა და მომავალს, უყვარდა ცხოვრება და მას უმღეროდა მთელი გატაცებით. მისი პოეზიის საგანი იყო მამა-პაპის კერა, — „მრავალწელთა წვიმით სველი“, სახლის კედლები, სადაც პოეტი დაიბადა და დავაუკაცდა:

მე მის ჰერკვეშ ვიმალები.
შინ შემომყვა მზის თვალები,
მიმატოვებს განა?
ოქროს შუბი მომიღერა,
ააყვავა ოქროსფერად
ასი ჰუკრუტანა.

(„მშობლიური სიმღერა“).

პოეტი ალტაცებაში მოჰყავს თავის ბაღს — „გაზაფხულის სანაღარდოს“, კრიჭინებით სავსე ჰერს, მაგრამ მაინც ლამაზს. და როცა მტერი წამოვიდა მისი აკვნის დასაწვავად, ბაღის სეტყვად, — შურისგებით დაიდაგა პოეტი. „ცეცხლის თვალებს აკვესებდა“ მისი მშვიდი სახლიც.

ხალხის გულში პატრიოტიზმის მაღალი გრძნობის გაღვივება მოითხოვდა მართალ სიტყვას და თუ პოეტს ლექსისათვის ინვენტარი საკმარისად არ ჰქონდა, რასაკვირველია, არ შეეძლო, მაღლიანი სიტყვით მოეხიბლა და მოეთოკა მკითხველის განცდები. მაგრამ ალ. საჯაიას, რომელმაც საფუძვლიანად იცოდა ქართული, რუსული და უცხოური ლიტერატურა, და ამასთანავე ხალხური პოეზია, არ გასჭირვებია სიტყვის ძებნა. ამიტომ იყო, რომ ქართველი ვაჟკაცის მამაცობის საფუძველი მან დაინახა მამათა ძახილში, მამა-პაპათა უქრობ ცეცხლში.

დაქრილმა ქართველმა მკლავი თუ გამართა,
ფოლადსაც გაჰკვეთავს იმისი მახვილი.
(„სიკვდილი“)

ქართველი ვაჟკაცი მუხაზე მაგარია და ამიტომ „მხრებში არ იხრება, ცეცხლშიც არ იწვის, წელში არ გადატყდება“.

ქართველმა უომრად სიკვდილი არ იცის
და აღარც სიცოცხლე სწადია სხეულებს.

თუ ილაჩრა ვაქეცმა, თუ შეშინდა, აი, ნამდვილი სიკვდილი
ამას ჰქვიაო.

მაგრამ თუ შეშინდა, ომი და ჰიდილი
დაქმნო და დახარა მახვილი თავისი,
ეს არის ვაქეცის ნამდვილი სიკვდილი,
ასე საშინელი და შესაზარისი.

(„სიკვდილი“)

საქართველოს ლამაზი და მდიდარი ბუნება, მისი მდიდარი
აპრილი, გაზაფხულის წვიმების ცეკვა და სიმღერა, ვარდყევილობის
ქამი, ბროლის ფიფქებით სავსე მთათა კალთები, ქარიქარ გამლილი
მწვანე ცის შუქით დაალებული, გახელებული მდინარე, აღელვე-
ბული სიცოცხლე, ატოტებული ატმის რტოები, თოვლზე უფრო
თეთრი ტყემლების შემოთოვება, — აი, ქართული ბუნების აღმა-
ფრთოვანებელი ფერები, რაც თვალს იტაცებს და გულს ხიბლავს.
ითხოვს მოვლასა და დაცვას, მისთვის თავდადებას. 1944 წელს
მტერი უკვე უკან იხევდა, სამშობლოს განსაცდელი ამორდა. ალ.
საჭაიამ ამ სიხარულს მეტად აღმაფრთოვანებელი სტრიქონები მი-
უძღვნა:

როგორი წელიწადია, რამდენმა ვაზმა იხარა,
გადაგრეხილმა ვენახმა რქა რქაზე გადაიყარა.
ველად რბის ქარი ბუბუნით, ატამს გფრენა სწადია,
ქალას დასძახის გუგული: — რა კარგი წელიწადია!

(„საგაზაფხულო სიმღერა“)

ვაზის მუღმივი გახარება საქართველოს მუღმივი სიცოცხლის
საწინდარია. ვაზი ქართველი კაცის თანამგზავრია, მისი ჭირ-ვარამის
მოზიარე და სიხარულის სიმბოლო. მაგრამ ამ ვაზმა რომ მუღ-
მივად იხაროს, დღემდე რაც გაკეთებულა, ის არ კმარა, მტერი ჯერ
კიდევ არ არის დასამარებული. იგი ისევ ავობს და შემზარავად
ჰკივის.

ალ. საჭაიამ პატრიოტიზმის მაღალი გრძნობის გადმოცემა
ორიგინალური პოეტური მეტყველებით და თემის თავისებური
აღქმით შესძლო. სვანურ მოტივეზზე („სვანური მოტივები“) ამ-
ღერებულ მის ლექსებში სუნთქავს ქართველი კაცის მაღალი სუ-
ლი, შეუდრეკელი ნებისყოფა, რომლითაც იგი საუკუნეობით ეძე-
ბდა მშვიდობასა და ბედნიერებას. ძიების, აღმაფრენის, სწრა-
ფვის ლამაზად და მიმზიდველად გადმოცემამ ამ ლექსს ცხოველ-
მყოფელი ძალა მიანიჭა:

ქართველი კაცი — მთის კაცი, რომელიც ხელთ ცამდე მიწვდება, ამყოფს თავისი ქართველობით. „სალოცავად ქართველობა მეყოფა“, — ამბობს იგი.

პოეტის სალოცავი ხატია — წერწეტა ლერწამი, წელში გადატეხილი გვირილა, ვარდებით მოზიმზიმე მაისი, თოვლისა და ღვინის ფერით შემოსილი ხეხილი, ყველაფერი, რაც ბუნებას ასე აზვიამებს.

ერთ-ერთ უკანასკნელ ლექსში — „წელს უთუოდ“ ალ. საჭაია წერდა:

წელს უთუოდ წკრიალა წვერებს შეეუყვარდები,
ნეტავ კიდევ მაკურა მზე და ცვარი ციური,
ნეტავ დიდხანს მამლერა ქება ამქვეყნიურია...

მაგრამ ამის შემდეგ პოეტს დიდხანს არ უმღერია. გარდაიცვალა პოეტი და სამარეში თან ჩაიტანა სამშობლოს ღრმა სიყვარული. პოეტს სანანებლად ის დარჩა, რომ ურითმოდ დატოვა წყვილი ხრიზანტემები, უმანკო სიყვარული, მეტყველი ტყეები („წელს უთუოდ“).

პატრიოტიზმის მაღალი გრძნობა გამოხატა პოეტმა ანდრო თევზაძემ ლექსში „ბერლინში ჩვენი დროშა ფრიალებს“:

რამდენი მწუხრი გამოვიარეთ,
ვიდრე დავლენდით მტერთა ჯებირსა.
ბერლინში ჩვენი დროშა ფრიალებს,
ნიშანი ხალხთა გამარჯვებისა.

ეს გამარჯვება მოიტანეს საბჭოთა ადამიანებმა, ჩვენმა მამებმა და დედებმა, ძმებმა და დებმა, ჩვენმა ახალგაზრდობამ. მთელმა საბჭოთა ხალხმა, რომელნიც ერთ ქურაში — საბჭოთა სამშობლოს დიდ ქურაში სჭედდნენ ჩვენი სამშობლოს გამარჯვებას („გამარჯვება მოგვილოცა“).

ანდრო თევზაძე დიდი სამამულო ომის დროს აქტიურ მონაწილეობას ლებულობდა ზურგში და ფრონტზე მოწყობილ ლიტერატურულ საღამოებში. მან თავის თვალთ ნანახი შთაბეჭდილებებით გაამდიდრა თავისი ლექსების თემატიკა და შინაარსი. იგი პირადად ხვდებოდა მებრძოლ ვაჟაკებს.

ახალგაზრდა ნიჭიერმა პოეტმა ხუტა ბერულავამ ქართული პოეზიის კარი ომის წლებში შემოაღო და თან შემოიტანა სასიმღერო ლირიკის შესანიშნავი ნიმუშები: „ამხანაგო მიშაკოვ, ძმაო შალამბერიძე“, „ძმაო, გაშალე მარჯვენა“, „ვარსკვლავეთს მოსწყდა ვარსკვლავი“. ამ წლებში დაწერილი მისი ლექსებიდან უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე „ერთი წუთით ერთი ჭიქა ასწით“, „ორი

ქართველი“, „სიმღერა უკანასკნელ სიმღერაზე“, „სიმღერად თქმული ამბავი შალამბერიძის დისა“, „სიმღერა საბჭოთა კავშირის გმირ ვლადიმერ კანკავაზე“.

პოეტმა გრიგოლ ცეცხლაძემ მრავალი პატრიოტული ლექსი დაწერა დიდი სამამულო ომის თემაზე. მათ შორის აღსანიშნავია: „საბჭოთა კავშირის გმირს დიასამიძეს“, „მოგვიწოდებს დღეს ქვეყანა“, „როცა ვიგონებ მამაც გასტელოს“, „ნინა სვობოდა“ და სხვ.

ნიკოლოზ ჩაჩავამ თავის ლექსებში დაგვიხატა ომიდან დაბრუნებული და ომში მყოფი ვაჟკაცების მამაცობის მაგალითები, შინ დარჩენილთა მისწრაფებები, მეგობრობის ნათელი პერსპექტივები („ჩვენი ქალაქი“, „ნახვამდის გითხარ“, „წერილი უკრაინელ მეგობარს“, „მან ხელმეორედ ნახა ქვეყანა“, „დაკარგული შვილის დაბრუნება“) კარგი ლექსია „გმირის სიკვდილი“. ამ ლექსს საკმაოდ გაშლილი სიუჟეტი აქვს და კარგად გადმოგვცემს მეომრის ხასიათს.

რამდენიმე კარგი ლექსით გამოეხმაურა სამამულო ომს პოეტი გიორგი შატბერაშვილი. პოეტი ადიდებს ქართულ ნაწას („ქართული ნაწას“). ქართული ნაწას ძვირფასი და საყვარელია, რადგან ის „ჩვენი მზის, მიწის, ჭაღარა მთების, ჩვენი ქართული ბაზალეთების და წალკოტების“ მომღერალია.

ლექსი „მარცხენა ხელით ნაწერი“ გადმოსცემს მეომრის ვაჟკაცურ ძახილს, მეომრისა, რომელსაც ომში დაუკარგავს მარჯვენა ხელი.

გ. შატბერაშვილმა შესანიშნავად გადმოგვცა ქართველი დედის სახე ომის დროს. შვილის მომლოდინე ქართველი დედისათვის ძნელია შვილის დაღუპვის გაცხადება. მით უმეტეს თუ ის ლაჩრულად დაეცა. მაგრამ გმირი შვილის დაღუპვა დედას ვარაუდს უმსუბუქებს. ეს რთული პროცესი, რაც დედის გულში ასეთ მომენტში მიმდინარეობს, გ. შატბერაშვილმა სრულიად დამაჯერებლად გადმოსცა ლექსში „დაღუპული გმირის სურათთან“.

ვარლამ ჟურულის ლექსების ციკლი „ომი და მშვიდობა“ მოიცავს დიდი სამამულო ომის ყველა ეტაპს. პოეტი კარგად ხატავს იმ დღეს, როცა მტერი დაესხა საბჭოთა კავშირს.

სამამულო ომის გმირებისადმი მიძღვნილი მრავალი ლექსის ავტორია პოეტი ალიო ადამია. ლექსები „ცისკარი ხევში“, „ყირიმში გასაგზავნი წერილი“, „დროშა“ და „შეხვედრა“ საბჭოთა მეომრების პატრიოტულ შემართებაზე მეტყველებენ. ა. ადამიამ ამ ხასიათის ლექსებში კარგად დაგვიხატა ქართველი ვაჟკაცების მამაცური სულსიკვეთება სამამულო ომში. „მზესავით მართალი“ გმირი, რომელიც საბჭოთა ქვეყანას იცავდა ვოლგაზე და ოდერზე, პოეტის აზრით, ვარსკვლავებს დაუდგა დარაჯად.

ჩვენი მეომრების გმირობის, საბჭოთა ადამიანების დიდ სამამულო საბრძოლო ალტკინებას უმღეროდა პოეტი ილია ხოშტარია ლექსებში: „დედა“, „მტერს ვუტევთ გმირულ სულისკვეთებით“. „სიხარული ისევ მოვა“, „გამარჯვების სიხარული“ და სხვ. 1945 წელს გამოვიდა ხოშტარიას ლირიკული ლექსების კრებული („ლექსები“), რომელიც მთლიანად სამამულო ომისადმი არის მიძღვნილი. პოეტის ლექსებში სამშობლოს დიდი პატრიოტიზმის გრძნობა გაციკროვნებულია გამარჯვების მტკიცე რწმენით.

ნაზი ლირიკული მელოდიით არის აუღერებული პოეტი ქალის მარიკა ბარათაშვილის ლექსები. იგი უმღერის დედა-სამშობლოს, საფარისა და მოდი-ნახეს ციხე-სიმაგრეებს, ლენინის ქალაქს, გადმოგვცემს ქართველი ვაჟკაცების საბრძოლო ეპიზოდებს, ხატავს ოჯახის დედას, გმირ ქალებს. („საფარას“, „მოდი-ნახე“, „მომიხვალ, მჯერა“, „შენ მისთვის იბრძვი“, „პარტიზანი ქალი“, „სიხარულის ცრემლი“, „აპრილია“!).

პოეტმა ქალმა მარიკა მიქელაძემ ომის წლებში გამოაქვეყნა პოემა „ტანია“, მანვე დაწერა ბევრი ლირიკული ლექსი, რომლებშიც უმღეროდა სამშობლოს უძლეველობას და საბჭოთა ხალხის გმირობას („უკრაინას“, „თერგის ნაპირზე“ და სხვ.).

დიდი სამამულო ომის დროს აქტიურ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა პოეტი-ქალი მაყვალა მრევლიშვილი. მაყვალა მრევლიშვილმა ქართველი ქალი დაგვიხატა, როგორც გულადი, ქმრის და ოჯახის მოსიყვარულე, სატრფოსა და მეგობრის გამტანი, დედა, რომელიც შვილებს ზრდის და ნაცარს არ აცივებს კერაზე („გაცილება“, „ფიქრები“);

დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს მაყვალა მრევლიშვილის ლექსების ციკლი „აპრილის ეტიუდები“. მაღალი პათოსი, სიცოცხლისა და სიყვარულისადმი ლტოლვა მკაფიოდ ჩანს ციკლის ერთ უსათაურო ლექსში, რომელშიც პოეტი უმღერის აპრილის დარში ათქვირებულ კვირტებს, კვირტებს, რომელთაც „ფიფქის ქოლგები გადახურვიათ... თვითუღ ხეზე გაზაფხულია“. ეს არის 1944 წლის აპრილი — გამარჯვების წინაღღე.

ქართველი პოეტები კვლავ იტყვიან თავიანთ სიტყვას დიდი სამამულო ომის სახელოვან მეომრებზე. ომის მრისხანე ეპიზოდებზე და ამ ბრძოლაში საბჭოთა ადამიანების სულის სიმხნევესა და ბრძოლის წყურვილზე მშვიდობისათვის, რადგან ამ ისტორიას დროის მტვერი ვერ დაფარავს, ხოლო ეს სიტყვა სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა დიდებისა და სახელის უქცნობი გვირგვინი იქნება.

ხალხთა ძმობისა და მეგობრობის იდეა

არც ერთ არმიას არც ერთ ქვეყანაში არ ჰქონია ისეთი დიდი ნდობა და სიყვარული ხალხებისა, როგორც საბჭოთა ქვეყანაში საბჭოთა არმიას.

გერმანელ იმპერიალისტებს იმედი ჰქონდათ, რომ შუღლს და მტრობას გააღვივებდნენ საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ხალხებს შორის, მაგრამ ჰიტლერელები ამ ვარაუდში სასტიკად მოტყუვდნენ. ომის მძიმე განსაცდელის უამს საბჭოთა ხალხის მეგობრობა და ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდა და გაძლიერდა. ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი, როგორც ერთი, ფეხზე დადგა ოქტომბრის დიდი მონაპოვრის დასაცავად.

ქართველ ხალხს დიდი ხნის ისტორია აკავშირებდა რუს ხალხთან. „ქართული დროშა ორი ათასი წლის განმავლობაში ქართველობას სახელით და დიდებით ხელში სჭერია... გაჭირვების დროს ქართული დროშა რუსეთის დროშასთან ერთად არა ერთხელ გამოსულა საომარს ველზედ და მის წინამძღოლობით და სახელით ქართველობას არაერთხელ დაუღვრია თავისი სისხლი რუსებთან ერთად“, — ამბობს ილ. ჭავჭავაძე.

საუკუნეების განმავლობაში მტრებთან უსასტიკეს ბრძოლებში დადლილ ქართველ ხალხს, დახმარების ხელი გამოუწოდა რუსმა ხალხმა. ვიდრე ეს მოხდებოდა ქართველმა ხალხმა თვითონ გამათარა ბრძოლებში ნაჭირმაგარი, დაცხრილული დროშა დევიზით: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“.

რუს და ქართველ ხალხს ძირითადად ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ მისცა მეგობრობისა და ძმობის განმტკიცების შესაძლებლობა. ჩვენი პარტიის ლენინურმა პოლიტიკამ

დაამძობილა ქართველი ხალხი უკრაინელ, ბელორუს, სომეხ, აზერბაიჯანელ და სხვა ხალხებთან.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დროს (1942 წ.) აღინიშნა დიდი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის გარდაცვალების 150 წლისთავი.

„ჩვენ თქვენთან ერთად ვაპირებდით გვეზეიმნა ეს თარიღი,— ვკითხულობთ საქართველოს საბჭოთა მწერლების წერილში უკრაინელი საბჭოთა მწერლებისადმი, — რადგან ნათელი ხსოვნა უკრაინის პოხიირ მიწაზე დამარხული ქართველი პოეტისა თანაბრად ძვირფასი და საყვარელია ქართველი და უკრაინელი ხალხისათვის.... ისტორიის უბნელესი და უბოროტესი ძალის, სისხლიანი პიტლერიზმის მიერ მთელი კაცობრიობის ავაზაკურად თავზე მოხვეულმა ომმა ამჟერად განუხორციელებელი გახადა ეს განზრახვა“...

დავით გურამიშვილმა თავისი სიცოცხლის დიდი ნაწილი ბრძოლის ველზე გაატარა რუსი და უკრაინელი ხალხის შვილებთან ერთად. შვიდწლიანი ომის დროს მონაწილეობა მიიღო პრუსიელ დამპყრობთა შესამუსრად წარმოებულ ბრძოლებში და შემდეგ განუზომელი კმაყოფილებით ამბობდა: „ბრუსის კოროლს შეურყივეთ ტახტის სვეტი“.

ქართველი ხალხი ფიცს სდებდა ჩვენი დიდი წინაპრების ნათელი ხსოვნის წინაშე, ჩვენი სათაყვანებელი სამშობლოს წინაშე, ჩვენი დაუხრელი, ელვარე ბოლშევიკური დროშების წინაშე, რომ არ დაზოგავდა ნიჰსა და ძალას, თვით სიცოცხლესაც კი იმ დიადი საქმისათვის, რომელსაც მიხაიისფერი საშინელების, პიტლერის ჯოჯოხეთური ტირანიის საბოლოოდ დამხობა და განადგურება წარმოადგენდა.

ქართველი მწერლობა რწმენას გამოთქვამდა, რომ შორს არ იქნებოდა ის დღე, როცა ჩადვებოდა დიად ბრძოლათა ქარიშხალი, როცა ჩვენი მშობელი მიწა-წყალი მოიშორებდა მწვავე პირობებს და ქართველი და უკრაინელი მწერლები შეიკრიბებოდნენ, რათა ერთმანეთისათვის მიელოცათ სისხლით მოპოვებული საერთო დიადი გამარჯვება. მაშინ კვლავ ერთად შექმნიდნენ ჩვენი სწორუპოვარი ხალხების საგმირო საქმეთა ახალ დიდებულ ეპოსს.

იმ დროს, როცა გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა საბჭოთა სამშობლოს მიწა-წყალზე და უკრაინა, ბელორუსია, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, მოლდავეთი, რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის ნაწილი ოკუპირებული იყო ფაშისტური ბანდების მიერ, ქართული პოეზია პატრიოტიზმის თემას ორიგინალურად უკავშირებდა მეგობრობისა და ინტერნაციონალურ სოლიდარულ გრძნობას.

ქართულ ლიტერატურაში ფართოდ დამკვიდრდა მოძმე ხალხთა ცხოვრების თემა.

ქართველმა პოეტებმა გ. ტაბიძემ, გ. ლეონიძემ, ს. შანშიაშვილმა, ა. მირცხულავამ, დ. გაჩეჩილაძემ, ი. გრიშაშვილმა, ა. აბაშელმა, ს. ჩიქოვანმა, ი. მოსაშვილმა, ს. ეულმა, რ. გვეტაძემ, კ. კალაძემ, ალ. გომიაშვილმა, რ. მარგიანმა, შ. ამისულაშვილმა, ა. შენგელიამ, თ. ჯანგულაშვილმა, ნ. ვარღოშვილმა და სხვებმა თავიანთ ლირიკულ ლექსებში და პოემებში აგვისახეს საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები. ეს თემა გახდა ქართული პოეზიის ერთ-ერთი მთავარი და წამყვანი მოტივი. განსაკუთრებით იჩინა თავი ამ მოტივმა გერმანელი ფაშისტების მიერ დასავლეთის ფრონტებზე პირველი, დროებითი წარმატებების შედეგად და აგრეთვე კავკასიისათვის წარმოებული მძიმე ბრძოლების ქაშს.

რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი და მრავალი სხვა ეროვნების ჯარისკაცები რკინის კედელივით აღიმართნენ დამპყრობთა წინააღმდეგ. დღეს, როცა თვალს გადაავლებ რუსეთის მიწაზე მოფენილ საძმო საფლავებს, დიდების შარავანდედით მოსილ, ბრძოლებში გმირულად დაცემულ ვაჟკაცთა საფლავის ქვებზე ღამაზად ამოტიფრული გვარებიც მეტყველებს ჩვენი დიადი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხთა ძმობის ურყევ ერთიანობაზე. დიდების ეს საძმო საფლავები და გმირთა მონუმენტები ისტორიას დიდხანს შემოუნახავს საბჭოთა ხალხების ერთიანობის უბადლო თარიღს, სწორედ ამ ერთიანობამ შემოქმედებით შრომაში და სწორუპოვარ ბრძოლაში გამოჰქედა საბჭოთა დიადი სამშობლოს ძლიერება.

სახალხო პოეტმა გალაკტიონ ტაბიძემ შესანიშნავად დახატა საბჭოთა ადამიანების მიერ ახალი ქვეყნის აშენების პირველი სურათი.

ჩვენ ავაშენეთ ქვეყანა ძმობის,
იგი ეყრდნობა ამ ქვეყნად პირველს —
ხალხთა ძმობისა და მეგობრობის
ურთიერთ რწმენის ურყევ საიბრკველს.
(„სამშობლო“).

გალაკტიონ ტაბიძის დიდი სპაშულო ომის დროს დაწერილი ოცამდე ლექსი უშუალოდ ხალხთა მეგობრობის თემას ეხება. მისი ცნობილი ლექსები „კავშირი გულთა შორის“, „მიაგრიალებს მერანს მხედარი“, „მაისის დღეები“, ლექსები გმირ ქალაქებზე, „მშობლიურ ჩანგებს დაუგდე ყური“ და სხვა ხალხთა დიად მეგობრობას უმღერიან.

გ. ტაბიძის აზრით, თუ ერთისთვის ყველაა და ყველასათვის — ერთი. გაარღვევს ბურჟუსს გაკაუებული მკერდი, ვერავინ დაამარცხებს მიზნით სწორად მგრძნობ გულს და მით უმეტეს თუ ამ გულთა შორის მტყიცე კავშირია.

კავშირი გულთა შორის!
როცა გულს იცნობს გული,
რაა ამაზე უფრო
მშვენიერი და სრული.

(„კავშირი გულთა შორის“).

წითელი არმია სიმართლეს ემსახურება, მის ხმალთან არის დაკავშირებული სიმართლის დროშა. „ადამიანთა პატიოსანთ მილიონები“ სამშობლოსათვის ოცნებობდნენ და ოცნებობენ.

გმირებს ვერ ითვლის ჩვენი მხარე ურიცხვს და უღვეს,
ისინი ჰქმნიან, რომ არ ჰქმნილა იმ სასწაულებს...
(„სამშობლოსათვის თავდადების დრონი მეფობენ“).

ფაშიზმის ველური ურდოები შემოესივნენ ლენინგრადს. ლენინგრადელებმა მრისხანე ბრძოლის იარაღი აისხხეს. გალაკტიონ ტაბიძემ ლექსში „ლენინგრადს“ აღანთო მრისხანე სიძულვილი გერმანელი ბარბაროსებისადმი: „გაამახვილა მტრისადმი სიძულვილის გრძნობები, უმღერა საბჭოთა ადამიანების თავდადებას, რომელნიც თავს სწირავდნენ ლენინგრადისათვის.“

ლენინგრადის ბლოკადის დღეებს გალაკტიონ ტაბიძემ მიუძღვნა აგრეთვე ლექსი „ლენინგრადის ფაბრიკა ბლოკადის დღეებში“.

აგერ პატარა, იისფერი ფურცლების გროვა
ლურჯი თოვლივით მთელ ფაბრიკას მიმოეთოვა.

ფაბრიკაში აბრეშუმს ქსოვენ, ათასი ხელი ტრიალებს, ხმაურობა და შრომა დუღს. რა მოუტანა მათ ამ იისფერმა, ძლიეს შესამჩნევმა პატარა ფურცლების ჩქერმა? ის, „რომ შეტევაზე გადავიდა ეს შრომა მათი, რომ ბლოკადიდან დახსნილია დღეს ლენინგრადი“.

თავდაუზოგავმა შრომამ და ბრძოლამ მოუტანა ლენინგრადს გამარჯვება.

გ. ლეონიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „თვით სიკვდილს დასძლევს ტრფიალი მამულისა და ხალხისა“ („ხარკოვი ავიღეთ“). ლენინის, პუშკინის, შევჩენკოს კერას — ლენინგრადს, მოსკოვს, ხარკოვს იცავდა ხალხი, რადგან მას სხვა სიყვარული უკეთესი არა ჰქონდა რა, გარდა ერთისა — დაეცვა დიდი სამშობლო. „ხალხების ბრძოლა მხარდამხარული!“

მართალია, ლენინგრადი შორს არის საქართველოდან, მაგრამ გრძნობით, არსებით იგი ახლოს იყო ქართველ ხალხთან. გმირი ქალაქის დამცველთა შორის ბევრი ქართველი იბრძოდა. ამიტომ მიმართავდა ლეონიძე ლენინგრადელებს:

ძმანო, მოძმენო, ჩვენ თქვენთანა ვართ.
გვესმის თქვენი ხმა, თქვენი ძახილი...
თქვენ გმირები ხართ ყველა თანაბარ —
და ამართული — ერთი მახვილი...

(„ლენინის ქალაქს“).

ამიტომ ვერ გასტეხდა მტერი მათ ძალას, „სიკვდილის კბილით“ დაიფლითებოდა მომხდური.

ლენინგრადს ყველა პოეტმა თავისებური ლექსი უთხრა. ყველას თავის სიტყვა მოჰქონდა გმირი ქალაქის შესამკობად. დაუხარჯავი სიტყვის მარაგი იხარჯებოდა საყვარელი ქალაქის სადიდებლად. იოსებ გრიშაშვილმა კალმის ორიოდე მოსმით დახატა გმირი ქალაქის ქუჩები, სადაც პოეტს ესმოდა ქართული შეძახილები მებრძოლ ლომებთან. პოეტს გმირი ქალაქისადმი დიდსიყვარული ბავშვობიდანვე ჰქონდა. მის ცამდე აყვანილ შაღრევენებს, როგორც თვითონ ამბობს, „ბავშვობიდანვე ზრდიდა“, რადგან ის იყო გამარჯვებათა აყვანი და „პოეტების წალკოტი დიდი“.

წიბოვ და ლეიძლო! დღეს ისევე ბრგე ხარ,
შენი ლაშქარიც ისევე მხნედ არ.
ტყვიების ცეცხლში ამაყად დგებარ,
როგორც პეშკინის თეჯის მხედარი.

(„ლენინგრადს“).

ლენინგრადის ლაშქარი ბოლომდე მხნედ დარჩა, რომელმაც ლენინგრადი იხსნა მტრის ხელისაგან.

გმირი ქალაქის — ლენინგრადის დაცვას ბრწყინვალე ლექსი უძღვნა ალ. აბაშელმა. „მისი პოეტური ფრაზა მკვრივია, როგორც დარიალის კლდეკარი და მღელვარება, როგორც ბოლნისის ქვა“. ამბობს დ. ბენაშვილი ალ. აბაშელის საიუბიელო საღამოზე.

შენი ცა გვრგვინავს, აქ კი დარია,
მაგრამ შენს ომში ჩვენც ვართ ჩართული.
ფანჯარასავით ვაღებ დარიალს,
რომ გადმოგძახო „ვაშა“ ქართული.

(„ლენინის ქალაქს“).

გაშმაგებულ მტერს ექიდებოდა გმირი ქალაქი. ხელთ ეპყრა ბასრი მახვილი და ბრძოლის დიდებით იმოსებოდა მისი სახელი.

ამ შეჭიბრებისა და ჭიდილის ხმა კავკასიონის ქედსაც მოესმა და საღამო მიუძღვნა თბილისმა, „როგორც ძმობილმა უახლოესმა“.

ალ. აბაშელმა ლენინგრადი შეადარა ხელოვნების ნაწარმოებს. მისი მიდამოები ისეთი ლამაზი და მიმზიდველია, თითქოს, არც არის ხელით ნაგებიო. ომის პრისხანე ეამს „შუალამის მზეს“ მის შესამკობად ამოჰყოლია ვარსკვლავთა კრებული. მის თოვლის ქვეშ ცეცხლია ჩასაფრებული, ხოლო გულში „გაუყინავე სითბო მარხია“.

შენს კედლებს ხავსი არ ეკარება,
დიდი ლენინის გმოსავს ანდერძი,
რევოლუციის ხარ ელვარება
და პოეზიის შარავანდელი.

ლექსი მთავრდება დიდი ოპტიმისტური განწყობილებით, რომ ლენინგრადი ნევის ნაპირებზე „მორკმით მჭდომელი, მუდამ ნორჩი და მუდამ ახალი“ მტრებისთვის მარად მიუწვდომელი დარჩება.

ლენინის ქალაქისადმი სიყვარულის მაღალი გრძნობა მეტად ამაღელვებლად გადმოგვცა ლექსში „ლენინი ჯავშნოსანზე“ პოეტმა ილო მოსაშვილმა. ღამის წყვილიადშიც კი ქუჩებს ლენინის თვალი დახედავს „და ძველ ჯავშნოსანს საომრად ჰფერავს“. ლენინი დადგება ძველ ჯავშნოსანზე და „ბრძოლაში უხმობს დიდი ოქტომბრის უწმინდეს კერას“.

ლექსში „პუშკინის ქალაქში“ ი. გრიშაშვილმა ქართველი ხალხის დიდი სიყვარული გამოხატა რუსი ხალხისადმი.

პოეტს ადრე უნახავს პუშკინის ძეგლი, იგი იჯდა, მუხლზე წიგნი ედო, „რას კითხულობდი“, — ეკითხება პოეტი პოეტს, — მოხუც დერეჟაინს თუ ჩვენს საყვარელ ჩახრუხაიძეს? რუსი და ქართველი ხალხის სახელოვანი წინაპრების სიყვარულზე მეტყველებენ ეს სტრიქონები და რადგან მტერმა შებილწა პუშკინის ძეგლი, გრიშაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ: „არაფერია, ვაი მტერს, თორემ კიდევ გადმოვა აქ სიხალისე“. და „სიხალისე“ მართლაც მოვიდა. საბჭოთა ხალხმა გამარჯვება იზეიმა.

მგზნებარე სტრიქონები გვხვდება გ. ტაბიძის ლექსში „სტალინგრადთან“. პოეტი სტალინგრადის დამცველებს მიმართავდა. რომ მთელი ქვეყნის თვალი მათკენ იყო მიმართული, მათს ბრძოლაზე და თავდადებაზე იყო დამოკიდებული სამშობლოს აწმყ.ა და მომავალი, რომ მსოფლიოს ბედი სტალინგრადით წყდებოდა.

დიდების ჰიმნი უმდერა ამ ძღვევამოსილ ქალაქს პოეტმა სიმონ ჩიქოვანმა ლექსში „სტალინგრადს“.

სტალინგრადისათვის იბრძოდნენ საბჭოთა ქვეყნის ყველა ერის შვილები. ი. გრიშაშვილს ეს ახარებდა და აღტაცებით წარმო-

სტქვამდა: „დიდება იმათ, ვინც ასე ჯიქად იბრძოდა ქვეყნის გამო-სახსნელად“. მართალია, დღეს ისინი საფლავში წვენან, მაგრამ მათი სახე გვემახსოვრებაო! — ამბობს პოეტი.

იოსებ ნონეშვილმა სტალინგრადზე დაწერილ ერთ-ერთ თავის ლექსში გამოხატა ყველა საბჭოთა პატრიოტისათვის დამახასიათებელი გრძნობა — თავი დასდოს სტალინგრადისათვის. საბჭოთა სამშობლოსათვის. სწორედ მოძმე ხალხების შვილთა ამ თავგანწირულებამ მისცა სიმწვავე და სიმძაფრე სტალინგრადისათვის გამართულ ბრძოლას.

შესანიშნავი ლექსი მიუძღვნა ლენინგრადსა და სტალინგრადს პოეტმა ალიო მირცხულავამ. ეს ლექსი — „დგას ორი ქალაქი, ორი ძმადნაფიცი“ ომისდროინდელი ქართული ლიტერატურის ისტორიაში დარჩება, როგორც საბჭოთა ხალხის გამირული ბრძოლების უბრწყინვალესი მათიანე.

ერთი ქალაქი — „ჩრდილოეთს ნაგები სუსხსა და წვიმაში“, — ლენინგრადია, მეორე ქალაქი — „სამხრეთის მგზნებარე მზის შუქით ნალაქი“, — სტალინგრადია.

ლენინგრადი „ხან შრომით არის დაღლილი, ხან მშვიტ-მწყურვალე იბრძვის და იარებს იმრთელებს დაქირილი“. მას იცავს ლენინის ჯავშანი, წინ დროშად მიუძღვის ლენინის აჩრდილი. მას იცავს ზღვად ამდგარი ხალხი. ხოლო სტალინგრადი — ეს ლენინგრადია უმცროსი ძმია. ლენინგრადი —

არ შედრკე! არ შედრკე! — უმცროს ძმას უცივის
წვიმა და ქარია, ელვა და ზანზარი,
ლენინის დროშაა, რომ დაქირის შექვივით,
ტყვია ვერ განგმირავს, ვერ დასწევას ხანძარი.

ქართველმა პოეტებმა არაერთი შესანიშნავი ლექსი მიუძღვნეს უკრაინას და უკრაინის ქალაქებს. ი. მოსაშვილი კიევის — „უკრაინის ქალარა დედას“, მოძმე ხალხის წმინდა აკვანს უწოდებს და მარად დიდებას უთვლის მისთვის მებრძოლ ვაჟკაცებს („შენ, უკრაინის ქალარა დედავ“).

ი. მოსაშვილი მიგნებული ფერებით ხატავს საქართველოსა და უკრაინის ურთიერთობას: „თბილისის ცაზე ღამეს ანათებს უკრაინაში დაკრული ხმალი“ („კრემლის ძახილი“).

ლექსში „ზაპოროჟელებს“ ი. მოსაშვილი სამშობლოს გამირებს ეძახდა — დასცხონ, რომ მტრის საფლავზე უწინდებურად „სმლების ქორწილი“ გაიმართოს.

ზაპოროჟელნო, დასცხეთ მოსისხლეს,
ქართული მიწაც ბანს გეუბნებათ.

ზაპროციეს უკრაინული სიმღერა ქართლის გულამდე აღწევდა. და როცა ასე იყვნენ გულით გადაქდობილი საქართველო და უკრაინა. — გამარჯვება გარდაუვალი იყო.

უკრაინას კარგი ლექსი უძღვნა აგრეთვე პოეტმა ალექსანდრე აბაშელმა. იგი მას საქართველოს დობილს უწოდებს.

ლექსში „ესტონეთს“ გ. ტაბიძე მხურვალე სალამს უძღვნის ესტონელ ხალხს და თან ეუბნება, რომ ყველანი ბედით ვართ თანაბარი ერთა მშვიდობის სიელვარეში და გვეხვევიან გარს მეგობრებად მზიური ქვეყნის მკვიდრი მდგმურებიო.

ქართველი პოეტებისათვის შთაგონების მძლავრ წყაროდ იქცა გმირი ქალაქი, ჩვენი სამშობლოს გული — მოსკოვი.

რევაზ მარგიანის ლექსში „მოსკოვისათვის“ თხრობა და ლირიკული უღერადობა ერთმანეთს ისე ერწყმის, რომ მკითხველში სამშობლოს პატრიოტიზმის დიდ განწყობას აღძრავს.

იქ მუდამ ყოველ კაცს და შენობას
აქვს ერთი აზრი მარად რჩეული,
რომ მტერი მოსკოვს ველარ შემოვა
და დამარცხდება მტერი წყეული.

ასეთი ოპტიმიზმით არის განწყობილი პოეტი ჯერ კიდევ სამამულლო ომის პირველ დღეებშივე, როცა მტერი მოსკოვს ემუქრებოდა, ლენინგრადი რკალში ჰყავდა მომწყვდეული და გაშმაგებით წინ მოიწევდა.

საბჭოთა სამშობლოს დედა-ქალაქის მოსკოვის სიდიადე, მისი დიდი ამაგი საბჭოთა ხალხისადმი რ. მარგიანს მიაჩნდა ამ ქალაქის დიდ დამსახურებად: „დედა-ქალაქი სუნთქვავა ჩვენი, ხალხთა ოცნება და სიყვარული“ („მოსკოვი“).

კ. ბობოხიძე მოსკოვს ხატავს, როგორც უძლეველი ერის მღელვარე სულს. „უამრავ ხალხთა“ დედა-მშობელს, გმირულ სწრაფვათა სრულ ხატებას („მოსკოვო ჩემო“). ეს ლექსი, მიუხედავად ზოგიერთი შაბლონისა, მკითხველში მაინც კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს.

მოსკოვს კარგი ლექსი უძღვნა აგრეთვე სანდრო ეულმა. ამ ლექსის მომწოდებელი პათოსი ყოველ საბჭოთა მოქალაქეს ავალებდა, რომ რისხვად დასტყდომოდა მტერს. „ჩვენ მათ დავუთმობთ მიწას საფლავად, ევროპის სისხლით მაძღართ და მთვრალეებს“, — ამბობდა პოეტი.

ნოვოროსიისკის განთავისუფლებას მიუძღვნა ი. გრიშაშვილმა ლექსი „ნოვოროსიისკი“. ეს ქალაქი, პოეტის თქმით, იყო საქართველოში შემოსასვლელი კლდეკარი. მან მტრის ურდოები ბევრჯერ

შეკრა და მკველად დაუდგა სამშობლოს. იგი ბევრჯერ ყოფილა ძნელ განსაცდელში, „სისხლით და ცრემლით უხვად ნაფერი“, ხელიდან ხელში გადადიოდა მისი ქუჩები და ნაპირები, იგი უმრწემესი ძმა იყო ძველად „სიევასტოპოლის არემარესი“. იგი ახლა არა ჰგავს ობოლს, „მალე დაჰბერავს ქარი და ვით უფროს ძმას, გმირ სიევასტოპოლს, ხელს ჩამოართმევს ჩვენი ლაშქარი“.

გადაეკლობით ერთმანეთს ძმურად,
გაიფურჩქნებით დრომის ვარდებით,
მზე გადაიღებს თქვენს ახალ სურათს
და... მამულს უფრო შეუყვარდებით.

ს. ჩიქოვანმა 1944 წელს ინახულა სამასი ქართველი საბჭოთა შოგომრის საფლავი სოფელ კალაბატკასთან და მოესმა ბალახის ჩურჩული — ქართლის უბნის ეს ჩუმი და გაბმული ზარი. ამიტომ დარაჯობს პოეტი ყუბანის ყანას. სისხლისფერი ყაყაჩო კი ამბავს ეკითხება საყვარელ საქართველოზე. ქართველთა და ყუბანელოთა ძმობის ისტორია ასეთ ფერებში გადმოგვცა ს. ჩიქოვანმა. უფრო ვრცლად და ძირფესვიანად ეს საკითხი პოეტმა დაამუშავა ლექსების დიდ ციკლში „სიმღერა დავით გურამიშვილზე“. ყველაზე გამოკვეთილი სახე რუსთა და ქართველთა ურთიერთობაზე მან მოგვცა ლექსში „სამამულო ომის გმირებისადმი“. რომელიც მიუძღვნა მიშაკოვსა და შალამბერიძეს.

ერთი ქართველი და ერთი რუსი,
ერთი მახვილი ორივე მხრივ მჭრელი.
მიმწუხრი იყო თუ დილის სუსხი,
ბორცვით იბრძოდა მოძმეთა მხსნელი.

მტრებმა ბორცვი ტყვიებით მოსწვეს. მაგრამ ვერ წაშალეს გმირთა სახელი, „მალლობზე დარჩა გმირობის დალი“. პოეტს სწამდა, რომ იმ ბორცვზე აღსდგებოდა ბალი, რომ ორი გმირის ცხოვრებას დამგვანებოდა. ასეთი ძალა ჰქონდა ხალხთა ძმობასა და მეგობრობას.

პოეტმა ალ. აბაშელმა შესანიშნავად გადმოგვცა საბჭოთა ადამიანების მეგობრობის დიადი გრძნობა, მის ლექსებში ყოველგვარი ბუნდოვანების გარეშე. პირდაპირაა ნათქვამი, რა და როგორი ურთიერთობაა საბჭოთა კავშირის ერთა შორის. სხვა სახელები ვან გმირებთან ერთად ქართველთა მკერდიც იფარავს მამულსო. ამბობს პოეტი. იგი ამასთანავე მოუწოდებს ყოველ ქართველს:

გახსოვდეს: სადაც ცეცხლს ანთებს მტერი,
იქ საქართველოს კარი ჰკილია.
(„ომში მიმავალ ქართველ მეომარს“).

ქართულად მოქმედულ ხმალთა რეკვა რკინის ზრიალში გამოკრთის ხშირად და ეს ხმა ისმის დონბასში, დნებრთან, აზოვის პირად, ბალჩისარაის შადრევნის წყალთან.

უკრაინულ და რუსულ შეძახილს
შენც შეუერთე ქართული „ვაშა“,
ქებით ვახსენებთ მაშინ შენს სახელს
და სიმღერებშიც დარჩები ვაჟად.

თუ ქართველი უკრაინაში სისხლს ღვრიდა, უკრაინელი ქართული შიწის საგუშაგოზე იდგა. ამით აღფრთოვანებული ქართველი ჯარისკაცი წერილს უგზავნის უკრაინელ მეომარს:

გაეხარლება ქართლოსის მიწას,
რომ შესარცხვენად მოსეულ მტერთა,
მას უკრაინის ვაჟკაცი იცავს
ქართველი ხალხის შეილებთან ერთად.

სამაგიეროდ ქართველი ჯარისკაცი უკრაინელ ძმებთან არის და არც დღე, არც ღამე ისე არ გავა, მტერზე რომ ჯავრი არ იყაროს: წმინდად ვასრულებ, რასაც გულსავსედ მე საქართველოს დაეპირებოვი. გაათფრებულ ბრძოლაშია ჩაბმული ქართველი ვაჟკაცი. უწმინდურთაგან დნებრის ნაპირების დახსნისათვის უსასტიკესი ბრძოლებია. უნდა დაიხსნან თოვლის იასამნით შემკული „დიდი შეჟენკოს საფლავი წმინდა, გურამიშვილის წმინდა სავანე“.

დიდ საბჭოეთის სამფლობელოში
ჩვენს ვალს მოვიხდით ქვეყნის წინაშე,
შინ — თავისუფალ საქართველოში,
მე — თავისუფალ უკრაინაში.

შემდეგ ერთმანეთს, აღამგაშლინი,
ნემანის წყალთან შევხედებოთ სადმე,
სცოცხლობდეს ჩვენი ძმური კავშირი
ამიერიდან უკუნისამდე.

პოეტმა ალ. გომიაშვილმა შესანიშნავად დახატა ხალხთა მეგობრობის იდეა ლექსებში: „ასეთი იყო დასაწყისი განთიადისა“, „მშვიდობის ჯარისკაცი“, „სიმღერა ვოლგაზე“ და „დიდია ჩვენი სამშობლო“.

პირველ ლექსში პოეტი საინტერესოდ ასურათებს ქართველის მარჯვენის ძალას, რომელმაც „ჩვენი აწმყოსი და მომავლის გადასარჩენად... დედამიწას დაანარცხა შავი ფრინველი“. ამ ერთ ქართველში განზოგადებულია მთელი საქართველო, მთელი ქართველი ხალხი, რომელიც რუსთა ველზე იბრძოდა სამშობლოს — საბჭოთა ქვეყნის გადასარჩენად.

„სიმღერა ვოლგა-დონზე“ აღ. გომიაშვილმა 1952 წელს დაწერა, მაგრამ იგი შედეგი იყო იმ დიდი შთაბეჭდილებებისა, რაც პოეტმა უშუალოდ ფრონტზე მიიღო. გომიაშვილი დიდებას უძღვნის მას. „ვინც მღელვარე ვოლგა დონთან შეაერთა“, „ვინც კალაჩთან წყნარი დონი ააბორგა და, ვით ელვა, ციმლიანსკში შეიყვანა ვოლგა-ვოლგა“ („სიმღერა ვოლგა-დონზე“).

ქართული ლირიკის ერთ-ერთ შედეგს წარმოადგენს აღ. გომიაშვილის ლექსი „დიდია ჩემი სამშობლო“ (1953 წ.).

დიდია ჩემი სამშობლო —
დედა საბჭოთა კავშირი.
დიდია მისი ნათელი —
კილით კიდემდე გაშლილი.

ზოგან ელვა ანათებს ღრუბლებს, ზოგან — „გზა ხშირი“, „ყუბანში პურის ხეავი დგას, დონბასში — შავი ნახშირი“. დროშა ისევ ფრიალებს. ამ დროშის შრიალში — ზღვებით, მთებით და ველებით — საზღვარზე დგანან „დედა-სამშობლოს მცველები“.

საბჭოთა არმიელები იცავენ მშვიდობას. დონზე კაზაკების, ხოლო სამგორში არაგველების სიმღერა საბჭოთა ხალხის ერთიანობის, ძმობისა და მეგობრობის დიდი სიმღერაა. ამ სიმღერით არიან მათი გულები ურთიერთ დაკავშირებული („დიდია ჩემი სამშობლო“).

პოეტმა სანდრო ეულმა საბჭოთა ხალხის მეგობრობისა და ძმობის იდეა გამოხატა ლექსში „კავკასიელი ძმები“. პოეტის ხმა მოწოდების ხარის ხმას ჰგავდა: „მამ ჩვენ აღესდგეთ ქარიშხლად“.

სამამულო ომის თემაზე, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების შემდეგ, პოეტმა კარლო კალაძემ შექმნა ლექსების ციკლი „სიმღერები დნეპრის პირად“. ერთ-ერთ ლექსში „დნეპრის ნაპირი შორს არი, განა?“ პოეტი ხაზს უსვამს ქართველი და უკრაინელი ხალხების დიად მეგობრობას, რომ ტარას შეეჩენკო კავკასიონზე მიჯაჭვულ გმირს მოუწოდებდა თავისუფლებისაკენ. ხოლო გურამიშვილი უკრაინულ ხმას უწყობდა ქართულ ლექსებს, კოვპაკთან ერთად გმირი ბაქრაძე იბრძოდა დნეპრზე, ხოლო მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეები შეჯიბრებაში ჰყავდათ გამოწვეული უკრაინელ კოლმეურნეებს.

და ვგრძნობ, ჩვენს დრომდე რამ მოიყვანა
აქ, ორი ხალხის ორი მგოსანი!
ვგრძნობ თუ რით არის გვირგვინოსანი
ბრძოლის და შრომის გმირული ხანა.
დნეპრის ნაპირი შორს არი, განა?

მეტად საინტერესოა ამავე ციკლში შემავალი ლექსი „გურამიშვილის საფლავთან“. 1949 წლის 7 აგვისტოს. პირგოროდში გურამიშვილის ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილ ხალხმრავალ მიტინგზე კარლო კალაძემ ქართულად წაიკითხა „დავითიანის“ საუკეთესო ადგილები. იგონებს რა ამ შესანიშნავ სახალხო ზეიმს, პოეტი ამბობს: „კვლავ ამოფრინდნენ წყრიალით უკრაინული ჰანგები!“

კ. კალაძე ეტრფის უკრაინის მიწას, ზუბოვკას, ზუბოვკის გზას, სადაც გურამიშვილს უვლია. პოეტი სიყვარულით უმზერს ზუბოვკის მდელს, ზუბოვკელთა სასახლო შრომას, მაგრამ იქაც გულით ატარებს ფიქრს კავკასიის თეთრ მწვერვალებზე, მშობლიურ საქართველოზე.

პოეტი უმღერის უკრაინაში დასახლებულ ქართულ ოჯახებს. ამ ოჯახებიდან ისმის ქალიშვილების სიმღერა — „სულიკო“. იგი ქალიშვილს მიმართავს: უკრაინელიც ხარ და ქართველიც, სურათო ჩვენი სიყვარულისაო. ლექსში „დღესასწაული“, რომელიც მიძღვნილია პავლო ტიჩინას, მიკოლა ბაქანისა და ლუბომირ დიმიტერკოსადმი, კ. კალაძე უმღერის უკრაინელთა იმ დიდ ტრფიალს ქართველი ხალხისადმი, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს.

მეგობრისადმი უღრმესი პატივისცემისა და სიყვარულის დიდი განცდებია ჩაქსოვილი რაყდენ გვეტაძის ომისდროინდელ ლექსებში — „შვილის პირველი წერილი“ და „ნოდარის მეორე წერილი“.

მეგობრობის თემას მიეძღვნა შალვა ამისულაშვილის ომას შემდეგ დაწერილი ლექსები „ორი ობელისკი“, „მირგოროდელი მეგობარი“ და სხვ.

ლექსში „ორი ობელისკი“ შ. ამისულაშვილი ომში გმირულად დაცემულ ძმაზე წერს. პოეტს ის უხარია, რომ ბუდაპეშტში მშობლიური მზრუნველობით აღემართათ მარმარილოს ობელისკი და სახელგანთქმულ ციმბირელთა გვარებს შორის მისი ძმის გვარიც ანათებდა.

ქმა ვიპოვნე ვალმოხდილი სამეფოში. —
თვით სიკვდილშიც მამაცობდა მამაცებთან.

შ. ამისულაშვილი მოითხოვს უაღრესი პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობის გაღვივებას მეგობრობისადმი. მით უმეტეს თუ ეს მეგობარი ფრონტელია. „მირგოროდელი მეგობარი“ სწორედ ასეთი მეგობრისადმი სიყვარულის გრძნობით საესე ლექსია. პოეტმა მეგობარი დაჰკარგა ომში, მას ეგონა, რომ მტრის ნასროლმა

ტყვიამ გაუარა მკერდში მეგობარ ჯარისკაცს, მაგრამ არა. იგი გადარჩენილა. პოეტი მას ომის შემდეგ ეძახის.

მოდო, მკლავი გადაგხეო სწორუპოვარ ძმაკაცს,
შენი ტყბილი სამშობლოა მეგობარო, აჟაც!

სიმღერის კილოზე, სადა, ნათელ პოეტურ ფერებში გადმოგვცა ხალხთა ძმობისა და მეგობრობის იდეა პოეტმა ალექო შენგელიამ ლექსში „სამშობლოსათვის“.

შივალთ!.. განა მართო ვართ,
ეუბნეთ რუსი, ქართველი,
ყველგან ჩვენი ჯარია,
უძლეველი ლაშქარი...

ამიტომ მღეროდა პოეტი: „ჩვენს ბედნიერ მხარეში,—ვაეკაცების მხარეში, დამარცხება უნდოდათ? გამარჯვება ვიცოდით“.

ქართველი მეომრის სიტყვა და საქმე ერთია. მას უყვარს „დღეები დღეებს გაკიდებული, მისი ნამდვილი, მისი ზღაპარი და ხვალინდელი დღე დიდებული“. ამიტომ ამბობს ქართველი მეომარი:

ვდგები ჩემს ძმებთან, ჩემს ვაეკაცებთან.
სამშობლოსათვის თუკი მოვეკლებით, —
სიკვდილშიც გემართებს ჩვენ აღტაცება!...

(„ქართველ. მეომრის სიტყვა“).

იდეურ-პატრიოტული შემართებით ეღერდა აგრეთვე შალვა აფხაიძის „მოგონება“, „მშობლიურია აქ ყოველი ხე“, „ორი ქალაქი“ და ანდრო თევზაძის „ჩვენი ხალხი გაიმარჯვებს“, „ბრძოლის სიმღერა“, „ციხის ნანგრევებთან თქმული ლექსი“ და „ბერლინში ჩვენი დროშა ფრიალებს“.

დიდი სამამულო ომის დროს დაიბეჭდა მეგობრობისა და ხალხთა ძმობის თემისადმი მიძღვნილი პოემები: რაჟდენ გვეტაძის „ლელა“ და სანდრო ეულის „არწივის ბუდიდან“.

დექი და სიმღერა თავდადებულ ჯაჩისკაცებზე

სამამულო ომის დიადმა ეპოპეამ ახალი თემებითა და სახე-ებით გაამდიდრა საბჭოთა ლიტერატურა, აიყვანა იგი განვითარების ახალ, უმაღლეს საფეხურზე და უფართოესი შემოქმედებითი შესაძლებლობები გადაუშალა.

საბჭოთა ადამიანების სახელოვანმა საქმეებმა შთაგონების ამოუწურავი წყარო მისცა ჩვენს მწერლობას და მოსთხოვა მას მრავალფეროვანი საშუალებების მიგნება ჯარისკაცის გმირული თავდადებისა და სულიერი თვისებების გამოსაკვეთად.

სამამულო ომის გმირთა სახემ ომის პირველი დღეებიდანვე დაიჭირა განსაზღვრული ადგილი ქართულ ლიტერატურაში.

ვიდრე ომის გმირები გამოჩნდებოდნენ, ქართველი პოეტები გმირის სახეს ზოგადად ხატავდნენ და ამ ზოგად სახეში აქსოვდნენ სამშობლოს პატრიოტიზმის მაღალ იდეებს, ეს იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოსამზადებელი პერიოდი კონკრეტული გმირების სახის გამოსაკვეთად.

პირველი გმირი იყო კაპიტანი გასტელო, რომლის კეთილშობილურმა და ვაჟკაცურმა სახემ შთააგონა საბჭოთა მწერლობა. ამ მამაცი მებრძოლის განმაცვიფრებელი თავგანწირვის ამბავი აესახა მხატვრულ სიტყვაში. „შეიძლება ითქვას, რომ სწორედ აქედან (გასტელოს მამაცური დაღუპვის დროიდან, ე. ბ.) დაიწყო სამამულო ომის გმირთა პორტრეტების ხატვა ჩვენს მწერლობაში“, — სამართლიანად წერდა ბ. ჟღენტი გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“, 1941 წელს (№47).

გასტელოს მიუძღვნეს პირველი ლექსები სიმონ ჩიქოვანმა, რევაზ მარგიანმა, ვასო გორგაძემ, ხარითონ ვარდოშვილმა, გრიგოლ ცეცხლაძემ.

მათ ლექსებს წითელ ხაზად გასდევდა ღრმა სიყვარული და პატივისცემა გმირისადმი. ადამიანების ხსოვნაში მარად რჩებიან ღმირები. სიკვდილს არ უშინდება ადამიანი, რომელმაც იცის, თუ რისთვის იბრძვის, მისი ფიზიკური სიცოცხლე წუთიერია, მაგრამ მარადიულია გმირის სახელი ხალხის ხსოვნაში.

სიკვდილს მხოლოდ მამაცები სძლევენ. ასეთი იყო გასტელოც, რომელსაც სიკვდილთან შებმის წუთებში თვალწინ ედგა საბჭოთა დედები და ბავშვები, ესმოდა სამშობლოს ხმა. ამ ხმამ მისცა ძალა სიკვდილთან შებმისა.

სიმონ ჩიქოვანმა ასეთი სტრიქონები მიუძღვნა კაპიტან გასტელოს:

შენ იყავ ჩვენი მიწით გამთბარი,
სახელით შერჩი მშობლიურ მიწას,
არ დაუდგება მამულს ზამთარი.
რადგან ამკვარი ლაშქარი იცავს.

გასტელო ადამიანების ხსოვნაში მუდამ იცოცხლებს. რადგან ეს უფლება მას მისმა ლეგენდარულმა გმირობამ მიანიჭა. რევაზ მარგიანმა თავის ლექსს „უკვდავება“ დაარქვა. პოეტი წერდა:

ის მოკვდა გმირი დაუძრაველი.
ძმები დაიხსნეს მისმა მკლავებმა,
ხსოვნაში ჩაგვრჩა წმინდა სახელი,
მისი გმირობა და უკვდავება.

დიდი რუსი ხალხის შეილებთან ერთად გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ თავდადებით იბრძოდნენ ქართველი ხალხის შეილებიც. მათ გმირობისა და მამაცობის სახელოვანი ფურცლები ჩაწერეს საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ისტორიაში.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე შავი ზღვის სანაპიროდან ჩრდილო ყინულოვან ოკეანემდე, თუ იაპონელი იმპერიალისტების წინააღმდეგ ომში არ ყოფილა ქარის ისეთი სახეობა და ფრონტის ისეთი უბანი, სადაც საქართველოს შეილებს არ ებრძოლათ და არ ესახელებინათ ჩვენი სამშობლო.

სამამულო ომის პირველ თვეებშივე მტერთან უთანასწორო ბრძოლებში ისახელეს თავი ქართველმა მეომრებმა: პირტახიამ, შალამბერიძემ, წურწუმიამ, ტყუპმა ძმებმა ნიკოლოზ და მიხეილ გულვარდაშვილებმა.

ეს იყო 1941 წელს.

შემდეგ ამათ მოჰყვა ნოე ადამიას, გრიგოლ სხულუხიას, მიხეილ ბუხაიძის, ვლადიმერ კანკავას, ჭიკიკო ბენდელიანის, შოთა 11. ე. ბართაია

გამცემლიძის, მიხეილ გახოკიძის, არკადი გეგეშიძის, მიხეილ დიასამიძის, ვლადიმერ ლურსმანაშვილის, ალექსი პირმისაშვილის, პორფირე ჩანჩიბაძის, ოთარ ჩეჩელაშვილის, ვლადიმერ ხარაზიას, ისრაფილ ჭინჭარაძის, მელიტონ ქანთარია და სხვათა სახელები.

ქართულმა პოეზიამ ასახა ამ სახელოვან ქართველ მეომართა საბრძოლო ცხოვრების მხოლოდ ცალკეული ეპიზოდები, თავდადების მაგალითები და სულიერი თვისებები. არ შექმნილა მათი საბრძოლო ცხოვრების ფართო ეპიკური ტილოები, რაც ომისდროინდელი ქართული პოეზიის სერიოზულ ხარვეზად უნდა ჩაითვალოს.

ქართველ პოეტებს, რომელნიც ომის პირველ დღეებში ზოგადად წერდნენ გმირობაზე და გმირებზე, მიეცათ ქართველი ჯარისკაცის გმირული თავდადებისა და სულიერი თვისებების ასახვისათვის საჭირო კონკრეტული ფაქტები. მათ შეეძლოთ, ეწერათ კონკრეტულ პირებზე, რომლებიც ფრონტებზე იყვნენ.

ამრიგად, ქართულ პოეზიაში გაჩნდა ორგვარი ხასიათის ლექსები. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება არაკონკრეტულ პირებზე დაწერილი ზოგადი ხასიათის ლექსები, ხოლო მეორეს — კონკრეტულად ამა თუ იმ გმირზე დაწერილი ლექსები. ეს ნაწარმოებები კი თავისთავად შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად: ლექსები, რომლებშიც მეტყველებენ თვითონ გმირები, ლექსები, რომლებშიც ავტორები მიმართავენ გმირებს და ლექსები, სადაც აღწერილია ამა თუ იმ მეომრის გმირობა.

სამამულო ომისდროინდელ ქართულ პოეზიაში მამაცი საბჭოთა ჯარისკაცებისადმი მიძღვნილი პირველი ლექსის ავტორია სიმონ ჩიქოვანი. მისი „გმირულად დაღუპულ მფრინავ გასტელოს“ დაიბეჭდა 1941 წლის 15 ივლისს, გაზეთ „კომუნისტი“, ხოლო ქართველი გმირებისადმი მიძღვნილი პირველი ლექსი დაწერა ალიო მირცხულავამ („ზღვის არწივი“).

დიდი სამამულო ომის დროს პირველი მიძღვნილი ხასიათის ლექსები შექმნეს პოეტებმა რ. მარგიანმა („უკვდავება“, „ალექსი ინაურს“), რ. გვეტაძემ („მფრინავ წურწუმის“, „გმირულად დაღუპულ შალამბერიძეს“), ვ. ჟურულმა („მაიორი ლებანიძე“), გ. ლეონიძემ („მხედარი პირტახია“), ხ. ბერულავამ („ამხანაგო მიშაკოვ, ძმაო შალამბერიძე“), ს. ჩიქოვანმა („მიშაკოვი და შალამბერიძე“, „პირტახია“), ს. თავაძემ („ძმები გულვარდაშვილები“), ვ. გორგაძემ („სამამულო ომის გმირებს პირტახიას და შალამბერიძეს“), მ. ლებანიძემ („სიმღერა შალვა ლებანიძეზე“). ეს ლექსები დაბეჭდილია 1941 წელს.

დიდი სამამულო ომის ფრონტზე მებრძოლი მამაცი საბჭოთა

მეომრებისადმი ლექსების მიძღვნა თანდათანობით გადაიქცა ქართული პოეზიის ერთ-ერთ წამყვან ფორმად. ბევრმა ქართველმა პოეტმა (ი. აბაშიძე, გ. ლეონიძე, ს. ჩიქოვანი, ა. მირცხულავა, კ. კალაძე, გ. ქუჩიშვილი, ი. მოსაშვილი) ფრონტებზე პირადად ნახა და გაეცნო მებრძოლთა მამაცობას, რამაც მათ საშუალება მისცა, სრულყოფილად გადმოეცათ გმირთა თავგადასავალი და სულიერი თვისებები.

ბევრი პოეტი (შ. ამისულაშვილი, მ. გელოვანი ა. გომიაშვილი, ვ. გორგანელი, ს. ისიანი, მ. ლებანიძე, რ. მარგიანი, ი. ნონეშვილი, გ. ნაფეტვარიძე, დ. პატატაშვილი, ვ. უბილაეა, ს. ჟღენტი, თ. ჯანგულაშვილი) თვითონ იმყოფებოდა საბჭოთა არმიის რიგებში და თავის ლექსებში გადმოსცემდა ჯარისკაცის ვაჟკაცურ შემართებასა და სულიერ განწყობილებას.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლისა და საბჭოთა არმიის სარდლობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 20 ივნისის ბრძანებულებით უმცროს პოლიტხელს მიხეილ ივანეს ძე გახოკიძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

გამოჩენილი მწერალი შალვა დადიანი წერდა:

„საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. გახოკიძე ჩვენს წინაშე დგას. დგას თავმდაბალი, წყნარი, — იშვიათი მოუბარი... მშვიდი გარეგნობით, მაგრამ ცეცხლოვანი შინაგანი ვაჟკაცობით აღსავსე, მამაცი, შემმართველი, გამჭირაბი, გონიერი და ყოველგვარი განსაცდელის დროს გამარჯვების რწმენით აღსავსე“.

გახოკიძის საბრძოლო დამსახურება შესანიშნავი მაგალითი იყო ჩვენი მეომრებისათვის, ჩვენი მოწინავე მწერლობისათვის. ქართველი პოეტების ნაწარმოებთა შორის სანგრებში პირველ ჯარისკაცივით შევიდა მ. გახოკიძისადმი მიძღვნილი გ. ტაბიძის ლექსი — „სევასტოპოლის დამცველს“.

უპირველესად გალაკტიონი მხურვალე სალამს უთვლის გმირ მებრძოლს და მერე მოაგონებს, რომ „გრძნობა სამშობლოს მოვლისა დროშა სისხლით ნალამი“. „ბევრის მომსწრე და ამტანი“ სევასტოპოლის გმირ დამცველს იგი მოუწოდებს: „დასცხოს მტერს შეუწყნარებლად.“

გ. ტაბიძემ შესანიშნავი სტრიქონები მიუძღვნა აგრეთვე საბჭოთა კავშირის გმირს ისრაფილ ჭინჭარაძეს.

ჭინჭარაძის გმირული სახე კარგად გამოძერწა აგრეთვე აქარაში მომუშავე ნიჭიერმა პოეტმა ფრიდონ ხალვაშმა („სიმღერა გმირ ჭინჭარაძეზე“). ეს ლექსი სასიმღეროდ იქცა.

პოეტმა გიორგი ლეონიძემ შესანიშნავად გადმოგვცა სახელო-

ვანი მეომრის ალექსი ინაურის გმირული თავდადება და სულიერ-
თვისებები 1941 წლის ნოემბერში დაწერილ ლექსში „მაიორ ალექ-
სი ინაურს“.

ომი რომ დაიწყო მაიორი ალექსი ინაური კოტოვსკის სახელო-
ბის ცხენოსანი დივიზიის ერთ-ერთ პოლკს მეთაურობდა. ცეცხლის
გახსნის პირველი დღიდანვე ინაურის პოლკი ზედიხედ იგერიებდა
მტრის იერიშებს. ალექსი ინაურის პოლკმა თავი ისახელა სტარო-
კონსტანტინოვთან და კიევთან წარმოებულ ოპერაციებში. მან
განსაკუთრებით დიდი ზიანი მიაყენა მტერს მდინარე დნეპრზე გა-
ჩაღებული ბრძოლის დროს.

ა. ინაურის პოლკმა გარკვეული წვლილი შეიტანა ხარკოვისა-
თვის გაჩაღებულ ბრძოლაში და ღირსეულად მოიხადა მხედრულა
ვალი სამშობლოს წინაშე.

სარდლობის საბრძოლო დავალების სანიმუშოდ შესრულები-
სათვის, ამასთან გმირობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ
კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 27 ნოემ-
ბრის ბრძანებულებით ალექსი ინაური დაჯილდოვდა წითელი დრო-
შის ორდენით და იმავე დროს მიენიჭა პოდპოლკოვნიკის სამხედ-
რო წოდება. იგი ამჟამად გენერალ-ლეიტენანტია.

სახელოვანი ქართველი მებრძოლის გმირობით აღფრთოვანე-
ბული პოეტი სამშობლოს მოკითხვას ატანს თავის ლექსს და ასე
მიმართავს ომში მყოფ გმირს:

ომგადახდილო მხედარო,
ქებად არ გინდა ქადება,
ტყვიის წინ მკერდი გიჭირავს,
გული არ შეგიჭანდება.

ბრძოლაში, თითქოს ქორწილში,
შეხვალ და ტყვიის მღერასა
ყურს არ მიუგდებ... მტრის რაზმებს
ზედ გადააფრენ მერანსა!

პოეტის ალტაცებას საზღვარი არა აქვს, ასეთი ვაჟკაცების სა-
ხელი რომ ესმის. გიორგი ლეონიძე გულში ჩამწვდომი, მგრძნობა-
არე სტრიქონებით ამთავრებს ამ ლექსს:

დედა პირკოცნას გიგზავნის,
მოკითხვას — შენი ქვეყანა,
ლექსს ვატან ქართლის ნიავსა,
თუ საღმე შემოგვეყარა...

ირაკლი აბაშიძეს გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ლესე-
ლიძის გარდაცვალებით გამოწვეულმა მწუხარებამ დააწერინა ლე-

ქსი „ლესელიძის ხსოვნას“. ეს ლექსი არის პოეტური ისტორია ადამიანისა, რომელიც სამხედრო სასწავლებლის კურსანტობიდან გენერალ-პოლკოვნიკის ჩინამდე მიაღწია. ი. აბაშიძე იგონებს „თხუთმეტი წლის წინანდელ“ ბანაკს, ქართულ ლეგიონს, სადაც თვითონ პოეტიც იყო. იმ დროს, 1931 წელს, კ. ლესელიძე ერთ-ერთ საარტილერიო პოლკს მეთაურობდა.

აი, ის წლები, ის ზაფხული — როგორც ბუხარი, —
მხოლოდ ერთი დღით დაგვიბრუნა აქლაც ნეტავი;
ქუეყანა მშვიდი... მე კაბუკი დაუდუღარი,
შენც ახალგაზრდა, დინჯზე დინჯი ჩვენი ლეგთავი.

ირ. აბაშიძემ ერთ მეტად მოხდენილ სტრიქონში შესანიშნავად გადმოგვცა კ. ლესელიძის ადამიანური ხასიათის მოწიხბლაობა. უბრალოება, მეტროლებთან თბილი დამოკიდებულების შესანიშნავი თვისება და ამავე დროს მეთაურის სწორუპოვარი სიღარბაისლესი.

ჩემი სიმაღლე, მახსოვს, ტყბილად გახარხარებდა,
მე კი მეთაურს შეხუმრებას ვერ გიბედავდნ.

კ. ლესელიძე ამ დროიდან იწრთობოდა დიდი ომისათვის. რათა, საჭიროების შემთხვევაში, ხალხს გულმკერდით გადაჰფარებოდა როგორც ფარი.

პოეტის აზრით, კ. ლესელიძეს თითქოს ქართლის გადარჩენის მოსწრება სურდა, „სანამ სიკვდილი მოუხსწრებდა, როგორც დემონი“, რომ მტრისაგან მკერდით დაეფარა „ჩვენი ოცნება — ჩვენი თბილისი, ჩვენი სპარტა, ლაკადემონი“. და შემდეგ პოეტი სახელოვან მხედართუფროსს მიმართავს: როცა მთებში სამშობლოს კარზე მოძალებულ ურდოს ლეწავდი. მე იმ ბრძოლაში რომ მოვსულიყავ შენთან პირველი, მე შენ სიკვდილზეც გამარჯვებას მოგილოცავდიო.

შენთან. თვით მკედართან. მე შემეძლო გასაუბრება.
ჩემთვის კვლავ ის ხარ. მეომარი, ჭართა მმართველი,
შენ მაგ სიკვდილით დაიმკიდრე იმის უფლება.
რომ როგორც ცოცხალს გესაუბროს მედამ ქართველი.

პოეტს არ უნდა, იწამოს გმირის სიკვდილი, „ხანდახან მართლაც მავიწყდება შენი სიკვდილიო“. — მიმართავს პოეტი გმირს.

ბევრი წუხილი შევირიგე. ბევრი ნაღველი.
მაგრამ შენს სიკვდილს, მეგობარო, რა შემარბევს.

დაკრავს საათი, დამყარდება ზავი საქარო,
დაიშლებიან, დაუშვებენ ფარდებს ფრონტები
და როგორ მინდა, როგორ მინდა არ დაეიჭრო,
რომ ნაომარი სამშობლოში არ დაბრუნდები.

ანდრო თევზაძე თავის ლექსში „სიმღერა ლესელიძეზე“ თვი *n*
გმირს ალაპარაკებს:

ჩვენი ქვეყნის ვარდგამილი სერები
სამშობლოსთვის თავდადებას მირჩევდა;
მტრის ურღოებს მუდამ ვაცამტვერებდი,
სანამ მკერდში გული არ გამიჩერდა.

ამ ხერხით გადმოგვცემს პოეტი სახელოვანი მხედართმთავ-
რის გმირულ თავდადებასა და სულიერ თვისებებს. მაგრამ მან,
რომელიც საერთოდ კარგი სმენისა და მელოდიის პოეტია, ლექსს
ვერ მისცა საჭირო ელერადობა. ლესელიძის გმირობის გამოსახა-
ტვად არ კმარა ასეთი სიტყვები:

ჩემი სული ზუბომ ვერ დაიტია,
ჩემგან გაზრდილ გმირებთან ვარ ისევე.

საერთოდ ძნელია ლექსში გმირის ამეტყველება. დიდი სამა-
მულო ომის თემაზე შექმნილ ლექსთაგან ვიცით მხოლოდ ორი
ლექსი — ირ. აბაშიძის „კაპიტანი ბუხაიძე“ და გ. ლეონიძის „არ
დაიდარდო, დედაო“ (სადაც გმირები მეტყველებენ), რომელთაც
წილად ზედათ საყოველთაო აღიარება.

დიდი მხედართმთავრის კ. ლესელიძისადმი ქართველი პოე-
ტები ვალში არიან. ორიოდე ლექსით მისი საგმირო თავგადასავ-
ლის გადმოცემა შეუწყნარებელი ფაქტია. ლესელიძის საბრძოლო
დამსახურების ასახვისათვის ფართო ტილოები იყო საჭირო. სამ-
წუხაროდ, არც დიდი სამამულო ომის შემდეგ შექმნილა ლესელი-
ძეზე ასეთი ნაწარმოებები ქართულ პოეზიაში.

პოეტმა ალიო მირცხულავამ ფრონტზე, მოქმედ არმიაში ყოფ-
ნისას, 1943 წლის 7 აგვისტოს, წაუკითხა ქართველ მებრძოლებს
ლექსი „თავართქილადის გვარდია“, რომელშიც წრფელი პოეტური
საღებავებითაა ასახული ჩვენი ქვეყნის მშრომელთა სიყვარუ-
ლი და ზრუნვა ფრონტელი მებრძოლებისადმი.

დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო, ნიკოლოზ თავართქილა-
ძე მსროლელი დივიზიის მეთაური იყო. დივიზია, რომელსაც თა-

ვართქილაძე მეთაურობდა ვოლგასთან ბრძოლებში, ზედიზედ იგერებდა მტრის გააფთრებულ იერიშებს. სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის 1942 წლის 24 ნოემბრის ბრძანებით ნ. თავართქილაძის დივიზია გარდაიქმნა „გვარდიის 51-ე დივიზიად“. მაშინ ეს დივიზია ლეგენდარულ სტალინგრადს იცავდა. იმავე დღეებში ნ. თავართქილაძეს, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება.

ნ. თავართქილაძის შენაერთი აქტიურად მოქმედებდა ქალაქების: ბელგოროდის, პოლტავის, კიევის, ლვოვის, ბუქარესტის, ბრატისლავის, ბრნოს, ვენის, პრატის განთავისუფლებაში.

შესანიშნავ პოეტურ ფორმაში ჩამოასხა ალიო მირცხულავამ ლექსი „თავართქილაძის გვარდია“.

ხალხურ ტონში შეზავებულმა საკუთარმა ძლიერმა და ორიგინალურმა ფერებმა ლექსს მაშინვე დიდი პოპულარობა მოუპოვეს.

პოეტმა მშობლიური საქართველოდან ქართველ ვაჟკაცებს მიუტანა და მეტად მიმზიდველ, მომხიბლავ ფორმებში მოუთხრო მშობლიური ქვეყნის შრომითი საქმიანობა, მშრომელთა სულიერი და მორალური მდგომარეობა. უამბო ზურგის ადამიანების მამაცობის, ფრონტზე მყოფი ვაჟკაცებისადმი მათი ღრმა სიყვარულის ამბები, რომ მამები, დედები, ცოლები და სატრფოები მათ გააარჩევის დროშებით შინ დაბრუნებულეებს მოელოან.

თქვენზე ფიქრობენ. დარდობენ,
ყოფნა უთქვენოდ ძნელია
და გამარჯვების დროშებით
აკლავ სამშობლოში გელიან.

პოეტმა გულისამაჩუყებლად მოუთხრო მებრძოლებს მათს ბავშვებზე, რომლებმაც პოეტს დააბარეს, გადაეცა მამებისათვის „შორიდან კოცნა ულევი, ეს ბარათებიც... ბავშურად ნაწერი, ნაწერი ულევი“. პოეტმა ამ ქრუანტელის მომგვრელ ხმას შეუერთა ბრძოლის ყინით აღგზნებული ვაჟკაცური ხმა. უამბო ვაჟკაცებს ის, რაც დააბარა მტკვარმა და არაგვმა, ყაზბეგმა და დარიალმა.

მართლაც, კავკასიის კარებთან მტერს გზა-კვალი დაეხნა, „გათელავი გადარჩა სამშობლო — ჩვენი აკვანი“.

პოეტმა ამ ლექსში სახელოვანი მხედართმთავრის სამაგალითო გამირობის გადმოსაცემად არა თუ თვით თავართქილაძეზე ილაპარაკა, არამედ იმ გვარდიულ შენაერთზეც, რომელსაც ნ. თავართქილაძე მიუძღოდა წინ.

მალე მტერს ალგვის აქედან
თქვენი მარჯვენა ქებული,

ქართველი პოეტების შემოქმედების წყარო გახდა საბჭოთა კავშირის გმირის არკადი გეგეშიძის საბრძოლო ეპიზოდები.

პოეტმა ანდრო თევზაძემ ლექსში „სიმღერა ქართველი მეომრისა“, რომელიც ა. გეგეშიძეს მიუძღვნა, გადმოგვცა გმირის გრიგალისებური შემართების გამომწვევი მიზეზი, ჩვენი გმირი წინაპრების მაგალითზე აღზრდილი ქართველი ვაჟკაცების თავდადების მიზანი, ცამდე აზიდული ჩვენი მთების გუგუნით, ჩონგურივით მოლულუნე მდინარეების ლალი ხმებით გაზრდილი გმირების ბრძოლების ისტორია.

ოდესა, ნიკოლაევი. ხერსონი, ცირიუპინსკი. სევასტოპოლი. ასეთი იყო გეგეშიძის საბრძოლო გზა. სამშობლოსადმი ერთგულების მრავალი გმირული მაგალითი გვიჩვენა გეგეშიძის ბატალიონმა სევასტოპოლის გმირული დაცვის დღეებში.

ა. გეგეშიძის ბატალიონმა სევასტოპოლისათვის ბრძოლაში მტრის რამდენიმე იერიში მამაცურად მოიგერია. გადადიოდა რა კონტრშეტევაზე. ბრძოლიდან ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. ა. გეგეშიძე სევასტოპოლისათვის ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა 1942 წლის ივნისს. საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასა მისი სიჰამაცე და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 23 ოქტომბრის ბრძანებით მიანიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. ა. გეგეშიძე ჰოსპიტლიდან 1943 წლის იელისში გამოვიდა.

გაზეთ „კომუნისტის“ 1943 წლის 5 მაისის ნომერში დაიბეჭდა ცნობილი ქართველი პოეტის ილო მოსაშვილის ლექსი „როგორც მახვილი“, რომელიც ლამაზი მხატვრული სიტყვით მოგვითხრობდა ა. გეგეშიძის საგმირო თავგადასავალსა და ვაჟკაცობაზე. ი. მოსაშვილი ბევრჯერ შეხვედრია ქართველ მებრძოლებს და მათ შორის სახელოვან მეთაურს ა. გეგეშიძესაც. მაგრამ მარტო ეს, რასაკვირველია, არ შველოდა მას შეექმნა მომხიბლავი ლექსი გმირზე. ამასთან ერთად საჭირო იყო პოეტური ტალანტიც. რათა ი. მოსაშვილი დაჯილდოვებული იყო.

ერთი სიცოცხლე მისცა ქვეყანამ,
ერთი პატარა თვალის გახელა,
თვითონ სამშობლოს ექცა ათასად
და ხალხის გმირი დარჩა სახელად!

ა. გეგეშიძის გმირობა სამშობლოსა და საბჭოთა ხალხის უღრმესმა სიყვარულმა განაპირობა. მებრძოლებისათვის გეგეშიძე

იყო ლამპარი, რომელიც ბრძოლის გზას უნათებდა მათ. ამიტომ აფასებდა მას მთელი ბატალიონი, რომელსაც იგი მეთაურობდა. „უკანასკნელ ბრძოლაში ა. გეგეშიძე მძიმედ დაიჭრა, — ვკითხულობთ წიგნში „მათ ასახელეს საბჭოთა სამშობლო“, — მან გონება დაკარგა, მაგრამ მისმა მეზობლებმა თავიანთი საყვარელი მეთაური 2 კილომეტრის მანძილზე ხელით ატარეს და შესძლეს მტრის რკალიდან გამოსვლა“.

ეს ფაქტი ედგა თვალწინ პოეტ ი. მოსაშვილს, როცა წერდა:

იფა, იბრძოდა, მტერს არ დაუთმო
მშობელი ქვეყნის მამულ-დედულ,
იკურთხოს მისი დედის ნანინა
და მისი მამის გუთნისდედური!

ასეთივე პატრიოტული აღმაფრენით ამღვრებული ლექსი მიუძღვნა ი. მოსაშვილმა საბჭოთა კავშირის გმირს მ. დიასამიძეს.

მ. დიასამიძის საბრძოლო ცხოვრების ისტორია აღსაესება მრავალი საინტერესო ეპიზოდით. გმირისათვის არასოდეს უღალატია სამშობლოს სიყვარულის დიად გრძნობას და საბჭოთა მეომრის შეუდრეკელ ნებისყოფას. ბრძოლებში მ. დიასამიძემ გამოაჯლინა მეთაურის შესანიშნავი უნარი, პირადი გამბედაობა და გმირობა.

დიასამიძის საბრძოლო ბიოგრაფია ხასანის ტბიდან იწყება.

დიასამიძის პოლკმა პირველი საბრძოლო გამოცდა თვალსაჩინო გამარჯვებით დააგვირგვინა სტალინგრადის ფრონტზე (1942 წლის ივლისში). მისი პოლკი ლეგენდარული მამაცობით იბრძოდა ვოლგის გმირი ქალაქის დასაცავად. პოლკოვნიკ დიასამიძეს 1942 წლის 22 დეკემბერს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

„ეპოსის ხმები ვერცხლის საყვირით ჟღერს, ქართველი ხალხის შვილი ებრძვის გერმანელ ურდოებს, როგორც შავ ქაჯებს: ბრძოლის ოსტატები იყვნენ ძველი ქართული ეპოსის გმირები. — წერდა თავის შესანიშნავ საფრონტო ნარკვევში მწერალი ნ. ტიხონოვი, — მაგრამ დიასამიძე როდი ჩამოუვარდება მათ... დახოცილთა გვამებით მოპვინა დიასამიძემ გერმანელთა ბატალიონების გზა, ცეცხლმოკიდებული ტანკებით გააშუქა იგი, როგორც ჩირაღდნებით“, — წერდა გაზ. „იზვესტია“ 1942 წელს.

გაზეთ „კომუნისტის“ 1943 წლის 9 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა ი. მოსაშვილის ლექსი „მიხეილ დიასამიძეს“. ლექსი სასიძველერო ტონზეა აგებული და გულწრფელი სტრიქონებით გადმოგვცემს გმირის საბრძოლო ბიოგრაფიას. პოეტს წინ უდგას „მრავალ ბრძოლაში ნათევი“ გმირის დიდებით მოსილი სახელი:

შორსა ხარ, ახლოს მგონიხარ,
მტერს ებრძვი, განა შინა ხარ!

სამშობლოს სადარაჯოზე
პირგალესილი რკინა ხარ!
შენს სახელს გულში ვატარებ,
ლამით სიზმარში ვინახავ!

მამულზე, მშობლებზე, ცოლ-შვილზე, სატრფოზე ოცნებაში დაღუპულ, სამშობლოსათვის თავდადებულ ვაჟკაცებს, პოეტ გრაგოლ აბაშიძის სიტყვით რომ ვთქვათ, ძეგლად გაზაფხული ადგას („გაზაფხული“).

უკვდავების ძეგლს გმირები ხშირად სიცოცხლეშივე იდგამენ. დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ გამოქვეყნდა გრ. აბაშიძის ლექსი „ძღვევამოსილი“. პოეტმა ეს ლექსი მიუქლენა საბჭოთა კავშირის გმირს მელიტონ ქანთარიას, რომელმაც 1945 წლის 30 აპრილს 14 საათსა და 25 წუთზე, ეგოროვთან ერთად, რაიხსტაგის გუმბათზე აღმართა გამარჯვების დროშა.

სახელოვანი ვაჟკაცის მელიტონ ქანთარიას გმირობა განაპირობა სამშობლოსადმი მისმა უსაზღვრო ერთგულებამ, სამშობლოს დიდმა სიყვარულმა.

ამ გზას რომ გავცქერ, ახლა თვით მიყვირს,
როგორ გადვურჩი ტყვიას და სიყვილილს!

ამ სისხლით და ცრემლით მორწყულ გზაზე გმირს არ შეუსვენია.

და მტერს რომ ერთხელ დავკარ კავკასთან,
მერე კვალდაკვალ მივდიე აფთარს,
გზა გავიარე საზღაპროდ დიდი,
ტყეს და მდინარეს, სიცხეს და ავდარს
არაფრად ვთვლიდი.

მელიტონ ქანთარიას საამაყოც ჰქონდა და სატრაბახოც, რადგან რასაც ამბობდა, ყველაფერი მართალი იყო.

ასეთი ხერხით დაწერილი ლექსი ყოველთვის ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას. რადგან ზოგჯერ ლექსის ლირიკული გმირი (ზოგადი გმირი) იმდენს ამბობს თავის თავზე, რაც მას არ გაუქეთებიან და ვერც გააკეთებდა. ამიტომ ასეთი გმირი მკითხველს თვალში მცირდება, სიმპათიურად ვერ განეწყობი მის მიმართ. მელიტონ ქანთარიაზე, რასაკვირველია, ეს არ ითქმის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ლექსი ხალხში ისე მაინც ვერ გავიდა, როგორც ამას ავტორი ელოდა. რატომ მოხდა ეს? იქნებ გმირის ამეტყველება იყო ამის მიზეზი? არა! მიზეზი უნდა ვეძიოთ თვით გმირის მეტყველების თავისებურებაში, მის შეუფერებელ ტონში. ლექსის წა-

კითხვის დროს შთაბეჭდილება გერჩება, რომ თითქოს თავგადასავალს გვიყვება დაღუპული გმირი. ამ შთაბეჭდილებას ჰქმნიან, მაგალითად, ასეთი სტრიქონები: „მე მოვდიოდი ერთი ნუგეშით“, „მე მოვდიოდი იმედით სავსე“, „მე მოვყვებოდი ბრწყინვალე იმედს“, „თავი ამაყად მექირა მალა“ და ეს სტროფი მთლიანად:

ერთგული ვიყავ მშობელი მიწის,
მე შეეასრულე აღთქმა და ფიცი,
მე გაღვიტანე მრავალი ჰირი,
სამშობლო რომ არ გადამთელოდა,
რომ მოესულიყავ ბერლინში გმირი
საქართველოდან.

მართალია, ზოგ სტროფში გმირი ამბობს, რომ მას თვით უკვირს როგორ გაღურჩა ტყვიას და სიკვდილს, მე ის ვარ ვისაც სატროფო მიელის, ვისთვისაც ღამეს ათევეს მშობელიო, მაგრამ თხრობის მწუხარე ტონი ფარავს მხიარულ განწყობილებას. ეს კი ქანთარიას პიროვნებას არ შეჰფერის. სხვა იყო, მაგალითად, ბუხაიძე („კაპიტანი ბუხაიძე“) და ლევანი („არ დაიდარდო, დედაო“). ოპტიმიზმში შეზავებული მათი მწუხარე განწყობილება ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნის, რაც გმირის ხასიათს სავსებით შეეფერება. ამრიგად, ლექსის გამარჯვება დამოკიდებულია არა მარტო მის ნაღალ მხატვრულ დონეზე, თემის აქტუალობაზე, არამედ თემისაღმის მიდგომის ტაქტზე — ზომიერების გრძნობაზე. მაგალითად, მელიტონ ქანთარიას სახით დახატვა უფრო გამართლებული იქნებოდა გმირზე მეტყველების ასპექტით. გმირზე ამეტყველება ძალზე სათუთ მიდგომას მოითხოვს და ამასთანავე რა სათუთიც არ უნდა იყოს ეს მიდგომა, ცოცხალი კაცის მიერ თავის ქება ვერ გამოიწვევს ისეთ ეფექტს, როგორიც ბრძოლაში დაცემული გმირისა. საკუთარ თავზე გმირის ამეტყველება (თუნდაც ბრძოლაში დაცემული გმირისა) ისე სათუთია, რომ გარდა ზომიერების გრძნობისა, მას სჭირდება კიდევ რაღაც ახალი სალექსო ინვენტარი, რითაც ლექსი სიმღერასავით ხმიანდება. ამ ლექსს არც ახალი სალექსო ინვენტარი აკლია და არც დახვეწილი გემოვნება, ფერები, სახეები, მეტაფორები, შედარებები, მაგრამ სწორედ ის აკლია, რაზედაც ზემოთ ვთქვით — ეფექტი, რომელმაც ადამიანის ემოციაზე უნდა მოახდინოს გავლენა. ამ დებულების დასადასტურებლად მოვიყვანოთ სტროფები ამ და ამის მონათესავე ლექსებიდან:

ბუხაიძე:

„ვინც დახედოთ, გადაეცით
საქართველოს მთებს და ველებს,

რომ მისი ძე, ბუხაიძე,
აქა ველეტლი სისხლის მსმელებს“.

(„კაპიტანი ბუხაიძე“).

ლ ე ვ ა ნ ი:

„არ დაიდარლო, დედაო,
რაც მე სიკვდილით გაწყინე,
მე შენი ბუძეს ნათელი
საქვეყნოდ გამოვაბრწყინე“.

(„არ დაიდარლო, დედაო“)

ქ ა ნ თ ა რ ი ა:

„თავი ამაყად მექირა მალა.
მე ამ დიდ გზაზე არ დავიღალე.
მე არ ვიციდი, რა არი დალა,
რაა სიმხდალე“.

(„ძღვევაშისილი“).

ახლა ისმება კითხვა: რომელი ახდენს ჩვენს ემოციაზე გავ-
ლენას და რომელი უფრო განგვაცდევინებს სულიერ მღელვარე-
ბას, შიშს, სიხარულს, განრისხებას თუ სხვა მისთანას — ბუხაიძე.
ლევანი თუ ქანთარია?

პირველ და მეორე სტროფში რაიმე განსაკუთრებულს ვერ
ვხედავთ. სამივე სტროფი ერთ ღონეზე დგას, როგორც მხატვარუ-
ლობის, ისევე შინაარსის, ფორმის, ტაქტის მხრივ, მაგრამ საკმარის-
სია გავიგოთ, ვინ ლაპარაკობს ამას და ჩვენს ემოციაზე მესამე
სტროფი მაინც ვერ მოახდენს ისეთ გავლენას, ისეთ შთაბეჭდი-
ლებას, როგორც პირველი ორი სტროფი. ამრიგად, როცა ცოცხალ
გმირს ვამეტყველებთ, მისი მეტყველების ხასიათი უნდა განირჩეო-
დეს გარდაცვლილი გმირის მეტყველების ხასიათისაგან. თვით ლე-
ქსის ტონი, მეტრი, რიტმი და რითმიც კი მოითხოვს თავისებურ
სიმკვეთრეს ამა თუ იმ განწყობილების შესაქმნელად.

საბჭოთა კავშირის გმირებს ვლადიმერ ბეროშვილს და ნოე
ადამიას მიუძღვნა ლექსები იოსებ ნონეშვილმა.

ლადო ბეროშვილმა მძიმე ბრძოლებში გაატარა სამამული-
ომის პირველი წლები. ბეროშვილი თავის ოჯახში გაგზავნილ ერთ-
ერთ წერილში წერდა: „სამშობლო სიცოცხლის მომცემ და აღმზ-
რდელ დედასავით მიყვარს, არ შევარცხვენ მშობლიურ კერას და
ვიბრძოლებ მტერთან, სანამ ძარღვებში სისხლი სჩქედს და ჩემს
მარჯვენას იარაღის შემართება შეუძლია“.

ვ. ბეროშვილმა განსაკუთრებული გმირობა დნებრის გა-

დალახვისას გამოიჩინა, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 16 ოქტომბრის ბრძანებულებით მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

შშობლიური გურჯაანის რაიონის კოლმეურნეები გმირისადმი გაგზავნილ წერილში წერდნენ: „ჩვენი სამშობლოსათვის ბრძოლაში შენი თავდადებისა და გმირობის მაგალითი გვიორკეცებს ენერგიას, გვრამზავს ახალი შრომითი მიღწევებისათვის, რათა უფრო მეტი დახმარება გავუწვიოთ ფრონტს, ჩვენს გმირ წითელ არმიას და დაეაჩქაროთ გერმანელი ფაშისტი ყაჩაღების განადგურება“.

პოეტმა იოსებ ნონეშვილმა თანასოფლელი გმირის მამაცობას მიუძღვნა ლექსი „საახალწლო წერილი ფრონტზე“. ელ. ბეროშვილს ქებას უთვლიდა სოფელი, ხოლო პოეტი უსურვებდა:

დაე. მოგესმას ძახილი სოფლის,
ქებას რომ უძღვნის მაგ შენს მარჯვენას.

შინ ცოლ-შვილი, მოხუცი დედა და პაპა დარჩა გმირს. პატარა გოგონა მამის საახალწლო წერილს, რომელიც „ახალწლის ღამით მოფრინდა“ კარდანახში, გატაცებით კითხულობდა, „საამო სიტყვებს მარცვლავდა დიდხანს... ბულბულის ხშითა. მოხუცი დედა ბუხართან იჯდა და ნეტარების ცრემლებსა ღვრიდა“. მკერდახოვანი პაპა ადგა, ჩამოხსნა კედლიდან თოფი, წინაპართაგან ნასახსოვარი.

გახედა ზეცას, ღომმა ბებერმა,
მთარეს მიაპყრო მზერა ირიბი
და კარგი ამბის მაუწყებელად
სამყერ დასცალა ძველი ხირიმი.

პოეტს ლექსისათვის სიუჟეტი ჰქონდა, მაგრამ საჭირო იყო ამ სიუჟეტის მხატვრულ ასპექტში გარდასახვა, სიტყვისათვის მხატვრული ძალის მიცემა, მომხდარი ფაქტის აღქმა და ამღერება, რაც პოეტმა შესანიშნავად მოახერხა. ლექსში ერთი სიტყვაც არ არის თქმული იმაზე, თუ რა ჩაიდინა გმირმა ფრონტზე, მაგრამ საკმარისია წავიკითხოთ ეს სტროფი, რომ მაშინვე ნათელი გახდეს ყველაფერი.

შენი წერილი სანატრი მარად,
ახალწლის ღამით მოფრინდა ჩვენთან
და ჩვენს სოფელშიც შემოიტანა
გუგუნი ბრძოლით ანთებულ ველთა.

უფრო მძაფრ პოეტურ ფერებში გამოთქვა ი. ნონეშვილმა საბჭოთა კავშირის გმირის ნოე ადამიას საგმირო თავგადასავალი. პოეტი არ გამოდის ამბის უბრალო, მარტივად მთხრობელის როლში.

ლექსი ერთი ამოსუნთქვით იკითხება. მწყობრი სიუჟეტი, სათქმელის თანმიმდევრულად დალაგება ისე, რომ ერთი სტრიქონი მეორეს არ გამოირიცხავს, გაუწვალებელი რითმა, ტკბილი სალექსო მელოდია ამსუბუქებს ნონეშვილის ლექსს, ლამაზი და მიგნებული შედარებები ამძაფრებენ აზრს.

იმ ღამეს ფერი ეცვალა ცასაც,
ქარი ღრუბლების იალქნებს შლიდა
და იმერული ჩონგურის მსგავსად
არ ღულუნებდა ზღვის ტალღა მშვიდად.

(„შენ შენი ქვეყნის სახელს იცავდი“).

მამაცი მეზღვაური ნოე ადამია სევასტოპოლის გმირული დაცვის მთელი 250 დღის განმავლობაში საზღვაო ქვეითი ჯარის რიგებში იბრძოდა. ნოე ადამიას გმირობაზე მეტყველებდა წერილი, რომელიც მან ერთ-ერთ მეგობარს გაუგზავნა: „გისურვებ ისეთ სიცოცხლეს, რომლითაც კაცს შეუძლია სამუდამოდ იამაყოს, გახდეს მთელი საბჭოთა ქვეყნის მოწინავე ადამიანი... გახდეს ისეთი ადამიანი, რომელსაც შენატრებენ მთელი მისი ამხანაგები“. ხოლო ოჯახში გამოგზავნილ წერილში გმირი სნაიპერი წერდა: „...არაფერი გაქვთ ჩემზე სადარდელი, ისეთი რკინის გული მაქვს, რომ ყველაფერს ავიტან, ყველაფერს გავუძლებ. ფაშისტებს თავდადებით ვებრძვით და დღეს ვუმწარებთ... სანანებლად დარჩებათ მათ ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმა. მე უკვე დამაჯილდოვეს მედლით „მამაცობისათვის“. ჩემთვის ბედნიერი და კარგი ის დღეა, როცა ბევრ ჰიტლერელს გავამგზავრებთ საიქიოში“...

ადამიამ მართლაც ბევრი ჰიტლერელი გაამგზავრა საიქიოს. გმირმა ზემდეგმა, მარტო ერთ ბრძოლაში, 1942 წლის 16-დან 22 ივნისამდე 200-ზე მეტი ფაშისტი გაელიტა, მოსპო ერთი ტანკი და მეტრძოლთა მცირე ჯგუფით ჭარბი ძალების ათამდე იერიში მოიგერია.

სევასტოპოლისათვის ბრძოლაში 1942 წლის ივნისს გმირის სიკვდილად დაეცა მამაცი მეომარი ნოე ადამია. მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა სიკვდილის შემდეგ — 1942 წლის 24 ივნისს.

პოეტმა ი. ნონეშვილმა სევასტოპოლის მიუვალ კარებთან მებრძოლ ქართველ ვაჟკაცს ნ. ადამიას უწოდა „სამშობლო ქვეყნის ამაყი შვეარდენი“, რომლის მსგავსი პოეტს მარტო ზღაპარში თუ გაუგონია. იგი იცავდა თავის ქვეყნის სახელს „და მამის ოფლით მოყვანილ ყანას“.

შენ შენი ქვეყნის სახელს იცავდი,
შენს ცას, შენს ბალებს, შენს ოქროყანას.

ნ. ადამიას გმირულად დაღუპვის ამბავი სამშობლოს კიდით-კიდეს მოედო. საქართველო დაამწუხრა გმირის სიკვდილმა. მაგრამ ამ სიკვდილში თვით უკვდავებას ჰქონდა ფესვი გადგმული, რითაც სამშობლოც ამაყობდა და გმირის ოჯახიც.

პოეტმა სოლომონ თავაძემ ამ სამწუხარო, მაგრამ საამაყო ფაქტს მიუძღვნა ლექსი „გმირის სიციცხლე“. აი, ამ ლექსის ერთი სტროფი:

ვაკაცს, თვით სიკვდილს რომ ეღავება
ქვეყნის ტრფილით უმწვერვალესით,
მას შეერგება, ვით უკვდავება
სამშობლოს ძუძუ, ღედის აღერსი.

ელვის სისწრაფით მოედო ჯერ ჯარის ნაწილებს და შემდეგ მთელს საქართველოს ზუგდიდელი ვაკაცის გრიგოლ სხულუხიას გმირული სიკვდილის ამბავი. მამაცმა მეომარმა სამარადისო დიდება და უკვდავება მოიპოვა.

მტერთან უთანასწორო ბრძოლაში დაჭრილი სხულუხია გერმანელმა ფაშისტებმა სასტიკად აწამეს. მაგრამ სხულუხია ფოლადით მტკიცე იყო. მან არც თავის ნაწილები გასცა და არც ქელი მოიხარა მტრის წინაშე. დაჭრილ მეომარს ერთი მკლავი მოსტეხეს, შემდეგ — მეორე. „შემოაფხრიწეს ფარაჯა, ხალათი, თეთრეული და დაუწყეს ხუთქიმიანი ვარსკვლავის ამოქრა ზურგზე. — წერდა ცნობილი მწერალი პ. პავლენკო თავის საფრონტო ნარკვევში გ. სხულუხიას შესახებ.

— ცეცხლში! — დაიდრიალა ფაშისტმა. კოცონი, რომელზედაც ჯარისკაცები კონსერვებს აცხელებდნენ, თითქმის იფერფლებოდა, როდესაც გრიგოლი ჩააგდეს გახურებულ ნაცარში და ზევიდან ჩალა დააყარეს.

მცხოვრებლები, რომლებიც ხედავდნენ გრიგოლ სხულუხიას საშინელ სიკვდილს, ამბობდნენ, რომ როგორც კი ცეცხლი მოედო მის სხეულს, მან წამოიყვირა, თითქოს ძილში ყოფილიყოს და მოინდომა დამტკრეულ ხელებზე დაყრდნობა და წამოდგომა, მაგრამ ალი უკვე ნთქავდა მის ტანს“...¹

„კოცონი კვლავ გიზგიზებდა და სხულუხიას სხეულზე ბეჭებს შუა შავ-წითლად მოჩანდა ხუთქიმიანი ვარსკვლავი (რომელიც

¹ პ. პავლენკო — „გრიგოლ სხულუხია“. გაზ. „ყირიმის საბრძოლო“. 1942 წ. 6 მაისი. №71.

ფაშისტმა მკვლევებმა ამოსჭრეს მას ტანზე). სხეული ჰგავდა ბრძოლაში დამწვარ დროშას. ცეცხლი ვერ მიეკარა მხოლოდ ბაი-რალის ემბლემას — ცეცხლგამძლე ფოლადის ვარსკვლავს¹. ეს იყო 1942 წლის თებერვალში. ამ ფაქტს დიდად გამოეხმაურა რუსული და ქართული პრესა.

მამაც მებრძოლს 1945 წლის 29 ივნისის ბრძანებულებით, სიკვდილის შემდეგ, მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

გ. სხულუხიას საბრძოლო მამაცობის ეპიზოდები ბევრმა ქართველმა პოეტმა გაიხადა ლექსის თემად. პოეტმა ხუტა ბერულავამ, გიორგი კაჭახიძემ და ალექო შენგელიამ შესანიშნავი ლექსები უძღვნეს გმირი თანამემამულის უკვდავყოფას.

ამაღლეებელია გიორგი კაჭახიძის ლექსი. პოეტმა დიდი მხატვრული ძალით გადმოგვცა ტყვედ ჩავარდნილი ვაჟკაცის უმაგალითო გმირობის ფაქტი.

სიკვდილს უქადდნენ. ქვაზე-ი ათრიეს,
ერჭო მაჭაში კლანჭი მტაცებლის,
მაგრამ სამშობლო ქვეყნის მადლიერს
სიტყვა არ უთქვამს ძმების გამცემი.

დაჭრილსა და წამებით დასახიჩრებულ ვაჟკაცს „ულურჯდე-ბოდა უღონო ხელი, უბნელდებოდა თვალები ფართო“. ნუგეშის მთქმელი კი არაეინ ჰყავდა, მაგრამ:

...კირისუფლად ასე, ნაწამებს,
თავს დასცქეროდა ცა ფერმიხდილი.

პოეტ ალექო შენგელიას აზრით, თანამემამულის — გრიგოლ სხულუხიას სიკვდილი მიზანში მოხვედრილ ტყვიას ჰგავდა.

სხვა ჩვენს ვაჟკაცებს რა დავუბაროთ
შენი სიკვდილიც მიზანში მოხვდა.
ასე იტყვიან შენზე უბრალოდ:
— კარგი იყო და კარგადაც მოკვდა!!

პოეტი ამბობს, რომ „გამარჯვებისთვის ღირს განსაცდელი“, მაგრამ გმირი სხულუხია განსაცდელსაც არ დანებდა.

შენ სიკვდილის წინ დაგრჩა სათქმელი,
ზღვის ტალღებს ჩუმად რომ აბარებდი...

იმ ზღვის ტალღებს კი „მოაქვთ სიმღერა, შენ რომ მღეროდი, — კოცონის წინ რომ ჩასჩურჩულეგბდი, ჩამოეტანათ საქართველომდით“, — ესაუბრება პოეტი გმირს.

¹ გაზ. „კომუნისტი“, 1945 წ. 13 ივლისი.

ქართველ მხედართმთავრებს პორფილე გიორგის ძე ჩანჩიბაძეს, კირილე კოკოს ძე ჯახუას, ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ჯანჯღავას საბჭოთა კავშირის გმირებს ნოე ალექსანდრეს ძე ურუშაძეს, ნიკოლოზ ივანეს ძე გოგჩიჩიშვილს, ალექსი ზაქარიაძეს ძე პირმისაშვილს, მიუძღვნეს ლექსები ქართველმა პოეტებმა გ. ტაბიძემ, რ. მარგიანმა, კ. ბობოხიძემ, ა. თევზაძემ და სხვ.

პოეტებმა ი. აბაშიძემ, ს. თავაძემ, ხ. ბერულავამ, ვ. ყურულმა, მ. ლებანიძემ, კ. კალაძემ, რ. გვეტაძემ, ი. ნონეშვილმა შექმნეს ლექსები სახელოვანი საბჭოთა მეთაურებისა და ჯარისკაცების — ალექსანდრე კერესელიძის, შალვა ლებანიძის, ალექსანდრე წურწუმიას, ონისიმე ლოთვაძის, გიორგი ყუფარაძის, დავით გვარამაძის და სხვათა შესახებ.

ქართველი პოეტების მხატვრულ სიტყვას უდიდესი შემოქმედებითი ძალა ჰქონდა. ეს სიტყვა ჩვენს მებრძოლებს მხარში ედგათ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, ამხნევებდა და მოუწოდებდა მათ სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ. მოვიყვანთ ორიოდ მაგალითს.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სახელზე ბუდაპეშტის მისადგომებიდან გამოგზავნილ წერილში № — ნაწილოს პარტორგი შ. ჭანტურია წერდა: „ქართველი მებრძოლები უაღრესად მადლობელნი არიან თქვენი გაზეთის „ლიტერატურა და ხელოვნებას“ გამოგზავნისათვის. გაზეთი ხელიდან ხელში გადადის. მებრძოლები ინტერესით ეცნობიან ყველაფერს იმას, რასაც ახლა ქართველი მწერლები ფიქრობენ და განიცდიან. ამასთან დაკავშირებით არა ერთმა მებრძოლმა გამოთქვა სურვილი, — გვეთხოვა თქვენთვის მოავლინოთ ქართველ მწერალთა ჯგუფი ჩვენს ფრონტზე, რათა ისინი უფრო ახლოს გაეცნონ ჩვენს ბრძოლასა და ცხოვრებას.“

სამამულო ომის მონაწილე კ. გვალია იგონებს: „ასობით დამპყრობელი გაანადგურა კაპიტან ბორის სტურუას ტანკებმა. მაგრამ გამარჯვების სიხარული წაშალა გმირი ტანკისტების მეთაურის დაქარგვამ. ბრძოლის ველიდან აღარ დაბრუნებულა კაპიტანი ბორის სტურუა. იქ მან გმირულად დაღია ლამაზი სული.“

ბორისის უბის ჯიბიდან მისმა მეგობრებმა სათუთად ამოიღეს დაცხრილული პარტიული ბილეთი, რომელსაც ის წმინდა სახელით ატარებდა. მის ჯიბეშიც კი ნახეს ქართველი პოეტის ალიო მირცხულავას მცირე მოცულობის ლექსთა კრებული „სამშობლო“,

მიუხედავად ამისა ქართველი პოეტები თვითონვე გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას თავიანთ თავზე იმის გამო, რომ საკმარისად არ მიაჩნდათ ფრონტებზე მივლინების შედეგად უაწეული

შრომა და ის პროდუქცია, რაც მათ შექმნეს. გიორგი ლეონიძემ საქართველოს საბჭოთა მწერლების მეოთხე პლენუმზე განაცხადა: „ჩვენი ლექსი, ჩვენი სიტყვა გამთბარია ჩვენი დროის გმირი მებრძოლის სახით. ქართველი პოეტები დაჟინებით ეძებენ ახალ სი-
ცოცხლის ხმას, ახალ მხატვრულ სიმართლეს.

მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ჩვენი ვალი მოხდილია ხალხის წინაშე, სამამულო ომის წინაშე. ჩვენ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი და მრავალი დაბრკოლება გვაქვს დასაძლევია... მთავარია გმირის მორალური სულისკვეთების გადმოცემა. ამ მხრივ ჩვენი ვალი მართლაც გადაუხდელია.“

ამავე პლენუმზე გ. ლეონიძემ ყურადღება გაამახვილა პოეზიის ხალხურობაზე: „ჩვენ უფრო ენერგიულად უნდა განვაახლოთ ტრადიციები ხალხურობისა. შევექმნათ ეროვნული ხალხური სახე და ფორმა, თუ გვინდა, რომ უფრო სრულხმოვნად აქლერდეს ჩვენს ლექსებში სახალხო პატრიოტიზმი“.

„ჩვენს ლექსს ხშირად აკლია ამღერება, მუსიკალობა, — ამბობდა ამავე პლენუმზე გ. ლეონიძე. — ლექსს უნდა ჰქონდეს ფრთები და ხშირად ჩვენს ლექსს ფრთები არა აქვს. ხშირად გულიდან ამოდებულ აზრს, გულის აღსარებას სჯაბნის მშრალი მსჯელობა“.

ამაშიც მართალი იყო ლეონიძე. თუმცა პირადად მან ამღერებულო, მუსიკალური ლექსის წინაშეც მოიხადა ვალი. ამ ორი ძირითადი საკითხის — პოეზიის ხალხურობისა და ლექსის მუსიკალობის ამოხსნას მოახმარა თავისი პოეტური შესაძლებლობანი. ამას მიემატა ისტორიზმი, რამაც სრულფასოვნად ორიგინალური სახე მისცა მის ომისდროინდელ პოეზიას. ლეონიძე თავის მიერვე წამოყენებული ამ სწორი დებულების ერთგული დარჩა ბოლომდის. სამამულო ომისდროინდელი მისი პოეზია, ამ ძირითადი აზრით სუნთქავდა. ლექსის გახალხურება და მასში მაღალი განცდების ჩაქსოვა, ლირიკული ამღერება და ლამაზი მუსიკალური ტონი პოეტმა ომახიან, ვაჟკაცურ ხმას შეადლდა და ამით გახადა იგი ხალხის კუთვნილებად. ამაში მას, დიდ ნიჭთან ერთად, ხელი შეუწყო ფრონტზე, მოქმედ არმიის მივლინებამ, მეომრებთან შეხვედრებმა, ნაომარი ადგილების დათვალიერებამ.

სამამულო ომის გმირებზე დაწერილი ლექსების ერთი ნაწილი ხალხმა მაშინვე აიტაცა და სიმღერად აქცია. ხალხს იარაღევიო სჭირდებოდა სიმღერა. ამიტომაც იყო, რომ ქართველი პოეტები შთაგონებით მუშაობდნენ სასიმღერო ლექსის შესაქმნელად, მაგრამ ყველა ლექსი არ ამართლებდა ავტორის ჩანაფიქრს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მათგანს ასეც ერქვა — „სიმღერა“,

„ლაშქრული“, „მხედრული“ და საკმაოდ მაღალ დონეზეც იდგა, ხალხი მათ მაინც არ მღეროდა. ეს ლექსები ვერ აკმაყოფილებდა იმ აუცილებელ პირობებს, რაც სასიმღერო ტექსტს მოეთხოვებოდა.

სასიმღერო ლექსი სამ ძირითად პირობას უნდა აკმაყოფილებდეს: პირველი, უნდა შეესაბამებოდეს დროის მოთხოვნებს, კერძოდ, სამამულო ომის პირობებში მას უნდა გამოეხატა გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ მებრძოლი საბჭოთა ხალხის სულიერი განწყობილება, საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარულა სპაშობლოსადმი და დაუცხრომელი სიძულვილი ბარბაროსი მტრისადმი, მეორე, სასიმღერო ტექსტის ავტორს ევალებოდა. მოექმენა ახალი სახეები და სიტყვები, რომლებიც უაღრესი სიზუსტით და იმავე დროს ახლებურად გახსნიდა საბჭოთა პატრიოტის უკეთილშობილეს გრძობასა და განწყობილებებს. მესამე — სასიმღერო ტექსტი ადვილად უნდა მისულიყო მოსახლეობის ფართო ფენებამდე. იგი უნდა ემღერათ ხალხს და გატაცებოთ.

ლექსი, რომელიც ამ სამ პირობას არ აკმაყოფილებდა, არ იმღერებოდა. ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ ზოგიერთი ლექსი. მიუხედავად მისი მელოდიურობისა თუ მაღალმხატვრულობისა, ვერ მიიღო ხალხმა სამღერლად. არ კმაროდა ლექსის აზრობრივ-იდეური გამართვა. ლექსი უნდა ყოფილიყო სასიმღერო თავისი აღნაგობის, თავისი სტრუქტურის მიხედვით. სასიმღეროდ არ ივარგებს ლექსი, თუ მისი სიტყვები სწორად არ არის მორგებული ჰანგს, თუ მათი წარმოთქმა მღერის დროს ძნელია.

ბევრი ქართველი პოეტი ეძებდა საშუალებებს, ხერხებს, საღებავებს, მაგრამ ამაოდ, მათი მრავალი ლექსი, მიუხედავად საკმაოდ ამღერებელი ტონისა, გულთან ახლოს ვერ მიდიოდა. დიდი სამამულო ომის პირველი ეტაპი მართლაც ძიების ეტაპი იყო ჩვენს პოეზიაში. ქართველი პოეტები სასიმღერო ლექსების შექმნისასაც არ იშურებდნენ ძალას, გამოენახათ სასიმღერო ლექსის საიდუმლოების გასაღები. ეს გასაღები მხოლოდ დიდი ძიების შემდეგ იქნა მოძებნილი. ომისდროინდელ პერიოდულ გამოცემებში მიმოზნეული იყო სიმღერის კილოზე დაწერილი მრავალი ლექსი. რომლებიც შემდეგ მათ ავტორებს აღარ შეუტანიათ თავიანთ რჩეულებში თუ ტომეულებში. მათს რჩეულებს თუ ტომეულებს ახლა მხოლოდ დაწმენდილი, ხალხის სულის ქურაში გამოწრთობილი სასიმღერო ლექსები ამშვენებს.

აკად. გ. ჯიბლაძე წერილში „პოეზიის მხატვრული სახეები“, რომელიც 1944 წელს გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ (№ 36) დაიბეჭდა, გმირის, მებრძოლის სახის გამოსახატავად ასახელებდა ორ ძირითად მხატვრულ ასპექტს: პირველი თვით გმირის

ამეტყველება და მეორე — თვით გმირზე ამეტყველება. იგი ამ დებულებას ასაბუთებდა ქართული კლასიკური პოეზიის, აღმოსავლეთის პოეზიის და რუსული კლასიკური პოეზიის მაგალითებით.

გმირის სახის გამოსახატავად, ჩემი აზრით, გამორიცხული არ არის მესამე ასპექტიც. ამ ასპექტში „გმირზე ამეტყველებასთან“ გვაქვს საქმე. მაგრამ ამ შემთხვევაში გმირს პირდაპირ კი არ ელაპარაკებიან, არამედ ხატავენ სურათს და ამ ფონზე გვაჩვენებენ ხოლმე გმირს, ახასიათებენ მის თვისებებს, გადმოგვცემენ მის ხასიათს (იხ. ბაშიძის „ლურსმანაშვილის გმირობა“, ი. ნონეშვილის „ოთხი ძმა ლესელიძე“, ხ. ბერულავას „ვარსკვლავეთს მოსწყდა ვარსკვლავი“).

ამრიგად, პირველ ასპექტში გმირები მეტყველებენ („კაპიტანი ბუხაიძე“, „არ დაიდარდო, დედაო“), მეორე ასპექტში გმირზე მეტყველებენ, უფრო სწორად, გმირს ელაპარაკებიან („შინ მოუსვლელო, სადა ხარ“, „მხედარი პირტახია“, „სიმღერა შალამბერიძეზე“, „ზღვის არწივი“, „საბჭოთა კავშირის გმირს — ვლ. კანკაევს“), მესამე ასპექტში, როგორც ზემოთ ვთქვეით, ხატავენ სურათს, და ამ ფონზე აჩვენებენ გმირის სახეს. უფრო სწორად, ეს არის სურათის, გარემოს, გმირის ცხოვრების აღწერა. სამივე ასპექტი (გმირის ამეტყველება, გმირზე მეტყველება და აღწერა) ვერცკლდება სასიმღერო ლექსებზეც.

პირველ ასპექტში გმირი მეტყველებს (მღერის) პირველი პირით. მეორე ასპექტში გმირზე მეტყველებენ (მღერიან) მეორე პირით, მესამე ასპექტში გმირის სამოქმედო გარემოს აღწერენ მესამე პირით. მოგვაქვს ნიმუშებიც:

პირველი ასპექტი:

მე. ქართველი ბუხაიძე,
ბალყარეთის მთებში ვწეუარ...
რომ შემეძლოს საფლავიდან,
ძმებო, მხრების წამოწევა...

(„კაპიტანი ბუხაიძე“)

მეორე ასპექტი:

გასდგი მშობლიურ ქვეყნის გალავანს,
მტრულად ამღვრეულ ზღვის ნაპირამდე,
ზევრავ. დაეძებ გემთა ქარავანს,
რომ კვლავ პირისპირ შეხედე პირატებს.

(„ზღვის არწივი“).

მესამე ასპექტი:

შორს, სადაც ხეებს გლეჯავს ქარბუქი,
სადაც მტერს ზარი დასცეს გმირებმა,

მისი გაზრდილი ოთხი ქაბუჯი,
ოთხი ვაჟაკი მტერს ერკინება.
(„ოთხი ძმა ლესელიძე“).

არის ასეთი ლექსიც, რომელშიც ერთად ვხვდებით მეორე და მესამე ასპექტს. ამ შემთხვევაში ტიპიურია, მაგალითად. ხ. ბერუ-
ლავას ლექსი „ამხანაგო მიშაკოვ, ძმავ შალამბერიძე“.

დიდი სამამულო ომის პოეზია იცნობს აგრეთვე ალექსანდრე
აბაშელის, იოსებ გრიშაშვილის, კარლო კალაძის, ილო მოსაშვილის
ნ. მალაზონიას და სხვათა სასიმღერო ლექსებს. სამამულო ომის
გმირებზე დაწერილ ამ სიმღერებს ომის დროს მთელი საქართვე-
ლო მღეროდა. ეს ლექსები არც ახლა დავიწყებია ჩვენს ხალხს. ეს
არის სიმღერები იმ ადამიანებზე, რომელთაც გმირობისა და მამა-
ცობის უკვდავი ფურცლები ჩასწერეს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

ქართველი გმირი სად, რომელ ფრონტზედაც არ უნდა ყოფი-
ლიყო, ყველგან იცავდა სამშობლოს — დიდ საბჭოთა ქვეყანას და
კერძოდ — თავის მშობლიურ საქართველოს. ქართველი ვაჟაკე-
ბი ყოველთვის, ყველა შემთხვევაში გამონატყვდნენ ამ გრძნო-
ბას. აი, რას სწერდა მებრძოლი ვახტანგ ბოლოკაძე თავის ქალი-
შვილს 1942 წლის 27 აგვისტოს გაგზავნილ წერილში. რომელიც
„კომსომოლსკაია პრავდაში“ დაიბეჭდა: „ამჟამად გერმანელები ი-
წრაფვიან სამხრეთისაკენ. მათი სურვილია დაეპატრონონ კავკასიის
სიმდიდრეს, ბაქოს ნავთობებს, წაბილწონ ჩვენი მზიური სამშობ-
ლო. მეც, როგორც ყველა კავკასიელს. ცხადია, მსურს ამ დღეებში
ვიბრძოდე კავკასიის მისადგომებთან, მაგრამ სამშობლომ დამაყენა
მეტად პასუხსაგებ პოსტზე. ვიბრძვი დონის ნაპირებზე და მტკიცედ
მწამს: აქ, დონთან რომ ვიბრძვი, ვიბრძვი საქართველოსათვის“.

კავკასიის დაცვის ამ ცხარე დღეებში ბევრი ქართველი პოეტი
სისტემატურად მიემგზავრება ფრონტის მოწინავე ხაზზე. ისინი
მიღებული შთაბეჭდილებებით ჰქმნიდნენ ახალ პოეტურ ნაწარმოე-
ბებს. აქვე იქმნებოდა აგრეთვე ის ლექსები, რომელთაც შემდეგ
ხშირად მღეროდნენ ფრონტზე და ზურგშიც.

მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ი. აბაშიძის
„კაპიტანი ბუხაიძე“. აი, რას მოგვითხრობს ამის შესახებ კავკასიის
ბრძოლების მონაწილე ყურნალისტი პ. შამათავა:

„... 1942 წლის 4 სექტემბერს პოეტმა ირაკლი აბაშიძემ დაწე-
რა ლექსი. რომელსაც თავდაპირველად „კაპიტან ბუხაიძის საფლავ-
ზე წასაწერი“ უწოდა... მაგრამ მალე ყველასათვის ცხადი გახდა,
რომ ეს იყო არა მარტო ეპიტაფია, — ბრძოლაში დაცემული პა-
ტრიოტი რაინდის სულიერი აღსარება და წმინდა ანდერძი, არამედ
უდიდესი შინაგანი მგზნებარებით და განცდით დაწერილი ჰიმ-

ნი“ და ეს ლექსი ხალხმა დაბეჭდვისთანავე სიმღერად აიტაცა.

„სამამულო ომმა ასობით წარმოშვა შესანიშნავი ქართველი მებრძოლნი, რომელთაგან ზოგიერთი ვაჟკაცურად დაიღუპნენ, — ამბობდა ირ. აბაშიძე საქართველოს საბჭოთა მწერლების პლენუმზე 1943 წლის ივნისს, — ხოლო მრავალნი დღესაც განაგრძობენ ვაჟკაცურ ბრძოლას სამამულო ომის ფრონტებზე. ჩვენ გვქონდა საშუალება ახლო გავცნობოდით მათ, შეგვესწავლა მათი გამირული საქმე, რათა მოგვეცა სინთეტური სახე, რომელიც გახდებოდა მისაბაძი და საყვარელი ყველა მებრძოლისათვის, ყველა საბჭოთა პატრიოტისათვის, მაგრამ დღემდე ეს ჩვენ ვერ შეეძელით.“

ირ. აბაშიძეს თავის მხრივ ყველაფერი ეს გაკეთებული ჰქონდა ჯერ კიდევ ერთი წლით ადრე — ჯავახიისათვის ბრძოლების დროს. „კაპიტან ბუხაიძის“ გარდა ამ პერიოდს ეკუთვნის მისი სხვა ცნობილი ლექსებიც: „ქართველი მეომრები“, „ალექსანდრე კერესელიძე“, „ქართველებო, ვკაფოთ მტერი“, „მრისხანე ცხრაას ორმოცდაროი“, „მხოლოდ ფრონტისთვის იზრუნე“, „საქართველოს პოეტებს“ და სხვ.

ირ. აბაშიძე ყოველთვის ეძიებდა პოეტური მეტყველების ახალ საშუალებებს ლექსის შინაარსისა და ფორმის გასაძლიერებლად. მისი ხალხურობისა და სისადავისათვის.

ლექსს. რასაკვირველია, თავისი „საიდუმლოება“ აქვს, რომელსაც ყველა ვერ ჩასწვდება. ლექსის საიდუმლოების აღმოჩენი თვით პოეტის გულია. პოეტი რამდენადაც ძლიერ განიცდის თემას, იმდენად ადვილად სწვდება ამ „საიდუმლოებას“. ქეშმარიტი სიმღერა ყოველთვის გულიდან ამოდის. სწორედ ასეთი, გულიდან ამოსული ლექსია „კაპიტანი ბუხაიძე“.

„კაპიტანი ბუხაიძის“ „საიდუმლოება“ ირ. აბაშიძისათვის ძნელი აღმოსაჩენი არ ყოფილა. პოეტმა იმღერა ის, რაც ნახა და განიცადა. რაც აღიქვა, ის ამეტყველა. ალქმა ერთია და ამეტყველება — მეორე. მაგრამ როცა პოეტში ეს ორივე თვისება თანაბარი ძალითაა განვითარებული, ლექსიც ფრთას ისხამს. „კაპიტან ბუხაიძეში“ კი ორივეა ყველა იმ პირობასთან ერთად, რაც ზემოთ დავასახელეთ. ამ ლექსს ხელი შეუწყო თვითონ. თემამ და დრომ.

სისადავე სასიმღერო ლექსის წარმატების ერთი ფაქტორია. დიდი, ამაღლებელი ამბის სადად თხრობამ მიანიჭა „კაპიტან ბუხაიძეს“ ზემოქმედების ძალა. მაგრამ მარტო სისადავე არ კმარა. სისადავე ხშირად გამარტივებამდე დადის. სამწუხაროდ ზოგიერთი პოეტი ვერ არჩევს სადას გამარტივებულისაგან, პრიმიტიულისაგან. პირველი პირით თხრობა, გამირის ამეტყველება ფაქიზ მიღ-

გომას მოითხოვს, ზოგჯერ მთხრობლის თხრობა თავის ქებაში გადადის. მაგალითად:

მტერს შევუმსრავე, რომ ვერ შესძლოს
გასაქცევი გზების პონა;
გული მიცემს შამაყურად
სამშობლომ რომ შთამაგონა.

(ა. თევზაძე — „მეომრის სიმღერა“).

ისეთ მღელვარე დროს, როცა ქართველი ვაჟკაცები სისხლისაგან იცლებოდნენ, სხვა თემაზე დაწერილი თუნდაც ძალიან ლამაზი ლექსიც ვერ მოხიბლავდა ისე ხალხს, როგორც ამის თემაზე დაწერილი ლექსი. ამასთან გმირის კონკრეტულ სახეში მკითხველს უნდა შეეცნო გმირის ზოგადი სახე. სწორედ ეს არის დროის მოთხოვნებზე პასუხის გაცემაც (ეს მთავარი პირობაა ლექსის გამარჯვებისა) და თუ უფრო ზუსტად ვიტყვი — „მომენტის დაჭერაც“ ამას ჰქვია. მაშასადამე თუ დროის გამორიცხვა არ შეიძლება, ვერც მომენტს ავუვლით გვერდს. ამდენად, არ არის სწორი, როცა ფიქრობენ, რომ „მომენტის დაჭერა“ აქ არაფერ შუაშიაო. „კაპიტან ბუხაიძეს“ გამარჯვება სწორედ ყველა პირობამ, ყოველმა, თუნდაც ჩვენთვის უმნიშვნელოდ მიჩნეულმა ნიუანსმაც კი განაპირობა. ამდენად „მომენტს“ ვერ გამოვრიცხავთ იმ ძირითადი პირობებიდან. რამაც ამ ლექსს გამარჯვება მოუპოვა.

პოეტმა ირაკლი აბაშიძემ თავის სხვა ლექსში უმღერა ვლადიმერ ლურსმანაშვილის გმირობას. ამ ლექსს ასეც ჰქვია — „ლუსნაშვილის გმირობა“.

ლურსმანაშვილი მამაც საბჭოთა მეომართა ერთ-ერთი სახელოვანი წარმომადგენელია. მან პირველი საბრძოლო ნათლობა ქვემო ჩეგემის მისადგომებთან მიიღო. საბჭოთა ბატალიონის მეორეებმა, რომელთაც პოლიტხელი ლურსმანაშვილი მეთაურობდა, ორი დღის შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ, გაანადგურეს მოწინააღმდეგის გარნიზონი და გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან გაათავისუფლეს ქვემო ჩეგემი.

გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და მამაცობისათვის პოლიტხელ ვლადიმერ სამსონის ძე ლურსმანაშვილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 13 დეკემბრის ბრძანებულებით საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

ირ. აბაშიძე კარგად იცნობდა ლურსმანაშვილის საბრძოლო ცხოვრებას. პოეტი ზომ ორჯერ იყო ჩეგემისა და ბაქსანის ხეობაში იმ სასტიკი ბრძოლების დროს. მიღებულმა გამოცდილებამ,

სიტყვისა და ფერების ძიებამ პოეტს მეორე სასიძღვრო ლექსიც შეაქმნევინა კონკრეტულ გმირზე. „ლურსმანაშვილის გმირობა“ სიყვარულით სარგებლობდა, როგორც შესანიშნავი, მსუბუქი და ლალი სასიძღვრო ლექსი.

ლურსმანაშვილს ხუთი ძმა მოუკლეს ბრძოლის ველზე. მტრის ჭაერს გულით ატარებდა ვაჟკაცი, მაგრამ ჭაერი გულში ვერ ეტეოდა.

—ან მე მოკვდები, ან ძმათა
მწყურია სისხლის აღება,
ვანანო გადამთიელებს
მხეცობა, გაყაჩაღება.

ეს სტრიქონები მეტყველებენ გმირის სულიერ განწყობაზე. რომლის სულშიც ასე კარგად იხედება ირ. აბაშიძე.

— იმდერეთ საქართველოში ლურსმანაშვილის გმირობა! — წერს პოეტი. თავისთავად ყოველ ქართველს ევალეობდა ემღერა გმირზე ლექსი, თუ ასეთი იყო შექმნილი. ირ. აბაშიძემ ასეთი ლექსი შექმნა და ხალხს გადასცა. ხალხმა იგი მიიღო და შეისისხლხორცა. საერთოდ ანბანური გამოკიდება, ტექსტუალური განხილვა ყოველი ნაწარმოებისა შეიძლება, მაგრამ თუ იგი აუცილებელი არ არის, თუ მართლაც რომ შესამჩნევ შეუსაბამობასთან არა გვაქვს საქმე, არაა საჭირო ამა თუ იმ ქმნილების ან საერთოდ აღიარებული ტექსტის პროფანაცია. მაგრამ არც ის ვარგა, რომ თვალი დავხუჭოთ ზოგიერთი შეუსაბამობის წინაშე. ყოველგვარ შიდარებას ვერ შევურიგდებით. მართალი იყო, მაგალითად, ბ. ჟღენტი, როცა აკრიტიკებდა კ. ჭიჭინაძეს და ამბობდა „განა წარმოსადგენია მკლავმოსხეული გაკვეთილები“? კ. ჭიჭინაძე ლექსში „შეხვედრა“ წერდა:

მე მაგონდება შორი დილები,
დასაუღეთიდან მუღმივი ქარი.
მკლავმოსხეული გაკვეთილები
და ქვაფენილზე სვლა შენი ჩქარი.

სწორი იყო კრიტიკის მიერ ამ ნაკლოვანებისადმი ყურადღობის გამახვილება.

აფორიზმებითა და იშვიათი ოსტატობით გამოძერწილი სტრიქონით, ახალი ეპითეტებითა და მეტაფორებით ააგო ირ. აბაშიძემ ლექსი „ქართველი მეომრები“. პოეტმა თავისი სიტყვა შესანიშნავად შეუფარდა ხალხურ ინტონაციას და სამეტყველო კილოს.

—მთის კართან მაგრა დამიდექ,
არ შემოაღონ მკვლელებმა,

ან მტერი უნდა დამარხონ.
ან დედა შენმა ხელემა.

ლექსის ეს სევდიანი მელოდია, დარდისა და ნაღველის გამომხატველი სიტყვები დაუვიწყარ შთაბეჭდილებას სტოვებენ და გრძნობათა ამშლელ მღელვარებას იწვევენ ადამიანში.

მართალი და გულწრფელი სტრიქონებია:

შენ ყველა დედის კალთა ხარ,
ჩვილ ყრმაზე დაფარებული.

დედის გამამხნევებელი ხმა ქართულ ვაჟკაცს თან მისდევს ყოველგვარ ქირსა და ლხინში:

მხდალს ომში უცდის სიკვდილი,
გმირს — სიციოცხლე და სახელი!

ამ ლექსის პირველი სტროფი აღწერაა — გმირის საერთო დახასიათება. მომდევნო სტროფები გმირზე მეტყველებით მიდის. ირ. აბაშიძემ თავის სამ სასიმღერო ლექსში („კაპიტანი ბუხაიძე“, „ქართული მეომრები“, „ლურსმანაშვილის გმირობა“) გამოიყენა სამივე ასპექტი: გმირის ამეტყველებაც, გმირზე მეტყველებაც და აღწერაც.

მხატვრული სახეების გარეშე შექმნილი მარტივი სტრიქონები როდი განაპირობებდნენ ლექსის სასიმღერო ხასიათს. სამამულლო ომის ქართულ პოეზიას ამშვენებს დიდი ექსპრესიით, მხატვრული სახეებით დამშვენებული მრავალი ლექსი, რომელიც სამშობლოს უღრმესი სიყვარულით არის ამღერებული. ეს სიყვარული ზოგმა მარტივ სახეებში გამოავლინა. ზოგმა კი რთულ ექსპრესიებში დახლართა, მაგრამ გასაგები და მიმზიდველი გახადა. ასეთია სიმონ ჩიქოვანის ლექსები „ლეშქაშელის სიკვდილი“, „საბჭოთა კავშირის გმირს ვლადიმერ კანკავას“, „საფლავის ქვასთან“, „გამოსათხოვარი“, „დაჭრილი“, „სიზმარი“ და სხვ.

ბაქსანის ნაპირზე მეც სული მივაგდე,
ველზე დაღეწილი იწვა ლეშქაშელი.
თურმე მტერს გადაღმა კაფაჟდა დიღამდე.
ოჯახის ბურჯი და მამულის მამველი.

აზრი ნათელი და ცოცხალია, სახეები — ბრწყინვალე. მიუხედავად ამისა, ლექსი ხალხურ სიმღერად მაინც ვერ იქცა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ეს ლექსი და თუნდაც სხვები. რომლებიც ზემოთ დავასახელებთ, თავიანთი ღირსებით ჩამოუვარდებიან ირ. აბაშიძის „კაპიტან ბუხაიძეს“ ან გ. ლეონიძის „არ დაიდარდო,

დედაოს“, ან თვითონ ს. ჩიქოვანისვე ლექსს „საბჭოთა კავშირის გმირს ვლადიმერ კანკავას,“ რომელსაც ხალხი მღეროდა. რასაკვირველია, მარტო ამღერებითი ხასიათით არ ფასდება ლექსის ღირსება. ბევრი „ამაღლელებელი“ ლექსი „ამღერებულ“ ლექსზე, რომ იტყვიან, ათი თავით მაღლა დგას და პოეზიის მშვენიერებას წარმოადგენს (ფაქტისათვის მარტო გალაკტიონ ტაბიძის ლირიკა კმარა). მაგრამ. საბედნიეროდ, ლირიკული ექსპრესიით დაწერილი, მხატვრული სახეებით გახსნილი ზოგიერთი ლექსიც იქცა ხალხურ სიმღერად.

ყაბარღოს ველზე იწეჟი,
დახუჟე თვალი აღმასი;
ყაბარღოს ველზე იწეჟი
კაცი — ცეცხლი და მამაცი.

(„საბჭოთა კავშირის გმირს ვლადიმერ კანკავას“)

ამ სტროფს არც სისადავე აკლია და არც მხატვრულობა. ს. ჩიქოვანის სიტყვებითვე რომ ვთქვათ, გასაგები ენითაა ნათქვამი ის „სირთულე“, რაც ლექსს უნდა ახასიათებდეს.

მომმეთა მიწას აკოცე,
თითქო უთხარი მაღლობა.

მომმეთა მიწის კოცნა დაჰრილი, მომაკვდავი მეომრის მიერ — სამშობლოს პატრიოტიზმის პოეტური ახსნის მეტად ორიგინალური ხერხია. მეტად თავისებური საღებავი აქვს გამოყენებული პოეტს დიდი პატრიოტის ხასიათის გასახსნელად.

გადავიდეთ სხვა ლექსებზე, რომელთაც ფართო მასებში პოპულარობა მოიპოვეს, როგორც კონკრეტულ თემაზე აგებულმა სასიმღერო ლექსებმა.

პირველი ქართველი მებრძოლი, რომლის სახელიც უცებ მოედო მთელ საბჭოთა ქვეყანას, იყო მფრინავი ალექსანდრე წურწუშია. წურწუშიამ წარმატებით შეასრულა პირველი დიდი საბრძოლო დავალება: დაბომბა ფაშისტური გერმანიის მოკავშირე რუმინეთის ქალაქები — ბუქარესტი, პლოეშტი და კონსტანცა. მისი ხელმძღვანელობით პლოეშტში ჩამოგდებულმა ბომბებმა ვეებერთელა ხანძარი გამოიწვია. აფეთქდა 2 ქარხანა. 200 ათას ტონაზე მეტი ნავთობი. თავდასხმა ისე საოცრად სწრაფი იყო, რომ მტრის საზენიტო არტილერიამ სროლა მხოლოდ მაშინ დაიწყო, როცა თვითმფრინავები უკვე თავისი ბაზებისაკენ გამობრუნდნენ და საზენიტო ქვემეხების ცეცხლის საფრთხის სფეროს გასცდნენ. დაბრუნებისას წურწუშიას ჯგუფის მფრინავებმა ფაშისტთა 2 ავიაგაძანადგურებელი ჩამოაგდეს.

მაიორ წურწუმის ესკადრილიამ ომის პირველ 6 თვის განმავლობაში გაანადგურა მტრის 6 პოლკამდე ქვეითი ჯარი, 1 პოლკამდე ცხენოსანი ჯარი, ჩასძირა 2 მონტიორი და 1 საესკადრო ნალმოსანი, 3 ტრანსპორტი ჯარებით, 2 კარპაჯი ქვემეხებითა და საომარი მასალებით, საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდო 14 თვითმფრინავი, დაბომბა მტრის 10 აეროდრომი. ამ წარმატებისათვის ა. პ. წურწუმია დაჯილდოებულ იქნა წითელი დროშის ორდენით.

პოეტმა ალიო მირცხულავამ ამ ფაქტზე დაყრდნობით შექმნა თავისი თანასოფლელისადმი მიძღვნილი ლექსი „ზღვის არწივი“. როგორც თვით წურწუმის სახელი, ისე ეს ლექსიც უმაღლესად მთელს საქართველოს.

პოეტს ეამაყება, რომ წურწუმია მისი ტოლი და მეზობელია, რომლისთვისაც ზღვის ფსკერიც არის ნაცნობი, შიგ მოთარეშე ქვემძრომებს ხედავს. სიყვარულით შეღალაღებს პოეტი გმირს:

შენი გმირობით და ეაყაობით
ხარობდეს შენი გამზრდელი დედა!

წურწუმის სახელი, პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მოდგმიდან მოდგმას გადაეცემა“.

ა. წურწუმის არ დასცალდა შავარდნების რაზმის კვლავ დაძვრა: 1941 წლის 30 დეკემბერს მტერთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპა.

მაიორ ა. პ. წურწუმის დაღუპვის შემდეგ, 1944 წლის თებერვალში, მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ალ. მირცხულავამ ამ ლექსში ზოგადი სახე მისცა წურწუმის გმირობას. წურწუმის გმირობა განაპირობა მისმა სულიერმა სიღლიადემ, მორალურმა სიმადლემ, საბჭოთა პატრიოტის სიამაყემ.

მთელი ქვეყანა ღალაღებს შენზე,
ხოტბა-ღიღუბას მღერია: ელად.
შენ გ.ნა ერთი გმირობა შესძელ...

იგი ამ დიდ გმირობას ვერ შესძლებდა, რომ მას არ მიშველვზოდა წინაპრების გმირული სული და თვით საქართველოს ბუნება. „შენ საქართველოს ბუნებამ გზარდა“, — ეუბნება პოეტი გმირს და ამით ამთავრებს გმირ წინაპრებზე საუბარს.

საბჭოთა ადამიანების მტკიცე ნებისყოფა. სამშობლოსადმი თავდადების ასეთი უმაგალითო მამაცობა შესწევს მხოლოდ ლენინურ თაობას, რაც პოეტს ახარებს:

გეჯერა: ლენინურ ნების თაობას
რა ეაყაური გული ჰქონია,

და თავი შენთან ახლოს მგონია.

მიშაკოვისა და შალამბერიძის ვაჟკაცობას თითქმის ერთდროულად უმღერა რამდენიმე ქართველმა პოეტმა. ამ ორი ვაჟკაცის გამირობას შესანიშნავი სიტყვები გამოუნახა და ერთ ძარღვიან სიმღერად შეჰკრა პოეტმა ხუტა ბერულავამ:

ტყვიამფრქვევი გრავანებს,
ტყვიამფრქვევი გუგუნებს,
ცეცხლის მნათი ზოლები
აელვარებს უუუნეს.

მტერი თუმცა ავგულობს,
სიმაგრისკენ ვერ იწევს,
აქ მიშაკოვს აწყდება,
იქით — შალამბერიძეს.

ბოლოს მაინც გატყდა ძალა. უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმული ორი მამაცი საბჭოთა მეომარი დაეცა. დაღუპულ ვაჟკაცებს საფლავში არ ჩაყოლიათ „მტრის ჯავრი და ნალველი“. მათ ამ უსახელო მალლობზე სახელი და დიდება მოიპოვეს.

ყოველი ადამიანი ვალდებულია ყოველთვის მოწინააღმდეგეობით მოიხსენიოს და ადიდოს ბრძოლაში დაცემული ვაჟკაცის სახელი, რადგან მან სამშობლოსა და მომავლის ბედნიერებას საკუთარი სიცოცხლე შესწირა. სწორედ ეს განწყობილება გამოხატა ხუტა ბერულავამ მეორე ლექსში — „ერთი წუთით“.

...ერთი წუთით ერთ ჰიქა ასწით
და დაულოცოთ, ძმებო. მისი მაჯა,
ვინც იცოდა ამ სიცოცხლის ფასი
და მარადის ცივ მიწაში დარჩა!

ერთი სიტყვა მას ეკუთვნის მუდამ,
ვინც ვერ ნახა გამარჯვების დარი,
ვისაც ტყვია გაეტარა გულთან
და არ არის მაინც იგი მკვდარი.

მეტად პოპულარული გახდა რაყდენ გვეტაძის ლექსი „სიმღერა შალამბერიძეზე“.

ამ ლექსში გამირზე მეტყველებს პოეტი. ლექსი მეტად მელოდიურია. ლექსის ზემოქმედების ძალა მაშინ არის ძლიერი, როცა პოეტის განწყობილება მასის საერთო განწყობილებას გამოხატავს.

მანდ ჩემი შვილი ომშია,
იქნება შენთან იარა.

იქნება შვიმედ დაკოდილს
მან შეგიხვია იარა.

რ. გვეტაძეს ომში ჰყავდა ექიმი შვილი და მან თავისი პირადი განწყობილება ასე შესანიშნავად შეუხაჩა ხალხის საერთო განწყობილებას.

ომის პირველ დღეებშივე გახდა ცნობილი მამაცი მებრძოლის პირტახიას გმირობა.

ერთ-ერთ გააფთრებულ ბრძოლაში მტერმა მოიმწყვდია ჩვენი ტანკი, რომელსაც უკვე შემოღებული ჰქონდა საწვავიც, ყუმბარებიც და ტყვიებიც. ტანკში მყოფ პირტახიას და მის თანამებრძოლებს ფაშისტებმა შეაძლიეს ოთხი ათასი მანეთი. ოღონდ ცოცხლები დაჰნებებოდნენ. პირტახიამ სასროლი კოშკურიდან ამოსძახა: „განა ჩვენ ვვაპრობთ, ჩვენ ვიბრძვით!“

პირტახიას ვაჟკაცობის ამბავი უბრალოდ. მაგრამ გულში ჩამწვდომი სიტყვებით გადმოგვცა პოეტმა გიორგი ლეონიძემ:

მე არ გიცნობდი, ვინ იყავ,
მეუა, მხენელი თუ მეჭოგე,
მაგრამ ქვეყანამ გაიგო
მტერს რომ არ წამოეჩოქე.

შემდეგ პოეტმა აამეტყველა თვითონ გმირი და მის მგზნებარე სიტყვებში გამოხატა საბჭოთა მეომრის გაბედულება, მისი სულიერი სიდიადე და სამშობლოს ღრმა სიყვარული.

მე როდი ვვაპრობ,
მე ვიბრძვი,
მე ვარ სამშობლოს მხედარი!
ვიცავ ჩემს მამულს მტკავლობრივ,
მისთვის პირგაღამხედარი.

უდავოდ დიდი პოეტური ექსტაზით აღწერებულმა თბილმა სტრიქონებმა გახადეს ეს ლექსი ხალხის კუთვნილებად.

აყვადეს შენი საფლავი,
მხედარო, სადაც გძინავ შენ.

ამ სტრიქონებში კარგად არის შერწყმული ქართული სალიტერატურო ენა ხალხურ მეტყველებასთან. გ. ლეონიძე ლექსში ხალხურობის შემოტანისათვის იბრძოდა და თვით მისი სასიმღერო ლექსებიც ასე იყო ამღერებული. ქართველი დედის გაზრდილი ვაჟკაცი, პოეტის თქმით, „ფულზედ არ გაიყიდება“. ლექსის სასიმღერო ჰანგი მომდინარეობს პოეტის მიერ მიგნებული თქმებიდან: „დედის ლეჩაქი შორიდან ნატყვიარს დაგინიავებს“ და ა. შ.

სამამულო ომში საქვეყნოდ გაითქვა სახელი ქართველი ხალხის სახელოვანმა შვილმა კონსტანტინე ლესელიძემ.

1941 წლის ნოემბერ-დეკემბერში კ. ლესელიძემ, როგორც მამაცმა მეთაურმა, თავი გამოიჩინა მოსკოვის მისადგომებთან გაჩაღებულ ბრძოლებში.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1942 წლის 2 იანვრის დადგენილებით კ. ლესელიძეს არტილერიის გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა. იგი დაჯილდოვდა აგრეთვე წითელი დროშის ორდენით.

დიდია კონსტანტინე ლესელიძის დამსახურება სამშობლოს წინაშე. კ. ლესელიძის დიდების შარავანდედით მოსილი საბრძოლო გზა საბჭოთა მთავრობის მიერ მრავალი ჯილდოთი აღინიშნა. მისი მხედრული ნიჭითა და ვაჟკაცობით აღფრთოვანებულმა არმიებმა (46-ე, 47-ე, მე-18 სადესანტო არმიები) დიდი სამამულო ომის მატიაწეში სახელოვანი ფურცლები ჩაწერეს. მას მებრძოლები იცნობდნენ, როგორც უნიჭიერეს მხედართმთავარს. გულისხმიერ მეთაურსა და საყვარელ ადამიანს.

1942 წლის თებერვალში გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ი. ნონეშვილის ლექსი „ოთხი ძმა ლესელიძე“. სახელოვან არტილერისტთა ამ შესანიშნავი ოჯახის შვილები — გეხერალ კონსტანტინე ლესელიძის უმცროსი ძმები, სხვადასხვა ფრონტებზე იბრძოდნენ. პოდპოლკოვნიკი ვიქტორ ლესელიძე კარელიაში იყო, მაიორი დავით ლესელიძე — დონთან, უფროსი სერჟანტი ვალერიან ლესელიძე — ყირიმში.

ი. ნონეშვილის ლექსი „ოთხი ძმა ლესელიძე“ მიძღვნილია ამ შესანიშნავი ოთხეულის საბრძოლო ცხოვრებისადმი. ლექსი უმღერის ლესელიძეების ოჯახს, რომელმაც სამშობლოს გაუზარდა ოთხი ვაჟკაცი, თავიანთი სწორუპოვარი მამაცობით რომ ასახელეს სამშობლო.

ლექსის სიუჟეტი ასეთია: გვიანი დამეა. ირგვლივ ყველაფერი მიწყნარებულია, ლესელიძეების დედა ზის ბუხართან და წინდას ქსოვს, თან ფიქრით შვილებთან არის:

შორს, სადაც ხეებს გლეჯავს ქარბუქი,
სადაც მტერს ზარი დასცეს გმირებმა
მისი გაზრდილი ოთხი ქაბუკი,
ოთხი ვაჟკაცი მტერს ერკინება.

. . .

მოუკედეთ ნენა, იქნება ახლა
თბილი წინდები უნდათ ვაჟკაცებს..

ფხიზლობს დედა. გამალებით ქსოვს წინდას — „ციმციმებენ წინდის ჩხირები“. შემოდის მამა. თან შემოაქვს გაზეთი.

ვინ ჩამოთვალა რიგ-რიგად ასე,
რაც იმამაცეს მისმა შეილებმა...
ღედა ცრემლებით დააღბობს გაზეთს,
მამის უღვაწში ჩაელიმება.

ამ ოთხ სტრიქონში სთქვა პოეტმა ყველაფერი. დედის ცრემლები — სიხარულის ცრემლებია, მამის უღვაწში ჩაღიმება — სიამაყის ღიმილია.

1944 წლის გაზაფხულზე საბჭოთა არმიამ დაიწყო მძლავრი შეტევითი ოპერაციები ქერჩიდან და მაიკოპიდან. ყირიმის ტერიტორიაზე ბობოქრობდნენ პარტიზანული რაზმები. რომლებშიც ქართველი პარტიზანები იყვნენ. ისინი შიშის ზარს სცემდნენ შარაგზის ყაჩაღებს. პარტიზანთა რიგებში თავდადებულად იბრძოდა პეტრე გვალია.

1944 წლის მარტში გვალიამ პარტიზანთა ჯგუფი ეუაშვილის ხელმძღვანელობით მტრის ზურგში გაგზავნა საბრძოლო დავალების შესასრულებლად. ადგილზე დარჩენილ გვალიას რაზმს გარს შემოერტყა მტრის პოლკი. გვალია არ დაიბნა, რაზმმა გაარღვია მტრის რკალი, გაეღოთა რამდენიმე ასეული ფაშისტი და სამშვიდობოს გავიდა, ეს ბრძოლა ძვირად დაუჯდა რაზმს. უთანასწორო ბრძოლაში ვაჟკაცური სიკვდილით დაეცა საყვარელი მეთაური პეტრე გვალია.

უკანასკნელი ბრძოლის წინ, საბრძოლო დავალების შესასრულებლად წასულ პარტიზანთა ჯგუფს პეტრე სწერდა:

„სალამი ამხანახებო! შეიძლება ეს უკანასკნელი სალამი იყოს. ძლიერ გარემოცვაში ვართ. არ დალონდეთ. ვინც სამშობლოსთვის იბრძვის, მას სიკვდილი ვერაფერს დააკლებს. და თუ სიკვდილი აუცილებელია, სიკვდილშიაც ვაჟკაცები უნდა ვიყოთ. თუ ვინცობაა ბრძოლის ველზე დავეცე, ჩვენი ბრძოლების შესახებ მისწერეთ ჩემს მშობლებს, მასწავლებლებს და სამშობლოს. ომში გამარჯვების შემდეგ იბედნიერეთ და გამრავლდით სამშობლოში. ინახულეთ ჩემი დედა-მამა და დედას სიტბო არ დააკლოთ ჩემს მაგივრად. რამდენიმე ათეული წლების შემდეგ მე ისევ თქვენთან მოვალ სამშობლოში, გინახულებთ და ჩაგიკრავთ გულში. დადგა შურისძიების გადამწყვეტი მომენტი ლოზუნგით: „როგორც ყირიმში — ისე ბერლინშიც!“ იყავით მხნედ. თქვენი პეტრე“ (რ. ძამია, „მოგონებანი პეტრე გვალიაზე“, გაზ. „სოციალისტური სოფელი“, 1959 წ. 8 მაისი, №55).

პეტრე გვალიას მამაცობას მიუძღვნა ლექსი ხუტა ბერულავამ — „ძმაო, გაშალე მარჯვენა“. პოეტმა გამონახა მამაცი პარტი-

ზანის გვალას გმირობის ამსახველი სიტყვები, ლექსი ხალხურ ტონზე ააგო და ასე აამღერა:

ძმაო, გაშალე მარჯვენა,
შენი სიკედილი არ მჭერას
ლომი იყავ და ლომგული,
ცეცხლის გრიგალის მნახველი.
ცხრა ვაჟს ეყოფა სახელად,
ქვეყნად რომ დაგრჩა სახელი.

ხუტა ბერულავამ შექმნა შესანიშნავი ლექსი აგრეთვე ქიქიკო ბენდელიანზე — „ვარსკვლავეთს მოსწყდა ვარსკვლავი“.

ქიქიკო ბენდელიანმა პირველი საბრძოლო ნათლობა კიევის ფრონტზე მიიღო.

„საბჭოთა კავშირის გმირს, გვარდიის მაიორ ქიქიკო ყაისარის ძე ბენდელიანს ომის დასაწყისიდან აქვს 410 საბრძოლო გაფრენა, — ვკითხულობთ ბენდელიანის დაღუპვის შემდეგ სარდლობის მიერ დაწერილ დახასიათებაში. — მისი გაფრენები, რომელთა დროს იგი მეთაურობდა ბომბდამშენებისა და მოიერიშეების საბრძოლო მუშაობის დამცველ ჯგუფებს, წარმოადგენდნენ საპაერო ბრძოლაში გამანადგურებელი თვითმფრინავების მართვის ნიმუშს. მდიდარმა საბრძოლო გამოცდილებამ, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულმა გვარდიის მაიორ ბენდელიანს მოუპოვეს განსაკუთრებული ავტორიტეტი პოლკის პირად შემადგენლობაში. იგი ბევრს მუშაობდა მფრინავთა შემადგენლობასთან, უნერგავდა მამაცობას, გამბედაობას, ასწავლიდა მაღალ საბრძოლო ოსტატობას ფაშისტ სეკვებთან დაუნდობელი ბრძოლისათვის...“

ქიქიკო ბენდელიანი იყო მრავალი ორდენის კავალერი. მას 1943 წელს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ბ. ბერულავას სამსტროფიანი ლექსი გამოქვეყნებისთანავე სასიმღეროდ იქცა. პოეტი გადმოგვცემს ბენდელიანის დაღუპვის ამბავს (თხრობა მიმდინარეობს მესამე პირით). ბოლო სტროფში პოეტი შორისდებულს მიმართავს, თხრობა გადააქვს მეორე პირზე და ამით უფრო ამძაფრებს სიმღერის ტონს.

ჰეი. ნუ სტირით, კარგებო,
ცრემლი ნუ გინდათ ტიალი,
არასდროს დაიკარგება
ქიქიკო ბენდელიანი.

კავკასიის დაცვისათვის ისტორიულ დღეებში, 1942 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე, საქართველოს მშრომელთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში ქართველ მწერალთა ჯგუფიც იყო,

ორჯერ ესტუმრა ჩეგემისა და ბაქსანის ზეობის მიდამოებს, სადაც იქამად 392-ე ქართული დივიზია იდგა.

„თითოეულ მეომარს სურდა მათთან შეხვედრა, რათა მოესმინათ ხალხის წარგზავნილთათვის. პირადად ენახათ ბრძოლის ველზე მხატვრული სიტყვის გამოჩენილი ოსტატები, რომლებმაც თავიანთი კალამი ბასრ ხიშტს გაუტოლეს. და ყველგან ვერ ახერხებდნენ მისვლას ჩვენი მწერლები, მათი მხურვალე სიტყვა დივიზიის გაზეთის ფურცლებს მიჰქონდათ თვითეულ მებრძოლამდე“ — წერს იმ დღეების უშუალო მოწმე პ. შამათავა თავის წიგნში „კაპიტანი ბუხაიძე“.

„ქართველი მწერლები პირადად ეცნობოდნენ მამაც საბჭოთა მეომრებს, — განაგრძობს პ. შამათავა, — მათს სასახელო საქმეებს; უშუალო მონაწილენი და მოწმენი იყვნენ დივიზიის გეომართა გემაცობის და გმირობისა. სწორედ ამან განაპირობა მათ მიერ სამამულო ომის თემაზე დაწერილ ნაწარმოებთა მაღალი ღირებულება“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქ შეიქმნა ირ. აბაშიძის „კაპიტანი ბუხაიძე“ და ს. ჩიქოვანის „საბჭოთა კავშირის გმირს ვლადიმერ კანკავას“.

უთანასწორო შეტაკებაში მამაცთა სიკვდილით დაეცა პოლიტხელი ვ. კანკავა. მას სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

სიმონ ჩიქოვანისათვის, რომელიც ამ დროს ფრონტის ხაზზე იმყოფებოდა, კარგად იყო ცნობილი ის ფაქტი, რომ კანკავამ, რომელიც უკანასკნელ ბრძოლებში ქვეგანაყოფის კომისრის მძიმე, მაგრამ საპატიო მოვალეობას ასრულებდა, შენაერთის გაბედული შეტევის შედეგად, მტერი მდინარე ბაქსანის გაღმა გარეკა, გადალახა წყლის ზღუდე, გაარღვია მოწინააღმდეგის თავდაცვის წინა ხაზი, გაბედულად შეიჭრა მის განლაგებაში და სასტიკი, მძიმე ბრძოლების შემდეგ ორი დასახლებული პუნქტიდან გარეკა გერმანელი ოკუპანტები.

ეს კონკრეტული ფაქტი ს. ჩიქოვანმა ჩამოაყალიბა ლექსის ლამაზ ფორმაში და რეამარცვლიანი შაირით აამღერა იგი. ამ ლექსში პოეტი მეტყველებს გმირზე.

მდინარის პირად შეგვიყიე.
გაღალმა ცეცხლში გადახველ,
შენი მარჯვენის სიმტკიცით
მტერი ბრძოლაში დალახველ.

გულში ჩამწვდომი მძაფრი სტრიქონებით, პოეტური შეძახი-

ლებით და შეკითხვებით პოეტი უფრო ამძაფრებს მკითხველის განწყობილებას და მის ინტერესს გამირისადმი.

რა გული გქონდა, რა ცეცხლი,
ფიქრი მტკიცე და ნათელი!
ყაბარდოს ველზე დაეცი
თავდადებული ქართველი.

დიდი სამამულო ომის თემაზე დაწერილ სასიმღერო ლექსთა შორის ქართველი საზოგადოება კარგად იცნობს სოლომონ თავაძის ლექსს „ძმები გულვარდაშვილები“. ეს ლექსი გამოქვეყნებისთანავე შევიდა სასიმღერო ლექსების რეპერტუარში.

მტერთან ბრძოლაში ექვსმა ქართველმა ვაჟკაცმა 40 გერმანელი გაელიტა. ამ ბრძოლაში ექვსივენი გამირულად დაეცნენ, მათ შორის იყვნენ ტყუპი ძმები ნიკოლოზ და მიხეილ გულვარდაშვილები.

რა ზეცის თვალმა დაგხედათ,
რა ნათლის სვეტად ირხევით,
გულვარდაშვილო ნიკოლოზ,
გულვარდაშვილო მიხეილ!

ექვსი ვაჟკაცის მიერ მტრის ორმოცი ჯარისკაცის გაუღეტა იოლი საქმე როდი იყო, ეს შეეძლო მხოლოდ საბჭოთა ადამიანების შემტევ ხასიათს. გამირები არ კვდებიან. ასეთი აზრია გატარებული ლექსში.

საკმაოდ გავრცელებული იყო ნესტორ მალაზონიას ლექსის — „სიმღერა გამირ კომისარ კონსტანტინე გიორგაძის“ ტექსტზე აგებული სიმღერაც. ლექსი დაიბეჭდა 1943 წელს.

ლექსის პირველ ნახევარში თვით პოეტი ლაპარაკობს, ხოლო მეორე ნახევარში — გამირია ამეტყველებული.

შვილსა და დედას სამშობლოს წინაშე დიდი მოვალეობა აკისრიათ. ქართველი დედებისათვის პირველი მცნება სამშობლო იყო ოდითგან და შვილმაც იცის თავისი ვალი. პოეტმა ეს აზრი შესანიშნავად გამოთქვა ბოლო სტროფში. მასში არ ისმის ყალბი პათეტიკა. ამიტომაც მიიღო მკითხველმა ეს ლექსი. ამ ლექსში ვერსად ვერ ნახავთ გამირის ბიოგრაფიის თუნდაც ერთ დეტალსაც კი, მაგრამ უკვე გასაგებია მკითხველისათვის თუ რა ბიოგრაფიის კაცია ის, რომელიც თავის დედას ასეთი სიტყვებით ამშვიდებს:

ნურც თმას გაიშლი ქაღარას.
ნურც შავით დაიძაძებო,
ქარია ჩემი მოზარე
და მკლავგაშლილი ნაძვები.
ანდა გამირს როდი ტირიან,

ვისა აქვს ამის უფლება!
შილიონ შვილზე ძვირია
სამშობლოს თავისუფლება!

ქართველი დედა ხომ არ იღარდებს ლაჩარ შვილზე! გიორგაძე კი გმირი იყო და არა ლაჩარი. მაგრამ ამ ლექსში ერთ ფაქტიურ შეცდომას აქვს ადგილი. სამწუხაროდ, ეს შეცდომა ლექსის სათაურშივეა. გიორგაძის სახელი არის აკაკი და არა კონსტანტინე (კონსტანტინე მამის სახელია).

აკაკი კონსტანტინეს ძე გიორგაძე 1941 წელს დაინიშნა ქართული მსროლელი დივიზიის ერთ-ერთი მსროლელი პოლკის კომისრად. გიორგაძემ ყირიმის ბრძოლებში თავი ისახელა, როგორც გულადმა მეთაურმა და სამშობლოს პატრიოტმა. საბჭოთა მთავრობამ ლენინის ორდენით დააჯილდოვა იგი.

კომისარი გიორგაძე ქერჩის მისადგომებთან, სოფ. ბულგანაკთან შეტევის დროს გმირულად დაიღუპა. სამშობლოსათვის თავდადებულ ამ გმირს უძღვნა საყურადღებო ბალადა „კომისარი გიორგაძე“ იმ დროს ქერჩში, ფრონტზე მყოფმა პოეტმა რ. მარგიანმა. ეს ბალადა მაშინვე დაიბეჭდა საფრონტო გაზეთ „მედგარ შეტევაში“, რომელიც 1942 წლის მრისხანე გაზეთებულზე ყირიმში წარმოებული ბრძოლების დროს თან დაჰქონდათ მებრძოლებს.

ახალგაზრდა პოეტმა ფრიდონ ხალვაშმა უმღერა აპარელ მფრინავს ისრაფილ ჭინჭარაძეს. მან გამოიყენა გმირზე მეტყველების ასპექტი და თავიდან ბოლომდე ასე წარმართა ტექსტი. ლექსი მაშინვე სასიმღეროდ იქცა.

პოეტი მიმართავს ნაცად ხერხს — შეკითხვას და ამით უფრო ამძაფრებს ლექსის რიტმს, უფრო აღაგზნებს მკითხველსა და მსმენელს, იწვევს მასში შინაგან ტკივილს და ღრმა სევდას.

ქართველმა პოეტებმა, მოკლედ, ასე ასახეს ჯარისკაცის გმირული თავდადება და სულიერი თვისებები: სასიმღერო ხასიათის ლექსებში.

*
* *

ახლა განვიხილოთ ქართველი პოეტების ის ლექსები, რომელთა გმირებსაც არაკონკრეტული პირები წარმოადგენენ. ეს ზოგადი გმირები ტიპიურნი არიან და შესანიშნავად გადმოგვცემენ საბჭოთა მეომრის ხასიათს, მის გმირობასა და სულიერ სიძლიერეს.

ამ ჯგუფის ლექსებიდან შევჩერდებით უფრო ტიპურსა და დამახასიათებელ ნაწარმოებებზე. მათ შორის პირველ რიგში დავასახელებთ გ. ლეონიძის ლექსებს.

გიორგი ლეონიძემ მკაფიოდ მოგვასმენინა ხმა ქართველი მეომრისა („ქართველი მხედრის ნაამბობი“), რომელსაც „სამშობლოს ღრუბლის ცვარი“ „ნაოფლარს ცხარე ბრძოლაში ზედ გულზე გადაეფურა“.

ქართველი მხედარი სამშობლოს დიდი პატრიოტია. სამშობლოს მადლი მას ყოველთვის უნათებდა გზას, შენ თუ მშობე და გამზარდე, მე ვზარდო შენი სახელით, ეუბნება მხედარი სამშობლოს.

ქართველ ჯარისკაცთა უმაგალითო მამაცობაზე და მათს მალალს ულიერ თვისებებზე, დაწერილ ლექსებში გიორგი ლეონიძემ ამეტყველა გმირები, გადმოგვიშალა მათი ხასიათი, გვაჩვენა მათი შინაგანი სამყარო. პოეტმა 1943 წლის 7 და 8 ნოემბერს, ფრონტზე გამგზავრებისას, ანაპის მსროლელი დივიზიის ნაწილების მეგრძოლებთან ლექსად წარმოთქმულ სიტყვაში („ქართველ მეომრებს“) თითქმის შეაჯამა ქართველი მხედრების ცხოვრებისა და ბრძოლის შესახებ შექმნილი თავისი პოეზია. მან ქართველ მეომრებთან მოიტანა ხალხის მართალი სიტყვა:

თქვენზე შრიალი გაუდის
ქართლის ბაღებს და ნივზნარებს,
მტკვარმა, რიონმა, თბილისმა
მოკითხვა გამოგიგზავნეს!

ეს მოკითხვა და სალაში „ჩვენ კი არ ჩამოგიტანეთ, არწივს მოჰქონდა ფრთებითა“, — მიმართავს პოეტი მეომრებს. პოეტმა მეომარ ვაჟკაცებს მოაგონა, რომ „შეურცხვენელი გვქონია წარსული ათასწლეული“, რომ ბევრი „ცხრა ძმა, შვიდი ძმა ერთ ომში ხმლით აკუწულა“.

ქართველი ვაჟკაცის მამაცობისა და უმაგალითო გმირობის სრულყოფილი სურათია დახატული ალექსანდრე აბაშელის ლექსში „ხევსური ტანკისტი“. „ცნობა მოვიდა: ენ-ტყეში მტრის ტანკი შემოპარულა!“ და პოეტი მიმართავს ხევსურ ტანკისტს:

—აბა, უშიშავ ხევსურო,
ხარი ხარ, მიწის მჩხვერაგი,
ფოლადის ცხენზე შაჯდები,
წინ დაგიდგება ვერავინ.

წამოხტა გახარებული ხევსური, „ან კი რა ხვეწნა სჭიროდა!“ მიდიოდა და მიიმღეროდა, „მიუხაროდა საომრად, ვით ჯიხვზე სანადიროდა“.

მეგრძოლის გააფთრებას, მტრისადმი უსაზღვრო ზიზღს, მის შემტევე ხასიათს და თავდადებას თავისებური პოეტური ხერხით გადმოგვცემს პოეტი ი. აბაშიძე. იგი ხშირად იყენებს გმირის ამე-

ტყველების ნაცად ხერხს და დადებით შედეგსაც აღწევს. ამის ერთ-ერთი ნიმუშია „დაჭრილის ლექსი“.

პოეტი არაჩვეულებრივი მგრძნობელობით, აღტკინებით ამეტყველებს დაჭრილ ვაჟაკს:

ან ანაპსთან იქნება,
ან ტაგანროგთან იქნება,
ან პოლტავასთან იქნება,
ან ლენინგრადთან იქნება.

გამიშვით, შევხვდე ხელახლა
ცაში, ზღვაში თუ ყამირში...
ან მე, ან იგი მესამე, —
წამომაყენეთ. გამიშვით!

ასე გამოხატა პოეტმა საბჭოთა ადამიანის ინტერნაციონალური სულისკვეთება, დიდი, ადამიანური დამაჯერებელი ნებისყოფა, მაღალი მორალი ადამიანისა, რომლისათვისაც სულ ერთია, სადაც არ უნდა იყოს მტერი — ანაპსთან თუ ტაგანროგთან, პოლტავასთან თუ ლენინგრადთან, იგი საერთო მტერია და უნდა მოისპოს.

დაჭრილი მეომრის და საერთოდ მეომრის ჩივილ, გმირი ვაჟაკის მაღალი მორალი, სამშობლოსადმი თავდადება, უშიშრობა, სიკვდილის წინაშე ქედმოუხრელობა დიდი სამამულო ომის პეზიში ყველაზე ადრე სიმონ ჩიქოვანმა დაგვიხატა ლექსში „დაჭრილი“, რომელიც 1942 წელს გამოქვეყნდა.

ჩრდილში დაწოლილი, დაჭრილი ვაჟაკი ითხოვს — „გამიჯანსაღეთ ვალობით სული“. მართალია, გმირს სიკვდილის შიში არ ეკარება, მაგრამ თუ წყლული ეტკინა, ეს იმიტომ, რომ „წყლული იტირებს მყვირალა ირემს“ და განა გასაკვირია, რომ ადამიანმა ტკივილი იგრძნოს! მაგრამ გმირი ტკივილის გამო კი არ სწყუხს: „ეკლიან ტახტზე ხშირად მეძინა და ნუთუ მომკლავს ჭრილობა მცირე“, ამბობს იგი, მისი „წყლულია მწვანე ბივრიტი“ — მისი სამშობლოს ლამაზი მიწა. და თუ მამული უვლიდა გმირს, აწ მშობელს ენაცვალოს შვილი.

ჩემო მამულო, დიდხანს მივლიდი,
აწ კი მიიღე სიცოცხლე ჩემი.

უღრმესი სიყვარული მამულისადმი. ქალისადმი, ქუარანა კვიციასა და ქარისადმიც კი. რომელიც მშობლიურია, პოეტმა, შესანიშნავ მეტაფორებში და ჰიპერბოლებში, სიმბოლოებში და სახეებში გადმოგვცა:

მე ერთი ცრემლი მერგება ვიცი,
სპეტაკი ცრემლი ახლობელ ქალის,
ველზე შიტირებს ქურანა კვიცი
და სუსხიანი კოლხური ქარი.

თითქმის ამავე სტილით არის დაწერილი ლექსი „გამოსათხოვარი“, მაგრამ, მიუხედავად ღრმა ლირიკული განცდებისა, ეს ლექსი არაა ისე სრულყოფილი, როგორც „დაპირილი“. აქაც მრავალფეროვან მხატვრულ სახეებში არის გადმოცემული მომაკვდავი დაპირილის — „ურჩი“ ჯარისკაცის ბრძოლა „ბედისწერასთან“. გმირს, რომელიც ცხოვრებას ეთხოვებოდა, არ ყოფნიდა „ბერმუხის ჩრდილი“, ლექსში შესანიშნავად არის გამოხატული მებრძოლის სულიერი თვისება. საბჭოთა ჯარისკაცი მხოლოდ მღერის, სიკვდილს არ უკრთის, თუნდაც მის ბრძველებში იყოს მომწყვდეული.

გმირი სტოვეებს ლამაზ ქვეყანას, მეუღლეს, ოჯახს, ბაღში ნაცნობ ყვავილს, რომელსაც იგი ვეღარ ეღიროსა. სტოვეებს აკვანს, „სად არტახივით“ ეხვია ნისლი. არტახივით დახვეული ნისლი ეს არის დღეები ბავშვობისა, რომელიც სიბნელით, ტანჯვითა და ვალებით იყო მოცული. ასეთი იყო გმირის ბავშვობა საბჭოთა ხელისუფლებამდე. ახლა კი, როცა გაიზარდა მამულიწვილი, მტერთან ბრძოლაში სასიკვდილო ჭრილობა მიიღო. მართალია, გმირი სამშობლოს სიყვარულისათვის თავს არ ზოგავს, მაგრამ სიკვდილი მაინც ძნელია. სიკვდილში არ არის სიამოვნება. დიდ სამამულო ომში საბჭოთა მებრძოლები ტანკს ქვეშ უფარდებოდნენ. ეს, თუ შეიძლება ითქვას, ერთგვარი სიამოვნებაც იყო მათთვის, მაგრამ ამ „სიამოვნებას“ პოეტმა გამოუნახა შესატყვისი განწყობა გმირისა. მკითხველი განიცდის გმირობასაც და წუხილსაც — სამშობლოსაგან განშორებით გამოწვეულს.

მწვეადა, მდაგადა წყლული ფიცხელი,
სულს მიწუხებდა გამხმარი ბუჩქი,
და დასასრული აგრე ვიგრძენი
და ბედისწერას ვებრძოდი ურჩი.

გმირის ბაღი დაქვნა, სულს უწუხებს გამხმარი ბუჩქი — ემბლემა სიცოცხლის დასასრულისა. ამიტომაც ურჩობს გმირი, რომ ცხოვრების დასასრული იგრძნო, რომ ბედისწერამ ვერ აუყვავა ფუქრი.

მე დამეჭანცა თვალები სწრაფი
და ფრთილის დარი ფიქრი გაფრინდა.

ჩვენს წინაშე საბჭოთა მებრძოლი მეტყველებს, განათლებული და დიდი წარსულის მქონე მეომარი, რომლის ცხოვრების ისტორიაც ამ ომში კი არ დაწყებულა, მას ძველთაძველ ფესვებზე უდგას ფეხი და ამ ფესვებით საზრდოობს. ჩვენ წინ დგას ბრძოლებით მოღლილი ვაჟაკი, რომელსაც „თვალები სწრაფი“ დაქანცული აქვს და „ფრთილის დარი ფიქრი“ — გაფრენილი.

გმირის რომანტიკა გამსჭვალულია ოპტიმიზმით — მისი, როგორც ადამიანის, მაღალი დანიშნულებისაქენ მისწრაფებით. ამიტომაც არის ასე ემოციურად განწყობილი ლექსის გმირი.

ს. ჩიქოვანი დიდი განცდის, შინაგანი ღრმა განწყობის პოეტია. თავისი პოეტური ღელვა ს. ჩიქოვანმა ლექსის ლირიკული გმირის სულში გადაიტანა და ასე ამეტყველა იგი. გმირის ამ რომანტიკაში პიროვნების ინტერესები და გრძნობები თვით გმირას განწყობილებათა დასაოკებლად, პირადი სურვილების დასაკმაყოფილებლად როდი არის ამოწეული. ეს ინტერესები და გრძნობები სამშობლოს ინტერესებიდან გამოდიან, სამშობლოს სამსახურში დგანან. ამიტომ ამბობს ლექსის („გამოსათბოვარი“) გმირი:

მწვავდა, მდაგავდა წყლული ფიცხელი,
სულს მიწხეებდა გამხმარი ბუჩქი.

ამას იმიტომ კი არ ამბობს, რომ პესიმიზმმა მოიცვა იგი და გამოსავალი ვერსად ჰპოვა. ეს რომ ასე ყოფილიყო, ბედისწერას არც შეეებრძოლებოდა, არც დამწუხრდებოდა, რადგან ცნობილია, კაცს, რომელსაც სიცოცხლე არ უყვარს, ვისაც მამული და ხალხი არ უყვარს, არ იბრძოლებს სიცოცხლისათვის და მით უმეტეს მამულისა და ხალხის ინტერესებისათვის, იგი სიკვდილს ადვილად დაუთმობს გამარჯვებას. ს. ჩიქოვანის ლექსების გმირი კი ებრძვის სიკვდილს. ეს არის ბრძოლა არსებობისათვის, მარადიულობისათვის, მომავლის „ბუჩქის“ აყვავებისათვის.

გმირის სულიერი სამყაროს, შინაგანი მღელვარების გადმოცემა არც ისე ადვილია. ეს მოითხოვს რთული და ახალი პოეტური ხერხების ძიებას, ახალ სიტყვიერ ინვენტარსა და განცდის თავისებურ აღქმას. ლექსის კონსტრუქციაც ამ ახალ ინვენტარს უნდა ემსახურებოდეს, რათა მებრძოლის რკინისებური ნებისყოფა და სულიერი განცდები გადმოგვეცეს. პოეტის ფილოსოფიური ოპტიმიზმი გამოსკვივის მის მეომარულ ლექსებში. ეს არის სიკვდილ-სიცოცხლის ფილოსოფია, რომელსაც პოეტი ოპტიმიზმის მაღალი იდეით ხსნის.

დაკრილი მეომრის ამქვეყნიური სევდა მძაფრ ფერებშია დახატული ლექსში „ისევ სიზმარი“. აქაც ტრიალ მინდორზე წევს

დაკრილი გმირი. მაგრამ აქ პოეტმა ერთ გმირში მოუყარა თავი წინაპარ გმირთა ტკივილებს: ყივჩაღის მიერ დაკრძილი გულის მძინვარებას, ყივჩაღის მიერ სატრფოს მოტაცებით ან სატრფოს თმის შეკრეკით გამოწვეულ დარდს. „ღრუბლებზე მძიმე“ ვარამი აწვა გმირს; რაც ყივჩაღის ისარმა არგუნა მას.

ვერ ამოვიძრე ისარი ჰერდით,
ნუთუ საფლავში ჩამყევა ბილწი!

გმირს არა თუ სიზმარში, საფლავშიც ჩაყვა ყივჩაღის ჯავრი.

შორს გააქროლა უბელო ცხენით
და მე უმწეოდ მიწოდორზე ვკვლები.

პოეტმა ამ ლექსს სიზმარი უწოდა და ამ „ფარდის“ იქით გვიჩვენა ქართველი ჯარისკაცის სულის წვის მთელი ისტორია, ჯარისკაცის, რომლის დღევანდლობასთანაც ცრემლისა და დარდის ძაფითაა დაკავშირებული შორეული საუკუნეები.

დაკრილი ჯარისკაცის განცდები კარგად გადმოგვცა პოეტმა ალექსანდრე საჯაიამ. ლექსში „დაკრილი მეომრის წერილი“ პოეტმა აამეტყველა ჯარისკაცი და მას მოათხრობინა თავისი საბრძოლო თავგადასავალი.

სახემკრთალი ჯარისკაცი წევს ჰოსპიტალში. მას იმედი არ დაუკარგავს. სჯერა, რომ ბნელი და დამღუპველი ღრუბელი მოშორდება მზეს. „ცეცხლიც, ქარიც დამშვიდდება, დამშვენდება ცას სინაზე, ვაჟკაცების ნასისხლარზე ყვავილები გასშირდება“. წაეა ჟამი, წაიშლება ბევრი ფიქრი — „მწუხარე და დარდის მფენი“. ბრძოლებს დაემშვიდობებიან გმირები, დაძველდება სატრფოს დარდიც, ოღონდ შენი სიყვარული ნუ იქნება მოგონებაო, — სთხოვს სატრფოს ჯარისკაცი.

იზრდებოდეს იგი მარად,
ცქრიალებდეს ცეცხლის გეარად.
იყოს სეტყვის მოსვლისთანა...

ქართველი ჯარისკაცის გულის ნადები, მისი ფიქრის წვა და დუღილი, ახალგაზრდული გატაცება — ტრფიალება და სიცოცხლის წყურვილი შესანიშნავად გამოთქვა პოეტმა-ჯარისკაცმა მურმან ლებანიძემ თავის ცნობილ ლექსში „მეომრის ქუდი“. თავის დროზე ამ ლექსს ლიტერატურულმა კრიტიკამ მაღალი შეფასება მისცა, ეს ლექსი გამოხატავდა კრასნოდართან და მარუხთან ვეფხურდა შემტევი ქართველი ჯარისკაცის და მისთვის ღამენათევ. სევდით ნაფერმკრთალევი მეომარი რუსი გოგონას კოლორიტულ

სურათს. მეომრის ქუდს — ქართველი მეომრის სინდის-ნაპუსს. ზედ აჩნდა მებრძოლი ქალიშვილის ცრემლები. და ეს „ცრემლით დამწვარი“ ქუდი ჯარისკაცს ყველგან ფარავდა —

აი, ეს ქუდი მექნება,
ვიღრე ჩამიტანს მიწა მე,
და თუნდა ჩრჩილმაც წაშალოს
მისი ფერმკრთალი სიმწვანე.

ასევე შესანიშნავად გამოხატა ახალგაზრდა პოეტმა საყვარელი ახლობელი ადამიანებისადმი, ამ შემთხვევაში მამიდისადმი. დამაჯერებელი ელფერიით ბრწყინავს ამ ლექსის ყოველი სტრიქონი. მამიდას ისევე სძულს მტერი, როგორც მის ჯარისკაც ძმისშვილს. მამიდა ისევე უთანაგრძნობს ძმისშვილს, როგორც დედა. ასე ტუბილია მამიდა. მამიდასაც არ ივიწყებდა ძმისშვილი. „როცა მარუხის კარებთან, როცა ქლუხორის კარებთან რეკდნენ მიმწუხრის ზარები და სულსაც მწუხრის ხმა ხვედა“ („მამიდაჩემი“).

ქართველი ჯარისკაცის მამაცური შემართება ღირსეულ გულწრფელ სტრიქონებში გადმოგვცა პოეტმა იოსებ ნონეშვილმა. ყველას, ვინც არ უნდა იყოს იგი — მხენელ-მთესველი თუ მწყემსი, ინიერი თუ ექიმი, პოეტი თუ ხარატი — დიდი სამამულო ომის დღეებში ერთი სატკივარი ჰქონდა და მთელი ოცნებით ამ სატკივარს ემსახურებოდა. ეს იყო საყვარელი სამშობლოს ხვალისდელი დღის ბედი... ყველას — ხარატსა და მევენახეს. მწყემსს თუ გუთნისდელს „უყვარდა პოლკის დროშა სიცოცხლეზე მეტად“, რადგან „მისი კალთა იფარავდა გმირთა მკერდის ფიცარს“.

მებრძოლის ფიქრები, მისი სულის მღელვარება, მისი ჰკუა და გონება დაძაბულია ხალხის, სამშობლოს კეთილდღეობისათვის. ჯარისკაცი, მართალია, ტყვიის წინ დგას, ყოველ წუთს მოსალოდნელია უბედურება, მაგრამ საბჭოთა მეომრის ნებისყოფა ძლიერია. მას, გარდა იმისა, რომ ებრძვის საშინელ ურჩხულს, არ ავიწყდება და ყოველთვის ახსოვს ზურგში მყოფი ადამიანები. და რომ არ ახსოვდეს, მის ბრძოლასაც შინაარსი არ ექნება. ის ხომ ხალხის შვილია და მათი ბედნიერებისათვის იბრძვის. მაგრამ ჯარისკაცის ბედნიერებაზე, მის გამარჯვებაზე არანაქლებ ფიქრობენ და რჩენილები.

პოეტის აზრით ქართველ გმირებს მიწაც არ ყოფნით საასპარეზოდ. ისინი ბევრნი არიან. ამ გმირებმა, რომელთაც ქვეყნის დაცვის ფიქრი იტაცებთ, „მკერდით ჩაჰკეტეს ზეცის კარები“. „ზღაპრულ შავარდნად“ გაქრილები, ზეციდანაც გადმოჰყურებენ მამულის მიწას, ხელავენ როგორ „იშლება კვამლის ლურჯი ზვირთები“.

ეს „ზვირთები“ პოეტმა დედის ამადლევებელ ფიქრებს შეუდარა. ზოგი მათგანი, რომელთაც მიწაც არ ეყოთ საასპარეზოდ და ცაში ავარდნენ „ზღაპრულ შავარდნად“, „სიკვდილის შავმა ცელმა მოცელა“.

ქართველი მემორის ვაჟკაცობაზე მოგვითხრობს ი. ნონეშვილის მეორე ლექსი „შენი მახვილი“. ამ ლექსის გმირი მტერს ვაჟკაცურად ებრძვის. მას განსაკუთრებით მაშინ უაღმასდება „ფრანგულის პირი“, „როცა ღრუბლებში შუქმეტყუროცნილი სივრცეს მიააობს სამშობლოს დროშა“.

ლექსი „ჩვიდმეტნი“ სიმღერაა ჩვიდმეტ დაჭრილ ვაჟკაცზე, რომელთაც მტრებმა ხუნდები დაადეს, აწამეს, მაგრამ ვერ გატეხეს.

ინტელექტისა და ემოციის ერთიანობის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ი. ნონეშვილის ლექსი „არწივო, წაილე გული სისხლიანი“.

პოეტი ამ ლექსში ხატავს ბრძოლის ველს, სადაც „სძინავთ მხარდამხარ მოქანცულ ვაჟკაცებს“. იქვე წევს ნახმლევი ჭაბუკი. ყირიმის მთებიდან ცას არწივთა გუნდებმა გადმოუქროლეს. „მათი ფრთის შრიალი ჩაესმათ დაჭრილებს“. წამოდგა დაჭრილი და არწივებს შესძახა:

არწივო, წაილე გული სისხლიანი,
ფრთებით სივრცეების მოვლა შეგიძლია...
ველებს გადაეველე, მთებში მიშრიალდი,
ეჰ, სადაც სოფელი მწვერვალს შეხიზნია...

კოშკი შემოგხვდება გალავნით დაცული,
მონაცრისფერო და კედელნუერიანი,
კოშკის გალავანზე დგას თეთრი ასული,
ოქროს საყურეებს ქარი უჯრიალებს...

მებრძოლი არწივს სთხოვს, რომ გაფრინდეს, იმ თეთრ ასულს მიუტანოს სისხლიანი გული და უთხრას, ჩასძახოს:

ეს მისი გულია, ისევ მტკიცე არის...
სისხლისგან იცლება და არა ცახცახებს!..

კარლო კალაძემ ლექსში „ღამით, მტკვრის პირად“ — მებრძოლი ვაჟკაცების ფიქრები, ოცნებები, განცდები ისე ხელშესახებად გადმოგვცა, რომ შეუძლებელია ჩვენში არ აღძრას ლექსის ლირიკული გმირისადმი ამადლევებელი გრძნობა. პოეტი წერს ადამიანებზე — მებრძოლებზე, რომელთაც ბრძოლის ველზე დაღლილებს სძინავთ, მაგრამ ღამეს აქ არ გაათევენ, ისინი ოცნებით

გავლენ მოგონებების ვრცელ გზაზე, გავლენ და იმასლაათებენ ნა-
ცნობ-მეგობრებთან.

მებრძოლები სხედან „ბრძოლით აღებულ ქალაქის გულში“
და იხსენებენ შორეულ თბილისს: „თითქოს მტკვრისპირად ჭერ
კიდევ გუშინ, თავს დაგვენათოდა სიამე დილის“. იგონებენ მთაწმი-
ნდას, თავიანთ ფატმანებს — თავიანთ გაზაფხულის მერცხლებს.
ესენი არიან ვაჟკაცები, რომელთაც მთაწმინდა ასჯერ შემოუვლი-
ათ „ერთი ფარული კოცნის გულისთვის“. იხსენებენ მეთევზე მე-
სროპას, შუშის ფარნებად მტკვრის ტალღებზე გაქანებულ მნათო-
ბებს და იქვე, ვიწრო ნაევბთან, მთრთოლვარე შუქით დათოვლილ
სუფრას.

ჩელტის ხონჩაზე გვეწყო ლეხები,
თონის პური და მთვარის ნატეხი...

მაგრამ „ქვემების გრვეინვით გაჰქრა ის დრო“. ახლა უცხო-
ქალაქში ხვდებიან მეგობრები და ერთმანეთს გამარჯვებას ულო-
ცავენ.

სადაც არ უნდა იყოს ქართველი მებრძოლი, თავისი საქარ-
ველო უდგას თვალწინ. ქართველი პოეტები ამ იდეას ატარებდნენ
ლექსებში. მაგრამ ეს არ იყო ვიწრო ნაციონალიზმის ქადაგება.

პოეტმა გიორგი კაჭახიძემ ლექსებში „ქართველი მეომარი
ქარპატებში“ ლამაზად და მიმზიდველად გადმოგვცა ქართველი
ჯარისკაცის უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი. გიორგი კა-
ჭახიძის ლირიკა, ფრონტის ამბებს ასახავს იგი თუ ზურგისას, ყო-
ველთვის გამთბარია ოპტიმიზმის დიდი გრძობით. მისი ნაწარმოე-
ბის გმირები ყოველთვის იმარჯვებენ, რადგან მუდამ იმედის ნა-
თელი აცისკროვნებს მათ ლამაზ სულს. გავიხსენოთ თუნდაც
„ყოველ საღამოს და ყოველ დილით“.

თენდება. მზე ამოდის და მზვერავიც —

მზეს ეგებება ფიქრებით ცაში,
დილის გრილ ჰაერს ისუნთქავს ხარბად...
მზე არ უქრება...

გმირს სიკვდილი არ უწერია. მისი სახელი მარად იცოცხლებს
ხალხის ხსოვნაში. თაობიდან თაობას გადაეცემა წინაპართა გმირო-
ბისა და ბრძოლის წიგნი. ამ წიგნის წერას აგრძელებენ ჩვენი გმი-
რები. ლექსში „ამ საყვარელ წიგნზე მეტი“ გ. კაჭახიძემ გმირთა
უკვდავების წიგნის გაუმქრალობის, მისი ზრდისა და გაფურჩქნის
იდეა ჩააქსოვა. ლექსის გმირს ომმა მოუსწრო. შინ წაუკითხავი
დარჩა წინაპართა გმირობის და ბრძოლის წიგნი. მაგრამ პოეტი თავს
ამით ინუგეშებს, რომ —

სიკვდილს აფრთხობს მისი ბრძოლა, სულის გზნება,
წინ მიიწევს, არ იკარებს ტყვიას მკერდი,
და მის წლებზე სულ სხვა წიგნი შეიქმნება, —
ამ საყვარელ წიგნზე მერტი.

ქართველმა პოეტებმა, რომლებიც უშუალოდ ფრონტზე არ იბრძოდნენ, ასე შეიცნეს და გადმოგვცეს ჯარისკაცის ფიქრები და განცდები.

უფრო ამაღლვებელია იმ შემოქმედთა ნაწარმოებები, რომელთაც ჯარისკაცის ფარაჯა ეცვათ. პოეტიც იყო და ჯარისკაციც. ნიშნავს უფრო რეალურად გადმოსცე განწყობილებები, რომელსაც შენ თვითონ განიცდი.

პოეტი ლირიკოსი ყოველთვის ეყრდნობა განცდილს, პირადულს, სუბიექტურს, მაგრამ შემდეგ ამ განცდას ობიექტურ სახეს აძლევს. სხვისგან „გადმოცემული“ განცდა სულ სხვაა. თუმცა საქმე ისაა, რომ პოეტის გული კამერტონივით მგრძნობიარეა და უცებ იკერს „ხმას“. პოეტ-ჯარისკაცებს კი „ხმის დაქერა“ არ დასჭირვებიათ. ბლინდაეებსა და სანგრებში თავისთავად იკედებოდა ეს ხმა, განცდა სიკვდილის პირისპირ მდგარი ადამიანისა. ზოგ მათგანს მაშინვე, ოდნავი შესაძლებლობისთანავე, გადაჰქონდა იგი ქაღალდზე. ამ პოეტ მეომართა შორის უნდა დავასახელოთ მ. გელოვანი, ს. ულენტი, ვ. უბილავა, დ. პატატიშვილი, ს. ისიანი, გ. ნაფეტყარიძე. ყველა ესენი გმირულად დაეცნენ ბრძოლის ველზე. და რამდენი დარჩათ მათ კიდევ სათქმელი! ომმა არ დააცალა ამ სახელოვან ქართველ პოეტ-ჯარისკაცებს, ბოლომდე ეთქვათ თავი: ათი გულის წადილი. ხოლო ისინი, რომლებიც სიკვდილს გადაურჩნენ, ომის დამთავრების შემდეგაც უბრუნდებოდნენ ომის თემას. სამამულო ომი, ამ ომში გამოვლენილი უდიდესი გმირობა და სულიერი სიმტკიცე საბჭოთა ადამიანისა ამოუწურავი თემაა შემოქმედისათვის და მით უმეტეს იმისათვის, ვინც იმ მრისხანე დღეების უშუალო მონაწილე იყო, ჯარისკაცი იყო.

პოეტმა ალექსანდრე გომიაშვილმა, რომელიც შეიარაღებულ ძალთა რიგებიდან 1946 წელს დაბრუნდა, ფრონტზე მიღებული შთაბეჭდილება ასე გადმოსცა:

და მაგონდება: ვით ქუხილი გაზაფხულისა
მთის უფსკრულებში როგორ ჩადგა სუყველაფერი;
როგორ დაეცა ბატარეა და ჩვენმა სისხლმა
თერგის ნაპირებს როგორ მისცა წითელი ფერი.

ვიდექ წყლის პირსა და მწუხარედ კენსოდა გული,
ბეთლემის კარზე ეღრიალებდა გმირის ფრანგული.

(„დასაწყისი განთიადისა“)

პოეტს აგონდება, როგორ შრიალებდა გერგეტის თავზე შავი
ჭურინველი, როგორც ომში ავარდნილი კვაპლი პირველი.

ვიდექ წყლის პირსა და ჩემს ირგვლივ ჰქროდნენ სიონი,
ჰქროდნენ მრისხანე ჩანჩქერები კაკასიონის.

„შავმა ფრინველმა“ — ომის სიმბოლომ სოფლის ბრუნვას
კლდეებზე „გადაათარა შავი ფრთები კვამლისებურად“. სოფელში
სიცოცხლე ჩაქრა. ცეცხლმა გადასწვა ყველაფერი, „სისხლი ეო-
ნავდა ყვაველების ყოველ ღეროდან“.

მაგრამ მაშინაც, უსასტიკეს განსაცდელის ეამს,
საღლაც ჰუხში ენთო შუქი გამარჯვებისა.

ჯავშანივით გადაეკრა ბეთლემის კარებს ქართველი მზექაბუ-
კის ზარნიშინი მუზარადი. ხანძარში შეტრიალდა თერგის ქალაქი,
„დაჰკრეს ნაღარას და გაჩაღდა ომი ფიცხელი“.

გაჩაღდა ბრძოლა, რაიხსტაგის ბაირალები
შუა გაფხრიწა დარუბანდის ფოლადის ეღერამ...

ბრძოლის ველზე. დაცემულმა დაჰრიღმა ჯარისკაცმა იხილა
„უნაპირო რუსეთის ველი და რუსთა ველზე მიმავალი ქართველი“:

და თუ არკაში დალოცვილი ქართლის მარჯვენა
ხმალს აელეებდა და კლდეებში იდგა პირველი, —
ჩვენი აწმყოი და მომავლის გადასარჩენად
მან დედამიწას დაანარცხა შავი ფრინველი.

ომგადახდილ პოეტს წლების შემდეგ აგონდება განთიადის
ასეთი დასაწყისი;

როცა მთებიდან მტერს ჩაუხტა ჩვენი ლაშქარი:
გაიჭრა ველად, გაღუარა ნერუნგის ისარს
და გრივალევით შეამტვრია ბერლინის კარი.

ჯარისკაცის საბრძოლო თავგადასავალი, ღრმა განცდები და
თავდადება თავისებური, მეტად ლამაზი და მიმზიდველი ფერებით
გადმოსცა ალ. გომიაშვილმა „დარიალის ბალადაში“.

მებრძოლის ყოველდღიური ცხოვრება ცოცხალი, მეტყველი
სახეებით, ახალი ფერებითა და საინტერესოდ მიგნებული სახე-
ებით, წრფელი ლირიკული განცდებით გადმოგვცა ფრონტელმა
პოეტმა რევაზ მარგიანმა, რომლის ბიოგრაფიაც მნიშვნელოვნად
გაამდიდრეს ფრონტზე გატარებულმა დღეებმა. პოეტმა თავისი
თვალთ ნახა ომის ქარცეცხლი. მარგიანის პიროვნებაში გაერთიან-

და პოეტისა და ჯარისკაცის ფიქრები და განცდები, მგზნებარე: სიყვარული სამშობლო ქვეყნისადმი, საყვარელ ადამიანებზე ზრუნვა და ოცნება, ქვეყნის მომავალზე განუყრელი ფიქრი — აი, რა აწუხებდა მეომარ პოეტს.

რ. მარგიანმა ყირიმის ფრონტზე ყოფნის დროს მრავალი ლექსი დაწერა, რომელშიც ასახა ქართველი ჯარისკაცის სულიერი განცდები, იგი ომიდან დაბრუნების შემდეგაც ამდიდრებდა თავის შემოქმედებას ფრონტზე მიღებული შთაბეჭდილებებით, ამ შთაბეჭდილებებზე შეიქმნა ჯარისკაცთა გმირული თავდადებისა და სულიერი თვისებების ამსახველი ისეთი ლექსები, როგორიცაა: „სანგარში“, „გამოსალმება“, „გაფრინდი, ჩემო თეთრო თოლია“, „მზვერავის ამბავი“, „ჩონგური“, „ბავშვი“, „ასე სცოდნია ბრძოლაში ქართველს“, „მე უბით ვატარებ პატარა ბარათს“, „ზღვაზე“.

ყირიმის ფრონტზე მეტადი ჯარისკაცის ზოგადი სახე გადმოსცა პოეტმა ლექსებში: „ზამთარი“, „თოვს“, „ყირიმში, სამი წლის წინათ“, „სიმღერა“.

ქართველი ვაჟკაცი „მტრის შემოსევას და გაშმაგებას“ „ტყვიით და ქართველის შაირით“ უნდა შეხვდეს. მაშინ „მის სოფელში — ზამთარიაო... ქალბა მამაც დაიგუგუნებს“, „საქართველოშიც იტყვის ჩონგური, რომ ვერას გვაკლებს ფრონტზე ზამთარი“ („ზამთარი“).

ჯარისკაცის გული რკინასავით მაგარია მტერთან ბრძოლაში, მაგრამ საკმარისია წამიც, რომ ნაომარმა ჯარისკაცმა სანგარში მცირე ხანს მოისვენოს და მის „ქვა გულს“ ცვილივით დაალობს მშობლიურ ფუძეზე და თავისიანებზე ფიქრი. ამ გრძნობას შესანიშნავად გამოხატავს ლექსი „თოვს“.

ჯარისკაცისათვის დიდი სიხარულია სამშობლოდან გამოგზავნილი ბარათის მიღება. ბარათის დაგვიანება აღონებს ვაჟკაცს. ბიარათის იმედიანი სიტყვები აკაეებს მას ბრძოლაში. რ. მარგიანმა ეს გრძნობა ასე გამოხატა ლექსში „ყირიმში, სამი წლის წინათ“: მანისის საღამოს, როცა ზარბაზნების ქუხილი იდგა, სანგარში საველე ფოსტა მოვიდა, მაგრამ ჯარისკაცს ბარათი არ მოუტანა. ფიქრებით გართულ ქაბუქს შეგობარმა მოხვია ხელი და გადასცა ქართული გაზეთი — „თბილისელი მეგობრის ძღვენი“.

მან ხელში გადმოცა ფრთათეთრი ფურცელი,

ვიცანი გაზეთი ჩვენი.

გავშალე ღიმილით, დავიწყე ჩურჩული

რუსთველის მაღლიან ვნით.

პირისხსლიანი ფაშიზმის ვერაგულმა მოქმედებამ მშვიდობიანი საბჭოთა ადამიანების მიმართ საერთო ზიზლი და სიძულვილის

გრძნობა აღძრა. ეს კანიბალები მხეცურად ეპყრობოდნენ საბჭოთა ადამიანებს — მოხუცებს, ქალებს, უმწეო ბავშვებს. პოეტ-ჯარისკაცი იგონებს ამ საშინელებას, რაც მას საკუთარი თვალით უნახავს და ზიზღს გამოთქვამს მტრის მიმართ:

ჩვენ ყველას გვახსოვს ის ერთი წამი,
თოვლზე რომ ვნახეთ დედა და შვილი...

(„ბავშვი“)

ჯარისკაცის გულისხმიერება, სიბრალულის გრძნობა, ნამდვილი ადამიანური განცდები გამოხატა პოეტმა, როცა თქვა: ერთ-ერთი ჯარისკაცი ფრთხილად წავიდა ბავშვისკენ „და მოაცილა ბიჭუნა მკერდით დედას და მკლავზე გადაიწვინა“. გულკეთილი საბჭოთა ჯარისკაცის ფარაჯის კალთა რომ თრთოდა, ეს თვით ჯარისკაცი — „ბავშვისთვის მამა და მახლობელი, თავისუფლების ერთი ღარაჯი“ თრთოდა ამ საშინელი სურათის დანახვის გამო.

ლექსში „სანგარში“ პოეტმა დიდი პოეტური ოსტატობითა და გულწრფელობით გადმოსცა სანგარში მყოფი მებრძოლის სულიერი განცდები:

აქ რაღაც სხვაა, გრძნობა ფაქიზი
და ამიტომაც ფეთქს ასე მკერდი,
რომ კაცი ვახდე მამულის ღირსი,
შენს მაქას ენდოს სამშობლოს ბედი.

ამ გრძნობით ანთებულ ქართველ ჯარისკაცს, თუ ბრძოლაში მამაცთა სიკვდილით დაცემულა, სიკვდილის წინ უმღერია და ისე მომკვდარა.

სხვა ლექსში („ასე ცოდნია ბრძოლაში ქართველს“) ბრძოლის ველზე ვხედავთ დაპირილ ჯარისკაცს და ვუსმენთ მისი სიმღერის ხმას.

ასე სცოდნია ბრძოლაში ქართველს,
კედება და მაინც სიციცხლეს უმღერს...

რათა საქართველოს — მის მამულს, მის შავთვალა ქალებს „მოესმას ჰანგი უკანასკნელი ერთი ქართველი მეომარისა“. ამ ჯარისკაცში პოეტმა შესანიშნავად განაზოგადა ქართველი მეომრის სახე, სახე იმ მეომრისა:

ვინაც ცხრა ვერაგს მახვილით მისწვდა,
მოკვდა და მაინც მოიგო ბრძოლა,
უკანასკნელად სამშობლოს მიწას
მაინც სიმღერის ხმა გააგონა.

თავის ჯარისკაცულ ლექსებში რ. მარგიანმა დაგვანახვა დამოუკიდებელი პოეტური სახე. მისი პირადი ბიოგრაფია გახდა ამ ლექსების დაუშრეტი წყარო.

ფრონტულმა ცხოვრებამ ბევრ პოეტს მოუტანა ახალი თემები, ახალი განწყობილებები გამოუმუშავა და დაუწმინდა საკუთარი ხმა. მათ შორის უნდა დავასახელოთ უდავოდ დიდი გამომსახველობითი პათოსის მქონე პოეტი შალვა ამისულაშვილი. ამ ფაქტს კეშმარიტად ადასტურებენ მისი „სანგრებში თქმული ლექსები“. ეს ლექსები დაწერილია პირადი განცდების შედეგად, მაგრამ ეს მართო პოეტი-ჯარისკაცის შ. ამისულაშვილის პირადი განცდები როდია, მასში მეტყველებენ საბჭოთა მეომრები და კერძოდ სამშობლოდან შორს წასული ქართველი ჯარისკაცები, რომელთაც საქართველო დაუტოვებიათ და რუსეთის ვრცელ ველებზე იბრძვიან. იქ. სადაც „ერთა ულაღებდა სიკვდილს მოქროლილს, მაგრამ მრისხანედ დგება რუსეთი“ („არტილერიის შტაბთან“).

შ. ამისულაშვილის ლექსის გმირი ქართველი ჯარისკაცია. ეს გმირი თვითონ პოეტია, მაგრამ, როცა მის ლექსებს კითხულობთ („ქაშნიკი“, „წერილი მამას“, „არტილერიის შტაბთან“, „ლაზარეთთან“, „სამნი“, „მარხილები“, „მოვა დრო“, „დღეს არის ჩემი ახალი წელი“, „დაცხრა გრიგალი“), თქვენ ხედავთ საბჭოთა მეომრის ზოგად სახეს. ეს არის განათლებული, შორსმკვრეტელი, ფიქრიანი და ოცნებიანი, ოპტიმისტ-ი. წინდახედული მეომარი, რომელსაც საღხინოდ არ სცალია.

დრო შეიცვალა, ვინ მოიცილის ახლა საღხინოდ,—
დაე, დროებით გადირაზოს მარნის კარები;
ბაღლიც ვერ გასძლებს სამშობლოში დღეს უმახვილოდ
მე როგორ გავძლო მართო სიტყვის ფარიკაობით

(„ქაშნიკი“)

ჯარისკაცი სწორ-ამხანაგთა სისხლის გუბეში სცურავს, მას დასცქერის გაფითრებული მთვარე. საშინელი სურათია. ქარს მუზარადზე სისხლიანი ფრთები დაუღეწია, გაცივებულ ქვასაც კი მოკვვრიან ცრემლს „ვიწრო სანგრებში მდებარე ძვლები“, მაგრამ ჯარისკაცული მაღალი შეგნება სამშობლოსათვის თავდადებისა ნათელი ფერებით გამოსჭვივის პოეტ-ჯარისკაცის სიტყვებში:

სიცოცხლე განა ირმის ბეწვია,
დაიწვას მისი დრო და თარიღი!
არის ხსოვნა და... არის დიდება,
მისწრაფება და ალაღმართლობა...

მ:თი სახელის დასამკვიდრებლად
სამშობლომ გზები გაათართოვა.

(„წერილი მამას“)

პოეტ-ჯარისკაცს სულიერად აკაუებს თავისი ხალხის გმირული ისტორია, ზღაპრად ქცეული მამა-პაპის გმირობა მამულისათვის ბრძოლაში. მას თავისთავი ხან არსენა ჰგონია, ხან ბარათაშვილის აჩრდილი მოსდევს, „ხან ბაგრატივნის ხმალი“ უქირავს, ხანაც მინდიას მკვდარი ჩიტია და მკერდზე სისხლი წვეთ-წვეთად აშრება, შორს ესახება ფერმეწამული მღელვარე მტკვარი, რომელიც „კალ-თებს უკოცნის დიდებულ მესხეთს“ და ა. შ. და ბოლოს ამ „სანახაობას ედება მიჯნა“, ჯარისკაცს ლოცავს ივერიის ვარსკვლავი. ცის დასავალზე ჯანლი გროვდება... ოცნებაში წასულს უცებ მოაგონდება, რომ არტილერიის შტაბს დარაჯობს. აი, რა ფიქრები აქვს ქართველ ჯარისკაცს. აქედან ცხადია, როგორი იქნება მისი სულიერი განწყობა, რასაკვირველია, ჯანსალი და მყარი, მეხვიით მგვრავინავი:

მე ახლა ვაქვს დეკა და დღია
უნდა მეწუერის ძალსა მგვრიდნენ,
ან ყურს ვუგდებდე არაგვის გრიალს,
ან მიუყვებოდე ალაზნის მინდვრებს! —

ამბობს პოეტი მეორე ლექსში „ლაზარეთთან“.

ჯარისკაცის ტკბილი ოცნება ოჯახია. მშობლიური კერა, დედ-მამა, ცოლ-შვილი. ყოველ ჯარისკაცს თვალწინ უდგას მშობლიური ოჯახი და ამ ოჯახის საყვარელი წევრები. შ. ამისულაშვილიც შორს — საქართველოში დარჩენილ ოჯახზე ფიქრობს:

ნეტავი მეც ახლა
მათ შორის ვიყო და
ხილად ჩაედგომოდი
წარსულს და მომავალს.
იქნება ვინმე ოდესმე იტყოდა —
მათ სისხლით დაიცივესო დიდი მამული.

(„სამნი“)

პოეტს ბუდაპეშტის პისადგომებთან, ცხარე ბრძოლების დროს, უნახავს მარხილებში შეებმული ძაღლები, რომლებიც მიაჭროლებდნენ დაჭრილ მეომრებს. მას ფრონტზევე დაუწერია ლექსი „მარხილები“. მარხილზე დაწოლილი დაჭრილი ქართველი ჯარისკაცის მნახველ პოეტს თანამემამულის სიყვარულის დიდი გრძნობა ათქმევინებს:

ძალეზო. ქართველი დაქრლი ვაქაკი
არ დაანებოთ უნგრეთის ღამეს;
ვადამტუღარ ხმალზე ტირის ქარქაში
ღა ვეღარ ითვლის ღუშმანთა გვაგებს.

იჩქარეთ, ძალეზო! სპეტაკმა თითებმა
გადარჩინონ ვაქაკი სიკვდილს..
ღე, კვლავ იყვავიღონ გმირის ფიქრებმა, —
სისხლს ითხოვს სანგრებში დაღვრილი სისხლი!..

„ცხრა მთას იქიღან წამოსული ქართველის“ ფიქრები მღელვარებენ თეიმურაზ ჯანგულაშვილის ლექსებში. პოეტი ამღელვებლად გაღმოგვეცემს ჯარისკაცის ფიქრებსა და განცდებს. ცეცხლმოდებულ, ჩაბნელებულ ცას გაჰყურებს ჯარისკაცი — მის მუხლსა და მაჯაში ძალამ იათა, რადგან „შორს დარჩა თერგი და ღონი“. მაგრამ განა სანღომირის პლაცდარმზე მყოფი ჯარისკაცი სამშობლოსაგან შორს ყოფნით ხარობს? არა! „ცხრამთას იქიღან წამოსულ ქართველს სხვა სიამაყე მინღოღა განა?!“ — ამბობს ჯარისკაცი. რატომ? იმიტომ, რომ სიამაყოა იყო ვაქაკი და სამშობლოს სიყვარულისათვის, მისი სახელისა და თავისუფლებისათვის ასე შორს წახვიღე და მოაახლოვო მტრის დამარცხების ღღე. სასიხარულო ის არის, რომ შორს წასულ გმირს და ისიც ბრძოლის ველზე გმირულად დაცემულს, არ ივიწყებს მშობელი მიწა.

იწვა ჰაბუჯი, ცა მოკრიალე
თავს დაჰყურებღა წმინღა ბროლივით,
უნანავებღა ცელქი ნიავი
მშობელ მიწიღან გაღმოქროლიღი.
(„გმირის სიკვდილი“)

ომში დავაქაკდნენ ქართველი ჰაბუჯები. ისინი პირტიტველები წავიღნენ ფრონტებზე და იქიღან წვერულვაშიანები დაბრუნღნენ, ზოგს არ დასცალღა დაწვერულვაშებღა. თ. ჯანგულაშვილმა ეს ფაქტი შესანიშნავად გამოხატა ლექსში „რამ მოციყვანა“. პოეტ-ჯარისკაცს ფრონტზე გამოეცხადებღა თავისი ბავშვობა: მოვღ, ღმიღლით მომისინჯავს მკერღს და მარჯვენას.

როღი მოვიღა მორიღებით, კრძალვით და კღემით. —
მეომარ ვაქაკს მკლავს მისინჯავს ბავშვობა ჩემი.

თ. ჯანგულაშვილის ლექსებში ყოველთვის სულით მღღიდარო ჯარისკაცი ლაპარაკობს. მისი გმირი ფრონტზეღ, იბრძვის, განიცღდის, ოცნებობს, ფიქრობს შინ დარჩენილ სატროფოზე, ოჯახზე, შვიღზე. ეს ფიქრი ეხმარებღა ბრძოღაში, სიკვდილის დაძღვევაში. მაგრამ „ღარღა

თუ ყეფა ქარის“, მინც განიცდის საყვარელი ადამიანის შორს ყოფნას. ჭარისკაცს სიხარულად სატრფოს ბაზათის „უბრალო ღიმიც“ კი ყოფნის, როგორც „ორცხობილას ნამცეცი ერთი, კიანკველა რომ წაიღებს ზურგიით“.

— მე პოლონეთის შორ მიწაზე ვათენებ ღამეს და ჩემს უბემო დაფართქალებს ღამე ქართულიო („ფიქრები შვილზე“). ჭარისკაცი დგას სანგარში, დეკემბერი ათოვს და თათქოს ისმენს შვილის „აკენის ზარების ზრიალს“.

მე თვალს ვხუჭავ და ძვირფასო. თვალბში გიშზერ,
შევარხევ წამწამს და ირწევა აყვანი შენი.

შვილზე ჭარისკაცის ფიქრის უკეთ გამოხატვა ძნელია.

ქართველმა პოეტებმა გმირას პორტრეტის დასახატავად, მისი ვაყვაცობის სრულყოფილი სურათის გადმოსაცემად გამოიყენეს საზეიმო-სახოტბო ლექსი — ოდა. ამ ნაწარმოებებში ისინი გმირს ან პირდაპირ აქებდნენ ან საერთოდ საზეიმოდ მღეროდნენ მის მამაცობაზე.

სამამულო ომის მრისხანე დღეებშივე სასიმღერო ლექსად იქცა არაკონკრეტულ პირებზე დაწერილი ბევრი ნაწარმოები, რომლებშიც თვით ჭარისკაცი მეტყველებს ან ჭარისკაცზე მეტყველებენ.

არაკონკრეტულ პიროვნებაზე ამღერებულ ლექსებს შორის ყველაზე პოპულარული გახდა გ. ლეონიძის „არ დაიდარდო, დედაო“. მართალია, ეს ლექსი კონკრეტულად ქართველი ჭარისკაცის ლევანის შესახება შექმნილი, მაგრამ რადგანაც ლევანის გვარი უცნობია, ლექსმა ზოგადი სახე მიიღო.

საერთოდ გიორგი ლეონიძე თავისი ლექსის გმირს წარმოგვიდგენს ზოგად ქართველ გმირად — რაინდად. პოეტი მას მამინვე აქცევს საერთო გმირობის, რაინდობის და ვაყვაცობის ჰიპერბოლურ სახედ. გ. ლეონიძემ 1943 წლის ნოემბერში ტამანის ნახევარკუნძულზე ნახა უცნობი ქართველი მეომრის საფლავი, რამაც დააწერინა ლექსი „არ დაიდარდო, დედაო“. გ. ლეონიძე მძაფრად გრძნობს ქართულ სიტყვას და მარჯვედ იყენებს მას ღრმა განცდების გამოსახატავად... „თანამედროვე პოეზიაში ბევრს ვერ ვიპოვით ისეთი წრფელი მღელვარებით თქმულ სტრიქონებს, როგორიც არის „ქართველი დედა“, „არ დაიდარდო, დედაო“ და ბევრი სხვა“. — სამართლიანად წერდა კრიტიკოსი ბესო ყლენტი 1945 წლის მაისში, ომის დამთავრების წინა დღეებში. მაგრამ პოეტი ამ გამარჯვებისათვის ეძებდა სიტყვას, ეძებდა ხერხს, მეთოდს, რათა მკითხველის გულამდე მიეწვდინა ომში დაღუპული ქაბუტის ტკივილი.

ლიმლის ბიქი ვიყავი,
ბეჭვდ არწივი მებატა,
ცხრამეტი წლისა შევსრულდი,
ოცი არ გადამეხადა,
სამშობლოს დროშა მეჭირა,
მტერს ვეცემოდი მებადა

მეტად დიდ, წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს ცხრამეტი წლის კაბუჯის მტრისადმი მებად დაცემის ფაქტის ასე ლამაზად, მიმზიდველად გამოთქმა. ეს გულწრფელი სიტყვები, გმირის საერთო ზოგადი ხასიათის ასე ამაღლეველად გადმოცემა დიდ ეფექტს ახდენს ჩვენი ადამიანის გულსა და გონებაზე:

ვისაც უნდოდა, ქართველი
რომ გამხდარიყო ხიზანი,
დავკარი, ვიყავ მართალი,
ვით ჩემი ტყვიის მიზანი...

ტყვიის მიზანივით მართალი ვაუკაცის ამ ომანთან სიტყვებს მოსდევს მაღალი რეფრენი, ამაღლეველი პათოსით ამღერებული სტრიქონები, რომელიც ხალხური სიტყვიერების შედეგებში პოულობს სათავეს.

ნუ დაიდარდებ, დედაო,
მწარე სიკვდილის სევდასა,
დღეო, გადიდდი, გადიდდი,
შვილი ეყრება დელასა!

ქართველი ვაუკაცი მართო როდი იბრძოდა სამშობლოს დასაცავად: „ცხრა ძმათ მეთედ მიმიღეს, პირზე მაყარეს ვარდები“. ბრძოლის ველზე გმირის დაცემა, ამით გამოწვეული დედის სევდა პოეტმა მრავალფეროვან შედარებებში და ეპითეტებში გვიჩვენა.

არ დაიდარდო, დედაო,
რაც მე სიკვდილით გაწყინე;
მე შენი ძუძუს ნათელი
საქვეწნოდ გამოვაბრწყინე.

მე გაგიხუნე ლეჩაქი,
მაგრამ დაგხურე შექური....

და თუ სამშობლოს დასკირდა, ეს გმირები გამოამტკრევენ საფლავეებს და ხმლით ქართველის მთებზე დადგებიან. ასეთ გმირებს სამშობლო არ დაკარგავს, სულ ეხსომებათ — „სანამდის საქართველოში იწურებოდეს მტევეანი“.

ლექსის სასიმიღერო ხასიათს, ყველა იმ თვისებასთან ერთად,

რაც მას პროეტმა მიანიჭა, განსაზღვრავს მისი ხალხურობა. არ შეიძლება არ დაამახსოვრდეს კაცს სიტყვება:

არ დაიდარლო, დედაო,
ნუ მიეცევი სევდასა.
ღლეო, გადიღლი, გადიღლი.
შეილი ეყრება ღედასა.

„არ დაიდარლო, დედაო“ არის უსახელო გმირზე დაწერილ ერთადერთი სასიმღერო ლექსი სამამულო ომის პოეზიაში, სადაც თვით გმირი მეტყველებს. სამაგიეროდ სასიმღერო ლექსებში უფრო გავრცელებული ფორმა იყო გმირზე მეტყველების ფორმა.

ხალხის გულს დაეუფლა გ. ლეონიძის ლექსი „შინ მოუსვლელო, სადა ხარ“? აქ გამოყენებულია გმირზე მეტყველების ფორმა. პოეტი თვითონ უმღერის გმირს:

თბილისში ვარდი აყვავდა,
შენ სად არჩიე დარჩენა?
ნეტავი წამოგახედა,
მთაწმინდა კიდეე გაჩვენა!

პოეტი ქებას ასხამს ვაჟკაცის გმირობას: „ცეცხლით ნადულარ გრიგალში“ დაეცა „გმირი გულჩქარი“. ვაჟკაცის გმირობაზე მხოლოდ ასეთი ძუნწი ცნობებით დაკმაყოფილდა პოეტი. მაგრამ ეს ცნობებიც საესებით საკმარისია გმირის ვინაობის გასაგებად. პოეტის სხვა სიტყვებში („თვალში გვაკლიხარ. სადა ხარ, შენ ხომ თბილისი გიყვარდა?“ და სხვ.) ისე ძალუმად უღერენ ქართველი ჯარისკაცის გმირობის ამსახველი სინონიმები, რომ სრულიად ნათელია მისი საგმირო საქმეები:

...გმირო, დამხსნელო, ჩვენ შორის
მხესავით განაწილდები, —
რომ უფრო მეტად ნათობდეს
შენი სამშობლოს დიდება,
მზე გმირის ხმაზე მბრწყინავი
არასდროს დაიბინდება.

ასეთი ფორმით ვითარდება აგრეთვე ალ. აბაშელის ლექსი „ღედის წერილი“, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ გმირზე მეტყველებს დედა:

შეილო, სილადეე ღედისა,
ცის შევარდენო მფრინავო!
გულითად სალამს გიგზავნის
ყველა, ვინც დარჩა შინაო.

ეს ლექსი თარიღდება 1941 წლის 4 ივლისით. ამავე რიცხვით თარიღდება ალ. აბაშელის მეორე ლექსი „დედა და შვილი“, რომელიც „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა. ამ ლექსის პირველი სტროფი ასეთია:

სამშობლოს ქვეყნის ძახილზე
საომრად მიგეჩქარება.
არწივის ფრთები შეგასხან
კავკასიონის ქარებმა.

ორივე ლექსი ხუთ-ხუთი სტროფისაგან შედგება და დაწერილია ხალხურ კილოზე.

ალ. აბაშელის მიერ დიდი სამამულო ომის თემაზე დაწერილი ლექსებიდან პირველად „დედის წერილი“ იმღერა ქართველმა ხალხმა. ხალხმა თავის სასიმღერო რეპერტუარში „დედა და შვილიც“ შეიტანა, მაგრამ უპირატესობა მიანიც „დედის წერილს“ ერგო, ალბათ იმიტომ, რომ ეს ლექსი უფრო სხარტად და მუსიკალურად იყო დაწერილი. „დედა და შვილში“ ვკითხულობთ:

შენ იქსისხს დღერი, მე ოფლად
აქ დავეფრქვევი ყანასა,
დღეს ეს ორივე თანაბრად
სკირდება ჩვენს ქვეყანასა.

ალ. აბაშელს საერთოდ ხალხურ კილოზე ბევრი ლექსი აქვს დაწერილი. პოეზიის ხალხურობა აბაშელისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ამ მხრივ დამახასიათებელია, მაგალითად, მისი ლექსი „ხევსური ტანკისტი“.

ხალხში მეტად პოპულარული გახდა კარლო კალაძის ლექსი „თამარ-ქალის სიმღერა“. ეს ლექსი დაიბეჭდა 1942 წელს. ამ ლექსს განსაკუთრებული წარმატება ხვდა საქართველოს მწერალთა კავშირში გამართული ქართული სასიმღერო ლექსის საღამოზე 1944 წლის 14 თებერვალს.

ომის მძიმე დღეებში ხალხი მღეროდა ილო მოსაშვილის ლექსს „შვილო, სამშობლო გეძახის“. ეს ლექსი დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტის“ სააგიტაციო ფურცლის 1941 წლის 10 ივლისის ნომერში. ეს იყო მეორე ლექსი არაკონკრეტულ პიროვნებაზე დაწერილ ლექსთა შორის, რომელიც ხალხმა სიმღერად აქცია. ეს ლექსი და ა. აბაშელის „დედის წერილი“ თითქმის ერთდროულად აამღერა ხალხმა:

წადი, ქვეყანა გეძახის
და დედის გული გაცილებს:

ასი რომ გქონდეს სიტოცხლე,
სამშობლოს გაუნაწილე!

ასეთი სადა, დედის მიერ შვილისათვის ანდერძივით დაბარებული სიტყვებით გააკაშკაშა პოეტმა ლექსის ყველა სტრიქონი, რამაც მომხიბლავი გახადა იგი.

ომის დღეებში იმღერებოდა აგრეთვე ალ. შანიძის ლექსი „მებრძოლის სიმღერა“.

ვის არ ახსოვს ალიო მირცხულავას ჯერ კიდევ 1939 წელს დაწერილი სასიმღერო ლექსის სტრიქონები:

ჩვენ ვართ ხალხის შვილები,
ვდგავართ ქვეყნის დარაჯად,
ჩვენი მეგობრებია
შაშხანა და ფარაჯა.

ასე, რომ ქართულ სასიმღერო ლირიკას, შექმნილს გმირობისა და მამაცობის ფონზე, ერთი დღის ისტორია როდი ჰქონდა. მაგრამ მთელი სიძლიერით იგი მხოლოდ დიდი სამამულო ომის დროს გამოვლინდა. ამ სიმღერებმა თავის დროზე დიდი პატრიოტული საქმე გააკეთეს.

ქართულ ღერძა სალიტერატურო

ჩვენი მწერლობის ერთ-ერთ უაღრესად საპატიო თემას ყოველთვის წარმოადგენდა ქართველი ქალის საამაყო სახის დახატვა. ქართული ლიტერატურის კორიფეებმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა, ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა არა ერთი და ორი ლექსი, პოემა და პროზაული ნაწარმოები მიუძღვნეს ამ თემას და ქართველი ხალხის გულში უფრო გააღრმავეს და გააღვივეს ქართველი დედისადმი სიყვარულისა და პატივისცემის დიდი გრძობა. ნ. ბარათაშვილმა „ბედი ქართლისაში“, ი. ჭავჭავაძემ „ოთარანთ ქვრივში“, აკ. წერეთელმა „ნათელაში“ განუმეორებელი სიდიადით დახატეს ბრძოლასა და შრომაში გამოწრთობილი, ცხოვრების ტვირთით დამძიმებული, მაგრამ წინდახედული და დაულაღვი ქართველი დედების უბრწყინვალესი სახეები. ქალის უუფლებობათა, დამონებისა და ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლა. პატიოსანი შრომით მოპოვებული ბედნიერება, აი, რა იყო ძირითადი, რითაც საზრდოობდა ქართველი დედის შესახებ შექმნილი მხატვრული ქმნილებები.

მაგრამ მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან სულ სხვა მიმართულება მიეცა ამ თემაზე მუშაობას, აბსოლუტურად შეიცვალა მისი ხასიათი. ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შედეგად განთავისუფლებული და უფლებრივად მამაკაცთან გათანასწორებული ქალი, როგორც სრულუფლებიანი მოქალაქე, ახალ ხანაში ახალ საქმეებს ჰქმნიდა და ახალ ცხოვრებას აშენებდა.

დიდმა სამამულო ომმა ქალის ცხოვრებაში უცებ შეცვალა სამოქმედო ასპარეზი. ახლა მისი ზრუნვის პირველი საგანი გახდა სამშობლოს დაცვის სამსახური. იგი ხშირად მამაკაცების მხარდამხარ მტერთან პირისპირ მდგარი, წინაპარ დედათა მსგავსად, სანკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ებმებოდა და სიცოცხლეს სწირავდა საყვარელ სამშობლოს.

დიდმა სამამულო ომმა მთელი სიცხადით დაგვეანახვა საბჭოთა ქალის, საარაკო გმირების ამ აღმზრდელი დედის, უშიშარი მეომრის ღირსეული მეუღლის, ზურგის თავდადებული მშრომელისა და ომში შეუპოვარი მებრძოლის ბრწყინვალე სახე.

ჩვენი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს მამაცი რუსი ქალიშვილის ზოია კოსმოდემიანსკაიას უკვდავ სახელს. მან დიდების შარავანდედით შემოსა საბჭოთა პარტიოტი ქალის სახელოვანი გზა. ზოიამაც გაიზიარა უნივერსალური ბედი. ამ შესანიშნავი რუსი გოგონას საარაკო გმირობაზე მოგვითხრობს იოსებ ნონეშვილის ლექსი „სიმღერა ზოია კოსმოდემიანსკაიაზე“.

გვითხარ, თუ გსურს აიცილო,
სახრჩობელა მაღალი,
პარტიზანო ქალიშვილო,
ატამანი სად არის?

გაიფანტა უფრო მძლავრი
გრგვინვა ცოდან ნაქუხი,
— მე ვარ თვითონ ატამანი —
იყო შენი პასუხი.

ჩვენი სამშობლო არასოდეს არ დაივიწყებს ლიზა ჩაიკინას, რომელსაც ზოია კოსმოდემიანსკაიას მსგავსად წილად ხვდა მოწამებრივი თავდადება სამშობლოსათვის.

გმირობისა და მამაცობის დიდებით მოსილი სახელი დასტოვა კომკავშირელმა გოგონამ ზოია რუხაძემ. იგი იყო სიმფეროპოლის ერთ-ერთი იატაკქვეშა ჯგუფის აქტიური მონაწილე. ზოია რუხაძე ლიდა ტროფიმენკოს და თამარ გალანინასთან ერთად აერცვლებოდა სააგიტაციო ფურცლებს ქუჩებში.

ზოია რუხაძე გესტაპოელებმა სიმფეროპოლის განთავისუფლებამდე სამი დღით ადრე, ხანგრძლივი წამების შემდეგ საშინლად დასახიჩრებული, ცოცხალმკვდარი. ღრმა ქაში ჩააგდეს. ზოიამ ვაკაცურად გადაიტანა მთელი წამება, ისე რომ, ამხანაგები არ გაუცია.

პოეტმა ი. ნონეშვილმა ზოია რუხაძის გმირობაზე 1951 წელს დაწერა პოემა „ამბავი ერთი ქალიშვილისა“.

ზოია რუხაძის ვაკაცური სიკვდილიდან ერთი წლის შემდეგ — 1945 წლის 25 აპრილს გერმანიის ტერიტორიაზე გმირულად დაიღუპა მამაცი ქართველი ქალიშვილი თინა იოსებიძე.

ზოია რუხაძისა და თინა იოსებიძისადმი მიძღვნილი მრავალი სტატია, მხატვრული ნარკვევი, პოემა, ლექსი დაიწერა.

დიდი ქართველი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი შენატროდა მამულის დამცველი გმირების აღმზრდელ ძველ ქალებს: „რა იქ-

ნებოდა. ჩვენთა დედათა სულიცა თქვენი გამოყოლოდათ“. ილია ჭავჭავაძის პოემის — „ქართლის დედას“ გმირი დედა ერთადერთ შვილს გზავნის ბრძოლის ველზე ამ სიტყვებით: „აჰა, ამ დღისთვის გაგიზარდე, მამულო, შვილი, სიცოცხლე მივეც, რომ შეიძლოს შენთვის სიკვდილი“.

ნ. ბარათაშვილმა და ი. ჭავჭავაძემ ოცნებით წარმოიდგინეს გმირი დედები. მაგრამ საბჭოთა ეპოქაში ამაზე უკვე ოცნება არ იყო საჭირო. ჩვენმა სოციალისტურმა სამშობლომ წარმოშვა გმირი დედა. საბჭოთა ქვეყნის უდიდესმა მწერალმა მაქსიმ გორკიმ არა მარტო მყოფადში, არამედ თავის აწმყოში, თავის თანადროულ რევოლუციურ სინამდვილეში დაინახა ნილოვნას მომხიბვლელი სახე, დაინახა რევოლუციონერი შვილების დედა, რომელიც შვილებთან ერთად იბრძვის და მათთან ერთად ინაწილებს რევოლუციური ბრძოლის სიძნელეს, განსაცდელს და საშიშროებას. „გორკის „დედა“, — წერდა თავის მოწინავე წერილში გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ (1942 წ. 8. II), — არის შთამაგონებელი საბჭოთა ქალებისა, ჩვენი დედებისა და ჩვენი ქალიშვილებისა, რომელნიც ბრძოლისაკენ გზას ულოცავენ თავიანთ შვილებს, თავიანთ ძმებს, თავიანთ ქმრებს, უღრმესი სიყვარულით აკაყებენ მათ ვაჟაცობას, თავდადებული შრომით მოუწოდებენ მტრებზე შურისძიებისაკენ ჩვენი მამულის გათელვისათვის, ჩვენი ღირსების შეურაცხყოფისათვის“.

ამავე წერილში დიდ გადაუხდელ ვალად იყო მიჩნეული საბჭოთა მწერლობისადმი ჩვენი ქვეყნის დედისა და ქალიშვილის სახის მხატვრულ სიტყვაში გამოსახვა. საბჭოთა მწერალი თვითონ გახდა მოწმე მათი იშვიათი შრომითი სიმამაცისა და საბრძოლო გმირობისა, ამიტომ საჭირო შეიქნა აესახა ისინი თავის ნაწარმოებებში იმ სიღიადით, როგორითაც სინამდვილეში მოგვევლინენ. „საბჭოთა მწერლობა გადაიხდის ამ ვალს, — ვკითხულობთ წერილში, — ჩვენს სინამდვილეში მას ჰყავს მრავალი პროტოტიპი, რომელიც საფუძვლად დაედება საბჭოთა ქალის ისეთი განზოგადოებელი სახის შექმნას, რომელიც მუდამ დარჩება მომავალი კაცობრიობის მოსაგონებლად, დაუეიწყარ სახედ. საბჭოთა მწერალი მთელ თავის ენთუზიაზმს, მთელ თავის გულისთქმას გამოხატავს საბჭოთა ქალის სახეში, რადგან არც ერთი ეპოქის მწერალს არ ჰყოლია ისეთი ახლობელი და მშობლიური გმირი, როგორიც საბჭოთა მწერლისათვის არის სამამულო ომის ფრონტზე მებრძოლი საბჭოთა პატრიოტი ქალი“.

მაგრამ განა მართო ბრჭოლის ველზე? ჰუმმარიტ პატრიოტობას გვიჩვენებდნენ ქართველი ქალები შრომის ფრონტზეც. ისინი მუშაობდნენ საოროტქმავლო დეპოს მემანქანებად, მემალარობად, ტრაქტორისტებად, ხარატებად, ზეინკლებად და მრავალ სხვა პროფესიის ოსტატებად.

ქართველი მწერლები ერთნაირად იყვნენ ვალდებულნი, აესახათ მხატვრულ სიტყვაში საბჭოთა ქართველი ქალების გმირობის ის ფაქტები, რომლებიც ხდებოდა ფრონტზე და ზურგში ჰიტლერულ გერმანიასთან უსასტიკესი ბრძოლების დროს, მაგრამ სამწუხაროდ, ქართველი მწერლები ვალში დარჩნენ ქართველი მამაცი ქალების წინაშე.

ქართველი ქალის სახე უფრო მეტად ქართულ პოეზიაში აისახა.

ცნობილი ქართველი პოეტების გ. ტაბიძის, ს. ჩიქოვანის, გ. ლეონიძის, ი. გრიშაშვილის, ი. მოსაშვილის, კ. კალაძის, ალ. აბაშელის, ს. შანშიაშვილის, რ. გვეტაძის, ა. შენგელიას, ი. ნოშვილის, რ. მარგიანის, შ. ამისულაშვილის პოემებსა და ლექსებში დიდი სიყვარულითა და პატივისცემის გრძნობით არის ასახული ქართველი დედის, საერთოდ ქართველი ქალის მეომრული სულისკვეთება, მისი გმირობის, ბრძოლასა და შრომაში უმაგალითო თავდადების ფაქტები, ტიპიური ქართველი ქალების დამახასიათებელი და დასამახსოვრებელი ნათელი სახეები.

საქართველოს სახალხო პოეტმა გალაკტიონ ტაბიძემ, რომელმაც დიდი სამამულო ომის დროს მრავალი შესანიშნავი ლექსი შექმნა ომის თემაზე, ქართველი დედის სახეც მრავლისმეტყველი ფერებით დაგვიხატა. პოეტი ქართველ ქალსა და კაცში ერთნაირ ძალას, ერთნაირ შემართებას ხედავს. ცნობილ ლექსში „სულ არ ვივლი ამ ქვეყანას“ პოეტი ამბობს: „სიამაყით რომ არ ვგრძნობდე, მამის ხმალს და დედის ნანას, სულ არ ვივლი ამ ქვეყანას“. სწორედ მამის ხმალმა და დედის ნანამ დაავაყუაცეს ახალგაზრდები საქულველი მტრის წინააღმდეგ სასტიკი ომისათვის.

პატრიოტი საბჭოთა ქართველი ქალის მიმზიდველი სახე დაგვიხატა გ. ტაბიძემ სიუჟეტთან ლექსში „ელგუჯას დაბრუნება“. ომიდან მოულოდნელად შინ დაბრუნებულ ელგუჯას სიყვარულით ხვდება ერთგული ცოლი ევა. შეხვედრის სურათს პოეტი ძუნწად ხატავს, მხოლოდ ორიოდ სიტყვით გვაცნობს ქალის სისპეტაკეს. „ელგუჯა, შენა?“ მხოლოდ ამ სიტყვებით ჩავვახედა პოეტმა საბჭოთა ქალის სულში. მკითხველი მაშინვე მიხვდება, რა შინაარსია ჩადებული ამ ორ სიტყვაში.

გიორგი ლეონიძე ქართველ ქალში ხედავდა „საქართველოს

კერის მცველს“ და როგორც „უკვდავი წყარო“ არ დაშრება, არც გმირ ქართველ ქალთა სიმრავლე დაშრებაო. ქართველი ქალი, გ. ლეონიძის აზრით. არის „მშრომელი და მხნე, გამრჩელი, გმირთა მზრდელი, გამწაფველი“. ამ ქალებს — მზეონასა და თვალმაისას „ძველ დედათა მადლი მოსდგამთ“. ისინი შრომით, ოჯახით ახარებენ სამშობლოს („საახალწლო მილოცვა ჩვენს ქალებს“).

თავისუფლება, რაც ქართველ ქალს საბჭოთა ხელისუფლებამ მიანიჭა, ცრემლითა და სისხლითაა მოპოვებული. პოეტმა საქართველოს მუზეუმში ნახა ქეთევან დედოფლის ტყვეობაში ნაქონი ხელნაწერი ლოცვანი. წიგნის ფურცლებს დღესაც ატყეია ცრემლის ლაქები და ერთგან სისხლის ნაწვეთით, — წერს გ. ლეონიძე ლექსის „ქეთევანის წიგნის“ ეპიგრამაში. პოეტმა იცის, ვინც არის ამ წიგნის პატრონი.

ამ წიგნზე თვალთა გიშრების
ყოველი დაწამწამება
ფიქრით იწვოდა, ვით ზიდოს
მან მომავალი წამება.

ბედმა გვიან გაუღიმა ქართველ ქალს, მაგრამ, სამაგიეროდ, ერთხელ და სამუდამოდ მოედო ბოლო მის ტანჯვას. ჩვენს ვაჟკაცებს ცხარე ბრძოლაში „თავისუფლების ვეფხვთა დედების“ სახე მიუძღვოდათ წინ.

მათი სახელი იქა სწერია,
სადაც გამოჩნდა ყველა რჩეული,
ლენინის დროშით ალაშქრებული,
გმირად ნათქვამი და მიჩნეული!
(„ქართველ ქალს“)

ქართველი მეომრები, რომელთაც თავზე გადასდიოდათ „სიკვდილის ცეცხლი გადაყვილით“, შეურყეველი გულით დგებოდნენ ამ ცეცხლში, რადგან გზას გმირი დედების ღიმილი უნათებდათ. ქართველი დედა გულმდუღარებით დამღეროდა აკვანს და ხან ცხრა კუბოს დაჰქვითინებდა, მაგრამ მის „ამაყ, არწიველ სახეს მონათებდა დახსნის იმედი“. იგი ახალი წლისათვის ბავშვებს უცხოვდა „პურის ხმლებს, შუბებს და შვილდ-ისარსა“. და თავისი რძის ძალით გამოზრდილები რომ მხედრებად დაეწროთ, „ომში წამავალთ ხმლის ტარზე ლეჩაქს უხვევდა ვალის მოსაგონებლად“.

ღიდი სამამულო ომის დროს გაასკეცებული ძალით ცოცხლობდა წინაპარ დედათა წმინდა ანდერძი — „დედის ძუძუთი გადაცემული“, ამიტომ იყო, რომ არავის ენახა მათი შვილები „გამოქცეული ან დაცემული“.

ქართველი დედის თემას ეხება აგრეთვე, ჩვენს მიერ ადრე განხილული გ. ლეონიძის ბრწყინვალე ლექსი „არ დაიღარდო, დედაო!“

ქართველი დედის სწორუპოვარი პატიოსნება, სინდისი, მამაცობა, სამშობლოს ღრმა პატრიოტიზმი სიმონ ჩიქოვანის მრავალ ლექსში არის ამეტყველებული. მისი „ქართლის დედა“, „თავსაფარი“, „საფლავის ქვასთან“, „ქართველი დედა“. „მე ვიყავ შენი ვაჟი გულადი“ კომპოზიციურად საინტერესოდ შეკრული ერთი მთლიანი სიმღერაა ქართველ დედაზე — ჩვენს თანამედროვესა თუ წინაპარზე.

ცხრა ძე ჰყავდა. ცხრა ვაჟაკი დედას.
მოკაზმული ხმლით და მუზარადით.
ქართლის დროშა დაულოცა მხედართ,
როს დაგვესხა მტერი მუხანათი.—

ამ ბრწყინვალე სტროფით იწყება ლექსი „ქართველი დედა“ და იგი ბოლომდე შეუნელებელი ინტერესით იკითხება.

ეს ლექსი 1942 წელს. კავკასიისათვის ცხარე ბრძოლების ეპოს არის დაწერილი. ეს მრისხანე ეპი მძლავრად იგრძნობა ლექსის შემდეგ სტრიქონებში:

წამომდგარი ლეჩაქს გადმოსვრის,
გორის ციხით ახლაც უხმობს მხედარს:
— მამულისთვის, ბრძოლა მამულისთვის!—
ქარში რეჟავს საქართველოს დედა.

ქართველ ვაჟაკებს დედის ხმა ესმოდათ სასტიკ ბრძოლაში. ლექსში „მე ვიყავ შენი ვაჟი გულადი“ გმირი ვაჟაკი დედას მიმართავს:

სიკვდილს მოქნეულ მარჯვენით ვკლავდი
და ყანის მთესველს ბრძოლაში ვგავდი.

დაჭრილი ვაჟაკი დედის იმედით, მასზე ფიქრით სულდგმულობს და ასეთ ყოფაში მას მკერდზე აცვივა მუხის ფოთლები, ისევ სიცოცხლეს უნერგავს მწუხრი, სტკივა, მაგრამ არ კვნესის. მამულს შეაღია ძალ-ღონე და დედასაც გააგონა გულისთქმა. გმირი თხოვს დედას — შეფუთნოს მისი ხმა სადმე, რომ აპრილამდე მის გულში გათბეს. მუხის შრიალი ესმოდეს ღამეც „და მოშუშდება კრილობა მალეო“. დედის სიყვარული შვილისადმი და, პირიქით, შვილის სიყვარული დედისადმი ასე დამაჭერებლად და ამადელვებლად დახატა სიმონ ჩიქოვანმა ამ ლექსში.

ქართველი დედის სახის გადმოცემა ქართული პოეზიის საგანი

გახდა. ამ თემას მიუძღვნეს თავიანთი ლექსები და ბალადები ომის პირველსავე დღეებში ჩვენმა პოეტებმა.

პირველი მოწოდებითი ხასიათის ლექსი ამ თემაზე ი. გრიშაშვილს ეკუთვნის. ლექსში „ჩვენს დებს და დედებს“, რომელიც 1941 წლის ივლისში გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა, ქართველი დედებისადმი მგზნებარე მოწოდებით იწყება და ასევე მთავრდება.

ომში წასულთა დედებს, ცოლებსა და დებს პოეტი მიმართავს. დიდი პატრიოტული ალტკინებით: „დროშად აჰყეცეთ თქვენი მანდილი და გაშლილ ყანებს მოედეთ რგოლადო“. ომიდან დაბრუნებულმა ვაჟკაცებმა იგრძნონ, რომ გმირები აქაც გვყოლია, „რომ ქალი ვაჟის თანატოლია“. პოეტი ერთგვარ ისტორიულ ექსკურსს აკეთებს და ამბობს:

იყავით მტკიცე გარეთ თუ შიგნით, —
ამას გვავალებს ჩვენი წარსული,
ამას ღალატებს ამონაქვსული
„ქართლის ცხოვრების“ ძვირფასი წიგნი.

მხდალი და დავარდნილი კაცი ქართველ ქალს დიაცად მიაჩნდა. კაცმა და ქალმა ერთად უნდა ვიფიქროთ ბრძოლის საგანზეო, ასეთია პოეტის აზრი.

ავასრულებდეთ შოთას დანაბარს:
დაეცხოთი დავარტყათი ერთადი თანაბარ!

ზურგისა და ფრონტის მტკიცე კავშირზეა დაწერილი გრიშაშვილის „ბალადა ხელმანდილზე“, დამაკავშირებელი რგოლი კი ქალია, რომელიც ზურგში მამაცურად იბრძვის ომში წასულ ვაჟკაცთა გასამხნეებლად.

პოეტმა ალ. აბაშელმა დედის თემას მიუძღვნა ორი შესანიშნავი ლექსი „დედა და შვილი“ და „დედის წერილი“. პირველში დაბატულია პატრიოტი დედის შრომითი საქმიანობა ზურგში. „შენ წახვალ, მე აქ დავრჩები, ქვეყანას აქვე ვვირდები, შენ იქ სისხლს დაღვრი, მე ოფლად აქ დავეფრქვევი ყანასა, დღეს ეს ორივე თანაბრად სჭირდება ჩვენს ქვეყანასა“, — მიმართავს დედა ფრონტელ ვაჟკაცს. დედას სჯერა, რომ შვილი მშვიდობით დაუბრუნდება. ასეთი მაღალი ოპტიმიზმით არის აღსავსე დედის ფიქრი და გონება.

აღსანიშნავია სანდრო შანშიაშვილის ბალადა — „ქართველი დედა“, რომელიც ომის პირველ დღეებში დაიბეჭდა. იგი მოგვითხრობს მტრის უეცარ თავდასხმას საქართველოზე. ქართველი ხალხი ელვის უმალ დადგა ფეხზე ერეკლეს მოწოდებაზე: „მოდიო, შვილებო, ვაჟკაცებო, მოგროვდით ჩემთან“.

ლექსის ეპიკურმა ხასიათმა, მისმა ნათელმა და მიმზიდველმა სიუჟეტმა განაპირობა ამ ნაწარმოების წარმატება.

შანშიაშვილის მეორე პოეტური ნაწარმოები აღნიშნულ თემაზე — „დედავ, მე ერთი წაგიველ“ დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, 1946 წელს გამოქვეყნდა.

ეს თარიღები საინტერესო იმით არის, რომ პოეტმა ერთმანეთს დაუპირისპირა 1941 წლის ივლისში დაწერილი ბალადა „ქართველი დედა“ და 1946 წელს დაწერილი ლექსი „დედავ, მე ერთი წაგიველ“.

„ქართველ დედაში“ პოეტმა სიუჟეტი ისე განავითარა, რომ მოქმედება პირმა საცოლვე მისივე რჩევით დატოვა, ომში წავიდა და იქიდან არ დაბრუნებულა, ხოლო ლექსში „დედავ, მე ერთი წაგიველ“ ვაჟკაცი ომიდან ბრუნდება და თან მოყავს „ქერთაშიანა ლამაზი“. ეს იყო ცოლი ქართველი ვაჟკაცისა.

ს. შანშიაშვილმა ზურგისა და ფრონტის ფონზე გაშალა სიუჟეტი პოემისა — „დედა მარინე“. მისი მოკლე, შინაარსი ასეთია. დედა მარინეს ჰყავს ორი ვაჟიშვილი ტარია და თანდილა. იგი თავისი ქცევითა და ხასიათით ოთარაანთ ქვრივს წააგავს: სძულს უქნარა და უღარდელი კაცი, უყვარს გამრჯე და სამშობლოს, ხალხის ერთგული ადამიანები, რომელთაც სიცოცხლე არ შეშურდებათ ხალხის საკეთილდღეოდ. ტარიას ციალა უყვარს და კიდევაც დანიშნავს, მაგრამ ომმა შეუკვეცა ფრთა მათს ბედნიერებას. ტარია ომში დაიღუპა. მისი ძმა თანდილა სამამულო ომის გმირი გახდა. დედა მარინე გაახარა თანდილას გმირობამ. ტარიას დაღუპვამ კი დიდად დაამწუხარა, „მაგრამ მწარე ბედს ის არ ჩიოდა!“ ამ სიტყვებით ამთავრებს პოეტი ამ პოემას.

დედა მარინეს სახით შანშიაშვილმა დახატა სამშობლოს პატრიოტი ქართველი დედის ნათელი სახე. მის ხასიათში გაერთიანებულია ყველა დედის გრძნობები და განცდები. სამშობლოს სიყვარულის იდეა აცისკროვნებს ამ პოემას თავიდან ბოლომდე და ეს იდეა შემკულია მარინეს პიროვნებით. მარინე ტარიას საცოლეს ციალას ამხნევებს:

ჩემი ტარია განა მკვდარია?
შენ შემოგველე, ჩემო ციალა,
არ გამაგონო მე მასზე გლოვა.

ციალა ვერ ურიგდება ტარიას სიკვდილს. მისი იმედის ვარდები შეიცვალა გლოვად, რადგან ტარია ვერ ჩაიცვამდა კოხტა ჩოხას. მასთან ვერ მოვიდოდა. მას აღარ უნდა სიცოცხლე უიმისოდ. „მეაშწამიყვით, იქ დამმარხეთ, მასთან მიწას მიმბარეთ“. — ტირილით

მოქვეამდა ციალა. „ჩემს სიცოცხლეს მას მიეცემდი, ჩავუღამდი თვალში ნათელს“, — გულდამდულრებით ამბობდა იგი.

პოეტმა პოემაში მკვეთრად გამოკვეთა დედა მარინეს ხასიათი. მარინე აგროვებს ჭარში გასაგზავნ საჩუქრებს, შრომობს, საზოგადოებაში ჩანს, როგორც მაღალგონიერი ქალი.

ქართველი ქალის სახის გადმოცემას მიუძღვნა რ. გვეტაძემ პოემა „ლელა“. დნეპრისპირა ქალაქში ერთმანეთს ეცნობიან უკრაინელი პავლო და ქართველი ლელა. პავლოს და ლელას ერთმანეთი უყვართ. მტრის მოულოდნელი თავდასხმის გამო ისინი ქალაქგარედ გადიან და ტყეს აფარებენ თავს. მაგრამ იქ ისინი ომის ორმოტრიალში ერთმანეთს კარგავენ. ლელა მტრების ხელში ჩავარდა და სიკვდილის მსხვერპლი გახდა. პავლო დაბომბვის დროს იღუპება. ლელას მამა მოძებნის მათს გვამებს და ერთ სამარეში ჩადებს, ხოლო ლელას საყვარელ ჩონგურს, რომელიც თან ჰქონდათ ლელასა და პავლოს, იქვე ხეზე ფარივით ჩამოყიდებს.

ასეთია ამ პოემის სიუჟეტი. პოემას ნაჩქარეობის დალი აზის და საკმარისად ვერ გადმოგვემს გმირის ხასიათს. მიუხედავად ამისა, ეს პოემა, როგორც სამამულო ომზე ფართო ეპიკური ნაწარმოების შექმნის პირველი ცდა, ავტორის დიდი დამსახურება იყო.

ქართველი ქალის, ქართველი დედის სახე სრულყოფილად გვიჩვენა პოეტმა ილო მოსაშვილმა ლექსების ციკლში „მისი ბარათი“ და ლექსში „შვილო, სამშობლო გეძახის“.

„მისი ბარათი“ არა მარტო ილო მოსაშვილის ლირიკის, არამედ საერთოდ ქართული ლირიკის მიღწევად ითვლება ომისდროინდელ ქართულ პოეზიაში. მასში დიდი ოსტატობით არის გახსნილი ფრონტელის ცოლის, ღრმა ზურგში მომუშავე ქართველი ქალის მართალი სახე. დარდი, რაც ქალს ომის დროს აწუხებდა, მრავალმხრივი იყო. მას ადარდებდა ოჯახი, კერას მოშორებული შვილი, ქმარი თუ სატრფო, მამა თუ სხვა ახლო ნათესავი, მაგრამ ეს სევდა ოპტიმიზმის, გამარჯვების რწმენით იყო სავსე.

ქართველი ქალისათვის „გულნაკლული და მზეუნახველი“ იყო ყოველი დღე, როცა იგი ვერ ხედავდა მეომარ ვაჟკაცს, ოჯახის ბურჯს, სიხარულს, იმედს. მისთვის „ძაფზე ასხმული ორშაბათები“, რომლებიც უფოსტალიონოდ თენდებოდა, დარდის, მწუხარების მომტანია მხოლოდ. მაგრამ ქალის ოცნებაში მაინც არ ჰქრება ბარათის მოსვლის იმედი.

მოე! გაალებს დღესაც, ღამესაც,
ქსელავს ობობა — უტყუი მთხრობელი,
ძაფი გაუწყდა და ზედ დამეცა
ჩემი პატარა მახარობელი.

ქალმა გუთანს კამეჩი შეუბა, ქმრის მაგურ მან თქვა გუთნი-
დედური. გზაში რომ მიდის — ქმრის გზას გაჰყურებს, თონეს
აანთებს — მისთვის ახურებს.

ჩამოხვალ,—ნახავ. შენს კაცურ საქმეს
ჩემი მანდილით მეც ვეშახურე!

მაგრამ იგი მაინც ქალია. გუშინ ბაღს რომ ბარავდა, ბურანმა
წაიღო... „ქვილ-ხვილით მერცხლებს მოჰქონდათ შენი ბარათი“;—
მიმართავს იგი ომში მყოფ ქმარს. ნამდვილი, ადამიანური, მარ-
თალი სტრიქონებია.

საბოლოოდ ქალი მაინც იმ იმედით სუნთქავს, რომ ბარათი
მოვა. ბარათი მართლაც მოვიდა. ოცნების ბურანი გაჰქრა, გაჩნდა
პირველი ნუგეში.

ასე სცოდნია, სული სულს ეძებს,
დაკარგავ მას და მაინც იპოვნი...
წამლად მიჰქონდათ ნაღვლიან დედებს
შენი ბარათის თითო სტრიქონი.

ქალს სჯერა, რომ „მოვა გპირი და საყვარელ მიწას გუთნის
პირივით მოეკიდება!“ მალე დაყუჩდება დღეებდათვლილი სევდა.
გამარჯვება მალე იქნება.

ეს დღეც ახლა, თუმცა ვიწუხებთ,
ბევრი დარდითაც შევივრცხლებით,
მაგრამ ადარი გადაიქუხებს, —
თქვენთანაც მოვლენ ჩემი მერცხლები!

ასე მთავრდება ილო მოსაშვილის ლექსების ციკლი „მისი ბა-
რათი“. ეს ციკლი დაიწერა 1944 წელს. ერთი წლის შემდეგ მარ-
თლაც ბევრს დაუბრუნდა შვილი, ქმარი, სატრფო, მაგრამ ბევრი
ბრძოლის ველზე გამირული სიკვდილით დაეცა, სამუდამოდ იქ ჰპო-
ვა ბინა. მოსაშვილმა, როგორც პოეტმა, შესანიშნავად მოიხადა
თავისი მოვალეობა: მკითხველის გულში ალაგზნო მისწრაფება გა-
მარჯვებისაკენ, მართალი ფერებით დახატა ომის შედეგად გამოწ-
ვეული განცდები ქართველი ქალისა.

ქალისადმი პატივისცემისა და სიყვარულის დიდმა გრძნობამ,
მასზე იღუმალმა თუ აშკარა ფიქრმა მრავალი ვაჟკაცის ხმალს მო-
უხვეჭა სახელი და პატივი.

და მახსოვს: მტკვარსაც კმატებდა ხალისს,
რომ აჩნდა ლანდი ყელმალისა,
მეც იმ წუთივით მიმალულ ხალის
ძებნამ მაიდურად გამახალისა...

და მახსოვს წუთი სურვილთა მალვის.
ტალღათა ღელვა, სუნთქვა ქარისა...
შრიალით კრთოდა ხან ჩრდილი ალვის,
ხან თვითონ ალვისტანი ქალისა!

ასე წარმოადგენინა პოეტმა კარლო კალაძემ ლექსის — „მტკვრის სანაპიროზე“ ლირიკულ გმირს ქალისადმი ტრფიალი და დიდი თავყვანისცემა, მისთვის თავდადებისა და ერთგულების გრძნობა. იგი „იღუმალ თრთოლვით“ გამხელილ სურვილს თითების; სიყვარულით გრძნობდა, თითებისა, რომელთაც საბედისწერო წუთივით შევნით „ბადე წვრილთვალა ხელთათმანისა“.

მინახავს თქვენი აფართქალბა
მე ალალ-ბედად ნაქსოვ ლექსითაც...
გიჰერთ, ფატმანი არ მებრალბა
და თევზებსავით გკლავთ ალერსითა...

ასე აქვს პოეტურად გააზრებული კარლო კალაძეს ქალისადმი ტრფიალი ლექსში „ფატმანის თითებს“. მაგრამ პოეტურ გააზრებას მაშინ აქვს ფასი, როცა იგი შიშველ სიტყვებს არ ეყრდნობა, არამედ მასში ხატავს რაღაც იდეალურს, მიმზიდველს, შინაარსიანს, გამიზნულს. ქალის თითების ალერსი მხოლოდ შიშველი ნატურალიზმია და სხვა მეტი არაფერი. სწორედ ასეთ შთაბეჭდილებას სტოვებს მოყვანილი ლექსები. ამგვარი უიდეო ლირიკული აღსარება ვის ესაქიროებოდა ომის დროს, მით უმეტეს მაშინ. როცა კავკასია ცეცხლის რკალში იყო მომწყვდეული და საქართველოს საფრთხე ემუქრებოდა. მაგრამ, საბედნიეროდ, ასეთი ბუნდოვანი პოეტური წარმოსახვა არ დარჩენილა კ. კალაძის შემოქმედების მრწამსად. ლექსები „თამარის ოცნება“, „ღები“, „თამარქალის სიმღერა“, „სიყვარულის და სიმღერის დრო არის“, „დათოვლილი თრიალეთი მოვიგონოთ“ პოეტმა საკმაოდ გამართულად დაწერა. ლექსშიც „თამარის ოცნება“, რომელიც ლექსის — მტკვრის სანაპიროზე“ — ერთი წლით ადრე — 1941 წელს არის დაწერილი. ვხედავთ ქალის თითებს, მაგრამ აქ ეს ფიქრივით სწრაფი თითები უკვე ყაისნალებით ღაზლის პერანგსა ქსოვენ, რათა თამარმა ომში წასულ ვაჟკაცს ჩააცვას და რათა ამ ღაზლთან ერთად გაფრინდეს ყაისნალებით მოქსოვილი ქართული ანბანი — ბარათი და ამ ბარათმა იმ ვაჟკაცს „ყელს მოახვიოს თბილი საყულო, მისი უცნობი მქსოველი ქალიც ბნელში ნაპერწკლად დაუსახელოს“.

მოიგერიებს ქარსა და ყინვას
გზნება იმ ერთი ნაპერწკალისა,
და წინ დახედება ქვემეხთა გრგვიწვას
სახელი უცნობ თამარ ქალისა...

ასეთი თვისება მიანიჭა ამ ლექსში თითებს კ. კალაძემ. კიდევ უფრო ლამაზი და მიმზიდველია „ღები“. ამ ლექსის გმირებზე, ფატმანი და თამარ-ქალი ომში წასულ ძმაზე ოცნებით არიან მოღლილნი, მაგრამ მათ სხვა რამეც აწუხებთ. ძმის სურათს ძმის ამხანაგის სურათიც მოყვა თან. დებს გული იღუმალი ფიქრებით აუფართოვალდათ, იღუმალმა ნაპერწკალმა შეძრა ორივეს გული. ფიქრს კი ერთმანეთს აღარ უმხელდნენ — ორივეს შორიდან უყვარდა ის ბიჭი.

რა ნაპერწკლითაც ჩემად იწოდით,
დას არ გაანდობს. ვიცი, დობილი...
მე კი წინასწარ მაშინ ვიცოდი,
რომ გახდებოდით გულჩათხრობილი!

მართალია, ფატმანისა და თამარ-ქალის გულში აენთო ნაპერწკლის ფარული ცეცხლი. მაგრამ მათს დედას „არ აფიქრებდა თავისი შვილი წამით იმ უცნობ ვაჟკაცზე მეტად“.

შვილს ჩაუმქალი დახვდება კერა,
ძმაც გავეახარებს იმავ ღღესავე...
მაგრამ გულს სწვდება უცნობის მხერა,
ჩემი ვაჟკაცი არის შესამეც!

ასე ფიქრობდა ცრემლდანაგებბარი ქართველი დედა. ყველაზე საინტერესო ლექსია „თამარ-ქალის სიმღერა“. ამ ლექსის მომხიბლავი ძალა მდგომარეობს მის გაპართულ შინაარსში, იდეაში და ხალხურ უღერადობაში. ხალხმაც ამიტომ შეიყვარა ეს გულწრფელი სტრიქონები:

ჩემმა ვარდმა უკალოდ ვერ ივარდა.
დაშორება გულით არ გამიხარდა,
მაგრამ გულს მე კენესას ვერ ვაძეპყვინებ.—
შენ სიმღერით ძალავეს გამაღა გიყვარდა!

შემდეგ — რეფრენი:

ჩემი გმირი გიწოდე:
ხელი გამოგიწოდე.
გაიმარჯვე იცოდე.
ჩემო ვაჟკაცი!

თბილისის მყუდროების შემლახავს ორად გაუბობს გულს „შავი ბიჭი“, რადგან სატრფო მას უთვლის: „მტკიცედ იდექ... შორიდან რომ გიციქერის. ჩემი თვალი მუდამ ის ვარსკვლავია!“ გამარჯვებით გამოწვეული აღტაცება კარგად არის ასახული

კ. კალაძის ლექსში „სიყვარულის და სიმღერის დრო არის“. ლექსის იდეა ემსახურება გამარჯვებული მამულის ტრფიალს. ამ სიყვარულს ქალის პირით გამოხატავს პოეტი.

ამაღღრღეთ, ცეკვით აღმაფრთოვანეთ.
მკლავგაშლილი ღამის ნიავექარი ვარ!
არა, ღამის ნიავექარი კი არა,
პორტფილზე გულის ღაა კარი ვარ!
მე იემს ეაქკაცს, ჩემს მომღერალს ვეძახი,
ერთი ვინმე შეთვალწარბა ქალი ვარ!

პოეტი მხოლოდ მაშინ იმარჯვებს, როცა მას საკუთარი ხმა აქვს, ამიტომ ყოველი პოეტი იმას ცდილობდა საკუთარი ხმა დაეწმინდა, რაღაც ახალი, ამაღელვებელი შემოეტანა ქართულ პოეზიაში. ქართველი დედისა და საერთოდ ქართველი ქალის სახის გადმოცემის თავისებური ცდა ჰქონდა ყოველ ქვეშაბრტ პოეტს. ასე იყო კ. კალაძეც და ამიტომ მის ლექსს საკუთარი ადგილი ჰქონდა ომისდროინდელ ქართულ ლირიკაში.

ერთ-ერთი პირველი ლექსი ქართველ დედაზე სამამულო ომის ლირიკაში ი. ნონეშვილსაც ეკუთვნის. მისი ლექსი „დედის დარიგება“ თარიღდება 1941 წლის 23 ივნისით.

ქართველი დედა დაიმედებულია თავისი შვილის ერთგულებით სამშობლოსადმი.

მე ჩაგიდგი ძალა მკლავში,
მუდამ ჩემი ზრუნვა გდევდა
და ვიცო, რომ წითელ ჭარში
არ შემარცხვენ მშობელ დედას.

დედა არიგებს შვილს, რომ ვაჟკაცურად აიმართოს, ვაჟკაცურად გასალკლდედეს, რომ შეუნგრეოს მტერს გულ-მკერდი.

იცოდე, თუ შიშით უძღურს
ტყვიას ზურგში გიპოვნიან,
ვიტყვი, რომ შენ ჩემი ძუძუ
არასოდეს გიწოვია! —

„აყვავებულ ეზოს კართან“ არიგებდა შვილს დედა.

აღსანიშნავია ი. ნონეშვილის ლექსების ციკლი „ქართველის დედები“, რომელსაც ეპიგრაფად უძღვის ნ. ბარათაშვილის სიტყვები — „ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო“. ციკლში სამი ლექსი შედის: „ქეთევანი“, „მაია“ და „მოხუცი მეციხოვნე“. მთავრდება ეპილოგით.

„ქეთევანი“ მეფის თეიმურაზის (1589—1663 წწ.) დედის — დედოფალ ქეთევანის წამებაზე მოგვითხრობს.

შპ-აბასმა შვილები დაუხოცა ქეთევანს. ესეც არ აკმარა — გათათრება მოსთხოვა, მაგრამ ქეთევანი, რასაკვირველია, არ დათანხმდა. როგორც თეიმურაზი თავის პოემაში — „წამება ქეთევან დედოფლისა“ — მოგვითხრობს, მას ურჩობისათვის „გაუბეს ხელფეხი“, „გაზით დაგლიჯეს ძუძუნი, დადვეს მხურვალე საჯები“, სასტიკად აწამეს, „მკერდით ზურგამდე გააველეს გახურვებულნი რკინანი“.

ი. ნონეშვილმა სამამულო ომის მძიმე დღეებში შესანიშნავად გამოიყენა ეს მასალა ქართველი დედების გმირული წარსულის უკვდავსაყოფად და თანამედროვე დედების გასამხნეველად.

ქეთევანი ბნელ საკანში ჩააგდეს. მას „ხელში უპყრია ჭვარი ვაზისა ფრთხილად შეკრული ქალწულის თმებით“. დაჩოქილი ქეთევანი „ავედრებს ზეცას ხალხსა და მამულს“. „შანთით დაუწვეს ბროლის კისერი და მოვარვარე ცეცხლზეც აწამესო“, — მოგვითხრობს პოეტი.

მაგრამ, ფერმიხდილს, სიციხლე მიხდილს
ვერ გაუტახეს მაინც მხნე გული.
წამების ცეცხლზე ებრძოდა სიკვდილს,
იმედის სხივით ვაცოსკრებულა.

„მაია“ სამშობლოსათვის თავდადებული გმირი გლეხი ქალის — მათე-ყაჩაღად წოდებულის — მაია წყნეთელის ზღაპრულ გმირობაზე მოგვითხრობს. ამ ლექსის სიუჟეტის ასაგებად ი. ნონეშვილმა გამოიყენა ხალხში შემონახული საყურადღებო ცნობები.

მებატონისაგან შეურაცხყოფილი მაია პატარა კახს თავის რაზმში ჩაურიცხავს. იგი რჩეულ რაზმს გაჰყვლია ლეკებთან ბრძოლაში და ვაჟკაცობა გამოუჩენია. რასაც მეფე აღტაცებაში მოუყვანია. მაიას განსაკუთრებით უსახელებია თავი თურქებთან ბრძოლაში, სოღანლუღის ახლოს. აქ მას თურქების ბელადისათვის თავი მოუტყრია. მაიას იერიში მიუტანია აგრეთვე შინაურ მტრებზე. ხალხურ სიტყვიერებაში ცნობილია მაიას მამაცობა ყიზილბაშებთან ბრძოლაში (1795 წ.). იგი ტყვეობამიც ყოფილა, ტყვეობიდან გამოქცეულა, მაგრამ სამშობლომდე ვეღარ მოუღწევია. გზაში სასიკვდილოდ დაუტყრიათ.

ი. ნონეშვილმა გმირი ქალის მაია წყნეთელის საარაკო ამბავი ლექსის ლამაზ ჩარჩოში ჩასვა, პოეტური სიტყვის მაღლით შეამკო და მკითხველის გულამდე ასე მოიტანა.

ერთხელ, ბრძოლაში, როცა ვერაგებს
სცემდა, უღუნდა ხმლით მკერდის ფიცარს,
ორად გაუბეს გულის პერანგი
და მიესვენა მშობლიურ მიწას.

ბრძოლა მისწყდა. ბრძოლის ველზე „ახალგაზრდა კაბუჯის ნაცვლად წყნეთელი ქალი მათა იცნეს“. გულზე გადაჰყოფდა მშობელი მიწა, რკინის აბჯარი შემოსცევთოდა, ფრანგულის პირი კალმახურად გადაეწინწყლა მის სისხლს.

ქალი ყოფილა სამშობლოს მცველი...

ო. გაოცება ველარ დამალეს.

მოვიდა მეფეც და წვეთი ცრემლი

დაეცა თურმე ქერა დალალებს.

„მოხუცი მეციხოვნე“ მკადიჯვრელი მოხუცი ქალის ქრისტიანე ცქირიაშვილის მამაცობაზე მოგვითხრობს. იგი განთქმული ცხენოსანი და მარჯვე მსროლელი ყოფილა. მკადიჯვრის ციხეს მტერი შემოსევია. ამ სიმაგრეში, თანამემამულეებთან ერთად ყოფილა ქრისტიანეც. ქრისტიანეს ჯერ მტრის ერთი ბელადი გაუგმირავს ტყვიით. ზედ მოუყოლებია მეორეც, მესამეც, მერე მტრის შვიდი საფარი ზედიზედ დაუწვავს, მაგრამ მერვე საფარზე მოუქლავთ. ქართველებს კი გაუმარჯვნიათ. ქართველ ხალხს ქრისტიანე ცქირიაშვილის თავდადება არ დაუვიწყრია. მისი სახელი უკვდავუყვია ხალხურ ლექსებში. ხალხური ლექსის ერთ-ერთი სტროფი ასე აღედებს ქრისტიანეს გმირობას:

იქ რომ ბებერმა საქმე ჰქნა,

ის არ უქნია სხვასაო:

სამი ბელადი მოუკლა

მთელ შეკოილ დაღისტანსაო.

ეს სტროფი ეპიგრაფად წარუმძღვარა ი. ნონეშვილმა თავის ლექსს.

ლექსების ამ ციკლს ერთგვარად აჯამებს ეპილოგი, რომელშიც პოეტი ამბობს, რომ ქართველი დედები „კანდელს უნთებდნენ მამაც წინაპრებს“. „გურგანის ზღვიდან პონტოს კარამდის მათი თვალების შუქი ბრწყინავდაო“. ულვეი იყო მათი საქმე. ხან ბავშვებს უვლიდნენ, „ხან ჭრელ მანდილით თმაშეკრულები ყაყაჩოებდნენ სჩანდნენ ყანებში“. ააყვავილეს მტრისაგან ნარბევი. ნანადგურევი ქართული მიწა. ზამთარში „ბუხრის პირს ისხდნენ და ოქრომკედით ტებილ საქართველოს დროშებს ჰკერავდნენ“. და როცა მტერი საქართველოს თავს დაესხმოდა, „აბჯარს ისხამდნენ ხამის კაბაზე და ქურან ცხენზე ხმალამართულნი ამორძალივით მტერს მიჰკავავდნენ“.

ჩვენი ქვეყანა ძველ ქართველ დედებს

სისხლით და ოფლით დაუცრემლიათ...

მათი თვალები დღეს ბინდუნდს ჰკვეთენ
და ვარსკვლავებად თავს დაგვექერძან.

ი. ნონეშვილის პოეტური სიტყვა ლაღი და თავისუფალია. ასე გააბრწყინა მან ქართველი დედების ღირსება ამ შესანიშნავ ციკლში. პოეტმა მოქნილ პოეტურ ფრაზებში, ლამაზ და მოხდენილ შედარებებში გააცოცხლა ჩვენი ისტორიული წარსული და ამით თანამედროვეთა გულში აღაგზნო უღრმესი სიყვარული სამშობლოსა და ჩვენი სახელოვანი წარსულისადმი.

ქართველი ქალები დიდი სამამულო ომის დროს ღირსეულად განაგრძობდნენ სახელოვან წინაპარ ქართველ დედათა საარაკო საქმეს. მათს თავდადებას სამშობლოსადმი სულ სხვა პოეტური სიტყვა მოუძებნა ი. ნონეშვილმა. ახალი ფერებით, ახალი მიმზიდველი სიუჟეტით გადმოგვცა ქართველი ქალის გმირობა და თავდადება ლექსში „ვარდები“. ეს არა ჰგავს ზოგიერთ იმდროინდელ ლექსს, რომელშიც მშრალად, ტრაფარეტულად იყო მოთხრობილი ქალის ომში წასვლა. პოეტი ამ ლექსში ხატავს ეზოს, სადაც „მწვანე ფოთლებში მაისი ფეთქავს“, „ვარდების შუქი ირხევა ირგვლივ“. და ი: ეზოში, „სკამზე, ცისფერი წიგნი შარშანდელ ვარდით დევს ჩანისწული“. ნიავე ჩურჩულთ ეძებს ამ წიგნის პატრონს:

სად არის ნეტავ პატრონი ჩვენი.
ის თვალყუეუნა პატარა ქალი?!

ვარდები წყენით შეირხვევიან, რადგან ვერ ხედავენ თვალყუეუნა პატარა ქალს. ვინ უამბობს მათ იმ ქალის ამბავს? „როცა მათ მშვიდად ეძინათ კვირტში და მოელოდნენ მზესა და სითბოს“, დაიძრა შავი ღრუბელი — ურდო მტრებისა, რომელთაც „სურდათ გაეხმოთ ვარდების ფესვი და წყაროს თვალში ჩაესხათ შხამი“. მაგრამ გმირები დაიძრნენ „და ის გოგონაც. თვალეციმციმა, ფრონტზე წავიდა მამების გვერდით“.

წავიდა. მტოცედ წაყოლია
ქართველ ქალების სიმხნე ქებული.
თურმე ქარიშხლის ძალა ჰქონია
იმ მტრედის გულში ჩაბუღრებული.

ი. ნონეშვილმა თავისებურად, ქეშმარიტად პოეტურად და აბოლოვა ლექსი. გმირი ქალი არ ჩანს, მის სიკვდილზე თუ სიცოცხლეზე ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი. მაგრამ მკითხველი თვითონ გამოიტანს ამ შესანიშნავად ასხმული, მეტად ღრმაშინაარსიანი სტროფიდან დასკვნას და ამაშია სწორედ პოეტური გეოგრაფიის ძალაც.

აი, როგორ ბოლოვდება ლექსი:

დღეს კი მის ბაღში. ყვავილთა ირველივ
დგას სიმშვიდე და დუმილი სრული
და ერთადერთი ცისფერი წიგნი
შარშანდელ ვარდით დევს ჩანიშნული...

ყველაფერი გასაგები და ნათელია. აქ წერტილი არ არის დას-
მული. გმირის საბოლოო ბედი ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტია პო-
ეტს. იქნებ მოვიდეს, იქნებ ვერ მოვიდეს! ორივეა მოსალოდნელი.
პოეტმა ეს აზრი მიგნებულად გამოხატა ლექსის დასკვნით ნა-
წილში და განგებ არ გადაწყვეტა საკითხი.

სამაგიეროდ მეორე ლექსში („ასად წარწერა ფერგადასუ-
ლი“...) უფრო გულსაწვავი ამბავია გალექსილი: ერთი ქერათმიანი
და სახეთეთრი ასული, მედიცინის და, მტრის ტყვიამ არ დაინდო.
„საფლავის ბინდმა დანისლა“ იგი. მას თან გაჰყვა სამშობლო მხა-
რისა და ერთი გმირი პარტიზანის ტრფობა. ეს ქაბუკი ტიალ ლა-
მეში ნაბდის ფრიალით ტყიდან წამოვა, საფლავის მიწას აკოცებს
და „ეტყვის მძინარეს სახედახრილი“:

— დღეს მტრის რაზმიდან ათი ჩახოცე,
ხეალ უფრო გასკრის ჩემი მახვილი!

ი. ნონეშვილმა ხსენებულ ლექსში ამ ხერხით გადმოგვცა სამ-
შობლოსა და სატრფოს სიყვარულის ძლიერი გრძნობა.

ლექსში „შენი მახვილი“ აზრის აქცენტი დედის დარიგებას
უჭირავს.

ი. ნონეშვილის სხვა ლექსში — „ბარათი ფრონტიდან“ მებ-
რძოლს სანგარში შუქად ადგას სატრფოს „წყნარი თვალები“ და
ეს შუქი აგონებს თოვლისფერ კაბით გარბენილ გოგონას, რომე-
ლიც ერთ დროს პეპლებს იქერდა „ცისფერ ბადით წყაროს მწვა-
ნე ნაპირთან“. მეომარს აგონდება ნაკადული, „ყვავილებში ჩახა-
ტული მზეთამზე და წალვერი“, გარბენილი ნეტარი უამი, ნაირ-
ფრად მოქათათე „მთათა ბეგთარი“ და ნატრობს ამირანის ღონეს.
რომ დათრგუნოს სამშობლოს მთა-გორების შემბილწავი მტერი.
რომ ჩვენი საოცნებო მამულის ცის ქვეშ კვლავ გარბოდეს ნაკა-
დული და ლამაზი ასულის ყმაწვილქალობა.

ქართველი დედისა და საერთოდ ქართველი ქალის თემაზე
რამდენიმე ლექსი აქვს პოეტ რ. მარგიანს. 1942 წელს ყირიმის
ფრონტზე დაწერილი მისი ლექსები: „მე უბით ვატარებ პატარა
ბარათს“, „დედისადმი“, „ნუთუ შენა ხარ?“, „თუ ოდეს იქნე ჩემ-
ზე მგლოვარე“ სრულყოფილად ასახავენ მებრძოლის ღრმა სიყვა-

რულის წმინდა გრძობას მშობელი დედისა და საერთოდ ქალისად-
მი.

ომის ცეცხლში ჩამდგარი ჯარისკაცის გულის უნაზესი ხმები ისმის ლექსებში „მე უბით ვატარებ პატარა ბარათს“ და „თუ ოდეს იქნე ჩემზე მგლოვარე“. ეს ლექსები მიმართულია სამშობლოში და-
რჩენილი სატრფოსადმი და შესანიშნავად გამოხატავენ მეომრის ვაჟკაცურ სიყვარულს.

ლექსებში „დედისადმი“ და „ნუ თუ შენა ხარ“ პოეტი უმღე-
რის ქართველ დედებს, რომლებსაც ომის მძიმე დღეებში მძიმე ტვირთად აწევთ სამშობლოს და შვილების დარდი. დედის სიყვა-
რულით გულგამთბარი ფრონტელი ვაჟკაცები შორიდან ხედავ-
დნენ დედის მგზნებარე თვალებს, რომლებიც მათ გზას უნათებდა
ცეცხლსა და გრიგალში.

ქართველ დედებს მომწოდებელი პათოსით ამღერებული ლექ-
სები მიუძღვნეს პოეტებმა სოლომონ თავაძემ, ხარიტონ ვარდო-
შვილმა და შალვა აფხაიძემ.

ალეკო შენგელიას ლექსები „დედა“, „დედის გული“ და „დე-
დის გახსენება“ საკმაოდ განხმაურდნენ ომის დღეებში. ქართველი
დედის მრწამსი, შენგელიას ლექსების მიხედვით, არის ქართველი
ვაჟკაცის დაუმარცხებლობა, უკვდავება. ამ აზრს გამოხატავენ დე-
დის სიტყვები: „მე არ მინახავს ერთი ქართველიც, რომ უსახელოდ
სადმე კვდებოდეს“. ან კიდევ: „მე არ მინახავს ერთი ვაჟკაცი, რომ
სიმღერაში არა რჩებოდეს“. ქართველ დედას, რომელსაც ვერ დაუბ-
რუნდა თავისი გიორგი, წინ ეგებება ექვსი გიორგი („დედის გახსე-
ნება“): „ექვსი გიორგი შემომხვდა გზაზე და ექვსივეში მე პირმო ვი-
ცან! ..ექვსი გიორგის შემხედვარე დედამ იმედით სავსე გული გახს-
ნა და ეამბორა მშობლიურ მიწას. არ დაუბრუნდა ვაჟკაცი. მ-გრაჰ
იმ ექვს გიორგიში შენიშნა მან თავისი გიორგის გულის ციმციმი. და
ქართველი დედა, რომელსაც მუდამ თვალწინ უდგას შვილის სახე,
გასძახის ქართველ ვაჟკაცებს:

თქვენს გმირობაში, გმირულ შრომაში,
ტოცხლობს და ხარობს ქართველი დედა,
ომში დაცემულ საყვარელ ვაჟებს
თქვენს სიციცხლეში სიციცხლედ ხედავს!

დედის კეთილი გული სამშობლოს სიყვარულითაა სავსე. ამი-
ტომ არის, რომ მისი ფიქრები ყოველთვის ძვირფას სამშობლოს
დასტრიალებს.

ჩა ძვირფასია და სანატრელი.
რაც მარადისი სიყვარულია, —
შენი გულია მისი სინათლე,
ჩემი ქვეყანა — შენი გულია.

სამშობლოს სიყვარულით აღტაცებული და მტრის მძულვარე-
ბით აღტკინებული ქართველი დედა ნატრობს, რომ შვილმა გმი-
რული საქმით გაუხაროს გული.

მაშინ, მაშინ, ჩემო ბავშვო,
ძუძუ ამითროლდება,
სხვენზე ავალ, წმინდა აკვანს
წუთით გამოვალვიძებ.
მამაშენიც, იმ საფლავში
ამბავს რომ ელოდება,
შორიდანვე მიუხვდება
დედის ამაყ ნაბიჯებს.

(„დედა“)

დედის უწმინდესი ჰალარის ჰიმნია შალვა ამისულაშვილის
ლექსი „ქაშნიკი“. პოეტი-ჯარისკაცი ფრონტზე დედისაგან ამანათს,
ანუ როგორც თვითონ ამბობს, არმადანს ლებულობს, რომელშიც
პატარა ბროლის მათარით საქაშნიკოდ გამოგზავნილ არაყს აღ-
მოაჩენს. ჯარისკაცი სიხარულით შეანჯღრევს მათარას და დედის
მისამართით ჩუმად ამბობს გულში:

ქების ღირსია უწმინდესი შენი ჰალარა,
ბროლის შუშაში ქაფის ნაცვლად ცეცხლი თამაშობს.

და შემდეგ პოეტი თავის სათქმელს ფიქრში განაგრძობს:
მე ეს მათარა მირჩევნია ათას ხელადან, ბრძოლაში გასულს მღე-
რიე წყალსაც გამიშარბათებსო.

ფრონტზე მყოფი პოეტი-მეომარი შ. ამისულაშვილი დედის-
ეულ ბარათში ამოკითხულ სიტყვებს: „ქვევრის სარქველზე გიყ-
ვარდაო ხელადის დადგმა“ — იმედიანად პასუხობს:

ჩემო ძვირფასო, შენ ამაზე ნუ იმწუხარებ,
რომ აღარ ღაღობს შენი შვილი ქვევრის სარქველთან...

გულწრფელი, გულთბილი სტრიქონები მიუძღვნეს ქართველ
დედას, ჩვენს პატრიოტ ქალებს: გ. შატბერაშვილმა, ვ. გაბესკი-
რიამ, ა. თევზაძემ და სხვებმა.

გმიჯალი შრომის თაგა

ქართველმა მწერლებმა დიდი სამამულო ომის დროს თავიანთ ნაწარმოებებში ასახეს ის თავდადებული შრომა, ის დაძაბული სულიერი მღელვარება, რასაც ზურგის ადამიანები განიცდიდნენ.

ზურგში დარჩენილი ადამიანების დიდი პატრიოტული სული მძლავრად და მრავალფეროვნად ამეტყველდა ჩვენი დროის დიდი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში.

გალაკტიონ ტაბიძემ ჩვეული ოსტატობით ასახა ქართველი ხალხის შრომითი აღმავლობა, მისი განცდები და ინტერესები პირისპირიანი ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში („ბათუმი“).

პოეტის დრმა რწმენით, მტერი ვერ დაანგრევს შავი ზღვის პირად აღმართულ „ულამაზეს შენობას“, „რომელსაც უდარაჯებს თვალი ორგული“ („შავი ზღვის პირად“). პოეტი უმღერის ქუჩებზე და მოედნებზე ქარბუქივით მიმავალ ათასობით ქალიშვილს, მოხუცსა და კაბუცს („მაისის დღეები“).

თავისუფლებისათვის ბრძოლის რძნანტოკა, რაც გ. ტაბიძის თავდაპირველი იდეალია, ომის მრისხანე დღეებშიც თავისებურად აქლერდა („აქარის სილაყვარდემი“).

პოეტი შავი ზღვის პირად აღმართულ, ჟამთა სიავეში გადარჩენილ ძველ ნანგრევს („ნანგრევი შავი ზღვის პირად“) მიმართავს. რომ ის უკვდავია, რადგან მისი ფუძე მანც ვერ დასძრეს. ძველ ნანგრევზე ახალი შენობა აშენდა.

გ. ტაბიძემ თავისებური პოეტური ამღერებით დაგვანახა აფხაზი ხალხის გმირობა სამამულო ომის დროს. აფხაზეთის შვილები, მოძმე ხალხთა შვილებთან ერთად, მტერს საკადრისად უმასპინძლდებოდნენ („აფხიარცა, როგორ ჟლერდი“).

პირადი განწყობის — სუბიექტური სამყაროს და ცხოვრების

მოვლენების რთული ურთიერთკავშირი გ. ტაბიძის ლექსებში უწყვეტი ძაფით არის შეერთებული („იმერის დაბრუნება“).

ლექსით „ელგუჯას დაბრუნება“ გ. ტაბიძეს მკითხველი ფანტაზიის ვრცელ ჰორიზონტზე გაჰყავს. ამ ნაწარმოებში, რომელიც თავის სიუჟეტური აღნაგობით პატარა პოემას უახლოვდება, შესანიშნავადაა გახსნილი საბჭოთა ადამიანების სახეები, თვით ელგუჯა წარმოსადგეი, დინჯი და გმირი ვაჟკაცია. მისი პატარა გოგონა კვიანია, დიდივით აზროვნებს, რადგან ცხოვრებამ ადრე ჩაათქვრა იგი. პოეტმა კალმის ერთი მოსმით დახატა ევა — ელგუჯას მეუღლე. მას მხოლოდ ორი სიტყვა — „ელგუჯა, შენა?“ — ათქმევინა და ამით გამოხატა დიდი ადამიანური სიყვარული.

ომში „დაღუპული“ ქმრის შინ მოულოდნელი დაბრუნების სიუჟეტი, რაც ამ ლექსშია გაშლილი, სრულიად ახალი იყო ქართულ საბჭოთა პოეზიაში, პროზაში პირველად ბ. ჩხეიძემ გამოიყენა („ომ-გადახდილი“), ხოლო შემდეგ პროზაშიც და დრამატურგიაშიც — გ. შატბერაშვილმა („გიორგი დევსურიშვილის სეხნია“, „ფიქრის გორა“).

ლექსში „დაბრუნება სვანეთში“ გადაშლილია სვანეთის მომხიბლავი კოლორიტი. პოეტმა ბუმბერაზ მთებში, გმირ ვაჟკაცებში, მდინარეებსა და ჩანჩქერებში, არწივების ფრენაში განასახიერა მტერშეუვალი სვანეთი, რომელიც მართლაც რომ შეუვალ ციხე-სიმაგრედ იდგა დიდი სამამულო ომის დროს. ამ ლექსში არა მარტო ომის დროის სვანეთი, ძველი სვანეთის მთელი დიდებული პანორამაცაა გადაშლილი, რითაც პოეტმა აღძრა სიმპათიის დიდი გრძნობა სვანეთისა და სვანების მიმართ.

გალაკტიონ ტაბიძემ, სიტყვის ამ დიდმა ჯადოქარმა, 1941 წელს დაწერა ლექსი „რატი რატიშვილი“. ეს არის იდეურად და მხატვრულად გამართული. საამოდ საკითხავი და ხალხური ინტონაციით დაწერილი ლექსი. რატი რატიშვილის სახით წარმოგვიდგება ქართველი, მთიელი კაცი — სულითა და გულით მდიდარი, თავისუფალი ბუნების სწორუპოვარი ბერძენი, რომლის ფესვებზე იზრდებიან ჯმუხა ყლორტები — ჩვენი მომავალი ცვლა და დიდება.

ორიგინალური პალიტრით ხასიათდება სიმონ ჩიქოვანის პოეტური ფერწერა. ზურგის თემის ამსახველი მისი ლექსებიც საოცრად ტევადნი და მრავალფეროვანი არიან („თავსაფარი“, „მზესუმზირები“, „ცხვრის ფარა“, „როშკელი ძილა“ და „მიტოვებული სასლ. კარი“).

ჩვენი ხალხის გმირული შრომის ამსახველ ნაწარმოებებზე გატაცებით მუშაობდა გიორგი კაჭახიძე. ლექსში „სოფლად, ომის დღეებში“ შესანიშნავად არის გადმოცემული ომის პირველი დღეები, სოფელი. „გამრჯე მეზობლებს, კეთილ ნაცნობებს“ სოფელში ჩას-

ული პოეტი უკითხავს გაზეთებს, უყვება ახალ ამბებს, პოეტი-აგო-ტატორი მხარში უდგას მათ. „ომის ამბები მათთვის წიგნია, გულის ფანქვალთ წასაკითხავიო“, — ამბობს იგი.

ლექსი „მოულოდნელი სიხარული“ ომიდან დაბრუნებული ვაე-კაცისა და მისი ოჯახის სიხარულს გადმოგვცემს. „გვიან შარავით მოვიდა“ იგი. ვარსკვლავები მოაცილებდნენ მებრძოლს. სოფელს ღამის დუმილში ეძინა, „გულის ფანქვალთ მივიდა სახლთან და დაუძახა ხმადაბლა მშობლებს... ძახილში ჩუმი ნალველიც იყო შეკა-ვებულ გრძობათა ქარი“. რა მოხდა? რად გაერია მის ჩუმ ძახილში ჩუმი ნალველი? რატომ დაება ენა ყველას? იქნებ მოულოდნელი სიხარულისაგან?! არა, აქ სხვა ამბავია — მას „მარცხენა ხელი ეკი-და გულზე... მოხრილი მკლავი ფარავდა მედალს“ — მამაკობის ჭილდოს. ლექსის მეორე ნაწილში მოდიან შინ დაბრუნებული ჯა-რისკაცის მეზობლები და მეგობრები. ჯარისკაცი „თბილ ბუხარს უზის და ჰყვება მღელვარე ამბებს, გმირულს და ნამდვილს“, „დაუ-წერელ წიგნს კითხულობს იგი, ვაეკაცობით და გმირობით სავსეს“.

გ. კაქახიძემ ფრონტიდან დაბრუნებულ შვილს ჯერ მამა შეახ-ვედრა. ხოლო შემდეგ — დედა, ეს შემთხვევით არ გაუკეთებია. პოეტმა ასე განიზრახა და ასეც გააკეთა, თორემ ჩვენ ადრეც ვიც-ნობდით ისეთ ლექსს, როცა დედა ხვდება შვილს, რომელიც ჯერ ორდენს კოცნის შვილის მკერდზე და მერე შვილს. ასეთ ყალბ იმიტაციას პოეტი განზრახ მოერიდა და სავსებით სწორად.

ზურგის თემა განდა ვიქტორ გაბესკირიას პოეზიის წყარო. ლექსები: — „საღაჟო დგება“, „ფიცი, „მართა“, „ასე სათუთად რად ეპყრობიან“. „ავადყოფი“, „მოხუცი ცოლ-ქმარი“, „სოფლის სტუ-მარი“, „მებრძოლის დაბრუნება“, „ცხრა მაისს“. „ძმისადმი“, „ნა-თესავებში“ (ციკლიდან „სამამულო ომის დღეებში“) გადმოგვცე-მენ პოეტის აზრებს, მათში სადღაც მიმაღულია სუბიექტურ-ემო-ციური ელემენტები. ქართველ პოეტებში არ გვეგულება სხვა პოე-ტი, რომელიც ასე ძუნწი იყოს საკუთარი სუბიექტურ-ემოციური ელემენტების გამომჟღავნებაში. ვიქტორ გაბესკირია ნატურის მხა-ტვარია, ცოცხალი ნატურაა მისი პოეტური ტილოს ნედლი მასალა. ეს მასალა, პოეტის ხელში ყალიბდება და მთლიან სახეს იღებს („მებრძოლის დაბრუნება“, „მართა“).

ვიქტორ გაბესკირია სწორად აღიქვამს საგნებსა და მოვლენებს, მის მიერ აღქმული ნატურა პოეტის ხელში არ ჰკარგავს ელვარებას, იგი ხატავს ცოცხალ სინამდვილეს და დინჯ თხრობაში თავის სუბიე-ქტურ-ემოციურ ელემენტებსაც თუ სავსებით არა, ნაწილობრივ მაინც გადმოსცემს („ცხრა მაისი“).

მრავალფეროვანია გაბესკირიას პოეზიის თემატიკა. განცდის,

განწყობის აღმძვრელია ლექსი „სალამო დგება“. ამ ლექსში პოეტმა დახატა ომით დამწყობებული სოფლის სურათი.

საერთოდ ვ. გაბესკირიამ თავის ლექსებში შესანიშნავად ასახა ზურგში დარჩენილი ადამიანების სულიერი სამყარო.

ომის დროს ზურგის ადამიანების ცხოვრებას, მათს სულიერ მისწრაფებებს, ტკივილებს თუ სიხარულს, ჯარისკაცის ლოდინით დაღლილი ადამიანების დარდს, იმედს, აღტაცებას, ოცნებას, სიზმარში დანახულ ბედნიერებას გვაცნობს ილო მოსაშვილის ლექსების ციკლი „მისი ბარათი“.

ი. მოსაშვილის შინაგანი სამყარო გულლიად მეტყველებს იმაზე, რაც განუცდია და უგრძვნია პოეტს. ი. მოსაშვილის ლექსებში უფრო ემოციები მოქმედებენ, ვიდრე მხატვრობა. მისი ლექსები მღრღარია მაღალემოციური სტრიქონებით.

ლექსში „ოცნება“ მოსაშვილმა მძაფრად გვაგრძნობინა შინდარჩენილი ქალის სულისკვეთება, მისწრაფება, ოცნება. მაგრამ ეს ოცნება განა ოცნებად უნდა დარჩეს? არა! იგი სინამდვილედ უნდა იქცეს. ამ ოცნებამ ფრთები უნდა შეისხას, რადგან ქალსაც იქითკუ მიუწევს გული, სადაც მისი ქმარი იბრძვის.

ი. მოსაშვილმა ლექსში „სიზმარი“ შეგვახსენა და დაგვიხატა ომის უმკაცრესი კანონი. გვიჩვენა ფაქტი! აი, მაგალითად. ომამდე ფოსტალიონის არსებობა სოფლად თუ ქალაქად მაინცდამაინც დიდად შესამჩნევი არც იყო („ფოსტალიონი“), ომის დროს უკვე შესამჩნევი გახდა მისი არსებობა. იგი დადის კარდაკარ და დააქვს ამბავი, ბევრს ჩამოუბრუნებს სიხარულს, ზოგან ერთხელაც არ შეიხედავს, რომ ნანატრი სითბო შეიტანოს ქერში. ეს აზრია გატარებული აღნიშნულ ლექსში. ამავე შინაარს გადმოსცემს ლექსი „პირველი დარდი“. აქაც ომიდან დაბრუნება-არდაბრუნების ექვი მეფობს. „ბედის მხატვრები“ სხედან და „საეჭვო ქალაღდს“ უშლიან „ყვავის ქალებს და ვაჟებს ჯვრიანებს“.

მაგრამ უცებ სახლის კარს მერცხლები მოაწყდნენ — ფრონტიდან ქმრის ბარათი მოუვიდა ცოლს და ამ ბარათმა მერცხლის ენით სიხარული მოუტანა. ქალი გარეთ გაიქრა და გზებს მოფინა „ის ერთი ბეწვა ნატვრის ფურცელი“.

ქართული ლექსის თვალსაჩინო ოსტატმა კონსტანტინე ჭიჭინაძემ ზურგის თემას მიუძღვნა ლექსების ციკლი „შემოდგომა კახეთში“ (1943 წ.) და „რკალში“ (1945 წ.). პირველი ასახავს საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი და მდიდარი კუთხის — კახეთის ცხოვრებას ომის დროს, ხოლო მეორე ზურგში მყოფი ადამიანების ცხოვრების ზოგად სურათს გადმოგვცემს. ამჯერად გვიანტერესებს კ. ჭიჭინაძის მიერ კონკრეტული მასალის მხატვრულად გადმოცემის

ხერხი. ამიტომ განვიხილავთ მისი ლექსების ციკლს „შემოდგომა კახეთში“.

ამ ციკლის ერთი ლექსი „გურჯაანელი“ ასახავს გურჯაანის მდიდარ სოფლის მეურნეობას, მის ზვრებს და ბაღებს. ეს ის დროა, როცა „დიდნი არ სჩანან, წასულან ჯარში შეიღნივე ძმანი გურჯაანელები, და მწიფე ნაყოფს ჰკრეფავენ ზვარში პაპის ხელები“. პაპა ბიჭების ამბავით ხარობს. ამ ბიჭებმა დახოცეს „ტახები, რომლებიც შარშან ჩვენს ძვირფას მხარეს ემუქრებოდნენ გაპარტახებით“. პაპებს კი ომში წასულთა შინ არ ყოფნა არ დაუმჩნევიათ ზვრებისა და ბაღებისათვის. მეორე ლექსი „თედო“ ნაომარ ვაჟაკზე — თედოზე მოგვითხრობს, რომელიც ფრონტიდან ცალხელა დაბრუნდა, მაგრამ ისევ იმ გატაცებით შრომობს, როგორც ადრე, ომში წასვლამდე.

ლექსი „სეტყვა ჩუმლაყში“ მარად იმედიანი და უშიშარი ქართველი გლეხის სახეს ხსნის. მართალია, ჩუმლაყში სეტყვამ ზვარი დააზიანა, შეიღებმა ქალაქიდან მამას შეუთვალეს: მამა, ღვინის სმას უკელი, კახეთი დაუსეტყვიაო, მაგრამ მამას საკმაო გამოცდილება აქვს, გულდამშვიდებით მიუგებს შვილებს:

ისე არ დაისეტყვება
კახეთი, ბუდე ღვინისა,
რომ წლიდან წლამდის არ გაგწვედს
მარაგი მისი ღვინისა!

დიდი პოეტური ოსტატობითაა დაწერილი ლექსი „რთველი მუკუზანში“. მისი ყოველი სტრიქონი და სიტყვა გარკვეულ აზრს სავსებით სრულყოფილად ემსახურება, ფერების პალიტრა იშვიათი გამომსახველობით არის გამოყენებული, რაც აზუსტებს ლექსის გამომსახველობითობას და აძლევს ზემოქმედების დიდ ძალას. მძაფრი ფერები და სახეები ელვარეს ხდიან სტრიქონებს. ლექსის სიუჟეტი შეკრული და დასრულებულია. გარდა იმისა, რომ შესანიშნავად არის დახატული ალაზნის ბუნება, პოეტი გვაცნობს ადამიანების ურთიერთობის მეტად საყურადღებო დეტალს. ომის დროს ხალხი უფრო შემჭიდროვდა, გაერთიანდა, განმტკიცდა მათი მეგობრობა და გაღრმავდა ურთიერთ პატივისცემა. ყურძენი დასაკრეფია, მაგრამ სოფელს ძალა არ ჰყოფნის. შინ მოხუცები, ბავშვები და ქალები არიან დარჩენილი. მეზობელ სოფლებს აცნობეს: გვქირდება თქვენი შველაო, დაიძრა დიდი და პატარა. „შიმოიშალა ვაზებში ქალთა და ბავშვთა კრებული“. გაჩაღდა ყურძნის კრეფა. მერე სადილად სხდებიან. ბერიკაცები „საღვინე ჭიქებს ეძებენ ღვინის სმას მუდამ ჩვეულნი“. და აქ იხსნება კვანძი: ჯერ ადლეგრძელს მეომრები, მერე — ოჯახში დარჩენილები.

ამბავი კვლავ გრძელდება. ისევ ზვრებში მიდიან „ჩოჩქოლით, ყრიაშულითა“. მკრეფაეები საღამოს შინ ბრუნდებიან. ისინი ხედავენ შორს მოფარფარებულ თვითმფრინავს, კუდი-გორის ქედს, ისფერ ნისლში გახვეულ კავკასიონის კედელს. ასეთია ფინალი. სიუჟეტის ასეთი მთლიანობა და ამდენი აზრის ლექსში ჩატევა არ არის ადვილი. მას ოსტატის ხელი სჭირდება. ამ ციკლის ლექსებში პოეტის მიზანდასახულობა მაღალი პოეტური ოსტატობით არის დაძლეული.

კარლო კალაძის ლექსები „ზამთრის დილა“, „დე ეს ლექსიც თოვლქვეშ დარჩეს“, „თამარის ოცნება“, „დები“, „სიყვარულის და სიმღერის დრო არის“, „დათოვლილი თრიალეთი მოვიგონოთ“, „მტკვრის სანაპიროზე“, „ასე ვეტყობი ხოლმე იადონს“ სამამულო ომის პოეზიაში შევიდა, როგორც ლირიკული მატრიანე ომისდროინდელ სოფელზე და იქ დარჩენილ ადამიანებზე.

ნატიფი, ნაზი, ლირიკული თრთოლვით გვხიბლავს „დე, ეს ლექსიც თოვლქვეშ დარჩეს“. აქ მხატვარი და ლირიკოსი მღერიათ ერთად, ლამაზ ფერებში ისმის სიმღერის ტკბილი მელოდია.

მხატვრობისა და მუსიკის შერწყმის შესანიშნავი ნიმუშია „თამარის ოცნება“. თამარს საოცნებოდ ჭერ არავინ ჰყოლია არჩეულს. ახლა კი სიზმარში ვიღაც უცნობი მოდის და ძმად ეფიცება, სახელი უნდა ჰკითხოს, მაგრამ ყოველთვის ეღვიძება. ქალიშვილი ფიქრს მიეცემა და ფიქრით სწრაფი ყაისნალი „მიჰბაძავს ქართულ ანბანთა წერას!“

ეს საიდუმლო ბარათი, ალბათ,
ბრძოლისკენ უნდა აფრინოს უნდა!

თამარი ბედს მიანდობს არჩევანს — მონახოს ერთი მეგრძოლი ვაჟკაცი და ამ პერანგის მქსოველი ქალი თვალწინ წარმოუდგინოს, რომ მოიგერიოს ქარი და ყინვა და თამარის სახელით წინ გადაეღობოს ქვემეხთა გრგვინვას.

ომისდროინდელ ლექსებში კ. ბობოხიძე ასახავს ვარდისუბნელ კოლმეურნეთა ცხოვრებას („გორკის სახელობის კოლმეურნეობაში“), უმღერის მშრომელებს, რომლებმაც ეს სილამაზე შექმნეს, ქება-დიდებას ასხამს „ახოვან მთასვლელთ— კავკასიონის დამცველებს, ლომგულთ“, რომელთაც „მტერსა და ორგულს ლახვარი დასცეს“ („სალამი სვანეთს“), ხატავს აფხაზ მეზადურებს, რომელთაც თავიანთი კეთილსინდისიერი შრომით ქვეყანას სარგებლობა მოუტანეს.

პოეტმა გიორგი ქუჩიშვილმა თავის მრავალფეროვან ლირიკულ ლექსებში უმღერა საკოლმეურნეო ცხოვრების ნოვატორებს,

რთველს და სოფლად ომგადახდილთა დაბრუნებას, ფეიქრებსა და საფეიქრო მრეწველობას, შავ ზღვას და ზღვით წარმოქმნილ ასოციაციებს, რომლებიც პოეტს შველიან პატრიოტიზმის მაღალი გრძნობების, ჩვენი სამშობლოსა და ხალხის გამარჯვების ნათელი რწმენის მხატვრულად გამოსახვაში.

კოლმეურნეები მღერიან, რადგან „დაბრუნებით ომგადახდილი გმირები, დედა-სამშობლოს წინაშე პირნათლად ვალმოხდილები!“

შავი ზღვა პოეტისათვის ოცნების ზღვაა, პოეტური აღმაფრენისა და ძლიერების, შეუპოვრობის სიმბოლოა. პოეტი არასოდეს მორიდებია ხიფათს. მისი ცხოვრების გზა ბრძოლითაა აღსავსე. წინააღმდეგობებს მისთვის ძალა და სამშობლოს სიყვარული შეუმატებია მხოლოდ („სტუმრად შავ ზღვასთან“).

სამშობლოს გამარჯვებით გამოწვეულ აღმაფრენას პოეტი ჩვეული მელოდიით გადმოსცემს ლექსში „სიხარული“.

სამამულო ომისდროინდელი სოფლის ცხოვრება შესანიშნავად ასახა ახალგაზრდა ნიჭიერმა პოეტმა ალექსანდრე საჭაიამ. „ჩემი სოფელი“ — ასე ჰქვია ერთ-ერთ მის ლექსს. შრომით და ფიქრით დაღლილი ხალხი სიზმრიანი ძილით იძინებს. ამ „სიზმრიან ძილში გემივით მიდის სოფელი ნელა“ და იგი მსუბუქი რხევით უცხო ქვეყანას მიაღდება. ხევსა და კორდებს ელვა გაანათებს. გამოჩნდა ვაჟი. სოფელმა იცნო იგი. შეჰკვივლა დედაჲ, „მაგრამ აქ გაქრა ზმანება ტკბილი“. ეს სურათი, რაც ზმანების სახით წარმოგვისახა პოეტმა, მახვილი პოეტური აზროვნებისა და ლაშაზი ფანტაზიის ნაყოფია. პოეტი მოხდენილი სტრიქონებით გადმოგვცემს ფრონტისა და ზურგის საერთო მისწრაფებას. ზურგის მეგრძოლის, რკინისებური ნებისყოფის ადამიანის ზოგადი სახე პოეტმა გამოკვეთა ერთ კონკრეტულ სახეში, ეს არის მკვდელი — მორალურად მაღალი, ზნეობრივად იდეალური ადამიანი, რომელიც პოეტმა დაგვიხატა ლექსში „მკვდელი“. ომში რეკდა მისი ნაქედი ჯავშანი და მკვდელსაც ბრძოლის წყურვილით ანთებდა. მისი სიცოცხლე უსასტიკეს „ლითონის ჯიშთან“ იყო შედუღაბებული, დაღრათან ერთად იწვოდა და ფოლადდებოდა ნებისყოფა „თვალად ელვა და ცეცხლის მაგვარი კაცისა“.

სვანი ვაჟკაცის ქედუხრელობას, მის კლდესავით მაგარ გულს, სულიერ სიმტკიცეს, სინდისსა და პატიოსნებას. სიმართლესა და პირდაპირობას გადმოგვცემს ა. საჭაიას შესანიშნავი ლექსი „სიმღერა მურზაყანზე“. მურზაყანის ნებას ემორჩილებიან სვანეთის ზვიადი მთები.

მურზაყანი მღერის, მთები უფრო მღერიან,
ოუ მურზაყანს სძინავს, მთებსაც უნდათ ძილი.

ლექსში პოეტური დამაჯერებლობით არის დახატული ადამიანის მიერ ბუნების ძალთა დამორჩილება. მურზაყანი ძლიერია. ადგება მურზაყანი და მთებიც ადგებიან, მკლავებს გაშლის სვანი და ავანთიც იღვიძებს. „თუ გაქირდა, სვანი მთებსაც წამოაკიდებს...“ მურზაყანი არწივით მარდი და ლაღია. მტერი რომ მთას მოაღდა და „მთების ძარღვებს“ ეძებდა, მურზაყანი „კლდესთან ვერაგ ურდოს მკერდით გადაეღობა და კლდე იყო მაშინ მურზაყანის მკერდი“. მურზაყანი სვანის სიმბოლოა.

ლექსი „სვანური მოტივებიდან“ ლირიკული გმირის ინტიმურ გრძნობებზეა აგებული. ამ გრძნობებში დაღაღებენ ქართველი კაცის მაღალი ფიქრები და აზრები, სიყვარულისა და სიხარულის, იმედისა და სწრაფვის ახალი ძალები. სოფლის მომხიბლავი ფერები პოეტისათვის თანდათანობით პირადი სუბიექტური განწყობის გამოხატვის საშუალება გახდა. სოფლის თემა ალ. საჯიასათვის ნაცნობი და ახლობელი იყო. მას ამ თემაზე უფრო ეხერხებოდა საქმობლოს პატრიოტიზმის იდეის გაშლა. პრაქტიკულად მისი პოეტური საქმიანობა არც გასცილებია ქალაქისა და სოფლის მყუდრო ცხოვრების ფარგლებს — ომში ის არ ყოფილა ავადმყოფობის გამო. არც უცდია საბრძოლო ეპიზოდების მხატვრულ სახეში გადმოცემა.



კავკასიის ზაჰვის ეპოპეა

1942 წლის ზაფხულში გერმანელ ფაშისტთა არმიებმა გააძლიერეს სამხრეთის ფრონტი. მტერი, უდიდესი ზარალიან მოუხედავდა კავკასიისკენ მოიწევდა.

1942 წლის 23 აგვისტოს თბილისში გაიმართა ამიერკავკასიის მოძმე ხალხების წარმომადგენლების ანტიფაშისტური მიტინგი. მიტინგმა უდიდესი და მკვეთრი ძალით ასახა ის გრძნობები და აზრები, რომლითაც ამიერკავკასიის თავისუფლებისმოყვარე ხალხები იმ მრისხანე დღეებში ცხოვრობდნენ. ეს გრძნობები და აზრები ემორჩილებოდა ერთიან საბრძოლო ამოცანას: ჰიტლერელთა ურდოების გააფთრებული შემოტევისათვის დაეპირისპირებიათ საბჭოთა ადამიანების სიმამაცე, შეუპოვრობა: შეეჩერებიათ, უკუეკციათ და გაენადგურებიათ მტერი.

ამიერკავკასიის ხალხთა ანტიფაშისტური მიტინგი იყო მძლავრი დემონსტრაცია საბჭოთა პატრიოტიზმისა, ხალხთა მეგობრობისა, მათი განუხრელი გადაწყვეტილებისა, მთელი ძალდონით ებრძოლათ თავიანთი თავისუფლებისა და ღირსებისათვის, გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე სრული გამარჯვებისათვის.

ქართველი ხალხი, რუს ხალხთან ერთად, იბრძოდა ყველაზე უფრო პროგრესული იდეალებიათვის, რომლებიათვისაც კი ოღუამე კაცობრიობას უოცნებია.

ფრიად დიდი და საშიში იყო განსაცდელი, რომლის წინაშე აღმოჩნდა მთელი ამიერკავკასია, კერძოდ საქართველო. გერმანელებმა მოახერხეს, მოსულიყვნენ კავკასიის კალთებამდე.

კავკასიის ხალხები მტკიცე კედლად აღდგნენ მტრის წინააღმდეგ.

1942 წლის აგვისტოს დამლევს მტერი სანჯაროს, ქლუხორისა და მარუხის კალთებს მოადგა. ამ უღელტეხილის გადმოლახვით მას

სურდა საქართველოში შემოჭრა. მტერს აქ ძირითადად ქართველი ჰომოტები აგან შემდგარი ქვეგანაყოფები გადაეღობნენ. 46-ე არშიაჲ, რომელსაც ამ დროს გენერალი კ. ლესელიძე სარდლობდა, გაათავისუფლა სანჰაროს უღელტეხილი. მტერი განდევნეს ქლუხორის უღელტეხილიდანაც. გათავისუფლებულ იქნა მარუხიცი. მტერი განდგურებულ იქნა თერგთან, მოზდოკთან, ქალაქ ორჯონიკიძესთან.

კავკასიონის ქედის მისადგომებთან გაათურებულ ბრძოლებში თავგანწირვით იბრძოდნენ რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, ქართველი, სომეხი. აზერბაიჯანელი, ჩრდილო კავკასიის ხალხებისა და საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხთა სახელოვანი შვილები.

კავკასიისათვის გაჩაღებული ბრძოლა 1943 წლის ოქტომბრის დასაწყისში ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა.

„წითელმა არმიამ, კავკასიის ხალხებმა, — წერდა მაშინ „პრაქტიკა“. — შეაჩერეს ჰიტლერული ურდო, მოჰქანცეს თავდაცვით ბრძოლებში და შემდეგ ძლიერი დარტყმით გასტყორცნეს იგი შორს კავკასიისაგან“.

ამ ბრძოლებში გამოიჩინეს თავი კაპიტანმა ა. პირმისაშვილმა, კაპიტანმა ბუხაიძემ, ვ. კანკავამ, ვლ. ლურსმანაშვილმა, ნ. გოგიჩაიშვილმა. მათი სახელები უკვდავების შარავანდელით შეიმოსა.

ქართველი მწერლის, ქართველი ხელოვანის უწმინდესი მოწოდება იყო, აესახა ომის ეს დიადი ეტაპი — ბრძოლა კავკასიისათვის, ეჩვენებინა ქართველი ხალხის ვაჟკაცობა და ქედმოუხრელობა კავკასიის დაცვისათვის გაჩაღებულ ისტორიულ ბრძოლებში, ეჩვენებინა მოძმე ხალხების მხარდამხარ მებრძოლი ქართველი ხალხის თავდადება და ერთსულოვნება.

ქართველმა ხალხმა ქეშმარიტად დიდი წვლილი შეიტანა კავკასიის მისადგომებთან გერმანელი ფაშისტების დამარცხების საქმეში. ყოველივე ეს უნდა ღირსეულად აღებეჭდა და უკვდავეყო მხატვრულ ლიტერატურას და ხელოვნების სხვა დარგებს.

ქართველმა მწერლებმა სასახელოდ მოიხადეს ეს უდიდესი პატრიოტული ვალი. დაიწერა მრავალი მოთხრობა, რომანი, პიესა, პოემა, მხატვრული ნარკვევი. ყველაზე მეტად კავკასიის თემას გამოეხმაურა ქართული პოეზია, კერძოდ ლირიკა.

ალ. გომიაშვილმა, ა. მირცხულავამ, ი. გრიშაშვილმა, კ. კალაძემ ამ თემაზე შექმნეს შესანიშნავი ბალადები, ხოლო გრიგოლ აბაშიძემ და სანდრო ეულმა — პოემები.

იმ დღეებში უხვი იყო ალ. აბაშელის კალამი. მან დაწერა ლექ-

სები „ომში მიმავალ ქართველ მეომარს“, „კავკასიონის მწვერვალე-ბიდან“, „არ მოუშვა, დაჰკარი“, „მთები დალესტანისა“, „სამშობ-ლოს შევარდნები“, „თბილისი ღამით“, „ერთი ხე იდგა მალღობზე“. ეს არის ერთგვარი პოეტური მატრიანე ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიისა შორეული წარსულიდან, ვიდრე დიდი სამამულო ომის მძაფრ დღეებამდე, გამოძახილი კავკასიის ხალხთა ერთსულოვანი მისწრაფებისა — სასტიკად დაამარცხონ ვერაგი მტერი, დაუხშონ საქართველოში შემოსასვლელი გზები. პოეტი ასახავდა მამაცობას ფრონტზე და ზურგში, ხალხის რკინისებურ ნებისყოფასა და გამარ-ჯების ნათელ რწმენას.

პოეტი მოაგონებს მეომრებს, რომ „კავკასიონის მაღალ კარებ-თან გუშავად იდგა ძველი ქართველი“, შეუპოვარი და შემმართვე-ლი ვაჟაკი, „შრომაში დინჯი და გულკეთილი“. იგი იდგა მზისგან ჩაქანგულ კლდესთან, „თვითონაც კლდისაგან გამოკვეთილი“ იცავდა „თაუის მომავლის ვარსკვლავს“, წინაპართა ანდერძს და დიდებას, მან მტერს არ დაუთმო თაუისი კერა. „ძველი ქართველი“ წავიდა და „ახ-ალ ქართველს“ დაუტოვა მზიანი მიწა, რომლის დამცველიც დღეს იგი არის. გმირი ვაჟაკები კავკასიის დაცვით მთელ ჩვენს დიად სამ-შობლოს ექომაგებიან და თავს სწირავენ მისთვის.

შენც იქ მიდიხარ, შენია ჯერი,
მოვალეობაც შენი დიდია.
გახსოვდეს:
სადაც ცეცხლს ანთებს მტერი,
იქ საქართველოს კარი ჰკილია...

კავკასიის ბრძოლებში მიმავალ ქართველს ირაკლი აბაშიძე მა-ღალი გზნებით დაწერილი სტრიქონებით უღვივებდა პატრიოტიზ-მის გრძნობას:

სიციცხლეს ვაშა,
მაგრამ სიკვდილიც
ქართველისთვის შე არ გამიჟირდება.
ვინც მისთვის წვანან მარადის ძილით,
საქართველოა მათი დიდება.

(„სამშობლო იყოს ჩვენი დიდება“)

პოეტის აზრით, „მისთვის რქმევია ქართველს ქართველი, რომ მისი ხვედრი ბრძოლა ყოფილა“. მიუხედავად იმისა, რომ ქართველს „არეინ ჰყოლია ხელგამმართველი“, მტრის მონად მაინც არ გამხდა-რა.

მაგრამ ვინ მოჰკლა ჩვენი „ვარადა“,
ვინ ამოშანთა ქართლში ვარძია,

გმირი კვდებოდა, მაგრამ მარადი
დღემ აკვანი დღემდე არწია.

არ გაცვეთილა ამ აკვნის ძირი, მას შემდეგ დღემდე იბრძვია
ქარაუელი, მისი გმირული „მკლავი ქართული“.

ჩრდილოეთ კავკასიაში პოეტმა დაწერა ლექსი „ქართველებო,
კვაფოთ მტერი“. იგი ქართველებს მიმართავს, ჰკაფონ მტერი
ისე, როგორც ძველად ჩვენი მამა-პაპანი ჰკაფავდნენ. „არ უფრთხო-
და მტერს ქართველი, არ იცოდა გმირმა შიში“, — ამბობს პოეტი
და განაგრძობს:

დღეს სამშობლოს მეტი უნდა
გმირობა და ერთგულება,
ქართველ ვაჟკაცს ძილი არ სწამს,
თუ კარს მტერი ეგულება.

კავკასიის დაცვის მიძიმე დღეებში შექმნა გრ. აბაშიძემ ლექსები
„სამშობლოსათვის“, „დროშები“ და „ტანკების დუელი“. გმირი წი-
ნაპრების მამაცობითა და შეუპოვრობით, ჩვენი გმირი ტანკისტების
შეუდრეკლობითა და გასაოცარი გამბედაობით აღფრთოვანებული
პოეტი უმღერის საქართველოს, რომელმაც საუკუნეების მანძილზე
გამოატარა ქართველის სახელი და დიდება.

ლექსი „სამშობლოსათვის“ სულ ექვსი სტროფისაგან შედგება.
ექვსივე სტროფის ბოლო ორი სტრიქონი აფორიზმებით თავდება:

ვისაც სიკვდილი ნამდვილად სძულდა,
სიკვდილის მას არ შეეშინდება.

ერთხელ სიკვდილს არის ოცნება,
ულამაზესი და მიშვიდველი.

სიციცხლეს ერთხელ სჯობნის სიკვდილი:
სამშობლოსათვის თუ იღუპები!

კაცის სიკვდილი არ გამართლდება
სამშობლოსათვის სიკვდილის გარდა.

ვინც სიშართლეს და სამშობლოს იცავს,
სიციცხლე მუდამ მას დარჩენია.

გრ. აბაშიძემ დამაჯერებელი და საინტერესო ფერებით გად-
მოგვცა ტანკების დუელი. ლექსს ასეც დაარქვა. ჩვენი ძალა მაგა-

რია, მაგრამ ამ ძალას პოეტმა დაუპირისპირა მტერი, რომელიც არა-
ნაკლებ ძლიერია. ძლიერ მტერთან ომის მოგება კი ძნელია.

გაისმის შორით ზრიალი ზევეთა,
მთა მთას აწყდება მკერდმუნგრეული,
და ორი ტანკი, მიწას რომ სძრავდა,
ქვავდება, როგორც ერთი სხეული.

ერთ-ერთი შესანიშნავი ლექსი, რომელიც სამამულო ომისდრო-
ინდელ ლირიკას მუდამ დაამშვენებს, არის ალექსანდრე გომიაშვი-
ლის „ქართველო, ხელი ხმალს იკარ!“ პოეტს გერგეტიდან ესმის
„თერგის ზარი“ და არწივების გამყივარი ხმა: „ქართველო, ხელი
ხმალს იკარ!“, მყინვარის ქარაფებიდან შეღამებულზე დაქანებული
არწივების ქარის გრიალი. ყველგან ცეცხლის ბაზალეთია — „ლაჟ-
ვარდებიდან ლაჟვარდებში მოხეტიალე“. კავკასიის დაცვის თემას
ეხება მისივე ლექსი „დასაწყისი განთიადისა“.

ალ. გომიაშვილმა, რომელიც ბალადის შესანიშნავი ოსტატია,
კავკასიის თემას მიუძღვნა „დარიალია ბალადა“. მკვეთრად გამო-
კვეთილი. ფოლადივით წკრიალა და ელვარე სიტყვებით აქანდაკებს
პოეტი კავკასიის მაღალ მთებს. რომელთაც აღარ შორდებათ „შავი
ლემადის ღამე“. ცალკე განხილვას იმსახურება ლექსის შინაარსი.
მხატვრული დონე, ლექსათწყოობის ხაზითი, მღერა მეტათორეზი
და მხატვრული სახეები. შედარებები და პოეტური ფერები.
ბალადაში აღწერილია მრუვალი ქარაფები. გზები და ხრ-
ანები, კავკასიონის ყელი და შიგ პატარა ველი, საიდანაც თერგი გა-
მოქუხს „ამოღებული ხმლით“. არკაში ლაშქარი მოდის, „მოახმია-
ნებს ღამეს“, კიუხის თავს გასცქერის ლეგა ნადიბაიძე. გაზაფხულია
— „ბნელ ხევზე მოდის ქალარა აპრილი თეთრი ცხენით“. ყინვარიანი
საჯიხვეები ჯერ ისევ თოვლითაა დაფარული. „ხევებში ოხერტიალად
ჩაწვა პირველი ზევეი“. ლეგა ნადიბაიძე ესაუბრება ლევანს:

გამოღმა ჩვენ ვ.რუ.
გაღმა— ის.
პრუსიის ვენერალი.
წინ შავი კლდეა მაღალი,
კლდიდან მოხშურს წყალი.
ჩამოქვს ცოდო და ბრალი.
ქვითინი მთიელ ქალის.

სოფელში ცრემლი თქრიალებს.
ისმის დედების კვნესა.

კვნესიან დღისით და ღამით ქარში მდგარი პირშიშველა კოშკე-
ბი. ცეცხლის ალში გახვეული ხეობა შველას მოელის. .ნადიბაიძემ

ეს სიტყვა დაავდო და გაქრა: „და დიდხანს, დიდხანს ისმოდა კლდეზე წყრილი ნალის“. იგი ბრძოლაში მიდის, „კალთაში ნაცარს იხვევს და მიდის... ციხის ქონგურებს ტოვებს ძაუგის ციხის კართან“.

ნადიბაიძეს წინ შემოეყრება „სახებანდული აშული მაღალ მთისა“.

ხელში უჭირავს ფანდური,
გათლილი იფნის ხისა
და ჩოხაჩამოკალთული
ჩამოაჩქამებს ქვიშას.

ეს არის ბერა—ქავციხის პატრონი. იგი ლოცავს კომისარს...
ლეგა ნადიბაიძეს:

ვიდრე მყინვარი გრილია
და წყალი დაბლა ჩქარობს,
მანამდე არ დაგელიოს
გულში სიცოცხლის წყარო.

ბერა ლევას არწივს ადარებს. იგი დარწმუნებულია, რომ „მოვა დრო და ნადიბაიძე უფრო გაშლის ფრთებს, მარად წაშლინა მთების ტიალ წყლულებს. ბერას კომისარი ქავციხეში მიჰყავს აქ დახვდებათ ბერას ქალიშვილი „პეპელა ჭრელი“. ბერა მღერის:

მაგრამ ქავციხე რად გინდა.
რად გინდა ხმალი მჭრელი,
რად გინდა მთების ერთობა
ან ის პეპელა ჭრელი,—
თუ შენის სახლის ერდოდან
გაქრება შუქი ძველი.

გელა და „პეპელა ჭრელი“ ერთმანეთს მზერას ესვრიან. ამ შეხვედრიდან ოთხი წელი გავიდა, „ზამთარი ბობოქრობს... ცაზე ღრუბელი ჩქარობს; მთები გაზაფხულს ელიან“, და რად სტირის ეს ქალი? გადაიდარა, იღვიძებს ბუნება, „დასავლეთიდან ბრუნდება გამარჯვებული ჯარი“. ლეგა კი არა ჩანს. ამბობენ:

მთაზე დგას ნადიბაიძე
ატოტებულის ცხენით!..

მწუხარე და თან ხალისიან ფერშია გამოკვეთილი ომში დაღუპული ნადიბაიძის სახე.

შენ კი სადა ხარ, შებული
შავლეგა, სვილისფერა, —
სადაეჩამოშვებული
სად გადაატრენ მერანს,

საით გაყვება ვარსკვლავებს
შენი თვლების მზერა.

მოუხედავად იმისა, რომ პოეტმა ნაღიბაიძე და ბერა ძუნწი ფერებით დაგვიხატა, მათ სახეებში ჩვენ ვხედავთ სამშობლოს დიდ პატრიოტებს, დიდი რწმენის, იმედის, მიზნისა და მისწრაფების მქონე ქართველ ვაჟაკებს. ატოტებული ცხენით მთაზე მდგარი ლეგენდად ქცეული ნაღიბაიძე მარად სამშობლოსათვის თავდადებული უკვდავი გმირის სახეა.

ალ. გომიაშვილის ბალადას წარმტაც ხდის აგრეთვე მღელვარე ხალხური ინტონაციით აქლერებული რიტმი და წყობა. პოეტური ინვენტარი, ყოველი პოეტური ხერხი მკითხველს აყვარებს ნაწარმოების გმირს. მისი ტყვიელი აწუხებს, სიხარული—ახარებს.

კავკასიის გმირული დაცვის დღეებში მრავალი ლექსი დაწერა ვასო გორგაძემ. მათ შორის აღსანიშნავია „გმირები“ და „თერგის გადაღმა“.

იოსებ გრიშაშვილის მგზნებარე ლექსები კავკასიის გმირული დაცვის დღეებში ჭარისკაცებივით ჩადგნენ სამშობლოს სამახურში. გამარჯვების რწმენით დაამედებული პოეტი ასე მიჰართავს სტალინ-გრაღის გმირებს ამავე სახელწოდების ლექსში:

გეშუშებოდათ წელულების ტენა.
სტალინგრაღისთვის კლდეთ აიმართეთ.
და გამარჯვების ნათელი რწმენა
წინ მიგიძლოდათ, როგორც სიმართლე.

კავკასიის დაცვას ლექსების წიგნი — „კავკასიონი“ მიუძღვნა სოლომონ თავაძემ. იგი ხშირად იყო ხოლმე ჩრდილოეთ კავკასიაში და მკითხველებს გადასცემდა ფრონტულ შთაბეჭდილებებს. ლექსში „ჩეგემის ხეობაში“ აღწერილია 392-ე ქართული დივიზიის მებრძოლთა შეხვედრა საქართველოდან წარგზავნილ დელეგაციასთან. მეომრები გაუმასპინძლდნენ დელეგაციის წევრ მწერლებს.

მოგვხიბლა სუფრამ, ფრინტულად შლილმა.
თავს გეადგა თითქო დედა ალერსით.
გაჩნდა არაყიც... და ქუჩიშვილმა
გამყიყარი ხმით დასქეჟა ლექსი.

კავკასიონი პოეტის რწმენაში წარმოდგენილია, როგორც ეამთა დენაში გაკაეებული, ბოროტი ძალების დამამხობელი, შუბლნათელი, მტკიცე, რომელიც გაპყურებს წარსულსა და მომავალს, შეჰკა-

შკაშებს მზეს, „ზარს სცემს მუხანათს, ორგულს, ონაეარს“. მის უბეში ვერ გაიხარებს მტერი. იგი თავის მწვერვალებთან გულით შეზრდილ მეომარს უორკეცებს „სულის ძალას და ცეცხლოვან იმედს“.

პოეტი მოუწოდებს კავკასიონის დამცველ მეომრებს:

გასწით, ბიჭებო! თქვენი გზა შორი
დაულოცნია თვითონ რუსთაველს.

(„კავკასიონი“).

ს. თავაძემ წიგნის ერთ-ერთ რკალს „ფრონტელთა პორტრეტები“ დაარქვა. მკითხველი ამ ლექსებში ეცნობა ბაქსანისა და ჩეგემის ხეობებში, კავკასიის ყოველ ბორცვზე და თხემზე მებრძოლი სახელოვანი მხედართმთავრებისა და რიგითი ჯარისკაცების გიორგი ყუფარაძის, მიხეილ გეთიას, კლიმენტი გვალიას, ქეთო გოგუაძის, შალვა წიკლაურის, სოსო ტატიშვილის, მიხეილ ფირცხალაიშვილის და სანდრო სალდაძის საბრძოლო ცხოვრებას.

კავკასიის დაცვის თემას მრავალი ლექსი მიუძღვნა პოეტმა ა. თევზაძემ. იგი რამდენჯერმე იყო მივლინებული მოქმედ არმიაში. აქტიურ მონაწილეობას იღებდა ჯარისკაცებისათვის მოწყობილ ლიტერატურულ საღამოებში. აქ მიღებული შთაბეჭდილებებით დაწერილ ლექსთა შორის აღსანიშნავია „ბრძოლის სიმღერა“, „სიმღერა ქართველი მეომრისა“, „გზა დაულოცა“, „დიდება გმირებს“, „გამარჯვების საღმეგრძელო“.

1942 წელს ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტზე მიღებული შთაბეჭდილებებით პოეტმა კარლო კალაძემ შექმნა ლექსების ციკლი „შეხვედრები ბრძოლის ველზე“. ციკლი ათი ლექსისაგან შედგება, ყოველ ლექსს საკუთარი სიუჟეტი აქვს, საკუთარი გმირი ჰყავს. მაგრამ ციკლის მთავარი ლირიკული გმირი თვით პოეტია, რომლის სულიერი მღელვარებაც მთელ ციკლს წითელ ზოლად გასდევს.

ციკლი იხსნება ლექსით „ქართველ მეომრებს“. პოეტი ამბობს, რომ იგი ქართველი მეომრის აზრს შორით ვერ დაელოდა და თვითონ ჩავიდა ფრონტზე. და აი ფრონტზე ჩასული პოეტის თვალთ ჩვენ ვხედავთ ქართველ მეომართა შთაბეჭქდავ სახეებს.

„საარტილერიო დუელის“ მთავარი გმირია პოლკის. მეთაური მაიორი გეთია. მაიორი მ. გეთია 392-ე ქართული დივიზიის გმირული ბრძოლების სახელოვანი მონაწილეა. მისი მამაცობა ბევრი ქართველი პოეტის ლექსის თემა გახდა. აი, მისი ერთი საბრძოლო ეპიზოდი: 1942 წლის 22 ოქტომბერს ქართული დივიზიის ქვეგანაყოფებმა ხარახორას მთის ფერდობებს შეუტიეს. ჩვენმა არტილერიის ტებმა მთა გრიგალისებური ცეცხლის აღში გახვიეს. ფაშისტებმა

არტილერიის ძლიერი საპასუხო ცეცხლი გახსნეს და რამდენიმე საათით შეაჩერეს საბჭოთა მებრძოლების წინსვლა. საარტილერიო პოლკის ქვეგანაყოფებმა მაიორ მ. გეთიას მეთაურობით მოწინააღმდეგე იძულებული გახადეს, შეეცვალა საცეცხლე პოზიციები. ამით ისარგებლეს მაიორ ა. ბერაძის და ი. გვირგვინიანის პოლკებმა და შეტევაზე გადავიდნენ.

კ. კალაძემ ეს ეპიზოდი დაუდო საფუძვლად „საარტილერიო დუელს“ და ქართველი არტილერისტის შესანიშნავი სახე შექმნა.

ქვემეხთ ესმოდათ მისი ქართული,
იკოდნენ ომის ჭირშიაც ულხინს,
იღგა ღრუბლებში. ხელგამართული
უპასუხებდა ქუხილით ქუხილს.

„ბუქურაული“ ბაქსანის ბრძოლის ერთ ეპიზოდს ასახავს. ბაქსანის ხეობაში თვითონ იყო პოეტი. იგი ხედავს ბრძოლის ველზე დაპირილ ქართველ ვაჟკაცებს, ესმის „მათი ქართული“. ბაქსანის პირად დაჰქროდა სიკვდილი.

გმირის ზოგადი ტიპიური სახე არის გახა ბუქურაული — „ჯმუხა და ოდნავ სახეწითური, ფრთების ცად გამლას ლამობდა თითქო, როცა შესძრავდა მხრებს მედიდური“. გახას, ამ მამაც მეომარს, „ქედლი მოვლილი ჰქონდა ფეხითა; ხანჯალი, ხელისგულის სიფართე. ხელყუმბარების გვერდით ეკიდა“. გახამ ბრძოლის ველიდან ხელით ატარა დაპირილი მეომარი. ეს მეომარი რუსის ქალი იყო, რომელიც მტრის ტყვიამ განგმირა. მამაც დელას პატარა ბიჭი დარჩა ობლად. „მისი პატარა ბიჭიც აქ არის, ფეხდაფეხ მსდევდა შესაბრალისად“.

— ალბათ რამდენი ვება ნახა,
ვიღრე ამ ქედის კარს მოღწევდა...
ვერ დევიფარეთ!.. — ჭაერობდა გახა
და შეე წარბებად ეხატა სევდა.

გახამ რუსის პატარა ბიჭი საქართველოში გაამგზავრა: „იქ ჩემ მალხაზებს ძმად ეყოლება. იზარდოს, მათთან იფარკიას“.

თქვა:—გაუმართლებ დედის იწედებს
და შეიბუღრებს მთა არწივისა,
ჩენი მთა მაინც არ გაიმეტებს
ამ უქანასკნელ თავგანწირვისას.

დე, იქ ხელახლად აიღვას ენა,
ნიავი მოხვდეს გულს იჭაურბი.
ისწავლოს კლდიდან კლდეებზე ფრენა
და ბიჭი იყოს ბუქურაული.

„ქართული ბაღადა“ ქართველი ვაჟკაცის მამაცობაზე მოგ-
ვითხრობს. ამ ვაჟკაცმა ბრძოლის ველიდან დაქრილი მეომარი გა-
მოიყვანა, მაგრამ თვითონ მტრის ნაღმმა დაფლითა.

ლექსში „ცაცხვის ყვავილები“ პოეტი მოგვითხრობს თუ რო-
გორ გაათიანა ღამე ჩეგემის ხეობაში. გურამი, კავკასიის დაცვის თე-
მაზე დაწერილი ლექსების ლირიკული გმირი, პირველ წევს და პა-
პიროსის შუქზე ბარათს წერს. პოეტს ახსენდება მისი მიტოვებულუ-
ეზო და ცაცხვის ყვავილები. პოეტს ფიცხელ ომშიც „ცაცხვის ხე-
თა სურნელი... გულს ელანდება“. პოეტი მძლავრი მღელვარებით
განგვაცდევინებს ამ „მოლანდებას“, რომელშიც თავის საყვარელ
კუთხე-გარემოს და ოჯახს წლობით მოშორებულ ადამიანს მუდმი-
ვად უფორიაქებს სულსა და გონებას. ჯარისკაცის ეს განცდა პოეტ-
მა შესანიშნავად გამოხატა.

ციკლის ბოლო ლექსია „ბარათი დედას“. აქაც გურამს შეხვ-
დებით. გურამი წერილს სწერს დედას:

ჩემთვის საყვარელ მამულისათვის
თავდადებული ერთი მეცა ვარ!..

პოეტი რევანს მარგიანი ასე მიმართავდა კავკასიონის მთებს
კავკასიის დაცვისათვის გაჩაღებული ბრძოლების დამთავრების
შემდეგ:

თითქოს გუშინ. ისე მახსოვს,
იყო მხოლოდ უკუნეთი,
თოვლიანი თეთრი მხრები
ბოლომდე სავსე გუგუნებით.

პოეტმა იმ ბრძოლის დღეებში ბევრი კარგი ლექსი შექმნა. კა-
ვკასიონის მთებში, ფრონტზე ზამთარი დადგა („ზამთარი“).

— ზამთარი... ბიჭი ღომგული
დასქექს, იელეებს პანგი მართალი,
საქართველოშიც იტყვის ჩონგური,
რომ ვერას გვაკლებს ფრონტზე ზამთარი.

გმირის ოცნება და ფიქრი კავკასიის ლურჯ მთებს დასტრია-
ლებს. სამშობლოს მთების სიყვარულმა, მათზე ზრუნვამ და ფიქრმა.
მას საფეთქელთან დაუტოვა „ვერცხლის ბეწვად შეპარული, ალაგ-
ალაგ შეფარული თეთრი“. ძლიერნი არიან სამშობლოს მთები, ისი-
ნი შეველიან, ფეხზე წამოაყენებენ თბილ მკერდზე დაცემულ დაჯ-
რილ მეომარს („თოვლის თეთრი ნაფლეთებით“).

შავი ღრუბლებით დაფარული კავკასიის მთები და სამშობლოს
ზეცა დარის მოლოდინშია („დარის მოლოდინში“) და ამ მოლოდი-
ნით აღტაცებული პოეტი ისმენს „სვანის კარგი დარის შაირს: —
შაი, ოდი, შამორირა შაი!“

მშობლიურ ქედებზე სიძლერა წოისპის („თენდება“), ვუგუნებს „ლილოს“ ქარი, გმირებთან ერთად საომრად დგებიან ჰალარა მთები, მყინვარზე ნისლები ქრებიან, ზეცაზე ღრუბლები დნებიან.

თენდება! მამულის დევგმირებს დიდება.

რ. მარგიანი, კავკასიის ამ მძინვარე ბრძოლების უამს ახალ წელს ერთნაირად ულოცავს კაცსაც და მთასაც, ზღვასაც და „გან-რისხებულ კრეისერებსაც“ („მრავალ ახალწელს, ჩემო მამულო“).

ტკბილია ბრძოლის ველზე სამშობლოს გახსენება. სამშობლოს სიყვარული ასეთ დროს გულზე „უფრო მაგარი სიმეხით არის გადათასმულიო“.

აქ რაღაც სხვაა, — სულ სხვანაირი
გრძნობა შეგიპყრობს ვაჟკაცს ფარულად.
ხმას და გულისტქმას იგრძნობს პაერი
და თვალს გაახელს ზარბაზნის ლულა.

(„სანგარში“).

რ. მარგიანი კავკასიის დასაცავად „საქართველოდან წარსულ-კაცებს“ ომანხინად მიმართავს: „არ მიაკაროთ სამშობლოს მტერიო“. პოეტს ჰქონდა ამისი თქმის უფლება — თვითონაც ხომ ჭარისკაცის ფარაჯა ეცვა!

იმ მრისხანე დღეებში დაწერილ ლექსებს შორის ცნობილია ალიო მირცხულავას „სიმღერის ძალა“, „ჩანგი“, „ომის შემოდგომა“, „მყინვარი“, „თავართქილადის გვარდია“, „გრიგალი“, „ძმები“.

ა. მირცხულავას სამამულო ომიდროინდელი ლექსი მკაფიო სიუჟეტით ხასიათდება. გავიხსენოთ „ჩანგი“. ეს ლექსი სევანეთის მთების მკვიდრის, ჰალარა სვანი მეჩონგურის — მახვშისა და მისი შვილის საგმირო ამბავს ეხება. მტერი კავკასიას მოაწყდა. მახვშა და მისმა შვილმა ერთად აიღეს მახვილი, მაგრამ ბრძოლაში გულ-განგმირული დაეცა შვილი. მამას დარჩა „როგორც ხსოვნა და ფიცი, შვილის მარჯვენა და თმების კონა“:

ცრემლის ემბაზში დააღბო თმები.
შკლავზე ააწყო ზორთოღვარ სიმეხად,
თითქოსდა შვილის ანკარა ხმები
აპყვა სიმების აციმციმებას.

შთამბეჭდავია „ომის შემოდგომა“. პოეტი დიდი ოსტატობით აღწერს საქართველოს ბუნებას, მის ბარაქიან შემოდგომას. ეს ლექსი გაზეთ „კომუნისტი“ 1942 წლის ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა. მაშინ, როცა მტერი კავკასიის ქედზე გამძაფრებით იბრ-

ღოდა. პოეტმა ქართველ მეომარს ნათელი და ჯანაღლი ფერებით დაუხატა საქართველოს ულამაზესი ბუნება ტყიდან მომჩქეფარე ნაკადული, გულის დამთრობელი ჭირნახული, ადიღებულა სპკალი ყანა. ქალ-ვაიებს „თამარქლოს“ სინდერიო ტანწერწეტა ძნები მოაქვთ და „ლეწავენ კალოსა“, ჩრდილქვეშ, რთველის პოლოღინში დაგღებული გიღელი, ქარვასავით ყვირთელი ვახის მტევენები.—

ასე მოღის შემოღღომა, შრომის აგუგუნება,
ხეხიღების დაქაღება, მიწის აბუბუნება,
ღაიღოცოს ხევიანი საქართველოს ბუნება!

პოეტის ლამაზმა ფანტაზიამ, რომელსაც რეალურ სამყაროში უღღას ფესვი, მეტად მიმზიღველი მხატვრული ფერებით დახატა ადამიანის მარჯვენიო კიღვე უფრო დამშვენებული საქართველოს ბუნება. ამღერებული ტონი ლექსისა ბოლო სტროფში ომახიან შეძახიღში გაღადღის.

შვიღო, მამულს უღარაჯე, შენი ვალი ვე არი,
ქარი ახლოს არ მოუშვა ჩქარი, დაუღეგარი,
ხმღით და ხიშტიო გაღარაზე დარიღლის კღღეკარი!

აღიო მირცხულავას ერთნაირი ძალიო ეხერხება ბრძოღის ცალკეული ეპიზოღის, გმირის ხასიათისა თუ სამშობლოს ბუნების აღწერა. მისი პოეტური ფანტაზია მრავალღეროვანია. ა. მირცხულავა უფრო თხრობის. ოსტატია. ძღიერი, დამაჯერებელი და ამღღელვებელია ეს თხრობა. მისი ლექსი ჰიმნივიო ქღერს. გავიხსენოთ ბაღაღა „ძმეღა“, რომელიც. მართალია, კავკასიის დაცვის თემას არ ეხება. მაგრამ იგი მიჩნეულია ქართული ლექსის შეჯანიშნავ ნიჰუშაღ და კავკასიისათვის ბრძოღების წინაღღესაა დაწერიღი (1941 წ.).

ძმეღი ნახეს თოვღის ფღატეში „ერთად ჩაკრული მშობღური გრძნობით“. ორივენი დაქრიღები იყენენ, ორივენი ერთ ლაზარეთში, ერთ პაღატაში დაწვეინეს. ხმაღამოღებული ძმეღი მტერს მიჰკიოღნენ.

- მაგრამ დაეენენ მკერღზე მახვიღით,
თვალთ ყორნისღერი ნისღი ებურათ
და „ვიი-ნანას“ ამოძახიღით
სიკვიღიღს ებრძოღნენ ვეფხისეღბურად.
— ძმა როგორ არის? — კითხუღობს ერთი.
— სმა როგორ არის? — დარღობს მეორე.

ასე გაგრძელღა ერთხანს, „სუღის ამოხღომაღდე ძიღას აწამებღა ძიღის აგონია“.

ერთ მრისხანე დღეს, როცა ავღარი
სძრავდა მიდამოს, ცა რისხვით ჰქუხდა,
პალატა სდუმდა. ვით ნასაყდარი,
ძმა ძმის შესახებ აღარა სწუხდა.

ამ ლექსში მთელი ჩვენი არსებით გვატყვევებს პოეტო-
მთხრობელი. ავიღოთ მეორე ლექსი „მყინვარი“. აქ ა. მირცხულავა
გვევლინება როგორც დიდი შემართების ტრიბუნი, რომლის ხმაც
თერგივით დულს და გუგუნებს. ამ ლექსში მყინვარი თავისი ბუზ-
ბერაზობითა და გოლიათობით წარმოგვიდგება, როგორც უძლევე-
ლობის სწორუპოვარი სიმბოლო.

დარიალის მცველად დატოვებული, თერგის ნალარით მოგუგუ-
ნე, თოვლის ქაღარით დათოვლილი მყინვარი, რომელმაც მშობლი-
ური ცა ზურგით ასწია, ქვეყნებს უსწორებს „თვალს ამაყურად“,
პოეტმა მყინვარს ადამიანის თვისებები მიანიჭა. მწვერვალი მეტყ-
ველებს, იგი ამაყობს სახელოვანი წარსულით, მტერთა ძლევეთა და
შეუპოვრობით. მას ხომ არასოდეს ერთი ნაბიჯითაც არ დაუხევია
უქან.

დღეს რა ხმა მესმის, რა ეროპელი?
წვიმაც ეშვება. მუხიც გრიალებს,
ასე რად შფოთავს ჩემი მამული,
თერგს ასე მწარედ რა აღრიალებს?

ამ კითხვაშივე იბადება მყინვარის შეუღრეკელი ნებისყოფის,
მისი უძლეველობის გამომხატველი პასუხი. — საყვარელ სამშობ-
ლოს მტერი შემოსევია, რათა დაანგრეოს და ნაცარ-ტუტად აქციოს
მისი ლამაზი მთა-ბარი, ხალხის ნაშრომი და ნაღვანი, უხსოვარი
ღროიდან დღემდე მოტანილი სიცოცხლე.

მთებს აზანზარებს ღრუბლების დღევა,
ფარების მსგავსად ჩანან ველები,
სიერცეს ანათებს წყაროთა ეღვა,
თითქოს ლესავენ ხმლებს ქართველები.

მრისხანედ გუგუნებს მყინვარი:

ვინ ბედავს ქართლი აატალახოს.
თავს დაგვატეხოს რისხვა და მენიჟი?
ზღვა გადალახოს, მთა გადალახოს
და კავკასიონს დაადგას ფეხიჟი!

ზევით არ ვნახო სვათა ღრუბელი,
დე, ვარსკვლავებმა გადაშიარონ!

მყინვარი დასაბამიდან ასე იდგა მკერდშეულახავი და ჭალარა-
შეურცხვენელი და თუ ახლა მის წმინდა მამულს ვინმე დაადგამს
ფეხს და გათელვას დაუპირებს, იგი წამოცდება და პირიქით,
მტერს თვითონ გათელავს, მიწასთან გაასწორებს:

მეხს დაეყრდნობი მრისხანეს, მწვავეს,
და წამოვდგები მთების უკუნით,
ადგილს მოვსწყდები... და, როგორც ზეავი,
მტერს დაემხობი ქვების გუგუნით.

აღიო მირცხულავას „მყინვარი“ სამამულო ომისდროინდელი
ქართული პოეზიის ერთ-ერთი შესანიშნავი ნაწარმოებია.

არა, სიცოცხლე რა ოხრად გვინდა, —
ძირს ეგდოს, როგორც მონა, მკედარსული,
რად გვინდა მიწა, კერა, სამშობლო —
შეგინებული და გაძარცული, —
რომ მტრის მურდალმა ფეხმა გასთელოს
მისი აწყო და მისი წარსული!

ასევე ომახიანად და ვაჟკაცურად გაისმა ქართველი მეოპრის
ხმა ილო მოსაშვილის პოეზიაში. ქართველმა ვაჟკაცმა სამშობ-
ლოს პირველ დამახეზაზე აიღო ხმალი მტრის გასაგმირად, „გვერ-
დით ამაყად დაუდგა დროშას — რასაც სიცოცხლის ფასად იცავდა,
სიკვდილს ხედავდა — არა ღრკებოდა, ცეცხლში იდგა და — მაინც
იცავდა“.

იდგა, იბრძოდა, მტერს არ დაუთმო
მშობელი ქვეყნის მამულ-ღედული,
იკურთხოს მისი ღედის ნანინა
და მისი მამის გუთნისღედური.

1944 წელს გამოქვეყნდა ი. მოსაშვილის ლექსი „აი, ეს მიწა“. პოეტი იგონებს კავკასიის მისადგომებთან გაჩაღებულ ცხარე ბრძო-
ლებს: „აქ შავად თოვდა და შავად წვიმდა, აქ სწვავდა მინდვრებს
შავი ხანძარი“. ამ მიწაზე „ცოფიანმა მგელკაცმა“ ფეხი დაადგა
მაჟულის რაინდი იძულებული იყო, დროებით დაეტოვებინა ეს მი-
წა, მაგრამ ერთი მუჟა მშობლიური მიწა მას უბით მიჰქონდა თან,
სადაც მიდიოდა და აი გაიფანტა „შავი ღრუბელი თერგზე რომ
იწვა“, მტერი დამარცხდა და უკან დახევა იწყო. კვლავ მშობლიურ
მიწასთან არიან გმირები — „შეკრულნი ფიცით“. როცა ეს ლექსი
იწერებოდა. ჩვენი ჭარი უკვე შორს, ჩვენი ქვეყნის საზღვრებს
გალმა იყო და მტერი თავის უკანასკნელ ღდეებს ითვლიდა. ამ
ლექსში პოეტი კავკასიიდან წასულ მეომრებსაც მოუწოდებდა:
თუ კიდევ საღმე ბოგინობს მტერი, პირი აუუვსოთ ამავე მიწითო.

„მაისმა შემობრძანება ყაყაჩოს შუქით გვახარა“. მაისი შემოვიდა იქაც, „სადაც მაღალ მყინვარებს თერგის ტალღები ჩაუქრის“. აქ სულ ახლახან სასტიკი ბრძოლები მძინვარებდა საქართველოს მთისა და ბარის, მთელი ჩვენი დიადი სამშობლოს გადასარჩენად. ანლა აქ „ხელში ხმალდამიწებული მხარდამხარ წვანან ჩაუქნი“.

სიკვდილის მრუმე მახვილმა მათი ხსოვნა ვერ მოშალა.
მე ვნახე, გმირთა საფლავზე როგორ აყვავდა შრომანა.
მე ვნახე, როგორც უკვდავი სიცოცხლის გამომხატველი,
თავზე დაადგა მათ საფლავს მარადიული ნათელი.—

ასე უმღერა პოეტმა იოსებ ნონეშვილმა კავკასიის თავისუფლებისათვის ბრძოლებში დაცემულთა უკვდავებას („მაისმა შემობრძანება“).

ერთ-ერთ იმდროინდელ ლექსს პოეტმა უწოდა „ბარათო ფრონტიდან“. ფრონტზე მყოფი მეომარი. რომელსაც დიდი ხანია, რაც დაავიწყდა იასაჰნის ფერი, შავი ნისლით დანარსლული ზეცის დანახვაზე ზღაპრული აპირანის ღონეს ნატრულობა, რათა მტერი მოისპოს, რათა ისევე ვუსმენდეთ ნაკადულია გალობას, რათა მშობელ ცის ქვეშ ჰყვაოდეს სიცოცხლე:

რომ მტრის ურდომ ვერ გათელს
გმირთა ნაამგარი,
ჩვენი ტკიბილი საქართველოს
საოცნებო მთა-ბარი.

საქართველოს მთებში გაზრდილ ჭანგშემართულ ვეფხს წინ ვერაფერი დაუდგება, იგი მტერს სანგარში შეუეარდება, ბრძოლის ველს ცეცხლად ედება „და ყუმბარების საზარელ კვამლში ქრებიან მტერთა სილუეტები“ („შენი მახვილი“).

გალაკტიონ ტაბიძემ შესანიშნავი პოეტური ქმნილებებით გაამდიდრა იმდროინდელი ქართული პოეზია. აი ზოგიერთი მათგანი: „ამირანი მიჯაჭვული კავკასიონის კლდეებზე“, „სამშობლოსათვის თავდადების ღრონი მეფობენ“, „როგორც მერანი“, „კავკასიონის დასაცავად“, „ომი მწვერვალზე“, „არაგვი“ „ქარი მოარხევს დროშებს“ და სხვ.

კავკასიის გმირული ეპოპეის თემაზე გ. ტაბიძის მიერ დაწერილ ლექსებში ისმის სამშობლოს დიდი პატრიოტი პოეტის იმედიანი ხმა. ამ იმედს ქართველი ხალხის ისტორიული სინამდვილე ედო საფუძვლად. პოეტს თვით კავკასიის მთებმა, „ამ ჭაგეპსა, ამ კლდეებ-

მა, ჭალარა ნისლის ფრთებმა“ უამბეს, რაც „ამ მწვერვალებს განუცდია მტერთან შებმა“ („ომი მწვერვალზე“).

გ. ტაბიძემ ჭერ კიდეც ოპის პირველ წელს გამოაქვეყნა ლექსი „სამშობლოსათვის თავდადების დრონი მეფობენ“.

კავკასიონი ლაევარდების მაღალ ცარცივით —
მზეზე ელვარებს და ოცნებობს თავის არწივით —
რგოლებს რომ ხაზაეს და ტრიალებს ამაყად, ფართოდ,
ის მეომრის ფიქრს მოუწოდებს ცალ სანავარდოდ.

კავკასიონი „აიწვევს მაღლა, უფრო მაღლა, აპა, ეშვება, კვლავ მაღელვებს, მაგრამ ღრუბლებს არ მოეშვება“, რადგანაც იგი „ღარწმუნებულა“ სილაღეში, სიძლიერეში, სწორია მისი 'ფრთის სიმშვიდე თუ იერიში.

და აი მტერი კავკასიონსაც მოუახლოვდა. მის დასაცავად სიმღერით მიდიან მეომრები:

არ გილაღატებ სანამ
მზე გვინათებს და მთვარე,
ყოველ მხარეზე კარგო,
ჩემო სამშობლო მხარე.

(„ჯარი სიმღერით მიდის“).

სახალხო პოეტი იმ მრისხანე ღლებში ასე მიმართავდა საზქო-თა ადამიანებს:

შენ ხომ ამაყი ხარ მებრძოლი და ახალგაზრდა,
სისხლში ღელავენ ნაპერწკლები დიდებულ აზრთა.
შენში მშობლიურ მოწოდების მოძრაობს ალი,
გეხვევა ბრძოლა, როგორც ქარი, როგორც გრიგალი.

ვერ შესძლებს მტერი, რომ ჩააქროს ახალი ალი,
ვერ შესძლებს დასწვას ხალხთა აწყობა და მომავალი.

(„არაგვის ქარი“).

პოეტი დარწმუნებულია, რომ მტერი ვერ გადმოლახავს კავკასიონის ქედს, კავკასიონის ბრძოლების მესამე თვეს (1942 წლის სექტემბერი) კავკასიონის ჯარი კვლავ ამღერდება გამარჯვების ხმაზე, კვლავ გამარჯვებით დაბრუნდება ბრძოლის ველიდან („კავკასიონის ჯარს“), რადგან აქ მტაცებელთა ხროვა ყოველთვის დამარცხებულია „კავკასიონის არმიით“ („კლდეთ სღვას ჩვენი მამული“), რადგან „მას მარად მედგრად იცავდა უანგარო და სვიანი, იგივე ქძლე, იგივე ამაყი, მებრძოლი ადამიანი“ („კავკასიონის კლდეებზე“).

პოეტს ყაზბეგის მშვენიერი მხრები ხიბლავს. იგი ძვირფასია მისთვის: „მზის ამოსვლისას საესეა თასი ათასი ლალის და

კელაპტარის“. და იგი მით უმეტეს იმიტომაც არის ძვირფასი პოეტისათვის, „რომ ვერას აკლებს ქარი პირბასრი და ცისკრის ალი რთავს მშვენიერი“, რომ „ვერა-რა ძალამ ვერ გადაარისა ეს მშვენიერი მხრები ყაზბეგის“.

გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნების“ 1943 წლის 26 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა გ. ტაბიძის „იმ დღეებს ძეგლი უნდა აუგო“. ეს ნაწარმოები დიდებული პოეტური ქებათა ქებაა ჩვენი ხალხის მიერ კავკასიის მისადგომებთან მოპოვებული სასელოვანი გამარჯვებისა. მოგვეყავს ეს ლექსი მთლიანად:

მე კავკასიის ქედები მთხოვენ,
მე მთხოვს მუსიკა თერგის ღმურის,
ეუსმინო ყაზბეგს — ხევის ბეთხოვენს.
აგუგუნება კიშურის.

მე მშობლიური არაგვი ბირჩევს,
წინასწარ ვიგრძნო, ვიცოდე მარად,
ქართულის გული თუ რისთვის ირჩევს
ომში სიცოცხლე ჩასთვალს არად.

იმ დღეებს ძეგლი უნდა აუგო,
უნდა აღმართო წყებათა-წყება,
ვით აღიმართა შენთან, ძაუგო,
გამარჯვებათა ჩვენთა დაწყება.

ამ ლექსზე აღრე, 1943 წლის ივლისში, ეურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა გ. ტაბიძის ლექსები: „მხრები ყაზბეგის“, „ღრუბლები ძაუგთან“, „იანანა“, „ქართული ორნამენტი“, „სიმართლისათვის“, „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“, „პიამა ნატროშვილი“, „საამაყო ბრძოლის ჟამმა“, „თასი“. ამ საინტერესო ლექსების რკალი ერთგვარად შეერა და დაავიკრავინა ლექსმა „იმ დღეებს ძეგლი უნდა აუგო“ (იგივე „მე კავკასიის ქედები მთხოვენ“).

კავკასიის თემას მრავალი ლექსი მიუძღვნა გ. ქუჩიშვილმა. კავკასიის დაცვის მძიმე დღეებში საბრძოლო მოწოდების ხმად გაისმოდა მისი ლექსები: „ვფიცავ, ძმებო“, „ძმებო. ჰეი, ძმებო!“ „მებრძოლ ვაჟაკებს“, „საიეროშო ყიყინი“ და სხვ.

„გულმოგუგუნე, მქუხარე ჩანგით“ მოვიდა პოეტი კავკასიის ფრონტზე თავის მემამულეებთან, მებრძოლებთან, რომელთა თავზეც „ბობოქარ ბრძოლებს რისხვით, რუხრუხით... ბევრჯერ გადაურბენიათ“, რომლებიც ბევრჯერ დაჭრილან და რომელთაც „სისხლი თქრიალით“ დენიათ, მაგრამ უძლეველი დროშა ძირს არ დაუხრიათ.

ნურც დაგიხრიათ, ძმებო, ეგ დროშა
ძმათა სისხლივით წითლად კაშკაშა,
რომ თქვენ, არწივებს საქართველოსას,
მოანიც მოგძახდნენ ვაჟკაცურ ვაშას!
(„მებრძოლ ვაჟკაცებს“)

კავკასიისათვის გაჩაღებულ ბრძოლებს სიმონ ჩიქოვანმა მიუძღვნა ლექსების ციკლი „მამულს ვუთხრათ გამარჯვება“. უშუალოდ ფრონტული შთაბეჭდილებებით დაიწერა ლექსები „დილა უღელტეხილზე“, „აჩრდილი“, „გამოსათხოვარი“, „მზესუმზირები“, „მიტოვებული სახლ-კარი“, „საფლავის ქვასთან“, „საბჭოთა კავშირის გმირს ვლ. კანკავას“, „ლეშქაშელის სიკვდილი“, „ისევ სიზმარი“, „მე ვიყავ შენი ვაჟი გულადი“ და სხვ. ამ ლექსების უმრავლესობა აღრე განვიხილეთ და აქ არ შევჩერდებით.

წინა თავებშივე მიმოვიხილეთ გიორგი ლეონიძის პოეტური ქმნილებები, რომლებიც კავკასიისათვის გაჩაღებული ბრძოლების მრისხანე დღეებში შეიქმნა.

კავკასიის გმირული ეპოპეის დიდ ტილოზე გადატანა წილად ხვდა პოეტ გრიგოლ აბაშიძეს. მისი პოემა „ძღვევის ქელი“ გაზეთის ფურცლებზე გამოჩენისთანავე ალტაცებით მიიღო მკითხველმა. პოემის მხატვრული დონე და იდეა ამის საბაბს იძლეოდა. მდიდარმა ფანტაზიამ და სინამდვილის გამჭკრიახმა აღქმამ განაპირობა პოემის წარმატება.

პოემის სიუჟეტი მოკლედ ასეთია:

ქართველი სტუდენტი გიორგი, რომელიც მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობს, მოსკოვის სტადიონზე შემთხვევით შეხვდა ქართველ ქალიშვილს. მისი გული ერთბაშად მოხიბლა ამ გოგონას სახემ. ისინი ერთმანეთს ისევ მოულოდნელად შეხვდნენ ლენინის სახელობის ბიბლიოთეკაში და საბოლოოდ გაუმჟღავნეს ერთმანეთს ტრფიალი. მაგრამ ატყდა სამამულო ომი და მათი ქორწილი ვერ მოხერხდა. გიორგი ბრძოლის ველზე წავიდა, ხოლო ქალი სამშობლოში დაბრუნდა. გიორგის ხშირად მისდიოდა საცოლეს ბარათები თბილისიდან. მაგრამ გიორგი მტრის ალყაში მოხვდა და სატრფოსთან მიმოწერაც შეწყდა. მათ ერთმანეთის კვალი დაჰკარგეს. ამის გამო ქალი ფრონტზე წავიდა. იგი გიორგისთან შეხვედრის ოცნებით სულდგმულობდა. ეს ქალი (იგი სანიტარი იყო) გიორგის ჩრდილოეთ კავკასიაში, ფრონტზე შეხვდა. მაგრამ გიორგი მძიმედ იყო დაჭრილი და წამოდგომა არ შეეძლო. მან დაჭრილი ზურგზე აიკიდა, მაგრამ მტრის ტყვიამ განგმირა ქალი. გიორგი სხვა სანიტრებმა მიიყვანეს იმ საავადმყოფოში, სადაც ექიმად გიორგის ძმა არჩილი მუშაობდა. გიორგიმ ოპერაცია გადაიტანა. გა-

ნიკურნა და დროებით მშობლიურ სოფელში გაემგზავრა დასასვენებლად. რათა კვლავ ბრძოლის ველს დაბრუნებოდა.

ეს სიუჟეტი გამდიდრებულია საქართველოს ულამაზესი ბუნების პეიზაჟებით. მკითხველის თვალს იტაცებს კავკასიონის მოქნიბლავი სურათი, აისზე მზის ცეცხლოვებული, ღრუბლების ზღვაში გედებად დამდგარი „კავკასიონის კენწეროები“. აქ მუდამ ღვთაებრივი სიმშვიდე იდგა და ქვემეხები არასდროს მდგარა. მაგრამ „უცებ ქუხილი გაისმა მეხთა“.

მყინვარებს, კაცთა ხმას მიუჩვენებს,
გუგუნი გააქვთ ზარის დამკვში.
და გვანან თოვლში ჩიტის ბუდეებს
ნაფეხურები ქარისკაცების.

„კავკასიონი ცეცხლში შეცურდა შუბლგაწვდილი და ფარდაბლუჭული“. მთელი მსოფლიო სულგანაბული მისჩერებოდა თერგსა და ეოლგას. თბილისს ჭერ კიდევ არ განეცადა ფრონტის სუნთქვა, „თუმც თოფის კვამლმა და წამლის სუნმა უკვე თბილისის ცასაც უწია“. იისფერ შუქში ფრთამოყუყულ, გაფითრებულ თბილისის ქუჩებზე არ ეცემოდა შუქი ოქროსფერ სვეტად. დარაბადამანულ ოთახებში სულთამხუთავი სიწყინარე იდგა.

შთაბეჭდავ პოეტური ფერებით არის დახატული საქართველოს შემოდგომა. თავისი წითელ-ყვითლად მორთული ზვრით, ოქროს ზარივით რტოზე დასაკრეფად ჩამოკიდებული მსხლით, მძიმე ტვირთის ამზიდველი. წელში დაზნეპილი ვაზით. ცეცხლისფრად მოგიზგიზე რქაწითელით, შუქგასული ბუდეშურით. ბროლნარევი ციციით, გიშრისფერი საფერავით. ბარაქიან შემოდგომას მამაკაცის ხელი აკლდა, მაგრამ სამაგეროდ „ვენახს ქალნი შესვიან და ბიჭები პირტიტველნი“.

არ სჩვევია საქართველოს,
ქალი იღებს კაცის სარჩოს.
რა ჰქნას, ქმარი ომში არი,
ცოლი უნდა გაისარჯოს.

აგერ შვიდი ბიჭის დედამ „შვიდივ ომში გააგზავნა, სამშობლოსთვის იბრძვის ყველა“. აგერ მეორე დედამ ერთადერთი ვაჟი ფრონტზე გაისტუმრა, „დედას ვინლა დაიტირებს!“

ორი დედა!
საქართველო
რომელს უფრო ჰყვარებია?!

მტევნებს ნამი დაფრქვევია,
იქნებ ცრემლის ფარებია!..

საქართველოს მდიდარი ბუნების, მსუყე შემოდგომის ამ მომხიბლავ პეიზაჟს პოეტი ხატავს ადამიანებთან ურთიერთობაში. რა არის ბუნების სილაშაზე უაღაპიანოდ? ბუნების ყველაზე უპირველესი მშვენება ადამიანია.

გახმეს ტარო მაჯის სიმსნო,
თუ ჩამორჩეს საესე მტევანს,
მარცვალსა და მარცვალს შუა
ნემსიც აღარ ჩაეტევა.

ეს დოვლათი ადამიანის ხელმა შექმნა. უიმისოდ ვერც სიმინდი იხარებდა, ვერც ვაზი. ჰის ოდენა ჭურები ქვესკნელამდე თავისით როდი ჩაწეულან. ამაყი ქვევრები ადამიანის წინ იხდიან ქულს. მტევნების სასათლავს — საწნახელს, ამ გაღეშილ ვეშაპს, შავს, როგორც ყორნის ტყუპს, ზურგზე გოლიათი შედგომია:

ნაბადივით გათელილა
ხვავი, თითქო მატყლი არი,
მწურავს ტკბილით მორეცხია
ორთავ მუხლთან ნატყვიარი.

ეს გოლიათი გიორგი გახლდათ.

გიორგი ზოგადი სახეა საბჭოთა პატრიოტისა. გიორგის სახით პოეტმა მოგვცა გმირის, კეთილშობილი ქართველის, ყოველმხრივ სამაგალითო ვაჟკაცის სახე. გიორგი ძლიერია სამშობლოს პატრიოტიზმშიც, ქალის სიყვარულშიც და მეგობრობაშიც.

ფრონტისაკენ მიმავალმა გიორგიმ გზად მეგობარს გაუარა. „დიდხანს დარჩები?“ ეკითხება მეგობარი. „სადა მცალია, კავკასიისკენ მივემართები“. — იყო პასუხი. გიორგის ძლიერ უყვარს თავისი სატრფო (სამწუხაროდ ამ ქალისათვის სახელი არ დაურქმევია პოეტს), მაგრამ სამშობლოს დაცვის მოვალეობის გრძნობაზე მალლა როდი აყენებს ამ გრძნობას. მათი ქორწილი სწორედ ომმა ჩაშალა: გიორგი ომში წავიდა. ფრონტზე მძიმედ დაიჭრა. ტყვია ბევრჯერ მჭრიდა, მაგრამ არა მკლავდაო. — ეუბნება გიორგი ანსანაგა. გიორგი იყო გაბედული ვაჟკაცი, პატრიოტი, სატრფო, მეგობარი.

სამშობლოსადმი მისი დიდი სიყვარული ნათლად ჩანს ყოველ მის სიტყვასა და საქმეში.

მძიმედ დაჭრილი გიორგი ბრძოლის ველიდან ქართველ სანიტარ

ქალს გამოჰყავდა. მაგრამ მტრის ბრმა ტყვიამ სიცოცხლეს გამოასალმა გმირი გოგონა. სისხლმა შეღება „მთების თოვლივით თეთრი კისერი“. დაუძღურებულ გიორგის განძრევა არ შეეძლო, რომ მიშველებოდა ქალს. მაშინ დასწყევლა თავის გაჩენა. ამ გოგონას, ღონემიხდილს, გიორგის თავქვეშ ედო მარჯვენა ხელი. გიორგის დარდისაგან აღარათფერი აღარ ესმოდა, თუმც ნაღმები ჰქუხდნენ მის თავზე.

მძიმე ქვემეხთა ხმაც ახლობელი,
ტყვიის წვილიც, ზუნუნიც ქართა;
ჩემთვის დაურევდა ქვეყნად ყოველი,
ულონო მაჟის ჩურჩულის გარდა.

და სიკვდილამდის სულ ასე მსურდა,
ჩემს სიკვდილამდის რომ ეჩურჩულა.

პოეტი თავის პოემაში გამოხატავს ქართველი ხალხის მადლიერების გრძნობას მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი. მხოლოდ ხალხის, სამშობლოს, პარტიის ერთგულ ადამიანებს შეეძლოთ იმ საარაკო გმირობის ჩადენა, რაც მათ კავკასიის დაცვის დროს გააკეთეს.

„ძღვეის ქელის“ გამო კრიტიკამ საკმაო ბევრი თქვა და იგი შეათასა, როგორც დიდი სამამულო ომის თემაზე დაწერილი ერთადერთი და საინტერესო პოემა. თუმცა ბუნა ელენტი მაინც უსაყვედურებდა გრ. აბაშიძეს, რომ მან ვერ გვიჩვენა ტაპიური ადამიანური ხასიათი, რომ გიორგი მხოლოდ ჩანასახია ასეთი ხასიათისა.

გრ. აბაშიძეს ასეთ მაღალ მოთხოვნას სწორედ იმიტომ უყენებდნენ, რომ მას შეეძლო უფრო მძაფრად გადმოეცა გმირის სულიერი მღვთაპარობის ცაკეული მომენტები. საკმარიია. გავიხსენოთ ზემოთ მოყვანილი ადგილი პოემისა, რომელიც გადმოგვცემს ქერა გოგონას (გიორგის სატრფოს) სიკვდილის სურათს, რათა დავრწმუნდეთ, რომ გრ. აბაშიძეს ჰქონდა საკმაო ძალა, რომ უფრო ღრმად გაეხსნა გმირის ხასიათი. ქართველი მკითხველი გატაცებით შეხვდა „ძღვეის ქელს“ იმიტომ, რომ ასეთი ნაწარმოებები აკლდა მას. ამას ხელს უწყობდა აგრეთვე მისი მაღალი მხატვრული დონე, ცალკეული ძლიერი სურათები, შედარებები, მეტაფორები და შესანიშნავად გამოქანდაკებული ბუნების მეტყველი სახეები.

რად ღირს თუნდაც მარტო თბილისის სურათი კავკასიის დაცვის მძიმე დღეებში. ან კავკასიონის ბუმბერაზი მწვერვალის ამბოხება თავს დატეხილი უბედურების გამო და მისი ბუბუნა.

აი, მაგალითად:

სძინავს თბილისს, ყურს ვინ უგდებს
მტკერის ოხერას და ფარულ შრიას!
გორგასალის მოკლულ ხობობს
ცაზე ფრთები გაუშლია.

ან კიდევ:

იყო ზათქი და ზრიალი ზეაეთა,
მიწა იძროდა მათი კვეთებით,
ცაში ვეშაბთა ზმორებას ჰგავდა
შავად ტრიალი კვამლის სვეტების.

კავკასიის დაცვის თემაზე და ომის დღეებში თბილისის სურათი ასე მძაფრად, ასე ხატოვნად არავის მოუცია. ამიტომ გახდა „ძღვევის ქედი“ და განსაკუთრებით მისი ცალკეული თავები პოპულარული.

ასეთია ქართველ მწერალთა პრაქტიკული მონაწილეობა და დამსახურება კავკასიის დაცვაში. ამ დამსახურებისათვის მთავრობამ პედლით „კავკასიის დაცვისათვის“ დააჯილდოვა სიმონ ჩიქოვანი, შალვა დადიანი, ილო მოსაშვილი, გიორგი ლეონიძე, ალიო მირცხულავა, დემნა შენგელაია, გიორგი ქუჩიშვილი, ბესო ჟღენტი, ირაკლი აბაშიძე, სოლომონ თავაძე, ვლიზბარ ზედგენიძე, ერემია ქარელი-შვილი, რევაზ მარგიანი, ვანიონ დარასელი, გიორგი მდივანი, იოსებ ნონეშვილი, ბორის სერებრიაკოვი, ილია ხოშტარია და სხვები.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ომის ძირითადი ეტაპების ასახვა ქართულ პოეზიაში	3
ქართველი პოეტები შრომისა და ბრძოლის ფრონტზე	36
პატრიოტული პოეზია	95
ხალხთა ძმობისა და მეგობრობის იდეა	147
ლეჰსი და სიმღერა თავდადებულ ჯარისკაცებზე	160
ქართველ დედათა სადიდებელი	216
გმირული შრომის თემა	235
კავკასიის დაცვის ეპოპეა	242



რედაქტორი თ. ჯანგულაშვილი
გამომც. რედაქტორი ნ. აბდუშელიშვილი
გარეკანის მხატვარი ი. ჯანაშვილი
მხატვრული რედაქტორი ზ. კაპანაძე
ტექნორედაქტორი თ. დაუშვილი
კორექტორი ვ. ვახეიშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/X-67 წ.
ქაღალდის ზომა 60×90, ნაბეჭდი თაბახი 16, 75,
საალრიცხვო საგამომცემლო თაბახი 15, 19
ტირაჟი 2.000 უე 00317 შეკვ. № 1115
ფასი 58 კაპ.

გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, კამოს 18.
Издательство „Ганатлеба“, Тбилиси, ул. Камо, 18
1967

გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბა, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

БАРТАИЯ ЕВГЕНИЙ ФИЛИППОВИЧ

Тема Великой Отечественной войны в грузинской поэзии

(на грузинском языке)